বঙ্গরস

ნეტა, სადა აქვს ამ ზვიადებს ბოლო,
ვინ დაიგო ეროთად ამდენი ვაზი.
სჯობს იღაი გქონდეს სულაც სამმობლო,
ანდა აი იყოს ასე ლამაზი!

მამული

შემეცნებით-საზოგადოებრივი
ჟურნალი ამერიკაში

№ 7 (75) იანვარი - თებერვალი, 2015

მთავარი რედაქტორი **მანუჩარ კაჭახიძე**
EDITOR&PUBLISHER **MANUCHAR KATCHAKHIDZE**

ჟურნალის ეს ნომერი იბეჭდება
ბატონ **რამაზ გოცირიძისა** და
ქალბატონ **მარინა სანაძის**
უშუალო თანადგომით

გარეკანზე
კემოს კარიკატურა

ჩვენი სარედაქციოა: **ასავად-დასავალი**
მოგვწერეთ: PO Box 13121, Jersey City, NJ 07303
ტელ.: 1-347-724-0770; თბილისიდან: 2-420-320
ელფოსტა: mamuliusa@gmail.com; www.mamuli.com

ჟურნალი აკრებილია, დაკაბადონებულია, დაბეჭდილია და აკინძულია შეერთებულ შტატებში და ამ ნომრის გამოცემის დროს წარმოადგენს ერთადერთ ემიგრანტულ, ქართულ გამოცემას ა.შ.შ.-ში.

4 მე დავბრუნდი!
„მამულის“ მადლობა

5 სარედაქტორო
გული ძგერს, როცა!

11 კახა ბენდუქიძე
1956-2014

12 ემიგრაციის კალენდარი
ინტერვიუ ბატონ გელა საჩალელთან

14 ოთარ სეფიაშვილი
გამოსათხოვარი

16 „ილუზიონი“ კაბადონებში
ახალი სახელი - კუროსავა

24 ემიგრანტის პორტრეტი
ქართველი გოგონა მანჰეტენიდან

32 ინტერვიუ
მე ლევან აბაშიძეს დავპირდი...

33 ანალიზი
„ნაცები“ და „ქოცები“

40 ნიჭიერი ეტლში
დიდი გამარჯვება აზროვნებაში

42 CHARLIE HEBDO
ტრაგედიის პოლიტიკური კონტექსტი

44 მსოფლიოს ქართული ბესტსელერი
პაპაშვილის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“

52 გოგლა ლეონიძის
ცხოვრების უცნობი დეტალები

56 ლაშა თაბუკაშვილი - 65
მამაკაცი მამაკაცების შესახებ

60 ლევან ბერძენიშვილის
ბუტოვი

მე დავბრუნდი!

შეამჩნევდით, ჩემი ახალი ნომერი კარგა ხანია აღარ გამოსულა. სასტამბო ხარჯების გაზრდამ და რეკლამის მსურველთა გაქრობამ თავისი ჰქნა... ინერციით გაქრობისაკენ მივექანებოდი.

ხოდა, მოისაკლისეს უჩემობა და ერთ დღესაც სატელეფონო ზარი გაისმა.

ეურმილის მიღმიდან მტუქსავდნენ: ამის უფლება არ გაქვსო – ერთადერთი ქართული ჟურნალი, ერთადერთი დამაკავშირებელი ძაფი მოუსპოთ ქართულ ემიგრაციას სამშობლოსთანო.

შემრცხვა და დასჯილი ბავშვივით თავი დავხარე.

განა მე მინდოდა საჰნის ბუშტივით გავმქრალიყავი – მეთორმეტე წელია თქვენთან ერთად რომ მოვდივარ, გავუძელი ემიგრაციის დეპრესიულ ქარტეხილებს, ჩემი მესვეურის „ხელმომჭირნეობას“, მაშინაც კი, როცა „ზემოთ“ არასასურველ სტუმრად მიმიჩნევდნენ, ხელისშემშლელად „ძამიკოებს“ გამომიჩენდნენ, უდღეურობისათვის განწირულებს.

მე მაინც საგაზეთო დახლზე გელოდებოდი... გამოსასვლელ დღეს რომ ჩემითაც გაგეხარა – წაგეტაცე დახლიდან საჩუქრად, უსასყიდლოდ.

მე ის მიხაროდა, სული რომ მიგდიოდა, სანამ ჩემთვის მოიცლიდი, მე წამიკითხავდი. თვეების შემდეგ ისევ რომ ჩამომიღებდი თაროდან და ახალივით მკითხულობდი, განა ვერ ვგრძნობდი?!

ახლაც გაგრძელდება ჩვენი შეხვედრები! ამერიკაშიც გამოჩნდნენ ამ საუკუნის ქველმოქმედები (ისეთები, წინა საუკუნეებში სარაჯიშვილი, ზუბალაშვილები და სხვანი რომ იყვნენ), ქართულად რომ უხარიათ, ქართულად რომ სტკივათ...

ბატონი **რამაზ გოცირიძე** და ქალბატონი **მარინა სანაძე** წლევანდელი წლის ყველა გამოცემას აფინანსებენ და თქვენ გჩუქნიან.

მე უკვე ჰერიოდულად გამოვალ და წელს მაინც, აღარ დაგეკარგები და არც თავს მოგანატრებ.

ოო, გაგიხარდება, უნდა გითხრა – ისევ მათი დახმარებით, სრულიად ახლად კეთდება ჩემი თანამედროვე ინტერნეტ-საიტი, რომლის გახსნა მსოფლიოს ყველა წერტილიდან უკვე ტელეფონებითაც შეგეძლება.

სათხოვარი შენთან ერთი მაქვს – როცა კი ჟურნალის ფურცლებზე მოსაწონს და სასიხარულოს წაიკითხავ, მადლობა მე კი არა, ამ მვირფასს ადამიანებს შეუთვალეთ – ბატონ რამაზ გოცირიძესა და მის მშვენიერ მეუღლეს, ქალბატონ მარინა სანაძეს, რადგან თქვენთან შეხვედრა სულ მათი დამსახურებაა მთელს 2015-ში.

და ვინ იცის, იქნებ არც არასოდეს მოგვაკლდეს მათი მშობლიური მზრუნველობა?!

❖ **მანუჩარ კაჭახიძე,**
ჟურნალ „მამულის“ რედაქტორი

გაგო ძველის, ეროვნ!

ჩვენ, ადამიანებმა, ბევრი რამ არ ვიცით - არც ის, რაც ყოფილა, არც ის, რაც არის და ბუნებრივია არავინ მოგვთხოვს იმის ცოდნას, თუ რა მოხდება მომავალში. ამიტომ, „არ ვიცი“-ს გამო ფაქიზად უნდა მოვეპყრათ იმას, რაც არ ვიცით. ფანტაზიამ არ უნდა დაჩრდილოს არცოდნა და „არ ვიცი“ უნდა დარჩეს ვაკუუმად, რათა მის გარშემო შეივსოს ცოდნა, რათა „არ ვიციმ“ გააწვალოს გონების აზროვნება, უცინარი რომაა, არცოდვასავით არცოდნა. ეს პოეტური რითმაა, თორემ ძნელია შეეგუო „არ ვიცის“, - როდესაც აზროვნების ამბიცია გაგაჩნია, ყველაფერს უნდა ჩასწვდე.

არ იცი?

მოიფიქრე და მოიგონე, ოღონდ არ თქვა „არ ვიცი“ ყველაფრის ფასად, რადაც არ უნდა დაგიჯდეს.

სასწავლებლებშიც ხომ მასწავლებელს ის მოწაფეები უყვართ, ვინც არასდროს ამბობს „არ ვიცის“. მაგათგან ცხოვრებაში უმეტესწილად არაფერი რჩება. მსოფლიო მოძრაობა იმათ გონებაზე ტრიალებს, ვინც ყოველთვის ამბობს „არ ვიცის“, მასწავლებელსაც რომ თავი მოაბეზრა „არ ვიცით“.

რადგან არ იცოდა, უფრო მეტ „არ ვიცის“ სამყაროში გადაინაცვლა და კაცობრიობაში სახელი დატოვა, რადგან „არ ვიციმ“ წარმოშვა აზროვნება და მის მერე აზროვნებს სამყარო, ყოველი ერი და მოდგმა.

ქართველი ერი თავის თვითმყოფადობას სრულად დაკარგავდა, ან ვერ გამოავლენდა თავის პოტენციალს, საკუთარი ინდივიდუალური აზროვნება რომ არ ჰქონოდა. ეს კი, როგორც ასეთი, ცოცხალი ორგანიზმივითაა -

იბადება,
იზრდება,
იხვეწება,
მრავლდება,
მაგრამ არ კვდება.

მას მხოლოდ შეუძლია რაღაც დროით დაძინება, დაძინება და არა სიკვდილი, რადგან არ შეიძლება აზრი მოკვდეს, იგი აუცილებლად ფენიქსივით აღდგება რაღაც დროის შემდეგ ახალი ძალით შევსებული, ახალი ენერგიით დამუხტული. გამოღვიძებული კი ახალი შემართებით შთაგონებაში გადავარდება და ახლებურად გამოავლენს თავის იმპულსს.

ამ დროს ჩვენში იბადებიან ეპოქალური მნიშვნელობის მოაზროვნენი. ეს ბუნების კანონია. აი, მაგალითად, რუსთველის შემდეგ ქართულმა ორიგინალურმა პოეტურმა აზროვნებამ დაიძინა საუკუნეების განმავლობაში და მან მეფე-პოეტთა ეპოქაში გაიღვიძა. მე-18 საუკუნეში კი, როცა ქვეყანას არნახულად უჭირდა როგორც საგარეო, ასევე საშინაო საქმეებში, ქართულმა პოეზიამ ერის გაღვიძების ზარი დაარისხა. მთელი ეპოქა მხრებით ზიდეს სულხან-საბა ორბელიანმა, ვახტანგ VI-მ, დავით გურამიშვილმა და ბესიკმა. აღარაფერს ვამბობ სხვა წვრილმან პოეტურ ნაღვაწებზე, რაც ვახტანგისეულმა საგანმანათლებლო რეფორმებმა მოიტანა. პოეზიამ ჩვენში რუსთველის შემდეგ დაიძინა და არ მომკვდარა. გალაკტიონის შემდეგაც ქართულ პოეზიას, ასე ვთქვათ ძილისპირული დაუდგა და ლებანიძე-მაჭავარიან-კალანდაძის დრო ქართული პოეზიის ისტორიაში შეიძლება ჩავთვალოთ ერთ დიდ დამთქნარებად ძილის წინ. მიუხედავად ამისა, გონი ძილის დროსაც არ წყვეტს აზროვნებას და თავისას მაინც ავითარებს - გონების ხვეულ-ხლართებში იძირება. ამ ძილით გამოწვეული მდგომარეობიდან ქართველი ერი ყოველთვის ცდილობდა და ახლაც ცდილობს

მალე გამოღვიძებას.

არადა, თუ გარდასულ ეპოქათა ქართული წყობილსიტყვაობა სიღრმისეულ მარგალიტებს ეძებდა, თანამედროვე პოეზია აზროვნებს უპირველესად კოსმიური კანონზომიერებების შესაბამისად. ისევ და ისევ გალაკტიონმა დაუდო სათავე ქართული ლექსის მოდერნიზების იმ სახეს, რაც ხალხურ სიტყვიერებაში ასე-რიგად გაბნეული იყო სხარტულა გამონათქვამებში. გალაკტიონთან სიტყვათშეთანხმება

იმ ფორმას იღებს,
იმ ჟღერადობას იღებს,
იმ ტემპს იღებს,
იმ ხმას გამოსცემს,

რის შესახებაც წერს, ანუ სათაურის გარეშეც მიხვდები ყველაფრით, რასაც ეძღვნება მისი შედევრები. შორს რომ არ წავიდეთ, დავასახელებ:

„ქებათა ქება ნიკორწმინდას“, - მასში თვით სიტყვაა გადაქცეული ჩუქურთმად, საბოლოო ერთიანობა რომ პოეტურ ტაძრად ჰკრავს ნაქმნს, თუ შეიძლება ასე ითქვას;

ასევეა „დროშები ჩქარა“ - ამ ლექსში დროშების ფრიალის ხმა გესმის ქართან ურთიერთშებმაში;

„ქარი ჰქრის“ - აქ ნებისმიერი მკითხველი ქარში დგას და სხვა საფიქრალი არ დარჩენია, თუ არა ის, რაზეც თვით გალაკტიონი ფიქრობს.

ასეთები ბევრია გალაკტიონთან. მისი გარდაცვალების შემდეგ ქართულმა პოეზიამ სიტყვიერების ეს ურთულესი ტექნიკა აქა-იქ მაინც გამოიყენა სხვადასხვა ასპექტით, აი, მაგალითად:

„ენკი, ბენკი, სიკლისა,
ენკი, ბენკი-სა,
წლები სიჭაბუკისა
გა-ვი-და...“

ამ ლექსში მთელი ბავშვობაა ჩატეული თავისი სიცელქით, თავისი ლამაზი ოცნებებით და თვალნათლივ შეიგრძნობ, როგორ იმსხვრევა დროსთან მიმართებაში ყველა ყოფილი ბავშვის დროების ცვალებადობით გამოწვეული სინანულში გადავარდნილი, ერთმანეთთან სიახლოვის მშვენიერება. თავად ლექსია გადაქცეული განივთებულ სახისმეტყველებად, აბსტრაქტული სახეა ხილვადი, და მიტომ;

ან კიდევ:

„მზე ამოდიოდა, მთვარე ჩადიოდა,
მამალი ყიოდა, კვამლი ადიოდა,
ვიღაცა ტიროდა, ვიღაცა ჩიოდა,
ვიღაცას შიოდა, ვიღაცას სციოდა,
და დრო გადიოდა.
ვითარცა ღვინო - ქვევრიდან ხაპში,
ხაპიდან დოქში, დოქიდან ჯამში,
ქართული სისხლი, ქართული სული,
ქართული სიტყვა, ქართული გული -
გადადიოდა კაციდან კაცში“.

ამ ლექსში თვალნათლივ ვხედავთ არათუ მხოლოდ სიტყვიერი მასალით, არამედ რიტმითაც ერთ დიდ გაბმულ მოიორების ბედისწერის ძაფად დაწნილ სხარტულა გამონათქვამებს, რომლებიც ქმნიან მთელ სურათს. ასევე გესმის, როგორ შიშხინებს ღვინო ქვევრში და როგორ გადადის

ქვევრიდან ხაპში,
ხაპიდან დოქში,
დოქიდან ჯამში,

ხმა გესმის უპირველესად ამ ჩხრიალის და გონის ასოციაციით გემოს უსინჯავ ამ ღვინოს და პათეტიკურად განგაწყობს სამშობლოს მიმართ, თუ როგორ აზროვნებს მთლიანი ერი ბედისწერის ნებისმიერ ტაროსში.

ქართველ ერს ოდითგანვე მასზე რიცხობრივად და ძლიერებით აღმატებულ მტრებთან უწევდა ურთიერთობა, ზოგჯერ ერთთან კი არა, რამდენიმესთან ერთად, მაგრამ ყოველი მტერი წარხოცილა ჩვენს ფერხთით. ამ ურთიერთობებისას ძალა კი არ თამაშობდა გადამწყვეტ როლს, არამედ აზრი, გონი თვითგადარჩენისა, არათუ ინსტინქტი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გონივრული სტრატეგია. სტრატეგიას კი ყოველთვის მოაზროვნე ქმნის.

ჩვენი ეროვნული სამოსიც ამის დამადასტურებელია - თუ ევროპა კოსტიუმებსა და ფრაკებს, ცილინდრებსა და ბერეტებს იგონებდა მთელი თავისი თვალისმომჭრელი მომხიბლაობებით, ქართულმა აზროვნებამ შექმნა კოსტიუმის ალტერნატივა - ჩოხა-ახალუხი და იგი ეროვნულ სამოსად იქცა არათუ მხოლოდ ქართველთათვის, არამედ ყველა კავკასიელისთვის. სწორედ ჩოხა-ახალუხში და მის ნაირსახეობებშია ჩადებული ქართული მებრძოლი სული. როგორც კოსტიუმსა აქვს მკერდზე ჯიბეები და ეს ამ სამოსის მარადიული კლიშეა, ჩოხას ქილები აქვს დაკერებული გილზებისათვის, ყოველთვის რომ ყოფილიყო ქართველი მზადყოფნაში მომხვდურის მოსაგერიებლად. თავზე მოსახერხებლად ფაფანაკი ეხურათ, ზამთარში კი ფაფახს ამჯობინებდნენ ნაბდიანი ძია-კაცები. რუსებმა პირველად ეს სამოსი ჩერქეზებს დაუნახეს და „ჩერკესკა“ უწოდეს, არადა ამ სამოსის განფენილობის ეპიცენტრი საქართველოა და მასში, არათუ სხვისი, სწორედ რომ ქართული ხასიათი და აზროვნებაა ჩადებული. ჩრდილო კავკასიელებმა და ნაწილობრივ სომხებმა ამ სამოსს თავ-თავიანთი სპეციფიკური ნიუანსები შემატეს, სხვა არაფერი. როგორც კოსტიუმის ძირითადი კლიშეს შეცვლა შეუძლებელია, ასევე შეუძლებელია ჩოხის უმთავრესი საფუძვლის შეცვლა. კოსტიუმიცა და ჩოხაც შეიძლება გადააკეთო, შეცვალო, ფორმისდამიხედვით, მოდისდა მიხედვით, მთავარი საწყისი ფორმულა კი არ იცვლება. ამათი შეცვლა იმას ნიშნავს, რომ ერთი კოსტიუმი აღარ იქნება, მეორე კი ჩოხა.

ესაა სწორედ აზროვნება, რომელიც არასოდეს კვდება, როგორადაც არ უნდა შეიცვალოს დრო და ეპოქა.

ჩოხა-ახალუხის გარდა, ვერც ერთმა სხვა ეროვნულმა სამოსმა ვერ შეცვალა კოსტიუმის დანიშნულება... და კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დეტალი - ჩოხა სხვა სამოსს არ იხდენს, თავისი სპეციფიკური შარვლისმაგვარი სამოსისა და აზიური ჩექმების გარდა. წარმოუდგენელია ჩაიცვა ჩოხა და თუნდაც მასთან ერთად კლასიკური შარვალი, ან ჩოხის შიგნით პერანგი (რუსები რომ „სარორჩკას“ ეძახიან). კოსტიუმი კი ნებისმიერ მოდერნიზებას ითმენს მასთან ერთად თავისებური აუცილებელი ნორმების გათვალისწინებით. ქართული ჩოხა კი თავისი ბუნებით კონსერვატიული სამოსია და მას უნდა ახლდეს მისთვის შეხამებული ატრიბუტები. ქილებში შეიძლება გილზები აღარ ჩავაწყოთ, მაგრამ ის სიცარიელე შევსებული აუცილებლად უნდა იყოს, ბუტაფორიით მაინც, ან რაა ის ჩოხა-ახალუხი, რომელსაც ვერცხლის ქამარ-ხანჯალი არ არტყამს. სწორედ ესაა ქართული აზროვნების თავისებურება, დღემდე რომ უცვლელია - ანუ თუ გაქვს ჩოხა, უნდა გქონდეს ქამარ-ხანჯალიც, თორემ სხვაფრივ გინდ გქონია ჩოხა და გინდ არა.

ღმერთმა ჩვენ მოგვმადლა არათუ მხოლოდ აზროვნება, არამედ აზროვნების სილამაზე, თავისთავად აზროვნება სიბრძნეს შეიცავს. ამ თავისებურებების გარეშე არ არსებობს ქართული გენი. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ქართულ სიტყვიერებაშია გაბნეული.

ჩვენ ვლოცულობთ ქართულად და ჩვენი ლოცვა უძველეს დროს სხვა არაფერი იყო, თუ არა ლექსი, ლექსებით მივმართავდით დამბადებელს. თუ ლხინს ვეძლეოდით, ბახუსის ჟინში აღტკინებულნი შაირად ვაქცევდით ჩვენგან წამოსულ გრძნობებს. მიცვალებულებსაც კაზმულსიტყვაობით ვაცილებდით იმიერში, ახალშობილსაც წყობილით ვეგებებოდით - ჩვილს მზეს შევავედრებდით, შინ შემოდიო, - ვაჟის სადღეგრძელებლად, რადგან ვაჟის მამა ქალაქს იყო აკვნისთვინა, ვაჟი რომ მზე-ვაჟად, მზე-ჭაბუკად გაზრდილიყო, ასულები კი მზეთუნახავებად დამშვენებულიყვნენ. ასე ქანდაკებასავით ჩამოიქნა სიტყვა-სიტყვა ქართული აზროვნება.

ჩვენ ზმნა გვაქვს მდიდარი, ანუ მოქმედების მრავალფეროვნება. ჩვენ ვიწვით ჩვენსავე სიცოცხლისუნარიანობაში. ცოტანი ვლაპარაკობთ ქართულად მთელს მსოფლიოში, სამაგიეროდ სხვა ენებზე თითქმის მთელი მსოფლიო საუბრობს. ესეც უფ-

ლის განგებაა. მადლმეტყველება ერთეულთა და მაინც რჩეულთა ხვედრია, ამიტომ არ უნდა იყოს ქართული მეტყველება მსოფლიო საკომუნიკაციო ენათა რიცხვში.

ვიღაც იტყვის, რომ ენა ხომ მხოლოდ ადამიანთა სწორედ რომ საკომუნიკაციო საშუალებაა. დიახ, ამისთვის არსებობს საერთაშორისო ენები - ინგლისური, ფრანგული, ესპანური, არაბული... რუსულიც. ღვთაებრივი მარცვალი ყველა მათგანშია გაბნეული, ხოლო აზროვნება და მოქმედება სიტყვიერი ფორმით, მთელი ერის თვითმყოფადობა, რაობა ქართულ ენაზე უკეთ არც ერთ სხვა ერის ლექსიკაში არ მოიპოვება. სწორედ იაფეტური რასის უნიკუმია გაბნეული ქართული მეტყველების აზროვნებაში და მითუმეტეს ამ აზროვნების სილამაზეში. როგორადაც არ უნდა უნდოდეს გინდ მტერს და გინდ მოყვარეს, თუ ოდნავ მაინც ჰქონიათ ჩვენს ერთან შეხების წერტილები, მარადი დასამახსოვრებელ სიტყვებად შემოინახავდა „გენაცვალესა“ და „გამარჯობას“, სხვა ენებში რომ ვერ იპოვი ვერც მისალმების ამგვარ რაინდულ კულტურას და ვერც თაყვანისცემისა და პატივისცემის სიტყვას, რომელიც ძირით ძირამდე წინარე-ქრისტიანულია და ქართულ ტოლერანტულ ბუნებაზე მეტყველებს. „გამარჯობას“ და „გენაცვალეს“ ფაშისტური ბუნების ერი ვერ შექმნიდა.

შეიძლება ამ სიტყვებს სხვა ენებში მსგავსი ასოციაციის აღმქმელი შესატყვისები მოეპოვებოდეს წინადადებების მეშვეობით, ხოლო გადათარგმნით, ვერც ერთ ენაზე ვერ თარგმნი. არავინ არ უსურვებს, გარდა ქართველისა, ყოველ დღე მოყვასს

გამარჯვებას,
მარჯის სიმხნევეს,
მარჯვედ სიარულს,
მარჯვენის ძალას,
(ქრისტეს მართლებიც ხომ მარჯვნივ არიან განლაგებულნი მაცხოვართან).
სანაცვლოც შეხიდებაა ყველაფერში ისევე, როგორც სიმარჯვე.

სხვები კი:

ზოგნი ჯანმრთელობას უსურვებენ ერთმანეთს;
ზოგნი კარგი დღის დადგომას;
ზოგნი ალაჰის წყალობას...

და კიდევ სხვა ასეთი მრავალი. მხოლოდ ქართულ სიტყვაშია ჩატეული

ჯანმრთელობაც,
კარგი დღის დადგომაც
და უფლის წყალობაც.

ამასთანავე პიროვნულ სიმხნეს უსურვებენ ქართველები ერთმანეთს.

ერთსაც დავსძენ, - ამ სიტყვებშია და მისთანებში ქართული გული, გენეტიკურ კოდად რომ გვაქვს ჩაბეჭდილი. თუ რომელიმე უცხოელს უნდა მინიშნება გააკეთოს ჩვენზე, ამ სიტყვებს ხმარობს - საქილიკოდაც და საპატივცემულოდაც, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რაოდენ მართლები არიან ამ სიტყვების შერჩევაში - ქართველი ერის იდენტიფიკაციისთვის და ეს მთელი სიგრძე-სიგანით არ ექნებათ გათვალისწინებული. რა თქმა უნდა, ქართველის გარდა სრულფასოვნად არავის ეცოდინება ამ სიტყვების მნიშვნელობა.

და კიდევ - თუ რომელიმე უცხოელს სურს ჩვენდამი პატივისცემის გამოხატვა, თუ ოდესმე მოუსმენია, იქვე „სულიკოს“ იმღერებს, რადგან ჩვენი აზროვნება მარტო სიტყვიერი მარაგით არ შემოიფარგლება, იგი მუსიკითაც გადმოიცემა საუკეთესოდ. მრავალხმიანი პოლიფონია თვით საეკლესიო საგალობლების სახით დაიხვეწა, ყველაფრით ღმერთს ვადიდებთ, და მიტომ. ქართველები ვმღერით, ვაღიღინებთ მელოდიას, გვერდით მდგომი შემომღერებას აკეთებს სრულიად განსხვავებული ჰანგით, მაგრამ ამით არ იქმნება დისჰარმონია. პირიქით, ერთმანეთს ავსებენ, იქ კიდევ ვიღაც ბანს აძლევს - ეს კი მთელი ორკესტრის ტოლ-ფასი ჟღერადობაა. ზეცამდის ადის ეს სიმღერა ისე, რომ მომღერალი ექსტაზში შესული ვერ გრძნობს კოსმიურ უსასრულობას თავის ხმაში, თვით ექსტაზია უსაზღვრო, და მიტომ. საზღვარი არ განისაზღვრება ქართულ ჰანგებში, იმდენად მწყობრი და ტევადია მელოდიისა და თანამღერადობის თან-ხმობილი ხმოვანება,

ამას სხვა გრძნობს,
ამას სხვა განიცდის,
ამას სხვა აღიქვამს,
ამას სხვა ისიგრძეგანებს,
ამას სხვა აფასებს,

დაფასებაც იმ სხვაზეა, რადგან იგი სხვაა ამ სიმღერისთვის - უცხო და განსხვავებული.

ჩვენში არც ბახი დაბადებულა, არც მოცარტი, არც ბეთჰოვენი. ვითომ ქართული გენი ვერ წარმოშობდა მსგავს გენიოსებს? ეს ჩვენ არ გვჭირდებოდა, თორემ ვენა კლასიკოსებმა დაამშვენეს.

ჩვენში ყოველი მოკრიმანჭულე ბახია,
ჩვენში ყოველი დვრინები მოცარტია,
ჩვენში ყოველი ბანის მიმცემი ბეთჰოვენია, თვითონვე რომ ჰქმნიან მსოფლიო შედევრებს ყოველი გაშლილი სუფრისას ბახუსის ტონუსით აღელვებულნი. ქართულ აზროვნებას ინდივიდები არ სჭირდებოდა მუსიკაში, რადგან მთელი ერი ქმნიდა ეროვნულ მუსიკალურ მრავალფეროვნებას თავ-თავიანთი კუთხური ესთეტიკის, მსოფმხედველობის თუ გარემოებიდან გამომდინარე კაცობრიობის აზროვნების დონემდე აყვანილ შედევრებს. საქართველოში არავისზე ნაკლები კორიფეები იყვნენ, ისინი მთლიანად ეროვნული წიაღიდან მოდიოდნენ და არანაირი ეპოქალური ზემოქმედება ამ აზროვნებას არ ზღუდავდა. ამიტომ არ კნინდებოდა კასტების ესთეტიკური მოთხოვნილებების კლიშეებით ქართული ფიქრი.

ჩვენი მხატვრობაც რელიგიური ნიშნით წარიმართა. ქართული ფერწერული აზროვნება სხვა არაფერია, თუ არა ხატწერა. არის კიდევ სპეციფიკური დარგი ფერწერისა, რომლითაც გატაცებულია დღესამომდის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი - ესაა გობელენი. უძველესი დროიდან იქმნებოდა ქართულ აზროვნებაში ფერთა სიმფონიის მშვენიერი შეხამება, ეროვნულ სამოსზეც რომაა დატანებული, ფარდაგები და ხალიჩები ორნამენტული მეტყველების პარალელურად ფერწერითაც მეტყველებს.

ეროვნული გონის საგანძურში რელიეფური ჭედურობანიცაა, მიმსგავსებული ქანდაკებას, რადგან მართლმადიდებლური მრწამსი კრძალავს ქანდაკებას, როგორც აღმართულ კერპს, მაგრამ მრავალფეროვანმა და მრავალწახნაგოვანმა ქართულმა აზრმა ქვაში გამოჭედა ორნამენტი, დახვეული გზა-ხვეულებივით მომხიბლავი და მიმზიდველი სიმბოლიკა ერის ყოფა-ცხოვრების. არც აქ მოიპოვება კონკრეტული ავტორების სახელები, რადგან აქაც გამოკვეთილია მთლიანი ერის მისწრაფება. იყვნენ ბექა და ბეშქენ ოპიზრები, არსუკიძე, მაგრამ შემოქმედებითი აზროვნების ინდივიდუალური გამოვლინება მხოლოდ ერთეული შემთხვევები იყო. ესეც არ აკნინებდა ჩვენს რაობას, რადგან თითოეული ხელოვნების ნიმუში, არათუ ერთეულების გემოვნებას ემსახურებოდა და აკმაყოფილებდა, არამედ მთლიანად ერის ნებას, მისწრაფებას და აზროვნებას გამოხატავდა. მუსიკასა და მხატვრობაში ფაქტიურად ინდივიდუალური ხაზის დამკვიდრება ფიროსმანისა და

ფალიაშვილის შემდეგ დაიწყო. ამიტომ არ სჭირდებოდა საქართველოს და-ვინჩები, მიქელანჯელოები და ბახ-მოცარტ-ბეთჰოვენები. მე-20 საუკუნეში კი საქართველოსთვის ეროვნული აზროვნება ინდივიდუალური განხრით წარიმართა.

ქართულად მეტყველებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა გადამწყვეტი. მთავარია აზროვნების მადლი იყოს ჩვენეული - მოქნილი, ორიგინალური, სიტყვიერი და რაც მთავარია, უფლისმიერი, თორემ აზრის გამოთქმა და გამოხატვა უცხო ენაზეც არის შესაძლებელი. ამის დასადასტურებლად შორს არ წავალ, მაგალითად გრიგოლ რობაქიძეს მოვიხსენიებ. უცხოელებიც ეტანებიან ქართული გონის გამოშუქებას, რამეთუ გრ. რობაქიძის შემოქმედების დიდი ნაწილი გერმანულ ენაზეა შესრულებული, მაგრამ ყველა მათგანში ჩაბეჭდილია ძარღვი ქართულობისა, ერთი სიტყვაც არ შემოხაზულა მის მიერ (გნებავთ ქართულად და გნებავთ გერმანულად), ფიქრისა და აზროვნების ქართული ხასიათი რომ არ იყოს განივთებული მათში. ფიურერზეც და დუჩეზეც მხოლოდ კარდუს ამოსავალიდან საუბრობს, - კარდუა მისთვის ყველაფერი. ყოველთვის განსაკუთრებულად წარმოჩინდება ასეთი ნააზრევი. ამიტომ ჩვენში ნებისმიერ შემოქმედებით ნაღვაწს ავტორი ეყოლება თუ არა, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია იყოს ქართული.

გალაკტიონი ამიტომ ამბობს:

„წვეთი სისხლი არ არის ჩემში
არაქართული,
ძაფი ნერვის არ არის ჩემში
არაპოეტის...“

რაკურსია ხედვის გასაოცრად თავისებური, იქნებ არა-ორიგინალური, მაგრამ სწორედ რომ თავისებური. ჩვენი სიტყვა მყარია და ყოვლისმომცველი, მრავალგან-

ზომილებიანი. ეს სიტყვა აყალიბებს აზრებს და ისეთ აზრებს, აქამომდე არც ერთ მსოფლიო ფილოსოფოსს რომ არ უფიქრია და უაზროვნია ასე. მერე კიდევ ქმედებასაც თუ დავურთავთ შესაბამისს, ამას უკვე გასაოცარი ზემოქმედების ძალა ექნება.

სხვა არის პოეზია - სიტყვასთან ჭიდილი. მას ყველა დამოუკიდებლად ეჭიდება. როგორც სხვაგან, ისე ჩვენთანაც გასაოცარი ფოლკლორული ნიმუშები მოიპოვება. მათდა მიუხედავად, ჩვენში განვითარებულია ორიგინალური მწერლობა, განსაკუთრებით კი პოეზიაზე შეიძლება ითქვას, რომ ისაა გულისძგერა მთელი ქართველი ერის, -

- საზოგადოებრივი მდგომარეობა;
- პოლიტიკური ვითარება;
- სახელმწიფოს პოზიცია;

ქართული ლექსით აზროვნებს ქართველი. ისაა სწორედ სულიერი პური - საზრდო და საკვები მამულის. წყობილსიტყვაობით იგრძნობა სიტყვის ფლობა, იმ სიტყვისა, ასე-რიგად რომ გამოუყვანია მოდგმისა და ჯიშის სათუთად ნაზრევი. ფლობს სხარტი და მოკლე სტრიქონებით ყოვლისმომცველობას, ან გრძელი ღამესავით ელეგიად მოფენილ სულს სძლისპირებად ლექსის გამონაშუქი. ყოველივეს აღწევ რისი თქმაც გინდა, სიტყვათშეთანხმების მუსიკალური ჟღერადობითაც კი. ყველაზე უხეირო ლექსშიც კი იგრძნობა სიტყვის გაცოცხლების სურვილი, ეს მხოლოდ მაშინ, თუ ლექსი ქართული აზროვნებითაა დაწერილი. მათში ჩადებულია სურათის აღქმის რელიეფური ასოციაცია, თვალნათლივ დანახვისკენ რომ მიისწრაფის ფიქრის გადმოცემა სიტყვით, რათა თვით სიტყვამ, რიტმმა და რითმამ ყველაფერი ეს შეაგრძნობინოს მკითხველს და მსმენელს... და ისიც, რისი დანახვაც ერთ სტრიქონში შეუძლებელია ტევადობის შეზღუდულობის გამო. პოეტები მიისწრაფიან ყველაფერი ამოთქვან ისე, რომ სათქმელი აღარ დარჩეს ტაეპის ბოლოს, თანაც მელოდია იოლად აღსაქმელი იქნეს ყველასათვის, იმისთვისაც, ვინც ქართული ენა არ იცის და ბრმად უსმენს ქართულ ლექსს შინაარსის გარკვევის გარეშე.

ქართულმა ფენომენმა „ვეფხისტყაოსანი“ შექმნა. ჩვენდა სავალალოდ ვერ ვისწავლეთ მისი სათანადოდ წაკითხვა და ამოკითხვა იმ სიბრძნის, რაც დღემდე ამხეცებს ჩვენს მტრებს და დღემდე ებრძვიან რუსთველს - ძეგლებსაც ბილწავენ და ფრესკასაც, თუ სადმე სახსენებელია ამ დიდი ქართველი მოაზროვნის, სურთ ლაფში ამოსვარონ მისი წმიდა სახელი - ბერძენი იქნება ეს, თუ რუსი, იქამდე გარუსეთუნებული ან გაევროპელებული ვაიქართველი დიდი რეჟისორი იქნება ის, წითელი პროფესორი თუ ამათგან გადარეული მჯღაბნელი მწერლუკა - გიჟ-პოეტა.

ვითომ შემთხვევითია ყველაფერი ეს? ჩემი აზრით, არა!

რუსთველის წინააღმდეგ ბრძოლა - ეს ნიშნავს ბრძოლას ქართულ, ქართველურ აზროვნებასთან, მთლიანად ქართველობასთან. ვერ ვისწავლეთ-მეთქი რუსთაველის სათანადოდ წაკითხვა. აი, ჩვენმა მტერმა კი იგი კარგად წაიკითხა და ის გაიგო, რაც ჩვენ კარგა ხნის წინ უნდა გვცოდნოდა, ქართველებმა კი ერთმანეთში უაზრო პოლემიკა გავმართეთ - რატომ ტირის ტარიელი და არის თუ არა ასმათი მსუბუქი ყოფაქცევის. ამ დონემდე რომ დასულიყო რუსთველი, მტერი მის ფრესკას კი არ ამოჩხაპნიდა ჯვრის მონასტრიდან, არამედ ყველა ფეხის ნაბიჯზე წამოგვკრავდა ყისტს - აი, ესა და ესენი ხართო.

დღემდე ებრძვიან დიდ პოეტს, თორემ რა დაუშავდებოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დღევანდელ პატრონს მეჭურჭლეთუხუცესი შოთას ფრესკაც რომ ყოფილიყო ტაძარში, ან კიდევ უკეთესი, დაერთოთ ნება ქართული არქეოლოგიური ექსპედიციებისთვის, ეწარმოებინათ გათხრები და შეესწავლათ ტაძრის მიწის ქვედა ფენის საიდუმლოებანი. ძაღლის თავიც აქ არის დამარხული... ჩვენ კი ვერაფრის დიდებით ვერ ვისწავლეთ რუსთველი. იმ ჩვენმა დაუძინებელმა მარადი მტერმა იცის რუსთველი, ისწავლა და ეშინია, ჩვენც არ ვისწავლოთ ჩვენი დიდი თანამემამულე. ერთხელ კიდევ გავიაზროთ, არათუ მხოლოდ სიბრძნე და დიდაქტიკა „ვეფხისტყაოსნის“, არამედ ის, რაც ისწავლა ჩვენმა მტერმა და არ ვიცით ჩვენ. „არ ვიცის“ გამო კიდევ ერთხელ სხვანაირად ვისწავლოთ რუსთველი და, ვინძლო, ისეთი რამ აღმოვაჩინოთ „ვეფხისტყაოსანში“, ძირფესვიანად რომ შეცვლის ჩვენს ყოფას. ამიტომ ებრძოდნენ რუსთველს, ჯერ სიცოცხლეში, მერე სიცოცხლის შემდეგ, და დღემდე მოაღწია ამ ბრძოლამ და დასასრული არ უჩანს მას. ასეთი პატივი დედამიწის ზურგზე არცერთ მწერალს არ ღირსებია. მათ ივიწყებენ, ყოველ შემთხვევაში უახლოეს საუკუნეების მიწურულს მაინც. რუსთველი კი ვერ დაივიწყა მტერმა, ჩვენ რატომ უნდა დავიწყოთ?

მემკვიდრეობად დაგვრჩა „ვეფხისტყაოსანი“ პირველი სიტყვიდან ბოლო სიტყვამდე, არც ერთი გამოტოვებული სტროფი, სტრიქონი, სიტყვა. მეცნიერული გამოკვლევებით მაქსიმალურად მიუახლოვდა სხვადასხვა ნუსხებში დაცული ვარიანტების მეშვეობით ტექსტი ავტორისეულ პირველწყაროს. ყველაფერზე შეიძლება მსჯელობა პოეზიის მიხედვით. არანაირი შეზღუდვები არ არსებობს ფანტაზიისა, შეგიძლია ამტკიცო უკუვერსიებიც კი, მაგრამ ვერავინ ვერაფერს ამბობს თვით ავტორის შესახებ. ერთი რამ ცხადია, რომ თამარის გამეფების წლებს არ სცილდება მისი შექმნის თარიღები. ყველაფერი ვიცით თამარის ეპოქაზე, თვით დედოფლის ცხოვრების შესახებაც შემოგვინახა ორმა მატიანემ ისტორიული ცნობები. არც ერთ მათგანში გაკვრითაც არ არის ნახსენები „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი. ამ დროს ბევრი რამ იციან ნიზამ განჯელზე, ფირდოუსზე, ავიცენაზე. ესენი ყველანი რუსთველის თანამედროვენი უნდა ყოფილიყვნენ. მოგვიანებით, არათუ ბიოგრაფია, პორტრეტიც კი შემოინახეს დანტესი.

ჩვენ?

ნუთუ ჩვენთვის არაფერს ნიშნავს რუსთველი, მხოლოდღა იერუსალიმში აღმოჩენილი ფრესკით რომ შემოიფარგლა ნივთიერი საბუთი დიდი პოეტის არსებობისა?

აი, აქ იმალება ქართული აზროვნება. ჩვენთვის პირველყოვლისა მთავარია „ვეფხისტყაოსანი“. მხოლოდ ამის შემდეგ გვაინტერესებს მისი ავტორის ვინაობა - უყვარდა თუ არა შოთას თამარი და სხვა ასეთი მრავალი მითქმა-მოთქმა - ლამაზიც და უხერხულიც. ქართველისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ დაწერს „ვეფხისტყაოსანს“, მთავარია ის დაიწეროს და დაიწეროს სწორედ ქართულად, მხოლოდ ქართულად.

ქართველმა იცის, რომ „ვეფხისტყაოსანს“ ქართველი დაწერს მხოლოდ, არც მის დამწერს გააჩნია დიდი ამბიციები, კმაყოფილდება საკუთარი ვინაობის ორგზის მოხსენიებით, არავის აწუხებს საკუთარი ბიოგრაფიით, საკუთარი ტვირთითა და ტკივილით.

იქნებ მტერმა გაანადგურა მისი ბიოგრაფია?

ასე რომ ყოფილიყო, მტრისთვის ხელმისაწვდომი თვით „ვეფხისტყაოსანიც“ იყო და პირველყოვლისა მას გაანადგურებდა და არა ავტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიას. ეს სწორედ ქართულმა აზროვნებამ არ შემოინახა, თორემ მტრისთვის უფრო საშიში „ვეფხისტყაოსანი“ იყო და არა რუსთველი. ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ მოაზროვნეებს, მთავარია ნაზრევი იყოს ისეთი, მზითევშიც რომ გაატანონ პატარძლებს მშობლებმა. ამაზე უკეთესი და პოეტური აღქმა შეუძლებელია.

სამაგიეროდ, რუსთველისეული სტრიქონები გურულ მელოდიაში ამღერდა, სწორედ ის სტრიქონები, სადაც მოხსენიებულია ამ დიდებული ნაწარმოების ავტორი. თითქოს ეს კომპენსაციაა იმისა, რომ პოეტს დაუკარგეს ბიოგრაფია, ან თვითონ გააბნია სალექსო ფორმაში ჰანგად და ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენოდა, თუ არა, გვემღერა მხოლოდ და მხოლოდ, -

„მე რუს-თვე-ლი ხე-ლო-ბი-თა

ვიქმ საქ-მე-სა ამა და-რი... დელა და...
ვის ჰმორ-ჩი-ლებს ჯა-რი სპა-თა,
მისთ-ვის ვხე-ლობ
მის-თვის მკვდა-რი... დელა და...“

თითქოსდა ყველაზე ნაკლებ სასიმღერო სტრიქონია ეს, მაგრამ ქართველმა მოკრიმანჭულეებმა ხაზი გაუსვეს რუსთველს და სრულად განავრცეს ჰარმონიული წყობა გურული კილო-კავის სპეციფიკით.

იქნებ, რაღაც კიდევ იყოს დამალული ამ სტრიქონის ამღერებაში?

ვინ იცის?!

ამ ორი სტრიქონით ამოიწურება ეს სიმღერა. ამის იქეთ შემომღერებათა მთელი კასკადია.

რაღა შორს წავიდეთ - აგერ XX საუკუნის დასაწყისში ფიროსმანის საფლავი დავკარგეთ და ხეირიანად არაფერი ვიცით მის შესახებ. ესეც ნიშანდობლივი ფაქტია ქართული აზროვნების თავისებურებაში.

ჩვენ რუსთველი იმიტომ გვაინტერესებს, და ისეც ახლა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შექმნა;

ჩვენ ფიროსმანი იმიტომ გვაინტერესებს, და ისიც ახლა, რომ „არსენალის მთა ღამით“ დახატა და სხვა კიდევ მრავალი. ჩვენთვის, ჩვენი ყოფისთვის განივთებული უკვდავებაა ამოსავალი წერტილი და მთავარი აზრი.

ამიტომ არ შეიძლებოდა დაბადებულიყო ჩვენში იოჰან-სებასტიან ბახი,

ამიტომ არ შეიძლებოდა დაბადებულიყო ჩვენში ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი,

ამიტომ არ შეიძლებოდა დაბადებულიყო ჩვენში ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი.

ეს ქართველი ავტორის ტრაგედიაა მხოლოდ, თორემ ქართულ აზროვნებას ამით არაფერი დაკლებია.

დავით გურამიშვილმა კი, იცოდა რა ბუნება ქართული გონისა, როგორც ავტორმა იზრუნა საკუთარი ცხოვრებისეული სიდუხჭირის სამზეოზე გამოტანისთვის და შექმნა მემუარული ხასიათის პოემა, სადაც თავმოყრილია ავტობიოგრაფიული შინაარსის, რელიგიური ჟანრის, დიდაქტიკური ხასიათისა და სხვადასხვა თემატიკის ლექსები. „დავითიანმა“ გარდა პოეტური მეტყველებისა და აზროვნებისა, გაამდიდრა თვით ქართული ისტორიოგრაფიაც.

გურამიშვილის შემოქმედება იმთავითვე არის ისტორიული წყარო მთელი ეპოქის, მასში დავითის თანამედროვენი არიან მოქმედ გმირებად გამოყვანილნი, დახასიათებული არის საზოგადოებრივი მდგომარეობა ქართული სახელმწიფოების, განხილულია დიადი აღრევის გარე და შიდა ფაქტორები. დავითის ყოველი რელიგიურ-ფილოსოფიური ფიქრი ეს არ იყო მხოლოდ პოეტის წუხილი, მასში მთელი ერის სატკივარი გადმოიცა.

უნდა ითქვას, რომ დავით გურამიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანია მსოფლიო ლიტერატურაში და პირველი - ქართულ რეალობაში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მემუარულ ჟანრს. მსოფლიო ლიტერატურის ორიგინალური დინებისგან დამოუკიდებლად მოხდა ეს!

ქართულ ისტორიაში სახელი „შოთა“ პირველად მოხსენიებულია კოხტასთავის შეთქმულებაში (ცოტნე დადიანის ერთ-ერთი თანამზრახველი იყო ვინმე შოთა კუპრი). ისტორიული წყაროებით ვერ დგინდება იდენტურობა შოთა რუსთველისა და შოთა კუპრის. თუ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ამავდროულად არის შოთა კუპრიც, გამოდის, რომ ოთხმოციოდე (არანაკლები) წლის მოხუცი საქართველოს სადარაჯოზე იდგა და შეთქმულებას აწყობდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად, -

იქნებ დიდი პოეტია იგი, ვინც საბედისწერო დღეს ცოტნე დადიანთან ერთად დატოვა შეთქმულების ადგილი, ან იქნებ არც...

იქნებ დიდი პოეტია იგი, ვინც შუა აზიის გადახრიოკებულ უდაბნოში თაფლწასმულს წვავდა მზის სიმხურვალე და აბეზარი ბუზები ეხვეოდნენ მანამ, სანამ ცოტნემ არ გადაარჩინა ისინი ტანჯვით სიკვდილისაგან, ვინძლო დიდმა მამულიშვილმა იცოდა მეგობრის ფასი, დიდი მეგობრის, რომელმაც ანდერძად დაუტოვა ყველა ქართველს მადლიანი სიტყვები, - „ხამს მოყვრე მოყვრისათვის თავი ჭირსა არდამრიდად, გული მისცეს გულისათვის სიყვარული გზად და ხიდად“...

იქნებ იერუსალიმში ტყუილად ვეძებთ რუსთველის საფლავს და იგი იქ განისვენებს, სადაც ყოველის მხრივ აფასებენ ღირსეულ მტერს, რომ იციან ვინ არის მტერი და ვინ - მოყვასი, იმ მტერსაც რომ უფასებენ რაინდულ საქციელს.

ჩვენს გარდა, ყველა ერი შემოინახავდა მეჭურჭლეთუხუცეს შოთას ბიოგრაფიას.

აი, ესეცაა ქართული აზროვნება!

და მაინც, ჩვენ საკუთარი ანბანის შემქმნელები ვართ, მწიგნობრობა ფარნავაზიდან მოგვდგამს, იქამდე ერში გაბნეულ სიბრძნეს თვით ფარნავაზი ეზიარა, რათა აზროვნება მაღალ ხარისხზე აეყვანა. ერთად მოუყარა თავი ეროვნულ საგანძურს - გონიერებას. გონიერებამ ღონიერება აპოვნინა ფარნავაზიანთა ჯიშს და დავით მეფე-მეფსალმუნესავით შევჭიდებივართ გოლიათებს და ვამარცხებთ, არც ერთხელ დამარცხებული არ გამოსულა ქართველი ერი ამ ბრძოლებიდან, მტრები კი წარიხოცენ უკლებლივ. ბოლო ჟამის მტერიც წარიხოცება ისევე, როგორც მისი წინამორბედნი.

ამიტომ სულით ხორცამდე ჩავჭიდებივარ ჩემს ფესვებს და ვიბრძვი საკუთარი თვითმყოფადობისთვის აქ, ამ უცხოეთში. მოხუცები კი მიდიან და მე მრჩება უსაზღვრო ტკივილი იმისა, რომ გადახვეწილობაში, გულის ფეთქვა მესმის ჩემი და ჩემში ჩაღვრილი სისხლი ანახლებს ფესვებს აზროვნებისას, იმ წარსული მოხუცების წინ საფიქრალშიც რომ ვაგრძელებ ცხოვრებას, ვპოულობ ძალას სიცოცხლისას ცხოვრებაში. მტერთა გულგასაგმირად მეც ვიმეორებ მათ გამოსაჯავრებლად —

„გული ძგერს, გული, გული ძგერს!
გული ძგერს გული, გული ძგერს!“

რადგან მოხუცები მიდიან და არ კვდებიან, ჩემს შეგნებაში მაინც!!! ■

მინდა ერთ ბიჭზე მოგიყვეთ.

ქუთაისელი იყო. თბილისი ბავშვობიდან არ უყვარდა. ცხენები უყვარდა. ოცნებებში ხედავდა, ცხენზე ამხედრებული თავის რაზმელებთან ერთად თბილისელებს მუსრს როგორ ავლებდა. ჯანიანი ბიჭი იყო, მოჩხუბარი, დიდი დანა ჰქონდა და კარგადაც ატრიალებდა. თუმცა, წესრიგი უყვარდა.

16 წლის იყო, როცა მამამ საგვარეულო ბიზნესი გადასცა სამართავად. მართვის ნიჭი აღმოჩნდა, საქმე კარგად გამოსდიოდა.

ბევრ რამეზე ფიქრობდა, ბევრი იდეა აწუხებდა.

მამამ უთხრა, ჩვენ ებრაული წარმოშობისანი ვართო, და სახელიც ებრაული დაარქვა, თუმცა მართლმადიდებლური სარწმუნოებით მონათლა. დიდი ბებია სომეხი, ბებია კი ოსი ჰყავდა. ცოლი ჯერ სომეხი ჰყავდა (მერე სახლიდან გააგდო და მონაზვნად აღაკვეცინა), და - მერე გადამთიელი (სადღაც დონსა და ვოლგას შორის დაბადებული). უნდოდა, საქართველოში თავისი ურჯულო ძმაკაცები ჩამოეყვანა - დარწმუნებული იყო, რომ ეგენი არ უღალატებდნენ - ქუთაისელების იმედი არ ჰქონდა, თბილისელების მით უფრო. თან ერთი-ორი კაცი კი არა, ბევრი უნდოდა ჩამოესახლებინა.

მორწმუნე კი იყო, მაგრამ ეკლესიასთან ვერ დაალაგა საქმეები. ეკლესია მის კონკურენტებს უჭერდა მხარს. მას კი არ მოსწონდა, ნებისმიერ ავაზაკს და ძველ ბიჭს რომ შეეძლო ჯერ ემამაძაღლა, ექურდა, მერე ფული ეკლესიისთვის შეეწირა და კარგი ტიპი გამხდარიყო,შეიძლება ეპისკოპოსიც კი. ქრთამები არ ევასებოდა ეკლესიაში, უცბად რომ სამღვდელო კარიერას აკეთებდნენ ბლატით და ა.შ. ამეებზე ძაან იბოღმებოდა. ნატრობდა - ეკლესიაში განხეთქილება მოხდეს, და ვინმე ჩემიანი დაწინაურდესო. თავის ბიზნესს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ეკლესიას.

გადასახადებზეც უცნაური მოსაზრებები ჰქონდა - ვითომ უნდა სდომებოდა ქართველებისთვის შეღავათები, ის კი პირიქით ფიქრობდა - ქართველები სად წავლენ, მაინც აქ იქნებიან, უცხოელებს კი ნაკლები უნდა ჰქონდეთ გადასახდელიო.

ბევრს არ მოსწონდა, ბევრი ებრძოდა, დაუნდობელი იყო, საქმეში ხელს თუ შეუშლიდი, გაგანადგურებდა.

რას იტყვით მასზე თქვენ?

რა უნდა თქვას თბილისელმა, ქართული ჯიშისა და ჯილაგის მაქებარმა კაცმა, შევარდნაძის დროს ხაზინიდან მოპარული ფულით კაცურად რომ ქეიფობს და საქართველოს სადღეგრძელოს განსხვავებული სასმისით სვამს, ახლა კი სოროსისტებმა სამშობლო გაუყიდეს, სამსახური დაუკარგეს და ქართველობას ართმევენ?

რას იტყვის ქართველი დედა, შვილს რომ ეუბნება - სომეხი, რუსი, მაჰმადიანი ცოლად არ მოიყვანოო?

რას იტყვიან მართმადიდებელმშობელთაკავშირელასახალხომართმადიდებლები?

რას იტყვის ზოგი ქართველი წარმოება რომ გადაარჩენს საქართველოს თორემ მთავრობა მას კი არ ეხმარება, უცხოელებს ეძებს?

• ბიჭი 1089 წელს გამეფდა.

• 1103 წელს მოიწვია რუის-ურბნისის კრება, გადააყენებინა უღირსი სამღვდელო პირები, მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობების გაერთიანებით დაუქვემდებარა ეკლესია სახელმწიფოს (რაც ოთხი საუკუნის მერე გააკეთა ჰენრი მერვემ ბრიტანეთში და ხუთი საუკუნის შემდეგ პეტრე პირველმა - რუსეთში).

• 1118 წელს საქართველოში ჩამოასახლა რამდენიმე ათეული ათასი ყივჩაღთა ოჯახი, რაც ქართული მოსახლეობის (სავარაუდოდ, 100 ათასი ოჯახი) მნიშვნელოვანი წილი იყო.

• 1122 წელს, დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, ალყა შემოარტყა და სისხლისმღვრელი ბრძოლით დაიპყრო თბილისი, სამი დღე ალაფი აკრეფინა თავის რაზმებს და შემდეგ, ქალაქში მოსახლეობის და გამოცდილების შესანარჩუნებლად, დაუწესა გადასახადი ასე: მუსლიმებს - სამი დინარი, ებრაელებს - ოთხი, და ქართველებს - ხუთი.

1125 წელს, მრავალი სხვა საქმის გაკეთების შემდეგ, 53 წლის ასაკში, აღსრულდა წმიდა კეთილმსახური დავით მეოთხე ბაგრატიონი, მეფე ყოვლისა საქართველოისა აღმაშენებელად წოდებული, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, ბიბლიური დავითის მოდგმა, ოსი ბორენას შვილიშვილი და სომეხ მარიამ არწრუნის შვილთაშვილი, რუსუდან სომეხთა მეფისასულის და გურანდუხტ ყივჩაღთმთავარ ათრაქას-ასულის მეუღლე.

მან დაწერა საკუთარ თავზე:

ხოლო მე ვნებათა ბილწთა მონად მივჰყიდე თავი. ■

გთავაზობთ კახა ბენდუქიძის მიერ დაწერილ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ესსეს, რომელმაც თავის დროზე დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

მან მხატვრულად და ამავე დროს, რეალისტურად, მარტივად, გასაგებად და მოკლედ გადმოსცა საქართველოს ყველაზე დიდი მეფის - დავით აღმაშენებლის ისტორია.

2015 წელს ნიუ-იორკში მარჯანიშვილის თეატრის, „ალილოს“, „თეატრალური კვარტეტისა“ და მესხიშვილის თეატრის გასტროლები იგეგმება

გელა საჩალელი ამერიკაში 2003 წელს ჩამოვიდა. მიზეზი და მიზანი იგივე ჰქონდა, რაც სამშობლოდან გამოხიზნულ ათიათასობით ქართველს...

თუმცა ბანალური, ქართველი ემიგრანტებისათვის ლამის დაუწერელ კანონად ქცეულ მიზნის მიღმა, ჰქონდა ერთი ორიგინალური იდეა - იდეა, რომელმაც საქართველოში, მეგობრების წრეში დადებული პირობა, ამერიკაში რეალურ საქმედ აქცია და წლების განმავლობაში არაერთი დღესასწაული აჩუქა ემიგრაციაში მყოფ ქართველ მაყურებელსა და მსმენელს.

ოთახი

ოთახში შესვლისთანავე ვაცნობიერებ, რომ ტიპიური ემიგრანტისაგან განსხვავებულ სამყაროში მოხვდი. მარჯვენა კედლიდან ფოტო-კოლაჟების სტენდი შემომყურებს; მარცხენა კედელი კი - აფიშებითაა დაფარული.

ვიდრე მასპინძელი ხუმრობანარევი ტონით მეტყვის, რომ - „მთელი მისი სიმდიდრე ამ კედლებზეა და მათ მილიონების ფასადაც არ შეელევა“ - უკვე ვიცი, რომ თემატურად საინტერესო საკითხების გარდა, იმ ფასეულობებზეც გვექნება საუბარი, რომელთაც ხშირად მატერიალური ექვივალენტი არ გააჩნიათ.

საქართველოდან ახალი ჩამოსული ემიგრანტი, რომელიც ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის ადაპტირებული; ჯერ კიდევ დროის, სივრცისა და სამყაროს ცვალებადობას აცნობიერებს და ეგუება, თვითდაჯერებული მიაბიჯებს მილენიუმის თეატრისკენ.

ჯიბეში მხოლოდ ორმოცდაათი დოლარი უდევს.

ჯიბისგან განსხვავებით, გონება - იდეით, გული კი - რწმენით აქვს სავსე.

თვითდაჯერებას თავისი წინა პირობა აქვს: საქართველოდან გამომგზავრების წინ, მეგობარს, გურამ ჯაშს უთხრა - მაქსიმუმ ორ წელიწადში ამერიკაში ქართველი ემიგრანტებისთვის მე გავაკეთებ კონცერტს, რომელშიც შენც მიიღებ მონაწილეობას.

მაშინ, ალბათ, ეს პირობა ყველამ „ამერიკულ ოცნებად“ ჩაუთვალა. იმ „ოცნებად“, რომელიც ყველა პოტენციურ ემიგრანტს აქვს, ვიდრე ემიგრანტის რეალური ხვედრი ნაწილებად არ დაუშლის და დაუმსხვრევს.

თეატრის ადმინისტრაციას უარი არ უთქვამს... ალბათ, არც ის არის იოლი წარმოსადგენი, როცა ჯიბეში მხოლოდ ორმოცდაათი დოლარი გიდევს და იმ პროექტის განხორციელება გსურს, რომელშიც მხოლოდ დარბაზის ქირად გთხოვენ ცხრა ათას დოლარს.

ქართველ ნაცნობ-მეგობრებს დაუკავშირდა. ერთმა მეორეს უთხრა,

მეორემ - მესამეს...

ბილეთები გაიყიდა... თანხა შეგროვდა...

კონცერტი გაიმართა...

იყო ბევრი ღიმილი, ცრემლი, სიყვარულისა და ნოსტალგიის ზეიმი და ბედნიერების სევდანარევი ბედნიერების განცდა.

აფიშა

აფიშებიდან ქართული თეტრისა და ესტრადის ცნობილი სახეები შემოგვყურებენ: ნანი ბრეგვაძე, ალექსანდრე ბასილაია, ნუგზარ კვაშალი, ლაშა ღლონტი, დათო არჩვაძე, დათო კიკაბიძე, ზურა და გივი ბაკურაძეები, ნუკრი კაპანაძე, მამუკა ონაშვილი, გურამ ჯაში, ნატო გელაშვილი, ზურა ყიფშიძე, თემურ წიკლაური...

აქ ყველა აფიშას თავისი ისტორია აქვს. ისტორია, რომელიც აფიშაზე რჩება და აფიშის მიღმაც გრძელდება.

პირველი სპექტაკლი 2005 წლის 18 სექტემბერს გაიმართა ნიუ-იორკის მინელიუმის თეატრში. გასტროლებზე მარჯანიშვილის თეატრი ჩამოვიდა, სპექტაკლით „ხელოვნება“, რომელშიც ზურა ყიფშიძე, მიშა გომიაშვილი და ალეკო მახარობლიძე მონაწილობდნენ. ეს ერთობლივი პროექტი იყო, რომელიც გელა საჩალელმა ამერიკელ ქალბატონთან, ლენა გლენსტონთან ერთად განახორციელა.

იმავე წელს საკუთარი საპროდიუსერო კომპანია „ზუბერი“ ჩამოაყალიბა. „ზუბერი“ აფრიკული სიტყვაა და სიძლიერეს ნიშნავს. სახელმაც გამართლა და კომპანიამაც.

2005 წლის 26 ნოემბერს პირველად შეძლო დამოუკიდებლად კონცერტის ორგანიზება და ნიუ-იორკსა და ფილადელფიაში ქართველი მსმენელის წინაშე წარსდგენ: გურამ ჯაში, ნუკრი კაპანაძე, ზურა დოიჯაშვილი, მამუკა ონაშვილი, მზია კვირიკაშვილი, თამარ გეგეჭკორი.

2006 წლის მარტში კი, უკვე ლეგენდარული „ივერია“ ესტუმრა ალექსანდრე ბასილაიას ხელმძღვანელობით და კვლავ ორი კონცერტი გაიმართა: მილენიუმში და ფილადელფიაში.

იმავე წლის ივლისში, სრული შემადგენლობით ჩამოვიდა „იუმორინა“. ისევ ორი კონცერტი. ისევ ანშლაგი... ტაში და ოვაციები...

მერე იყო ორწლიანი პაუზა, 2008 წლის აგვისტოს ომი და ოქტომბრის თვეში მარჯანიშვილის თეატრის „ზაფხულის ღამის სიზმარი“.

ომის ნაკვალევი თითქოს აქაც, ათიათასობით კილომეტრით შორსაც იგრძნობოდა... თითქოს რაღაც ჩაკვდა მაყურებელში... ომში ფიზიკურად არა, მაგრამ ემოციურად, განცდებითა და ფიქრით ნამყოფმა ქართველმა ემიგრაციამაც თითქოს ნელ-ნელა მოიშუშა ომის „ჭრილობები“ და 2010 წელს მილენიუმის თეატრში გამართულ ნატო გელაშვილის სოლო-კონცერტს ჩვეული ოვაციებით შეხვდა.

2010 წლის ივლისში უკვე ნანი ბრეგვაძის მასშტაბური კონცერტები გაიმართა, რომელიც ჩიკაგოდან დაიწყო, მერე იყო ბოსტონი, ფილადელფია და ბოლოს ისევ - ნიუ-იორკი.

2012 წლის თებერვალში კინომსახიობთა თეატრის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ ჩამოვიდა გასტროლებზე.

2013 წლის იანვარში ნატო გელაშვილისა და ლაშა ღლონტის კონცერტი გაიმართა ნიუ-იორკსა და ფილადელიაში. იმავე წლის ივლისში კი „ქართული ხმების“ კვარტეტი წარსდგა ამერიკაში მყოფი ქართველი მსმენელის წინაშე.

ჯერჯერობით ეს არის.

ახალი აფიშებისთვის კედელზე ადგილი კვლავაც მოიძებნება. ბატონ გელას კი, უამრავი საინტერესო პროექტი აქვს მომავალში განსახორციელებელი.

დეკორაცია

აფიშების გარდა ოთახში ინტერესს ფოტო-სტენდი და რამდენიმე საინტერესო დეკორაცია იქცევს. ფოტო-სტენდში უამრავ ქართველს და ამერიკელს, ნაცნობს და უცნობ სახეს შეხვდებით. თითოეულ ფოტოს, ისევე როგორც აფიშებს, თავისი ისტორია აქვთ, თავისი განცდა მოაქვთ მნახველამდე... და სწორედ, ამ მრავალფეროვან განცდებიდან უნებურად აღმოაჩენ, რომ გამორჩეულად სათნო და კეთილი სახით მაინც ძია პეტრე (აწ გარდაცვლილი პეტრე ხვედელიძე. რედ.), ყველასთვის საყვარელი უხუცესი ქართველი ემიგრანტი შემოგცქერის. განსაკუთრებით ვაშინგტონში, დაჭრილ ქართველ ჯარისკაცებთან გადაღებული ფოტოდან...

ფოტო-სტენდიდან მზერა ბუნებრივად ჩვენებურ „ჯორკოზე“ გადამაქვს. ეს მარჯანიშვილის თეატრის გასტროლების სახსოვარია. „ზაფხულის ღამის სიზმრის“ დეკორაცია, რომელიც ბატონ გელას უსახსოვრეს და რომელზეც ლევან წულაძის, მანანა კაზაკოვას, ლეო ანთაძისა და ზურაბ ბერიკაშვილის ავტოგრაფებია.

აქვეა კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“

დეკორაციული მაგიდა, რომელიც ასევე სახსოვრად დაუტოვეს. ნანი ბრეგვაძის მუსიკალური სურა და ისევ სევდიანი პაუზა, ისევე როგორც ძია პეტრეს შემთხვევაში... იტალიური ღვინის ბოთლი, რომელიც ალექსანდრე ბასილაიამ 2006 წელს დაუტოვა, შემდეგ ჩამოსვლაზე ერთად დავლიოთო - რომ უთქვამს.

უახლოეს მომავალში „ივერიის“ კონცერტს გეგმავს გელა საჩალელი.

ეს არ იქნება ტიპიური გასტროლი. „რაღაც დამთავრდა...“ - ასე ერქმევა კონცერტს და მას ალექსანდრე ბასილიას ხსოვნას მიუძღვნიან.

მსმენელი

ნებისმიერი პროდიუსერისთვის ალბათ არსებითია, თუ რა კატეგორიის მსმენელისა და მაყურებლისთვის აწყობს ამა თუ იმ ღონისძიებას. როცა საქმე უცხო ქვეყნაში მცხოვრებ ემიგრაციას ეხება, იქ არჩევანი პრაქტიკულად არ გაქვს - იქ ყველას ინტერესი უნდა გაითვალისწინო, რადგან ემიგრაცია ერთი მთლიანი ორგანიზმია, განურჩევლად მასში შემავალთა ასაკისა, სოციალური ჯგუფისა თუ ინტერესისა. ამიტომაც ძნელია ყველას ინტერესი და გემოვნება დააკმაყოფილო. ზოგს კომედია უყვარს და ზოგს - დრამა... ზოგს ქალაქური მელოდიები და ზოგსაც კლასიკური მუსიკა... შუახნის ასაკის ადამიანებითვის გასული საუკუნის ესტრადაა უკვდავი; გაცილებით ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ ოცდამეერთე საუკუნე სულ სხვა ტენდენციებს ემსახურება მუსიკალურ სამყაროში.

მოკლედ, ძნელია სწორი არჩევანი გააკეთო მაშინაც კი, თუ ამ არჩევანს მსმენელისა და მაყურებლის დაკვეთითა და ინტერესის გათვალისწინებით აკეთებ.

შესაბამისად, ყველა კონცერტის შემდეგ ითვლის მოგებასაც და წაგებასაც. ეს მუშაობის თანმდევი, ბუნებრივი, პროცესია. მთავარია, მსმენელი და მაყურებელი დარჩეს კმაყოფილი და კონტრაქტით გათვალისწინებული პირობა შეასრულოს დამქირავებელმაც და დაქირავებულმაც.

ყველა სამუშაოს, რაც სავიზო დოკუმენტაციასთან არის დაკავშირებული, ბოლო წლებია მანანა ელიაშვილი ასრულებს. თავად კი, მოლაპარაკებებს აწარმოებს, როგორც ქართველ შემსრულებლებთან, ასევე ადგილზე, დარბაზებისა და თეატრების ადმინისტრაციასთან.

წერილის დასასრულს, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მომავლის გეგმებს. ვიცი, მკითხველიც ამას ელის ჩვენგან.

2015 წლის დაგეგმილი საგასტროლო რეპერტუარი საკმაოდ წარმომადგენლობითი და მრავალფეროვანია. აპრილში ნიუ-იორკს მარჯანიშვილის თეატრი ესტუმრება ორი სპექტაკლით, მაისში კი „ალილოს“ და „თეატრალური კვარტეტის“ კონცერტებია დაგეგმილი.

ოქტომბერში უკვე ორი სპექტაკლით გვესტუმრება ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრი - ქუთაისის თეატრი, რომელსაც განსაკუთრებით ელოდება ემიგრაციაში მყოფი ქუთაისელი მაყურებელი...

ელგა ფოლადიშვილი

მას თბილისი არ მონატრებია!

ისაა, რომ მხოლოდ მისი თბილისში ყოფნა ენატრებოდა.

უნდა გენახათ ვარსკვლავები, თვალებში რომ აუციმციმდებოდა, როცა კი საქართველოზე საუბარს დავიწყებდით. აი, მაშინ, ცხადად შევიგრძნობდი, რომ ნიუ-იორკის ერთ მოკრძალებულ ბინაში თბილისურ მოგონებებში აღმაფრენილი ახალგაზრდა მესაუბრებოდა და არა ქუინსური ცხოვრებით დაღლილი ბერხუცი.

ოო, როგორ გვიყვარდა ერთად თევზის, კარაქიანი შავი პურის და ლუდის დალევა! შეგვეძლო საათობით გვექო შებოლილი თევზის მეფე - ჩაფსი, და კინოს სხვა მეფეები - ვისკონტიდან ფელინამდე. როგორ ბავშვივით უხაროდა, მისი დის, ლამარას ხარაზოს, მისი გაკეთებული რომ მერჩივნა. საგანგებოდ მინახავდა, ყოველთვის.

როცა კი ქალებზე საუბარი ჩამოვარდებოდა, ვრწმუნდებოდი, რომ სიგალი დეიდა ბატონი ოთარის ერთადერთი სიყვარული არ ყოფილა... თავსხმა წვიმაში ელიზაბეტ ტეილორისათვის გახდილი პლაში, სოფი ლორენთან მისი ფლირტი სულ სხვა რამეს მეუბნებოდა. იმედია, არ მიწყენს გრეტა გარბოც.

ახლა, ორი სიტყვა მის კვალზე.

წუხელ, სოციალურ ბლაბუდაში წერდნენ, რომ დიდი ეპოქა დამთავრდაო ოთართან ერთად. „ილუ-ზი-ონი“... ეს ჩემთვის რევოლუციური გადაცემა იყო, ერთ ღამეში რომ შეეძლო ხალხის აზროვნებაში მენტალიტეტის შეცვლა. ამას მთავრობები ათეულ წლებს ანდომებდნენ, სისხლიან გადატრიალებებსაც არრად დაგიდევდნენ. ბატონი ოთარი კი, თავისი კეთილი და თბილი ხმით ახერხებდა ამას - მეწამულფერ სავარძელში, ნაცრისფერი პიჯაკით, მსუბუქად განათებულ ინტერიერში, ერთ ტონალობაში საუბრით.

გადაცემის ქუდი?

მისი კოლაჟი და მუსიკა?

ამ ქუდში იდო მთელი იდეა კინოხელოვნებისა. დღეიდან ათეული წლების შემდეგ, თავადაც რომ მოვხუცდები, რომ მოვისმინო ეს მუსიკა კინოფილმიდან „ცის ქუხილი“, ასე მგონია (და სურვილიც მაქვს), ბატონი ოთარის მომღიმარე სახე გამოჩნდება, მოგვესალმება და დაიწყებს თავისი კეთილხმოვანებით თხრობას.

ამერიკაში რომ ჩამოვედი, ამ თექვსმეტიოდე წლის წინ, აღმოვაჩინე, რომ ამერიკული და მსოფლიო კინო საბჭოთა ბავშვმა გაცილებით კარგად იცოდა, ვიდრე ამერიკელმა. „ვესტსაიდური ამბავი“, „შერბურგის ქოლგები“, „როკო და მისი ძმები“, „ბატონი 420“, „ამარკორდი“, „ჩოჩარა“, „ჯარისკაცის ბედი ამერიკაში“, „ოქროს ჩარჩოიანი სათვალე“ - ეს ის ფილმებია, ამერიკელებს კიდევ 100 წელი რომ არ ეცოდინებათ, და მის შინაარსს აღტაცებით მოგიყვებათ თბილისის ქუჩაში გაჩერებული ნებისმიერი გამვლელი.

* * *

ოთარ სეფიაშვილი დამშვიდებული წავიდა ამქვეყნიდან. მანამდე, ნერვიულობდა, ვაითუ მასაც ვერ მოესწრო მისი სიმამრის დაწყებული საქმე, ვაითუ მასაც ვერ გაეცოცხლებინა სასტამბო კაბადონებში ქართველ-ებრაელთა ფიროსმანი, მარტოსულობის ნათელ-ჩრდილებში დაკარგული - შალომ კობოშვილი. ერთი წლის წინ, როცა კი ავადმყოფობამ შეუტია, ბავშვივით დავტუქსე, საჭმელი უნდა ჭამო და მოძლიერდე-თქო. უმალ დამაწყნარა: სანამ შალომზე წიგნს არ მოვრჩები, არ მოვკვდებიო.

შალომზე წიგნი გამოსაცემად ამ ექვსიოდე დღის წინ, წინა შაბათს გადმომცა. ფურცელზე დახატული მაკეტის ზომაც თავად შეარჩია, სურათებიც და ილუსტრაციებიც. ლადო გუდიაშვილთან გადაღებული ერთი სურათიც მომაწოდა, დიდხანს რომ დავაკვირდი მის ახალგაზრდა სახეს, დანანებით მითხრა, ერთი ცნობილი ფილმის სათაური „როგორ გვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი“ და მე მივხვდი, ის თავის წარსულ წლებზე მეტად, დაკარგულ ჯანს მისტიროდა.

მე კარგი მკითხველი და ცუდი მწერალი გახლავართ, თუმცა ხმამაღლად შემიძლია ვთქვა: ჩვენი ფიროსმანი ასე არავის დაუნახავს, - მეცნიერულად, ღრმად, სიფაქიზით, მარტო მითებით კი არა, მტკიცებულებით, - როგორც მას.

იყო ერთი შედარებაც, ნებისმიერი დიდი მწერალი სიხარულით რომ მოაწერდა ხელს - „მხოლოდ მესამე დღეს უნახავთ ნესტიან სარდაფში, რაღაც ფიცრულზე მივარდნილი და ძონძებწახურული სულთმობრძავი ნიკო ფიროსმანაშვილი, სიცოცხლე რომ სხეულიდან ავარდნილ ორთქლთან ერთად შორდებოდა სიცხით გათანგულს“

- სიცოცხლე რომ სხეულიდან ავარდნილ ორთქლთან ერთად შორდებოდა სიცხით გათანგულს!

სიტყვა გამიგრძელდა, მეგობრებო.

სტალინის სიცოცხლეში აკრძალული ჩაპლინი, მისი გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ, 1958 წელს დაბრუნდა ჩვენს ეკრანებზე. ჩარლიზე უზომოდ შეყვარებულმა ოთარმა მაშინ გაზეთ „თბილისში“ დაბეჭდა წერილი, მის მიერვე დახატული ქუდით, ჩარლის პორტრეტით და წარწერით: ჰელოუ ჩარლი!

მე ვიცი, ვალში არ დარჩება და უკვე იქ გარდასულ ოთარს საპასუხო სიტყვით მიეგებება ჩარლი ჩაპლინი: ჰელოუ ოთარ!

იქ იქნებიან ჯემალ აჯიაშვილი, სოსო ჯინჯიხაშვილი, გიგლა ხუხაშვილი, ბორის გაპონოვი, შალომ კობოშვილი, მიშა ჯანაშვილი, ბევრი სხვაც. ერთად იმღერებენ, ალბათ:

„შალომ - იქით!
შალომ - აქეთ!
შალომ - ჩქარა!
შალომ - მალე!
- რჯულის მადლმა,
დავიღალე...
მენატრება ჩემი მხარე!“

თუმცა ისინი უკვე იქ იქნებიან, თავიანთ მხარეში, რადგანაც დუდუკის სევდიან ჰანგზე ძველთბილისურად თქმული მახსენდება:

„მტკვარი ჩაუდის თბილის-ქალაქს
ჩვენს დარდს წაიღებს,
ჩვენს ფიქრს წაიღებს,
ჩვენი გულის მურაზს წაიღებს,
ბოლოს, იქნება და,
ჩვენც თან წაგვიღებს...“

* * *

მოდით, გულახდილები ვიყოთ, ვთქვათ თუ რაოდენ გაუთვიცნობიერებულები ვართ ქრისტიანენი ებრაული ტრადიციებისა თუ წესების მიმართ. აი, ისტორიის წიგნებში კი გვიწერია, ათადან და ბაბადან მოვდივართ ერთად ეს ორი ერიო, მაგრამ როცა ჩვენი პრემიერი შარშან მენორას სანთელს ანთებდა, ვიღაც უგუნური ბრბოდან მოუწოდებდა, ხელით არ შეხებოდა სანთელს. მაშინ, იმდენად შემრცხვა ამ ოკეანისგაღმა, რომ მიწის გასკდომა და შიგ მოხვედრა ვინატრე.

მე კარგი მასწავლებელი და უფრო კარგი მთხრობელი მყავდა.

თავს არასოდეს მოუხვევია, მაგრამ გასაგები ენით მიხსნიდა როშ-ჰაშანას, სუქოთის, პურიმის, ფესახის მნიშვნელობებს. არასოდეს ვთაკილობდი, ამხელა კაცი დავმდგარიყავი მის წინაშე და მეთქვა, რომ არ ვიცოდი შაბათის შენახვის დასაბამი.

ისიც, ყელს მოიღერებდა და განეწყობოდა მოსაყოლად, მოსეს წიგნებიდან იქაური ტერმინებით კი არა, ბავშვისთვის გასაგებ ენაზე დამიღეჭდა მოსაყოლს და მე უკვე ის ვიცოდი, რასაც მილიონჯერ წაკითხვით ვერ შევიმეცნებდი ბიბლიიდან.

აი, როცა ეს ყველაფერი იცი, შემდეგ კიპპას დახურვაზე შეხსენება აღარ უნდა დაგჭირდეს, და ეს მაშინ, როცა ოთარ სეფიაშვილს არცერთი აღდგომისა თუ შობის დღესასწაულები დარჩენია უყურადღებოდ, ტელეფონის მილის მეორე მხრიდან, მისი ხმა ყოველთვის მილოცავდა.

იგი იყო ის პირველი ადამიანი (გია ჭუბაბრიასთან ერთად), რომელმაც უდიდესი კრძალვითა და მოწიწებით იმოგზაურა იერუსალიმს, ბერძენთა მფლობელობაში მყოფ მონასტერში და ქართველებს საჩუქრად, სამარადისოდ მოგვართვა პირველი ვიდეო კადრები, გმირულად მოპოვებული ჯვრის მონასტრიდან, მაშინ ვიხილეთ პირველად შოთა რუსთველის

ნიუ-იორკში 84 წლის ასაკში გარდაიცვალა ლეგენდარული „ილუზიონის“ ავტორი ოთარ სეფიაშვილი



გთავაზობთ ყყრნალ „მამყლის" რედაქტორის სიტყვას, წარმოთქმულს ნიუ–იორკის ქართული სინაგოგის ბიმადან, დაკრძალვის დღეს.

ფრესკაც.

მადლობა, რიგიანად არც ამაზე მოგვიხდია, მაშინდელმა ტელევიზიამ მხოლოდ მეტრაჟით ჩაიბარა ეს ისტორიული ფილმები და ჰონორარად 75 მანეთი მიუგდო.

ის კი არადა, არრად გავუფრთხილდით მის „ილუზიონის“ შესავალ სიტყვებს, ამ მარგალიტებს მსოფლიო ხელოვნების შესაცნობად. თბილისის ომის დროს ტელევიზიაში ნასროლი ჭურვი ჯერ მის ოთახში გადაბუგავს ხელნაწერებს, ხოლო შემდეგ დღეებში, ვიდეო-ფირების უქონლობის გამო, ვიღაც დაუდეგარი იოსელიან-კიტოვან-ლანჩავას მიერ აოხრებული ჩვენი დედა-თბილისის კადრებს გადააწერს ამ გადაცემის არქივებზე.

აი, მაშინ მიხვდება ოთარ სეფიაშვილი, რომ მისი გული მეტს ვეღარ გაუძლებს, და... ოთახის და სამშობლოს კარს ერთად გამოიხურავს.

წლების შემდეგ ქვინსის ბინის აივანზე დავიწყებთ ჭადრების თვალიერებას, აიო, ჭადრები თბილისში თუაო, მეტყვის და სევდიანად წაიღიღინებს გიგლა ხუხაშვილის სტრიქონებს:

,,ერთი დღითაც რომ დაგტოვო,
მომენატრები,
სულში მუდამ შრიალებენ
შენი ჭადრები“

და მაშინ მივხდები, რომ ოთარ სეფიაშვილის სულს არასოდეს დაუტოვებია თბილისი...

ზაფხულის ცხელ დღეს, ყოველ ახალნაწვიმარზე, ოხშივარი რომ აუვარდებოდა თბილისურ ქვაფენილს - მე მას იქ ვხედავდი!

მცხეთას, ებრაელთა პირველ ალაგას, ოქტომბრის თვეში ჭიშკრებში რომ დაიწყებდნენ თათარის მოდუღებასა, ჩურჩხელის ამოვლებას, - მე მას იქ ვხედავდი!

აქ?

აქ, ბატონებო, მისი დაღლილი სხეული დააბივჯებდა,

მას გული - ისრაელს,
სული - საქართველოში დარჩა!

მანუჩარ კაჭახიძე

„ილუზიონი“ კაბადონებში

ახალი სახელი კურასავა

ოთარ სეფიაშვილი,
საქართველოს ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე

აკირა კუროსავა და მისმიერი ორი ფილმი „რასიომონი“ და „შვიდი სამურაი“, რომლებიც იაპონური კინემატოგრაფის ან - ზოგადად - „ამომავალი მზის ქვეყნის“ თვითმყოფი კულტურის აღმოჩენით აღფრთოვანების გამოხატულებად რომ იქცა იმთავითვე და წარუვალ სიმბოლოდ რჩება დღემდე. ეს იყო მართლა მოულოდნელი და ძნელად ასახსნელი მოვლენა იმჟამინდელ კინოსამყაროში. თარიღი მისი დაბადებისა - 1951, როცა ვენეციის საერთაშორისო ბიენალიეზე (პირველად მსოფლიო კინოდათვალიერებათა ისტორიაში) საყოველთაო აღიარება ხვდა და კინოფესტივალის მთავარი პრიზით - „წმინდა მარკოზის ოქროს ლომით“ დაჯილდოვდა იაპონური ფილმი - რეჟისორ აკირა კუროსავას „რასიომონი“. სურათს იმავე წელს მიენიჭა ამერიკის კინოაკადემიის „ოსკარი“...

დიდხანს, ლამის დღემდე არ ჩამცხრალა ინფორმაციის მასობრივ საშუალებებში გაოცებისა და მადლიერების გამოძახილი როგორც ამ მოვლენის გამო, ისე სერიოზული კინომცოდნური სჯანი თავად „კუროსავას საიდუმლოებისა“ და „რასიომონის“ მომნუსხველი ხიბლის ასახსნელად... ჩვენში კი, - საბჭოეთის მასობრივ ეკრანებზე - თხუთმეტი წლის დაგვიანებით, 1966-ში შემოვიდა ეს კინოშედევრი. ფაქტი ფაქტად რჩება. და ეს რომ სულაც არ ყოფილა რაღაც შემთხვევითი გაუგებრობა ან კინოჩინოვნიკთა უმეცრების უნებური გამოვლინება, ამის დასტურია ის სინამდვილე, რომ ამგვარი ტენდენცია კუროსავას ფილმებისადმი (და არა მარტო კუროსავასი) არაერთგზის გამეორებულა საბჭოური კინოგაქირავების პრაქტიკაში...

არადა, აჭარბებდნენ, უთუოდ, ასე თვალმოუხუჭავად რომ ფხიზლობდნენ საბჭოთა იდეოლოგიის სადარაჯოზე შემართული კინოჩინოვნიკები. - კაცმა რომ თქვას, - თუნდაც „რასიომონის“ შემთხვევაში, - რა საფრთხე, რა ერესი შეიძლებოდა შემოეტანა ჩვენში ამ კინოშედევრს, მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში თვალი რომ ვერ მოვკარით?!. სად თქმულა, სად გაგონილა ან თუ მომხდარა, რომ ერთი კინოსურათის, თუნდაც მართლა ჭექა-ქუხილიან, კონგენიალური ნაწარმოების ჩვენებას რომელიმე ქვეყნის იდეოლოგიის ან სახელმწიფო სისტემის დაქცევა მოჰყოლოდეს?!.

დიახ, მოხდა საგულისხმო ფაქტი: ლამის მთელმა მსოფლიომ აიტაცა და მოხიბლულია დასავლეთის ქვეყნების მაყურებლებისათვის სრულიად უცნობი იაპონური ეროვნული კინონაწარმოებით. მაშინ, ალბათ, ბევრმა არც ის იცოდა, რომ „რასიომონამდე“ - ორი წლით ადრე - კუროსავამ დადგა ფილმი „მთვრალი ანგელოზი“, რომელშიც იაპონელი კინემატოგრაფისტისათვის უჩვეულო სითამამით გამოხატა სიკეთის ქმნის, გულმოწყალების, ადამიანთა თანადგომის იდეა. სხვათაშორის, ეს იდეა თუ მრწამსი ხელოვანისა წარუხოცელ ქვეტექსტად დააჩნდა და ბოლომდე გაჰყვა მთელ მის შემოქმედებას.

„რასიომონში“ კი მკვეთრად გამოვლინდა კუროსავას ახლებური, თვითმყოფი ეროვნული რეჟისორული ხელწერა და მიზანდასახულობა: - ჯერაც გამძლედ ფესვმოჭიდებული, ძველი იაპონური კინოსტილისტიკის კანონების რღვევისაკენ მიდრეკილება; იშვიათი და ნათელი ადამიანური ხასიათების გახსნა და მათში ღრმა ფსიქოლოგიური წვდომა; ჭეშმარიტად „შექსპირული“ - ან, იქნებ, უფრო სწორედ - „კუროსავასეული“ ქარიშხლიანი ვნებათაღელვანი, მათი მძაფრი შეჯახება და კონფლიქტები დრამატურგიაში. რეჟისორი არ იფარგლება ოდენ მოვლენათა და მოქმედების დინამიური ასახვით და ფილოსოფიურად იაზრებს მათ. საგულისყუროა კუროსავას აშკარა ირონიული დამოკიდებულება ყალბი ფეოდალური და სამურაელთა ცრურაინდული ეთიკისა და მორალისადმი...

ტრადიციული იაპონური კინოსათვის ასეთი სიახლეებით უტოლდებოდა „რასიომონი“ თანადროულ მსოფლიო კინოხელოვნების მიღწევებს. შემთხვევითი არ იყო, რომ მაშინდელი (50-იანი წლების) კინოკრიტიკა ერთხმად აღიარებდა აკირა კუროსავას ყველაზე უფრო „ევროპულად მოაზროვნე“ დიდოსტატ რეჟისორად იაპონელ კინემატოგრაფისტთა შორის და თავისი ქვეყნის პირველ ნამდვილ „სრულუფლებიან წარმომადგენლადაც“ დასავლეთში. იქნებ, ამიტომაც ასე ხშირად ეკერათ პირზე თავად კუროსავას გამონათქვამები: „ჩემში სრულიად უმტკივნეულოდ თანარსებობენ დასავლური და იაპონური!“. ან „მე არასოდეს მომიწადინებია ფილმის დადგმა მარტოდენ „ექსპორტისათვის“. თუ სურათი გულს არ ეკარება, არ აღელვებს იაპონელ მაყურებელს, მაშინ იგი საერთოდ არ არსებობს ჩემთვის!“...

ასე და ამ გზით ცდილობდნენ ე.წ

„კუროსავას საიდუმლოს“ ამოხსნას. თუმცაღა, ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა მრავალგზის დადასტურებული ოდინდელი სიბრძნის გახსენება: ჭეშმარიტად დიდოსტატი ხელოვანის ნახელქმნარი მუდამ ნამდვილი ეროვნული ქმნილებაა და მას ყოველთვის და ყველგან ნებისმიერი ეროვნების ადამიანი თავის ეროვნულ კუთვნილებად აღიქვამს.

* * *

რ ა ს ი ო მ ო ნ ი - ოდესმე ძველი იმპერიის კიოტოს ტრიუმფალური ჭიშკარი, თავისი დიდებული, ხეზე კვეთის ბრწყინვალე, დიდოსტატური ნახელქმნარ-ნაქანდაკარით, იმპერიის ძლიერების ხატი და დასტური, დღეს კი ჟამთა დინებაში მძვინვარე მიწისძვრებით, ომებითა და ხანძრებით იავარქმნილი, გაუკაცრიელებულ-გაპარტახებული, დაქენქილ-დაძენძილი და ნაგავმიყრილი...

წვიმს... განკითხვის დღის ზესხმასავით, თითქოს ყველა ცოდო-ბრალის ჩამოსარეცხად ედინება ზემოდან რასიომონს წამლეკავი ღვარ-ცოფი, ქვეშ კი მოჩანს აულაგმავი სტიქიის წინაშე საკუთარი უმწეობის შეგრძნებით მოკრუნჩხვილი, დათრგუნვილი ადამიანების გასაცოდავებული ფიგურები...

ფილმი მკაცრია და უკომპრომისო - იწყება და მთავრდება რასიომონის ხაზგასმულად პირქუში ხატით. და ჩვენ უმალ აღმოვჩნდებით ამხედრებული სისასტიკის სამყაროში, სადაც ბოროტების სატანური ზეობა და უმწეოდ თავდაქინდრული ადამიანურობა ერთ, წარმოუდგენელ უკიდურეს დონეზე იხილება. და სწორედ აქ ხელო-

ვანის მხატვრული ჭვრეტა და აზროვნება, მიუხედავად ერთგვარი გარეგნული სირთულისა, საოცრად თვალსაჩინო, სახიერი, ლამის გაშიშვლებული წარმოგვიდგება...

ამჯერად კუროსავას, რომელიც თითქმის ყველა თავისი ფილმის სცენარის ავტორიცაა, სურათის დრამატურგიის საფუძვლად შეურჩევია მწერალ რიუნოსკე აკუტაგავას ორი მოთხრობა - ,,უღრან ტყეში" და ,,ჯოჯოხეთის ჭიშკარი". ეს ორი - ფილოსოფიური ქვეტექსტებით გაჯერებული და ემოციურად ძალზე შთამბეჭდავი ლიტერატურული თავწყარო ორგანულად ერწყმიან ერთმანეთს ფილმში და იმავდროულად არსებობენ როგორც ორი ერთურთშერწყმული ფორმა სინამდვილის წვდომისა ანუ როგორც ანალიზი და სინთეზი.

ანალიტიკური ფორმა თუ საწყისი ძირითადად მოედინება მოთხრობიდან ,,უღრან ტყეში" და ფილმის სწორედ ეს ნაწილი თავიდანვე წარმოგვიდგება ფილოსოფიურ იგავად. მოქმედება კი, როგორც ყოველი დეტექტივი, იწყება ,,ჩვეულებრივ", ძალზე ,,უბრალოდ": უღრან ტყეში გზასდამდგარ სამურაის და მის ცოლს შემოეყრებათ ყაჩაღი, რომელიც ელვის სისწრაფით და სისასტიკით თავს ესხმის და გათოკავს სამურაის და იქვე, მის თვალწინ აუპატიურებს ქალს... გარეშე თვალი, მოწმე მომხდარი დანაშაულისა, არავინაა. გამოძიებამ უნდა დაადგინოს - ვინ მოჰკლა სამურაი?!.

მალე შეიპყრობენ ყაჩაღს, რომელიც დაუფარავი ცინიზმით და ხითხითით აღიარებს, რომ დიახაც - მოჰკლა კაცი და ყაჩაღიც იმის ყაჩაღია, რომ ძალმომრეობით აღწევდეს საწადელს...

სასამართლოზე შემოჰყავთ ქალი, - ცოლი სამურაისი, - რომელიც აცხადებს: ჭკუიდან შემშალა ქმრის ხმისგაუღებლობამ და ზიზღითა და სიძულვილით აღსავსე მზერამ, და მოვკალიო იგი...

იწვევენ ნათელმხილველს. იგი გამოიხმობს მოკლული სამურაის სულს, რომელიც იტყვის, რომ თავი მოიკლა, ვერ აიტანა ღალატი ცოლის, რომელმაც გატყიურებულ ყაჩაღთან კავშირი არჩია ჩემთან ადამიანურ ცოლ-ქმარობასო...

მაშ ასე: სამი ვერსია, სამი აღსარება, რომლებიც ხორცს ისხამენ ეკრანზე წვეთწვეთ, მძიმედ, აუჩქარებლად და ხელდაჯერებით - თითოეული აღმსარებლის ბუნებაში, მათ შინაგან არსში წვდომით. და, რაღა თქმა უნდა, სამივე ვერსია შეუვალად სხვადასხვაა, დაუთმობლად განსხვავებული!.. მაგრამ რატომაა, რომ იმთავითვე გიჩნდებათ რაღაც აუხსნელი შეგრძნება მათი იდუმალი ნათესაობისა: დიახ, უთუოდ საშინელი, შემზარავი სისასტიკეა ის, რაც უღრან ტყეში მოხდა, მაგრამ მას რომ იმავდროულად ახლავს ერთგვარი ხიბლი ჭეშმარიტი, ბუნებრივი ვნებათაღელვისა, ამის

„რასიომონი" 1951



„რასიომონი" 1951

„რასიომონი" 1951

უარყოფაც შეუძლებელია. გაოგნებული ხართ, რომ ასე გიზიდავთ და გიპყრობთ კრიმინალური ისტორიის მოქმედ პირთა ძლიერება, მათი ვნებათა სტიქიური საწყისი, სულით-ხორცამდე შემძრავი თავგამეტებული შეჯახება და რკენა...

და სულაც არ არის მოულოდნელი, რომ იქ, სადაც მწერალი აკუტაგავა, - ჩაძირული თავდაუღწეველ პირქუშ ფიქრში, - ამთავრებს მტკიცებას ამა სოფლად ჭეშმარიტების მიგნების ამაო მცდელობაზე, სწორედ იქ იწყება სიმართლის, ჭეშმარიტების მაძიებელი კინორეჟისორი აკირა კუროსავა, ანუ მთავრდება ფილმში ცხოვრებისეული ფაქტების ანალიზი და იწყება სინთეზი. ამასობაში ისახება მეოთხე ვერსია...

* * *

მცირე ინტერმედია: ისევ თავს მახსენებს ის ჟურნალტელი, „რასიომონის“ პირველად ხილვისას რომ განვიცადე, მეტადრე - მის საწყის ეპიზოდებთან დაკავშირებით. სურათის ზემოთ აღწერილი კადრების მონაცვლეობისას, თითქოს უსასრულო სიშორიდან ქვეცნობიერად ყურთჩამესმოდა უძველესი ქართული ხალხური ლექსიბალადა „შემომეყარა ყივჩაღი“. - საიდან, როგორ, რა გზით შეიძლება ჰქონოდათ გაგონილი აკუტაგავას ან კუროსავას ქართული პოეზიის ეს შედევრი?.. არადა, მართლა აუხსნელი საოცრებაა მანძილითა და კულტურათა ტრადიციებით ესოდენ დაშორებულ ორ ქვეყანაში თანადროული კინოშედევრისა და ძველთ-უძველესი ფოლკლორული ბალადის ეპიზოდების სიუჟეტური, მოქმედების დინამიკისა და, საერთოდ, განწყობილებისა და ელ-ფერის ამგვარი შთაგონებული თანხვდომა... ცხადია, ახლა მე არც არაფრის მტკიცებას ვაპირებ, არცა რაიმე აუხსნელის ახსნას, მაგრამ იქნებ მთლად უაზრობა ან უმართებულო არ იყოს მსმენელ-მაყურებლისათვის ფილმის აღქმის გასამმაფრებლად ამ საუბარში „შემომეყარა ყივჩაღის“ შეხსენება:

„შემომეყარა ყივჩაღი
სამზღვარსა მუხრანისასა.
პური მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი თავთუხისასა;
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი ხოხობისასა;
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვუსხამდი ბადაგისასა;
ცოლი მთხოვა და... ვერ მივეც, -
ან კი ცოლს როგორ მივცემდი,
შვილსა გაზრდილსა სხვისასა.-
ხელი მოჰკიდა, აკოცა,
მოზიდნა ნაწნავს თმისასა,
შესტირა ქალმა საბრალოდ:
„ვაი ცოლს ჯაბან ქმრისასა.“
მეც გულმა ველარ გამიძლო,
მოვზიდნე ვადას ხმლისასა,
უმალვე იმან დამასწრო,

ელვასა ჰგვანდა ცისასა.
ახლა მე შემოვუქნიე,
ვენდვე მადლს ლაშრის ჯვრისასა.
გავჭერი ცხენი და კაცი,
წვერიც ვუწვდინე ქვიშასა -
არ იყო ღირსი, მოშორდა
ცქერას ნათელის მზისასა...
აქეთ მე ვკვდები, იქით ის,
ქალი წავიდა - ვისასა?“

* * *

მაშ ასე: აგუტაგავამ წერტილი დასვა, როცა დაამთავრა ქვეყნად რაიმე ჭეშმარიტების ძიების ამაოების მტკიცება. მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე არსებობს ძიებისთვის მეოთხე ვერსია, რომელიც არ გვხვდება მის მოთხრობაში. ეს არის სრულიად მიუკერძოებელი, ნეიტრალური მოწმის - ტყისმჭრელის ვერსია. და ეკრანზე ისახება კუროსავას ჭეშმარიტება, რომელიც ათასგზის უფრო საშინელი და შემაზრზენია, ვიდრე აქამდე ნანახი ყველა ეპიზოდი ფილმისა. შიშვლდება და მდაბლდება ყველა მოჩვენებითი ხიბლი. - რა იქნა, სად გაქრა ქალის დასაუფლებლად სასტიკი და თავდაუზოგავი სიმამაცე ყაჩაღისა? - სად წავიდა სამურაის რაინდული კეთილშობილება და სიმედგრე საკუთარი კაცობისა და ცოლის ღირსების დასაცველად?!.

ფლიდი და ბილწი გამოდგა მათი დამოკიდებულება ქალისადმი. ერთიც და მეორეც უარს ამბობს მასზე. არც ერთს არ აღელვებს, არად უღირს მისი ყოფნა-არყოფნა. და ახლა უკვე მომხდარი სინამდვილით დაზაფრულნი, შინაგანად მთლად წამხდარნი და მხდალნი ლამის კვნესით და სლოკინით იქნევენ ხმლებს უნდილად, ოფლად გაღვრილნი და მტვერში ამოგანძულნი დაღოღავენ მიწაზე ფუნაგორიებივით... აი, სად იჩენს თავს, რა სახით ცხადდება ნამდვილი ტრაგედია. ბინძურ სისაძაგლედ შემობრუნდა მათი ხიბლიანი სისასტიკე და „ვაიკაცური“ ჭიდილი.

და როდესაც ეს სიტუაციაც ამოიწურა და ანალიტიკური კვლევა დავიდა ბოლო წერტილამდე, წრე შეიკრა - იქცა კომპოზიციურ „რონდოდ” ანუ როგორც იწყება ფილმი, ისევე მთავრდება - რასიომონის ჭიშკრის გამძაფრებულად პირქუში ხატებით, რომელიც ნასესხებია მოთხრობიდან „ჯოჯოხეთის ჭიშკარი“. იმავდროულად ეს „ნამდვილი“, „ნატურალური“ ჭიშკარიცაა; რომლის თაღებქვეშაც წვიმას აფარებენ თავს ტყისმჭრელი, მოგზაური ბერი და მსახური მისი. და აქ, ფინალურ სცენაში, ადრე დაგროვილი ცხოვრებისეული მასალა ანუ ყოფიერების პრობლემები - მაღლდება და წარმოგვიდგება განმჭვრეტ, ღრმად მწვდომ სინთეზად, ერთიან გამჭირვალე მოტივად, რომელშიც ერთიმეორეს შეერწყმიან დაღლილი ტყისმჭრელის უხალისო თხრობა და დაბნეულობა, სასოწარკვეთა ახალგაზრდა იდეალისტი ბერისა, რომელიც ლამის კრუნჩხვამდე მისული ცდილობს საკუთარი რწმენის - ადამიანში ადამიანურობის დაცვას. და მათთან ერთად ცინიკოსი მსახურის გველის შხამგარეული კეთილგონიერება, რომელიც ცხოვრების განუჭვრეტელი წყვდიადის, უკუნეთის მოტივად ისმის...

თუმცაღა, ეს ყოველივეც ოდენ ნაწილია კუროსავას ჭეშმარიტების, რამეთუ არ აღიქმება როგორც ნამდვილი ფინალი. არადა, უკვე რახანია არ გასვენებთ, ტვინს გიღრღნით ქვეცნობიერად გაჩენილი კითხვა: - რით დამთავრდება ეს დემონურ-სატანური სიმფონია? ნუთუ არსებობს და მოინახება რაიმე ბოლო ჯადოსნური აკორდი?! და თითქოს უშუალო პასუხად ფილმის მიწურულს ხდება სასწაული - ეკრანის სიღრმიდან რეალურად ისმის ჩვილი ბავშვის სუსტი ხმით ტირილი. ტყისმჭრელს ხელში აუტატებია და სათუთად გულში იხუტებს რასიომონის ჭიშკრის ძირას მიგდებული ატირებული ბალღი. სიცოცხლე ითხოვს შველას!..

მოინახება განა სხვა უფრო წრფელი, უფრო უბრალო და მიამიტი, გულალალი და ხელთუქმნელი მეტაფორა - რწმენის, იმედის, სიყვარულის?! კუროსავა ის გენიაა, რომელსაც ხელეწიფება, შეუძლია პირველქმნილი სიდიადე დაუბრუნოს და აღუდგინოს ყველაზე ჩვეულებრივ უბრალო ცნებებს - როგორც წყალს, ჰაერს, პურს ჩვენი არსობისას. რასიომონის ჭიშკართან მიგდებულ ღობისძირელა ჩვილ არსებაში მან გენიალური თვალით დაინახა ჩვენი სწრაფმავალი თავლშეუდგამი დღეების უსასრულობა, მისი უკვდავება, მარადიულობა. და კი არაფერი გამოუგონებია, არ შეუთხზავს, არ გაუთამაშებია. უბრალოდ, იგი ჭვრეტს და ხედავს უფრო ღრმად, უფრო ჩამწვდომად, ვიდრე ვინმე სხვა... ამ მეტაფორაში მთელი კუროსავაა, ან იქნებ - მთელი შექსპირიც.

* * *

„რასიომონის“ არაჩვეულებრივი წარმატების შემდეგ, ისევ შეიძრა კინოსამყარო კუროსავას ახალი ფილმით - „შვიდი სამურაი“, რომელიც კინოკლასიკის მართლა ლეგენდარულ ქმნილებად რჩება ეკრანული ხელოვნების ისტორიაში.

შეგახსენებთ: ფილმი გადაღებულია 1954-ში. იმავე წელს იგი ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზით - „წმინდა მარკოზის ვერცხლის ლომით“ აღინიშნა. მომდევნო 1955-ში კი ამერიკის კინოაკადემიამ მას „ოსკარი“ მიანიჭა...

ფილმი შესრულებულია იაპონური კინემატოგრაფის ძველთაგანვე ყველაზე ტრადიციულ და პოპულარულ - „კენგეკის“ ჟანრში, რომელთანაც თავისი სტრუქტურითა და გმირთა ხასიათებით ძალიან ახლოა ამერიკული ვესთერნი. უთუოდ, ამანაც განაპირობა, რომ გამოხდა სულ რაღაც ექვსი წელი „შვიდი სამურაის“ ეკრანზე გამოსვლიდან და ჰოლივუდში მოღვაწე რეჟისორმა ჯონ სთარჯესმა ამ იაპონური „კენგეკის“ საფუძველზე - არაჩვეულებრივად მომხიბვლელი მსახიობების მონაწილეობით - გადაიღო დღემდე ერთერთი თვალისმომჭრელი ვესთერნი „შესანიშნავი შვიდეული“... პარადოქსი კი ამჯერადაც ის იყო, რომ ჩვენში, საბჭოეთის კინოეკრანებზე, დაუხანებლად, ლამის იქვე შემოვიდა ეს ჰოლივიდური რემეიქი, ხოლო მისი საწყისი და შთაგონება - მართლა ნამდვილი მაღალი ხელოვნების რეჟისორული ნახელქმნარი - მხოლოდ 34 წლის მერე, თითქმის სამნახევარი ათეული წლის მერე, იხილა ჩვენმა მასობრივმა მაყურებელმა.

* * *

აკირა კუროსავას ბიოგრაფია - ცხოვრებისეული და შემოქმედებითიც - აღსავსეა მკვეთრი და მოულოდნელი ცვალებადობით, გენიალური აღმფრენითა და, ზოგჯერ, ასევე გენიალური ჩავარდნებით. თანადროულობა კუროსავასთან ოდენ ისტორიულ ჩაცმულობასა და დეკორაციებში კი არ ვლინდება, არამედ იმაშიც, რომ ხელოვანი აქტიურად იჭრება თავისი ყოველდღიურობის პოლიტიკურ ავ-კარგში, თუმცაღა, როგორც არცთუ იშვიათად ხდება, მხატვრული შედეგი ხშირად ვერ უტოლდება, შესატყვისად პროპორციული არ არის ხოლმე თემის სიმაღლისა. ამგვარი ნათელ-ჩრდილით კი საბოლოოდ უფრო მკვეთრდება სახეპროფილი ჭეშმარიტი ხელოვანისა, რომელმაც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე წმინდად გამოატარა საკუთარი მრწამსი, თავისი შემოქმედებითი კრედო, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ერთი ფრაზით: - ადამიანის მოწოდებაა ბრძოლა, რათა ცხოვლად ენთოს იმედის ლამპარი უიმედობით დაბინდულ ჩვენს სამყაროში.

* * *

კუროსავამ თავისი დიდი და რთული გზა ხელოვნებაში დაიწყო როგორც ფერმწერმა მხატვარმა, რაც მუდამ იგრძნობა მისი ფილმების მაღალ გამომსახველობით კულტურაში. შემდეგ გადაინაცვლა კინოში, იყო სცენარისტი, რეჟისორის ასისტენტი, პირველი მხატვრული ფილმი კი, დამოუკიდებლად გადაიღო 1943-ში. აქედან მოყოლებული თითქმის ყოველ წელს თითო სურათს მაინც ქმნიდა... ვერ ვიტყვი, რომ მისი შემოქმედება მთლად უცნობი იყო ჩვენთვის. სხვადასხვა წლებში საბჭოეთის ეკრანებზე ჩნდებოდა მისი ნახელქმნარი: „რასიომონი“, „შვიდი სამურაი“, „ულალი წვერი“, „ბოროტები ცოცხალი რჩებიან“, „დერსი უზალა“, „დოდესკადენი“, „მეომრის ჩრდილი“. შვიდი ფილმი! ბევრია ეს თუ ცოტა? თუ გავითვალისწინებთ, რომ კურო-

სავას ორმოცზე მეტი კინოსურათი აქვს დადგმული და გადაღებული, მაშინ, რაღა თქმა უნდა, ცოტაა! მაგრამ ვისაც უნახავს კუროსავას თუნდაც ოდენ ზემოთ ჩამოთვლილი ფილმები, - შეიძლება ითქვას, - იგი მეტ-ნაკლებად მაინც შემზადებულია მის არაჩვეულებრივად თვითმყოფ და ბრწყინვალე მხატვრულ მემკვიდრეობასთან შესახვედრად. ამას იმისთვის აღვნიშნავ, რომ მიუხედავად სიმრავლისა, აკირა კუროსავას ნამუშევრები მკვეთრად განსხვავებული ფორმისა და ჟანრის მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. კაცმა რომ თქვას, თითქმის ყველა მისი ფილმი დრამაა - ბობოქარი ვნებათაღელვების, საბედისწერო შეჯახებების დრამა! იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყოველ მათგანში ასახულია ადამიანის, ინდივიდუმის ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ტრაგიკულია, ხშირად - უიმედო, მარცხისათვის განწირული, მაგრამ ხელოვანი უმღერის მარტოსული ადამიანის შემართების სილამაზეს, მის თავგანწირვას. ეს არის მისი შთაგონება... და აქ ვიხსენებ ერთ დროს ჩემი ახლობელი ადამიანისა და კოლეგის - კუროსავას საუკეთესო მკვლევარის, საბჭოთა იმპერიიდან იძულებით გახიზნულ კინომცოდნის - ვლადიმერ მატუსევიჩის სიტყვებს: „კუროსავას ფილმების წამყვანი მოტივია ადამიანში ადამიანურობის აღორძინება.“

* * *

ისევ მცირე ინტერმედია: ერთხანს, იაპონურ კინომრეწველობაში კრიზისის ჟამს, კუროსავა დაჰყვა ოკეანის გაღმიდან წინადადებას ჰოლივუდთან თანამშრომლობაზე (თუმცაღა, არც ერთი ფილმი - მის მიერ ჩაფიქრებული ან რეჟისურით ხორცშესხმული კინოეკრანებზე არ გამოჩენილა). ეს პერიოდი კუროსავას შემოქმედებით ბიოგრაფიაში ბერწ და უნაყოფო ხუთწლიან პაუზად აღინიშნა (რომ არა ვთქვათ - ლამის საბედისწეროც გამოდგა)...

ვიხსენებ: 1976-ში, სტამბულში ყოფნისას, ერთ-ერთ ფართოეკრანიან „პრესტიჟულ“ კინოთეატრში ხმაურიანი რეკლამით უჩვენებდნენ ამერიკულ ფილმს „ტორა, ტორა, ტორა“ - პერლ ჰარბორის ტრაგედიაზე (ეს შარადასავით სახელწოდება - „ტორა, ტორა, ტორა“ იაპონური კოდსიტყვაა და გამოხატავს იმას, რაც ოდენ სრული მოულოდნელობით ხდება. თუმცაღა, „ტორა“ ნიშნავს „ვეფხსაც“, ხოლო ამ ფილმთან დაკავშირებით მასში „შემტევი ელვა“ უფრო იგულისხმება)... რაღა თქმა უნდა, სეანსს დავესწარი, - მეტადრე ვიცოდი, რომ ამ ამბიციური ფილმის გადაღება ჰოლივუდში თავის დროზე კუროსავამ დაიწყო. მაგრამ კინოფირმის ხელმძღვანელობასა და რეჟისორს შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება ვერ მოხერხდა მხარეთა უკომპრომისობის გამო და კუროსავა ჩამოაშორეს სურათის წარმოებას. ფილმი სხვა რეჟისორმა (რიჩარდ ფლეიშერმა) დაასრულა. შედეგიც სათანადო იყო - ფილმს კუროსავას ნახელქმნარისა არა აჩნდა რა...

„ტორა, ტორა, ტორა“, როგორც მოგვიანებით აღნიშნავდნენ, იყო არა მარტოოდენ ხელმოცარვა თუ ჩვეულებრივი მარცხი ან ჩავარდნა, არამედ ნამდვილი ტრაგედია აკირა კუროსავას ბიოგრაფიაში. პერლ ჰარბორი აკი მართლა ყოვლად მოულოდნელ, უმწარეს კვალწაუშლელ საბედისწერო მოვლენად დარჩა როგორც ამერიკელებისათვის, ისე იაპონელთათვის მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში. მის მიმართ გულგრილი არავინ იყო ოკეანის გაღმა-გამოღმა, არც ევროპაში, არც იაპონიაში, - მეტადრე თუ მასთან რაიმე დამოკიდებულებით იხსენებოდა „რასიომონისა“ და „შვიდი სამურაის“ შემოქმედის სახელი...

უამრავი ტყუილ-მართალი იწერებოდა იმჟამად კუროსავასა და ამერიკულ კინოფირმასთან მისი კონფლიქტის გამო მსოფლიო პრესაში. იჩქმალებოდა სიმართლე. არადა, კონფლიქტი აშკარად იდეოლოგიური ხასიათისა იყო. კუროსავა ღრმად იხედებოდა მის ძირებში და შეურყევლად იდგა, არ თმობდა საკუთარ პოზიციას, დაუშვებლად მიაჩნდა პერლ ჰარბორის ტრაგედიის გაზვიადება, მისი არაადამიანურ ზესისასტიკედ წარმოსახვა, რამეთუ ეს ყველაფერი საბოლოოდ ხიროსიმასა და ნაგასაკში თერმო-ატომური შურისგების გამართლებად შემობრუნდებაო...

არ აპატიეს ნამდვილ ჰუმანისტ ხელოვანს იმ მომენტისათვის შორსმჭვრეტელური პრინციპულობა და წრფელი,გულუბრყვილო პირდაპირობა. დაუზოგავად ტრავმირებული იყო კუროსავა - ფიზიკურადაც და სულიერადაც. რაღას არ იხსენებდნენ და აბრალებდნენ. მას უკვე დავრდომილ, დეპრესირებულ, სულიერად დაქანცულ გენიოსადაც აცხადებდნენ და იმავდროულად არც მისი თვითმკვლელობის მცდელობის ფაქტის მრავალგზის გახსენებას ერიდებოდნენ და ფსიქიატრიული კლინიკის მუდმივ პაციენტად მოიხსენიებდნენ, მის შემართებას უკვე წაგებულ ომში მუშტის ქნევად ნათლავდნენ ირონიულად. დიდი კუროსავას შემოქმედებით პოტენციალზე ხელი ჰქონდათ ჩაქნეული ყველას, მტერ-მოყვარეს, ოღონდ არა თავად მას - დაუცხრომელ ხელოვან აკირა კუროსავას.

1969-ში კი კუროსავამ გადაიღო ფერადი ფილმი - საოცრად გულში ჩამწვდომი პოეტურ-ლირიკული „დოდესკადენი“ (ჩვენში გადიოდა დამიწებული სახელწოდებით - „ტრამვაის ბორბლების ხმაურში“)... ფილმს საფუძვლად დაედო მწერალ სიუგორო იამამოტოს მოთხრობის სიუჟეტი - ისევ და ისევ ამ მწერლისათვის დამახასიათებელი „გლახაკთა და უპოვართა“ ცხოვრების მოტივებზე აგებული... რეჟისორი გულისყურს ამახვილებდა ცხოვრებისეული სურათის შთამბეჭდაობაზე, ჭარბად მიმართავდა სიურეალისტური პალიტრის ფერებს, რათა კიდევ უფრო მკაფიოდ და გულშემძვრელად გადმოეცა ის ყოველდღიური ფიზიკური ყოფისა და სულიერების მომშხამველი ღატაკი და ბინძური გარემო, რომელშიც იძულებით არსებობა უხდებოდათ პერსონაჟებს...

კუროსავა მუშაობდა სწრაფად და ხელდაჯერებულად. მან ეს მხატვრული ფილმი სულ რაღაც ცხრა კვირაში გადაიღო! ჰქონდა ამას მნიშვნელობა კინორეჟისორისათვის, რომელსაც ეწადა დაემტკიცებინა საზოგადოებრიობისათვის, რომ კვლავინდებურად უნარი შესწევს და ხელეწიფება, - თუნდაც შეზღუდული ბიუჯეტის პირობებშიც კი, სწრაფად და ეფექტურად მუშაობა...

70-იანის პირველ ნახევარში კუროსავა საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა მოწვევით, როგორც მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის სტუმარი. და მეც, - ფესტივალის პრესცენტრში აკრედიტებულ კინომიმომხილველს, - სწორედ მაშინ მომეცა ბედნიერი მომენტი ფოტოსურათი გადამეღო მისთვის კრემლის ყრილობათა სასახლეში და იქვე „ბლიცინტერვიუც“ ამეღო მისგან...

ვღელავდი. ჩემთვის ნამდვილ ბედისწყალობაზე მეტს ნიშნავდა პირისპირ აღმოჩენა ისეთ იშვიათ ხელოვანთან, როგორიც აკირა კუროსავა გახლდათ, და მასთან, თუნდაც ორიოდე სიტყვით გამოლაპარაკება, მეტადრე, რომ ამ იაპონელ მაესტროს ჟურნალისტები განებივრებული არ ჰყავდა მათთან თავგატოლებით.

ვერ ვიტყვი, მართლა სიტყვაძვირი იყო თუ უებროდ თავდაჭერილი მოუბარი უფრო ეთქმოდა, მაგრამ იმ მართლა „ბლიცშეხვედრაზე“ მე მის გარეგნულ ნიშნებში ხასიათის ამოცნობა მეწადა მეტად. მართალია, მკვეთრად არა, მაგრამ რაღაც თვალშეუდგამად მაინც იგრძნობოდა მისი ელიტარული ბუნება - საუბრის მის ნებაზე წარმართვასა და კილოში, ჟესტიკულაციასა თუ მეტყველ დუმილში, ალბათ - მთლიანად გარეგნობაში. ასეთი ტანასხმული და დახვეწილი მიმოხრის იაპონელი არც კი წარმომედგინა. უთუოდ გამოსჭვივოდა და ილანდებოდა მასში ე.წ ძველი „სამხედრო არისტოკრატიის“ მოდგმა-იერი. ამას კი უფრო იმიტომ აღვნიშნავ, რომ თავად იაპონიაში არაერთგზის გამოუთქვამთ საყვედური კუროსავას ერთგვარი ელიტარულობის გამო, აღნიშნავდნენ მის ნაკლებ დემოკრატიულობას, ქედმაღლობას, ან გარკვეულ სოციალური წარმომავლობის ადამიანებისა თუ ჯგუფისადმი მიკერძოებულ დამოკიდებულებას... შევცქეროდი მას და

თითქოს ყურთ ჩამესმოდა მისი თანამემამულე ერთი თვალმახვილი კრიტიკოსის სიტყვები: „როგორც ამბობენ, კუროსავა, თავადაა მონასტერი საკუთარ პატარა სამყაროში, რომელიც მთლიანად გარიდებულია იაპონელთა უმრავლესობის ყოველდღიურ სინამდვილეს“.

მაშინ საიდან მშობლიური ხალხის ყოფისა და ბრძოლის გულის სიღრმემდე შემძვრელი წარუშლელი ხატი მის შემოქმედებაში? - ო, ყოვლისმხილველო! რატომ ვერ შერიგებია შურითა და ანგარებით გულგასენილი ამასოფლის სიმდაბლე გენიალური სულის ამაღლებას?!.

... დარბაზში ბინდ-ბუნდი წვებოდა და მხოლოდ ახლაღა შევნიშნე, რომ სახე მთლიანად დაღარული ჰქონდა. არა, ეს არ ჰგავდა რაიმე დერმაკოლოგიურ პათოლოგიას. წლოვანებითაც სულ სამოცდასამისა თუ იქნებოდა. და მეჩვენა, რომ თითოეულ ნაოჭ-ღარში განცდილ-გადატანილი სიმწრის კვალი იკითხებოდა... ან, იქნებ, ეს ორი უძველესი, ერთმანეთში შეუღწეველი კულტურის - იაპონურისა და ევროპულის, ორი მკვეთრად სხვადასხვა რასის სისხლაღრევის ცოდვის ქმნით დადაღული ზმანება უფრო იყო...

ინტერვიუ დავიწყე ჯიქურ შეკითხვებით:

- კიდევ რა გენიალურ სიახლეს უნდა ველოდეთ აკირა კუროსავასაგან ახლო მომავლისათვის?

პასუხი:

- კინოსტუდია „მოსფილმი“ მთავაზობს მასთან თანამშრომლობას. ვნახოთ - რა გამოვა. ჯერ-ჯერობით კი, მოლაპარაკებას კარგი პირი უჩანს. იქნებ მოხდეს და მრავალი წლის ნაოცნებარიც განვახორციელო. თუ ჩემ მიერ შეთავაზებულ თემაზე დამთანხმდებიან, ალბათ მალე ხელშეკრულებასაც გავაფორმებთ და მაშინ, სხვებთან ერთად, თქვენ პირველი შეიტყობთ, თუ რით ვიქნები დაკავებული ახლო მომავალში.

მივხვდი, ასე მოკლედ რომ მომიჭრა, განა მარტოდენ დროს ზოგავდა, - პარტნიორთან მოლაპარაკების ეთიკის დარღვევასაც ერიდებოდა.

საუბრის დასასრულს კი შევბედე:

- მოსკოვში კინოფესტივალის დახურვის შემდეგ, სტუმრები, ტრადიციულად, საბჭოთა კავშირში მოგზაურობენ - ვისაც სად სურს. თქვენც ხომ არ აპირებთ, ვთქვათ, საქართველოს მონახულებას, სადაც უთუოდ ძალზე სასურველი სტუმარი იქნებით. იქ მართლა იციან ღირსეული სტუმრის ღირსეულად დახვედრა და დაფასება-მეთქი.

თავი გააქნია და თქვა:

- არა, ამ ფესტივალზე ჩემი ხანმოკლე ყოფნა პრაქტიკული მიზნით უფრო იყო განპირობებული... საქართველოში მიპატიჟებისათვის კი - გმადლობთ!

მალე (სულ რაღაც ორ დღეში) ცნობი-

ლი გახდა, რომ აკირა კუროსავა კინოსტუდია „მოსფილმთან“ თანამშრომლობით ფილმს გადაიღებდა ურალს მიღმა, ნამდვილ ციმბირულ ნატურაზე. ეს იქნებოდა ცნობილი რუსი მკვლევარის - ვლადიმერ არსენევის ავტობიოგრაფიული წიგნის „დერსუ უზალას“ ადაპტაცია.

ფილმი მოსკოვის მორიგ (მგონი - მეცხრე) საერთაშორისო კინოფესტივალზე სენსაციურ აღმოჩენად აღიარეს და იგი ამ დათვალიერების ოქროს პრიზით დაჯილდოვდა, ხოლო ამერიკაში მას კინოაკადემიის „ოსკარი“ მიენიჭა... პრესაში - ჩვენშიც და უცხოეთშიც - არც თუ ცოტა რამ დაიწერა იმაზე, რომ „დერსუ უზალას“ დაბადებაც და მისი საერთაშორისო აღიარებაც მოსკოვის კინოფესტივალის მესვეურთა მიზანდასახულობის გამარჯვების დასტური გახლდათ.

* * *

იმჟამინდელ კინოსამყაროში ნამდვილ სენსაციად, მოულოდნელ აღმოჩენად იქცა, „რასიომონის“ შემდეგ, ფილმ „შვიდ სამურაიში“ კუროსავას რეჟისორული გაქანება, მოვლენათა და მოქმედების ასეთი დინამიკით ჭვრეტა და აგება, მისი ტემპერამენტი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავის დროზე ეს იყო პირველი და უთუოდ ძალზე ნაყოფიერი წარმატებული ცდა ჭეშმარიტად მასშტაბური სანახაობრივი ისტორიულ-სათავგადასავლო ფილმის შექმნისა - ე.წ „კენგეკის“ საოცრად პოპულარულ ჟანრში. თუმცაღა, ამ სურათშივე უკვე თავს იჩენდა კუროსავას აშკარად ირონიული დამოკიდებულება ჟანრის გაქვავებული ტრადიციებისადმი - სტილისტიკისა და დოგმებისადმი.

არ არის შემთხვევითი, რომ თავად იაპონიაში და მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ჩატარებულ პროფესიონალ კინემატოგრაფისტთა და ფართო მაყურებლის გამოკითხვების შედეგად, ფილმი „შვიდი სამურაი“ დღემდე აღიარებულია „კენგეკის“ ყველაზე საუკეთესო ეკრანულ ქმნილებად, რომელიც კი ოდესმე გადაუღიათ იაპონიაში.

თუმცაღა კინო მაინც კინოა და იგი იქმნება სხვადასხვა სახელოვნო დარგის პროფესიონალთა ძალისხმევით. ამჯერადაც რეჟისორს მხარში უდგნენ ნამდვილი თანამოაზრენი, შეიძლება ითქვას - შემოქმედებითი თანამებრძოლები. თითოეული თავისებურად მნიშვენოვალი ხელოვანია. და თვით მათ შორისაც კი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ტოშირო მიფუნე - ალბათ, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი იაპონელი მსახიობი. იგი ამ ფილმში თვითმარქვია, ახალბედა სამურაის როლს ასრულებს. ასახიერებს და მერე როგორ! არა მგონია, რომ თანადროულ კინოხელოვნებაში მოიძევებოდეს სხვა მსახიობი უფრო ღრმა განცდებისა და ბობოქარი ვნებათაღელვისა, მრავალსახა, რომელსაც ემარჯვებოდეს ასე დამაჯერებლად და სარწმუნოდ, უფრო ემოციურად და ამაღელვებლად გარდასახვა ფიზიკურადაც და სულიერადაც.

ტოშირო მიფუნე ლამის იმთავითვე აღიარეს აკირა კუროსავას რეჟისორული ხელოვნების ტოლ და სწორ მსახიობად, როცა მის პირველ ფილმში - „მთვრალი ანგელოზი“ შეასრულა ჭლექიანი, მთელი ქვეყნიერების მოძულე გაბოროტებული განგსტერის როლი. შემდეგ ამას მოჰყვა ვეფხვივით სასტიკი, ცის ელვასავით თავზარდამცემი და დაუნდობელი ყაჩაღის ტაძემარუს სახე ფილმში „რასიომონი“; გულადი და ჯანღონიანი გლეხი ბიჭი, - კიკუშიო „შვიდ სამურაიში“, რომელიც ცდილობს ტოლი არაფერში დაუდოს ნამდვილ სამურაებს; პირქუში დემონური ქეშიკი (პირადი მცველი), რომელიც არავის ინდობს, ხოცავს, ვინც კი სახიფათოა მისი დამქირავებელი-პატრონისათვის („ქეშიკი“ ან „პირადი მცველი“) და ა.შ. დაახლოებით 30-მდე როლი, ყველა კუროსავას ფილმებში. და ფილმიდან ფილმში სწორედ მიფუნეს ეკრანულ ხატთა გარდასახვებში განსაკუთრებული სიცხადით ვლინდება კუროსავა. რამდენჯერ მსმენია ან წამიკითხია: „ბედნიერია მსახიობი, რომელიც ასეთ რეჟისორთან მოღვაწეობს!“ ან „ბედნიერია რეჟისორი, რომელსაც მხარს უბამს ასეთი მსახიობი!“..

და აი, 1965 წლის აპრილში, იაპონიაში შედგა პრემიერა ფილმისა „ჟღალი წვერი“, (ჩვენში შემოვიდა 1966-ში), რომელიც უმალ აღიარეს მსოფლიოში კუროსავას და მიფუნეს მთელი შემოქმედების გვირგვინად. ბოლო ხანს სულ უფრო საგრძნობი იყო, რომ კუროსავას ფილმებში თავს იჩენდა სრულიად ახალი, განსხვავებული ტრაგიკული კონფლიქტი: სულიერება, გმირის ზნეობრივი განვითარება ისტორიულად წინ უსწრებს მის გარემოს, მის დროს და გმირის ხასიათი, შინაგანი ბუნება იხსნება ეპოქასთან თავგანწირულ, უთანაბრო შერკინებაში. ერთი შეხედვით, რეჟისორი თითქოს გულისმომგები უშუალობით, მიამიტი მიმნდობლობით ირჩევს ძველ, მრავალგზის ნაცად, ლამის მთლად გაცვეთილ სიუჟეტს, მაგრამ სწორედ იმით არის განმაცვიფრებელი და აღმაფრთოვანებელი კუროსავას და მიფუნეს ხელოვნება, რომ მათ ხელში ყველაფერი ჩვეულებრივი და არაფრით გამორჩეული მაღლდება და იძენს ესთეტიკური აღმოჩენის ხარისხს.

ასეა „ჟღალ წვერშიც“, ოღონდ ამჯერად ყველაფერი შესრულებელია ჭეშმარიტად განუმეორებელ დიდოსტატურ დონეზე. და მით უფრო აუხსნელი და გამაოგნებელი ფაქტია, რომ ამ ფილმის შემდეგ ტოშირო მიფუნე კუროსავას არც ერთ სურათში აღარ გამოჩენილა. თუმცაღა არავინ იცის - რა მოხდა. არც არავის უცდია აეხსნა, თუ რით იყო გამოწვეული თანამოაზრეთა თხუთმეტწლიანი სისხლხორცეული შემოქმედებითი თანამშრომლობისა და მეგობრობის ასეთი განხეთქილების მსგავსად დაშორება. არა-და, მათი შემოქმედების თითქმის ყველა მკვლევარი თუ კრიტიკოსი ერთხმად აღნიშნავს, რომ კუროსავას კარიერაში ყველაზე ძლიერი პერიოდი იყო 1950-1965 წლები ანუ „რასიომანდან“ - „ჟღალ წვერამდე“, როცა მხარ და მხარ განუყრელად მოღვაწეობდნენ კუროსავა და მიფუნე... მე კი, რატომღაც უფრო გულში ჩამრჩა სიტყვები იაპონელი მსახიობის - ი. ფუძიკისა, რომელიც კუროსავას რამდენიმე ფილმშია გადაღებული მიფუნესთან ერთად. იგი საგანგებოდ აკვირდებოდა თურმე გადასაღებ მოედანზე ორი დიდი ხელოვანის შემოქმედებით ურთიერთობას და თავის დღიურში ჩაუწერია: „ბატონ კუროსავას გული ტოშირო მიფუნეს სხეულში ძგერდა!..“ ეს სიტყვები მიტრიალებდა თავში, როცა ვნახე კუროსავასეული ბოლო შედევრი - „მეომრის ჩრდილი“. ეს იყო 1980-ში კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც ფილმს მიენიჭა ამ დათვალიერების მთავარი პრიზი - „პალმის ოქროს შტო“, ხოლო კუროსავას პრემია „სეზარი“ - ამერიკული „ოსკარის“ ევროპული შესატყვისი - „კინემატოგრაფის განვითარებაში გაწეული მნიშვნელოვანი წვლილისათვის!“ მართლა უმადურობა იქნებოდა, რომ ამ არაჩვეულებრივად შთამბეჭდავ სურათში არ დაგენახათ დიდოსტატი შემოქმედის ღვთიური ნიჭი და მარჯვენა, მაგრამ სურათში არ მონაწილეობდა ტოშირო მიფუნე და, სამწუხაროდ (ან მე მეჩვენა მაშინ ასე) სურათში არ იგრძნობოდა კუროსავას „გულის ძგერა“.

* * *

და ისევ ვუბრუნდები ჩვენი დღევანდელი გადაცემის საფიქრალსა და საწყისს: სიკეთისა და სიმართლის ძიება, რომელიც აკირა კუროსავას მთელი რთული და დაძაბული შემოქმედების ლაიტმოტივად წარმოგვიდგება, „რასიომონში“ და მეტადრე „შვიდ სამურაიში“ გამოხატულია ნათელი ფიქრით, ფიქრით იმაზე, რომ ადამაინი მორჩილი და ძაბუნი ვერ იქნება გარემოებისა, რომ მისი ერთად ერთი უღალატო საყრდენია ღირსება - ადამიანური, კაცურ-კაცური ღირსება ამ უნდო და გაუტანელ, უმადურ და სასტიკ, ხშირად - არაადამიანურ სამყაროში. და სურათის მკვეთრი, თვითმყოფი, ოდნავ პირქუში და, იმავდროულად, დახვეწილი ფორმა ზედმიწევნით შეესატყვისება და გამოხატავს ხელოვანის იმ ზნეობრივ კოდექსს, რომელსაც უკვე რახანია იცავს და ამკვიდრებს გენიალური რეჟისორი აკირა კუროსავა.

ამერიკაში:

ნიუ-იორკში:
164 Brighton 11 St.
Brooklyn NY 11235
Tel: 718-934-1700
Alt: 347-500-5037

ნიუ-ჯერსში:
84 Harbor Drive,
Jersey City, NJ 07305
Tel: 201-333-5555

დელავარეში:
4 Lewis circle
Wilmington, DE 19804
302-930-0705

ფილიალები:
თბილისი
ქუთაისი
რუსთავი
ბათუმი
ფოთი
ბოლნისი
თელავი
მარნეული

Barami
LOGISTICS

Tel: 201-333-5555
www.barami.us

ამანათები

4-5 სამუშაო დღეში
აშშ-დან საქართველოში
ერთი პაუნტი - 2.50$-დან;

ამანათების გამოგზავნა **საქართველოდან**

ავტომობილების

ყიდვა-გაყიდვა
საქართველოსა და ამერიკაში;

ავტომობილის, კომერციული
და პირადი ტვირთის
შიდა გადაზიდვები
აშშ-ში.

ჩვენს საიტზე **www.barami.us**
დარეგისტრირებით თქვენ გაგიადვილდებათ:
- კრედიტ-კარტით გადახდა;
- ამანათის სტატუსის შემოწმება;
- ამანათის ადგილიდან აღების შეკვეთა

www.barami.us
www.baramicar.com
www.facebook.com/Barami.us

ქსენია ტოტონი მანჰეტენიდან

სამი მეჩვენა „ეკლესია“

მანჰეტენის ხმაურიანი ქუჩები, განათებულ ცათამბჯენები, ათასი სჯულის, მრწამსის, ფერის, გამოხედვისა და აზროვნების ადამიანი წარმოუდგენელი სისწრაფით მოძრაობს. ყველა სადღაც მიდის და მირბის, ყველას სადღაც ეჩქარება... რაღაცით მიკროსკოპში დანახულ მოლეკულებს ჰგვანან, საკუთარი „ბირთვის", საკუთარი საქმის ირგვლივ მოძრაობენ...

ეს მანჰეტენის რიტმია... მე კი, ჯერ ისევ თბილისური რიტმით მივაბიჯებ ჩემს პირველ ინტერვიუზე ამერიკაში და ვცდილობ წარმოვიდგინო: რა გზა უნდა გაევლო ოთხმოცდაათიან წლებში, ნავთისა და კვამლის სუნში გახვეული, შეციებული, დამშეული და ჩაბნელებული საქართველოდან ამერიკაში ალალ-ბედზე ჩამოსულ ოცდაერთი წლის ქართველ გოგონას, რომ დღეს კრეატიული მთავარი შეფ-მზარეული და ბროდვეიზე ერთ-ერთი საუკეთესო „ივენთების" კომპანიის დამაარსებელი და მფლობელი გამხდარიყო.

რეცეპტი

ყველა წარმატებულ ადამიანს თავისი წარმატების „რეცეპტი" აქვს. ისინი, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად იმორებენ ერთმანეთს, რადგან წარმატების ფუნდამენტალური კომპონენტები - შრომა, მიზანდასახულობა და იღბალი - ყველა დროისა და ყველა საქმის წარმატების საწინდარია; მაგრამ არის კიდევ რაღაც, რაღაც ინდივიდუალური, რაშიც ადამიანები ერთმანეთს არ ჰგვანან.

თამუ რობინსონი (ივივე თამუნა მახარაძის) შემთხვევაში ეს „რაღაც" კიდევ უფრო საინტერესოა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

ერთმანეთი დანახვისთანავე ვიცანით. არ ვიცი მან როგორ, მაგრამ მე ათას ადამიანში გამოვარჩევდი, იმდენად მკვეთრად გამოხატული ქართული იერი აქვს - ქართული შარმი, რომელსაც, როგორც ჩანს, ამერიკაში ლამის ოცწლიანმა ცხოვრებამ ოდნავაც ვერ დაუკარგა პეწი.

თვალებში თითქმის მთელი სამყარო აქვს... ყველაფერი „იკითხება" - სევდაც, სიხარულიც, დაღლაც, ფიქრსა და შრომაში დათენებული უძილო ღამეები, შეუპოვრობა, მიზანდასახულება, მოთმინება...

ჩემი პირველი შთაბეჭდილება და ვარაუდი, რომ კრეატიული შეფ-მზარეულის მიღმა სხვა შემოქმედებითი ნიჭიც იმალებოდა, მალევე დადასტურდა. ყოფილი მოდელი და დღეს უკვე შემდგარი შეფ-მზარეული ხატავს, წერს, გატაცებულია ინტერიერის დიზაინით. თუ როგორ და რატომ თქვა ამ ყველაფერზე უარი, ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ. ახლა კი ისევ წარმატების „რეცეპტს" დავუბრუნდებით. რეცეპტს, რომელიც იოლი წასაკითხია, მაგრამ ერთეულებს შეუძლიათ მისი რეალურად განხორციელება.

თამუ რობინსონის წარმატების რეცეპტი სამი ძირითადი პუნქტისაგან შედგება, რომელთაც, რასაკვირველია, არაერთი ქვეპუნქტიც გააჩნიათ.

პირველი - მიზანდასახულობაა. ჯერ საკუთარ შესაძლებლობებში გარკვევა; შემდეგ სურვილებში ჩამოყალიბება და ბოლოს შესაძლებლობასა და სურვილზე აღმოცენებულ მიზანზე კონცენტრირება. ეს საკმაოდ რთულია, რადგან პრაქტიკულად უარს ამბობ ყველა სხვა დანარჩენ ინტერესზე; უარს ამბობ დაფანტულობაზე, გარემოზე, ყველაზე და ყველაფერზე, თვით საკუთარ თავზეც კი და ერთადერთ რამეზე ხარ კონცენტრირებული, რაშიც ბოლომდე იხარჯები - ეს შენი მიზანია: კაშკაშა ვარსკვლავი, რომელსაც უნდა მისწვდე, მოწყვიტო და შენად აქციო.

მეორე ნაბიჯი გარემოს „დასუფთავებაა".

არც ეს არის იოლი... უარი თქვა და შენი ცხოვრებიდან გაიყვანო, გაემიჯნო ყველა იმ ადამიანს, ვინც ნეგატიურად აზროვნებს, ვინც ეჭვის თვალით უყურებს შენს მიზანს და კეთილი, პოზიტიური განწყობის ნაცვლად აპოკალიფსურ სურათებს გიხატავს. გეუბნება, რომ უტოპიას ხარ შეჭიდებული და თუ მაინც გარისკავ, „რაუნდს" აუცილებლად წააგებ ცხოვრებასთან, გაკოტრდები, ქუჩაში უსახლკაროდ დარჩები, ვალები დაგახრჩობს, სიკვდილს ინატრებ...

ძნელია ასეთი ადამიანებისგან დისტანცირება, მით უფრო თუ ისინი კეთილისმყოფელის, ახლობლისა და მეგობრის სტატუსს ატარებენ, მაგრამ უნდა შეძლო! სხვაგვარად გარემოს ვერ გაისუფთავებ, რომელიც ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შენი მიზნებისთვის.

მერე იმ დასუფთავებულ გარემოში სიმშვიდე ისადგურებს. სიმშვიდე კი, ბუნების კანონზომიერებით, პოზიტივს იზიდავს და ნელ-ნელა შენ ცხოვრებაც ივსება ახალი, ჯანმრთელი ენერგიითა და პოზიტიურად მოაზროვნე ადამიანებით.

მესამე - ეს მოთმინებისა და ლოდინის, და ამ ლოდინში საკუთარი შეცდომების აღიარების უნარია, რომელიც, თუ დაბადებიდან თანდაყოლილ ნიჭად არ დაჰყვა ადამიანს, ის აუცილებლად უნდა გამოიმუშავოს. სხვაგვარად აბსურდია ყოველგვარ წარმატებაზე საუბარი, მაშინაც კი, თუ ადამიანს მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა არ აკლია.

ყველაფერს თავისი დრო აქვს, - დრო, რომელსაც ვერ დააჩქარებ!

ის ხდება მაშინ, როცა უნდა მოხდეს.

ქართული ნიგოზი და სამი ამერიკული „კაკალი"

ადამიანებს გვიყვარს საკუთარი წარუმატებლობის - უიღბლობისთვის, სხვების წარმატების კი - იღბლისთვის „გადაბრალება". რასაკვირველია, საჭირო დროს, საჭირო ადგილზე ყოფნა, წარმატების ერთ-ერთი საწინადარია, მაგრამ ერთ-ერთია და არა ერთადერთი.

თამუნას სამ ამერიკული „კაკალში", ნამდვილად არ ყოფილა არც საბალ-მასკარადე კაბა, არც ოქროს „კარეტა" და არც

გზის ■
დასაწყისში



ბედნიერი ბავშვობა

■ დედა სტუმრად

მფრინავი რაშები... სამი შანსი იყო, სამ შტატში, სამ ქალაქში და თამუნამ სამივე ზუსტად და მაქსიმალურად გამოიყენა.

ჩიკაგო

ჩვიდმეტი წლის წინ... ოცდაერთი წლის თამუნა მახარაძე მეგობართან ერთად გამურული, ჩაბნელებული და გაჭვარტლული თბილისიდან მოდის და ამერიკაში პირველი ნაბიჯის დადგმისთანავე, ჯერ კიდევ აეროპორტში აცნობიერებს, რომ არა მხოლოდ გარეგნულად, ურთიერთობის ფორმებითაც, აბსოლიტურად განსხვავებულ სამყაროში მოხვდა. იქ, სადაც, რაც არ უნდა სასურველი სტუმარი იყო, შეიძლება მასპინძელმა დახვედრა ვერ შეძლოს, რადგან იმ მოცემულ მომენტში ის მუშაობს. მაშინ ძალიან გაუკვირდა, ახლა კი, ზუსტად იცის, რომ დრო ყველაზე მთავარია, ყველაზე დიდი სიმდიდრეა, რომლის რაციონალურად გადანაწილების გარეშე არც სიმდიდრე მოდის, არც სტაბილურობა და არც წარმატება.

დროსა და გარემოში ადაპტირებას არ დალოდებია. მეორე დღესვე დაიწყო სამუშაოს ძებნა. ახლაც ღიმილით ახსენდება თავისი პირველი „ქასთინგი“, როცა ლამის ლანდგასულ აღნაგობაზე, არც მეტი არც ნაკლები, განუცხადეს, რომ მეტისმეტად ტანსრული იყო მოდელობისათვის.

რასაკვირველია, გული დაწყდა და ალბათ, პირველი იმედგაცრუების შემდეგ ჩუმად იტირა კიდეც, მაგრამ ბრძოლის უნარი არ დაუკარგავს. მეორე უიღბლო ცდამაც ვერაფერი დააკლო მის მიზანდასახულობას და მესამედ უკვე ბედმა მასაც გაუღიმა და იმ საგენტოსაც, რომელმაც „ლევისის“ ჯინსების ჩვენებაზე კონტრაქტი გაუფორმა.

პირველი ჩვენების ჰონორარი ქართული „პარამეტრებით“ იმდენად მაღალი იყო, კარგა ხანს არც თვალებს უჯერებდა და ვერც გონებას აჯერებდა. შემდეგ ჩვენებებმაც იმატა და შემოსავალმაც, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ გააცნობიერა, რომ მოდელის პროფესია, მით უფრო ემიგრანტისათვის, სტაბილურობის გარანტი ნამდვილად ვერ იქნებოდა და ბავშვების აღმზრდელად დაიწყო მუშაობა ერთ არაჩვეულებრივ ოჯახში. ბავშვების დედას, მოქმედ მოდელს, რამდენჯერმე იმის მცდელობაც კი ჰქონდა, საკუთარი შვილების მომვლელი კვლავ სამოდელო კარიერაში დაებრუნებინა. მაგრამ თამუნამ ზუსტად იცოდა, რომ სამოდელო სამყაროში მან თავისი შესაძლებლობები და ინტერესები უკვე ამოწურა და ახალი ეტაპი უნდა წამოეწყო.

რა იყო ეს ახალი საქმე და ახალი ეტაპი ჯერ არ იცოდა, მაგრამ სამი წლის შემდეგ მიხვდა, რომ ამ „ახლის“ ძიებისთვის ახალი გარემო, ახალი მოცემულობა იყო საჭირო.

ბარგი ჩაალაგა, დანაზოგი თანხა ჯიბეში ჩაიდო, გულთბილად დაემშვიდობა ოჯახსაც, ჩიკაგოსაც და ბედის საძებნელად ფლორიდაში ჩავიდა - გაურკვეველ მომავალში, რომელიც ახლის ძიებით შეპყრობილს ანდამანტივით იზიდავდა.

რამდენიმე თვეში მიხვდა, რომ ის „ახალი" რაღაც კი არა, ვიღაც იყო... ფლორიდაში შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს. იქორწინეს და მალევე დადგა მეორე ამერიკული „კაკალის გატეხვის" დროც.

კონექტიკუტი

უზარმაზარი ვილა. მილიონერების საცხოვრებელი. ორმოცდათოთხმეტი ოთახითა და ულამაზესი ინტერიერით. სამსახური წყვილებისათვის. ორი ქართველი - ქალი და ვაჟი. ორივე თავდაუზოგადავად მუშაობს. ანაზღაურება კარგი აქვთ და რაც მთავარია, ერთად არიან - სხვისი, მაგრამ მაინც ერთი ჭერის ქვეშ.

დიასახლისში აქაც გაუმართლა. მან მალევე აღმოაჩინა,რომ თამუნაში ტიპიური მზარეულის მიღმა საოცარი ნიჭი იმალებოდა. ნიჭი, რომელსაც გამომზეურება, ხელის შეწყობა და დახელოვნება სჭირდებოდა. დიასახლისი, რომელიც თავადაც გატაცებული იყო კულინარიით, ამერიკის საუკეთესო შეფ-მზარეულებს იწვევდა სახლში და ისინიც, რასაკვირველია, კოლოსალური გასამრჯელოს სანაცვლოდ, ფრანგული კერძების საიდუმლოს აცნობდნენ და ასწავლიდნენ თამუნას.

იყო დიდი სტუმრიანობაც და თამუნას ნახელავით აღფრთოვანებულთა აღტაცებული შეძახილებიც...

თამუნას ჯადოსნური ხელების ამბავმა მალევე მიაღწია ახლო-მახლო მცხოვრები მილიონერებისა და საგენტოების ყურამდეც. რამდენიმე თვე პარალელურად, ცნობილი დიზაინერის, ტომი ჰილფიგერის ოჯახშიც მუშაობდა. ყველა კმაყოფილი იყო, ყველა აღფრთოვანებული - დამკვეთიც, შემსრულებელიც და დამგემოვნებელიც... მაგრამ, წლების შემდეგ, ისევ შეახსენა თავი რაღაც ახლის ძიების სურვილმა, რაღაც უფრო მეტის შექმნის სურვილმა, ვიდრე აქამდე ჰქონდა. ამჯერად უკვე საკუთარისა და დამოუკიდებლის. პარალელურად, პირად ცხოვრებაში პრობლემებიც გაჩნდა და ფსიქოლოგიურად ურთულესი ეტაპიც დადგა.

შვიდწლიანი ქორწინება დასრულდა. თამუნა ფიქრობს, რომ საკუთარი წარსული ადამიანმა არ უნდა „დაამონტაჟოს" და თუ მაინც აღმოჩნდება ამის აუცილებლობის წინაშე, არ უნდა ამოჭრას საკუთარი ცხოვრებიდან საუკეთესო კადრები, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი უსასრულოდ არ გაგრძელდა...

შვიდი წელი - არც შვიდი დღეა და არც შვიდი საათი, ეს მთელი ცხოვრებაა და დღეს, მადლობელია უფლის იმ დიდი სიყვარულისთვის, რომელიც მას ჰქონდა და რომლითაც ის უყვარდათ... რაც მთავარია, მას მუდმივად ახსოვს, რომ თუ რაღაცას კარგავს - ნივთიერს, თვლადსა თუ უთვლადს - ეს ახლის პოვნის საწინდარია.

ნიუ-იორკი

არ ვიცი საიდან მოდის, მაგრამ ჩვენში იტყვიან ხოლმე - „მესამე და სამართალიო". სამართლიანობა და იღბალი არც პირველ და მეორე შემთხვევაში აკლდა, მაგრამ მესამე ამერიკული „კაკალი", ანუ ნიუ-იორკი, მართლაც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

ჩვენი საუბრის მნიშვნელოვან მომენტებს ფურცელზე ვინიშნავდი და ახლაც, როცა ამ წერილს ვწერ, ყველაზე მეტად თვალში ის უზარმაზარი ძახილის ნიშანი მხვდება, რომელიც ერთადერთი სიტყვის - გარდატეხის - გასწვრივ დამიწერია.

თამუნა მართლაც საინტერესო რესპონდენტი და მოსაუბრეა, მაგრამ უნდა ვაღიარო, ყველაზე დიდი ინტერესითა და მოუთმენლობით იმ მომენტს ველოდი, როცა გავიფიქრებდი: აი, აქ მოხდა მისი გარდატეხვა! და ეს მომენტიც დადგა...

ნებისმიერი ნიჭი უფლის საჩუქარია. საჭირო დროს საჭირო ადგილზე მოხვედრა კი - იღბალია. ის, რომ შრომა გიყვარს და უზენაესისგან ნაბოძებ ნიჭს ემსახურები, არც ეს მიკვირს და არც ის, თუკი გონება გეყოფა საიმისოდ, რომ საჭირო ადგილზე და სასურველ დროში აღმოჩენილი დროსაც და გარემოსაც შენი ინტერესების სამსახურში ჩააყენებ... მაგრამ, ცხოვრებში დგება გადამწყვეტი მომენტი, როცა გადაწყვე-

ტილებას მხოლოდ შენ იღებ! როცა არსებითი აღარც შენი ნიჭია, აღარც გარემო და აღარც შრომისუნარიანობა.

... ვცდილობ ისევ წარმოვიდგინო: მაღალანაზღაურებადი სამსახური, რომელშიც გრძნობ რომ საკუთარი თავი ამოწურე... დანგრეული პირადი ცხოვრება, რომლის ნანგრევებიდანაც, რაც უნდა მოინდომო, უვნებელი ვერ გამოხვალ... რა შეიძლება ამ დროს ქალმა მოიმოქმედოს?

რატომღაც ვფიქრობ, რომ ბევრი ვერ მოიფიქრებდა, ბევრი ვერ შესძლებდა... პირველი, რაც თამუნამ გააკეთა იყო ის, რომ დამოუკიდებლად დაიწყო ცხოვრება. წამოვიდა მაღალანაზღაურებადი სამსახურიდან, რომელსაც, ალბათ, ბევრი ვერ შეელეოდა. შემდეგ გაყიდა დიასახლისის მიერ ნაჩუქარი ძვირადღირებული „ჯიპი". თანხა წლობით დაგროვილ დანაზოგს დაუმატა, ორმოცი ათასი დოლარი გადაიხადა და მანჰეტენზე, მსოფლიოში ცნობილ ფრანგულ კულინარიის ინსტიტუტში დაიწყო სწავლა.

ცხრა თვე თავდაუზოგავად სწავლობდა, არც დღე იცოდა, არც ღამე, არც ძილი, არც დასვენება... პარალელურად მუშაობდა პირად მზარეულად ცნობილი ამერიკელების ოჯახებში. სახლიდან დილის 6 საათზე გადიოდა. ჯერ სამსახური, მერე ინსტიტუტი, მერე ისევ სამსახური. ღამის პირველ საათამდე ძლივს ახერხებდა შინ დაბრუნებას. ასე გრძელდებოდა... ასე გრძელდებოდა 9 თვე.

საქართველოში დარჩენილი დედა კი დარდობდა... უკვირდა და ვერაფრით აეხსნა, რატომ თქვა სხვა დანარჩენზე უარი. რატომ აირჩია და რატომ გადაიხადა ასეთი კოლოსალური თანხა მისმა ქალიშვილმა სადილების მომზადების სწავლაში, მაშინ, როცა საქართველოში თითქმის ყველა ქალი დიასახლისია.

დედამ პასუხი მოგვიანებით, წლების შემდეგ, გაიგო. სულ რამდენიმე თვის წინ, როცა საკუთარი თვალით ნახა ბროდვეიზე, კრეატიული შეფ-მზარეულის საოცარი სამყარო და წარმატებული კომპანია.

ფინალისტი

მშობლების მესამე შვილია. ორი გოგოს შემდეგ დაბადებული მესამე გოგო. ბუნებრივია, იყო ბიჭის მოლოდინი და სურვილი... „დაბადებამდე დათო მერქვაო" - ამბობს ღიმილით და იხსენებს...

მამაზე წარსულში საუბარი უჭირს. ალბათ, ბავშვობაში ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ გავიდოდა დრო და მამას წლობით, ათასობით კილომეტრებით დაშორდებოდა. ეს კილომეტრები მხოლოდ გეოგრაფიულ ადგილმონაცვლეობას გამოხატავენ, შინაგანად - წამითაც არა დაშორებია. ახლაც კი, როცა იგი ამ ქვეყნად აღარ ეგულება, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მამა მუდმივად მასთანაა, მასთან ერთად ცხოვრობს, ამხნევებს, ასწავლის, სტიმულს აძლევს...

კულინარიაც მამამ შეიყვარა. ჯერ კიდევ პატარას, იმდენად პატარას, რომ გაზქურას ვერ წვდებოდა, პატარა სკამზე შემოასკუპებდა, ადულებული წყლით სავსე ქვაბს თავსახურს ახდიდა და ასწავლიდა - როგორ უნდა გაეტეხა კვერცხი, როგორ მოეხარშა თოლხოდ ისე, რომ გავარვარებული წყალში ფორმა არ დაეკარგა.

ალბათ, მაშინ, როცა გაზქურას ვერც კი სწვდებოდა, ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ კულინარიაში არსებობს იმაზე დიდი სასწაულები, ვიდრე კვერცხის მოხარშვა;

ვერ წარმოიდგენდა, რომ ამ სასწაულების ხელოვნებას იმდენად კარგად დაეუფლებოდა, რომ მისი ოსტატობის მესაიდუმლე და მაყურებელი მხოლოდ მამა და გაზქურა აღარ იქნებოდნენ;

ვერ წარმოიდგენდა, რომ სამი ათეული წლის შემდეგ, ტელე-ეკრანებთან დაჯდებოდა მილიონობით ამერიკელი, რადგან Food Network-ზე ცნობილი გადაცემის Chopped-ის ფინალს უჩვენებენ - ფინალს, რომლის ფინალისტიც თამუ რობინსონი გახდა.

მძიმე ზაფხული ჰქონდა. რამდენიმე თვით ადრე Food Network-ის აპლიკაცია შეავსო. ისე, სხვათაშორის, დაახლოებით ის მოლოდინი ჰქონდა, რაც ადამიანებს აქვთ ხოლმე ლატარიის ბილეთის ყიდვის დროს. სადღაც, ერთ მილიონედ პროცენტს ყველა უშვებს, რომ ჯეკპოტს მოიგებს. ამ პოპულარულ არხზე და გადაცემაში მოხვედრაც ასეთი შანსებითაა გაიგივებული.

მერე საქართველოში წამოვიდა, მამა უკვე მძიმედ იყო ავად. შემდეგ კიდევ უფრო მძიმე პერიოდი დაუდგა: მამის დაკარგვა, დაკრძალვა და უდიდეს ტკივილთან და სიცარიელესთან ერთად, ისევ ამერიკაში დაბრუნება.

რამდენიმე თვეში დაურეკეს ტელეკომპანიიდან.

დაუჯერებელი იყო, მაგრამ დაურეკეს.

დაუჯერებელი იყო ისიც, რომ ფინალამდე მივიდოდა, მაგრამ მივიდა.

- თხუთმეტი საათის განმავლობაში მიდიოდა ტელეგადაცემის ჩაწერა;

- თხუთმეტი საათის განმავლობაში შეუსვენებლად უჩვენებდა ცნობილ ექსპერტებს საკუთარ ოსტატობას.

თავისთავად ის ფაქტი, რომ ამ გადაცემაში მოხვდე, უკვე დიდი მიღწევაა. ფინალისტობა კი - უკვე დიდი აღიარება. ასე ფიქრობდა თამუნაც, თუმცა დღეს ფიქრობს, რომ საბედისწერო შეცდომაც - მხოლოდ ფინალისტი რომ გახდა და არა გამარჯვებული - სწორედ იქ დაუშვა, რომ ასე ფიქრობდა.

დღეს უკვე ზუსტად იცის, რომ გამარჯვებისთვის ბოლომდე უნდა იბრძოლო, მაშინაც კი, თუ ბრძოლის ველზე გასვლა უკვე მიღწევადაა მიჩნეული.

არ ვიცი, რამდენჯერ გაახსენდა მამა იმ თხუთმეტი საათის განმავლობაში, როცა კამერების წინ ზე-პურ აუდიტორიას საკუთარ ოსტატობას უჩვენებდა, მაგრამ როცა ამ ყველაფერს მიყვებოდა, თვალწინ გამუდმებით ის პატარა გოგო მედგა, სკამზე შემოსკუპებულიც ძლივს რომ წვდებოდა გაზქურას, მაგრამ მამა ედგა გვერდით.

მამა, რომელიც სულ სხვა „საზომით“ ზრდიდა, სულ სხვა „სიმაღლეში“...

და იმ დღესაც, გადაცემის ჩაწერის დროს, მგონია რომ მასთან ერთად იყო. სულ სხვა სამყაროდან და სულ სხვა სიმაღლიდან. სხვაგვარად ფინალში ვერ გავიდოდა...

პატარძალი სამზარეულოდან

ახლა მხოლოდ ფრანგული სამზარეულო არ უყვარს, მეუღლეც ფრანგი ჰყავს. პირველ რიგში მეგობრები არიან, თანამოაზრეები, პარტნიორები. კომპანიაც ერთად დაარსეს. ამბობს, რომ მეუღლის თანადგომა მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი და სტიმულის მომცემია. მართალია, თამუნას მეუღლესათვის მზარეულობა და ზოგადად სამზარეულო, მანამდე ინტერესების სფეროს არ წარმოადგენდა, მაგრამ დღეს მეუღლის პროფესიიდან გამომდინარე, ამასაც ითავსებს.

რამდენიმე წლიანი ურთიერთობის შემდეგ ოფიციალურად სექტემბერში იქორწინეს. პრაქტიკულად, ქორწინების ცერემონიალი დედას მიუძღვნა, დედას „აჩუქა“

■ კადრი ამერიკული ეთერიდან

ალმოჩენები, ძიებანი...

■ ნიუ-იორკის მარათონის მონაწილე

დაბადების დღეზე, რომელმაც უამრავი დაბრკოლების შემდეგ, როგორც იქნა მოახერხა ამერიკაში ჩამოსვლა - საკუთარი თვალით ნახა ის, რაზეც აქამდე მხოლოდ გადმოცემით იცოდა.

ახლა დედაც აღიარებს, რომ თამუნამ იცის და შესძლო ის,რაც ტიპიურმა დიასახლისებმა არ იციან და რასაც ტიპიური დიასახლისები ვერ აღწევენ. თამუნა ამბობს, რომ ამერიკაში გატარებული თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ყველაზე ბედნიერი ის ორი თვე იყო, როცა დედა გვერდით ჰყავდა.

რაც შეეხება ქორწილის ცერემონიალს - იგი კომპანიის ახლოს მდებარე ნეფე-დედოფლის საყვარელ რესტორანში გამართა, საიდანაც პატარძალი თავისი თეთრი კაბით ორჯერ „გაიპარა“,დახედა საკუთარ კომპანიას, ნახა როგორ მუშაობდნენ მისი მზარეულები და გულდამშვიდებული დაუბრუნდა პატარძლის ამპლუას.

ბედნიერია საკუთარი არჩევანით.

მათი თანაცხოვრებიდან ერთი ასეთი საინტერესო დეტალმა მიიქცია ყურადღება. როცა მეუღლემ დაუსვა კითხვა: რა უნდა და რისი გაკეთება სურს, თამუნამ უპასუხა:

- ძალიან მაინტერესებს ფრანგული სამზარეულო... ინტერიერის დიზაინი... ხატვა... წერა...

მეუღლემ ბოლომდე მოთმინებით მოისმინა და ბოლოს უთხრა: ახლა მაგ შენი მრავალფეროვანი ჩამონათვალიდან ყველაფერი გვერდით გაწიე, სასურველი საერთოდ მოიშორე, დატოვე მხოლოდ ერთი. ჩაიცვი მხოლოდ ერთი „უნიფორმა“ და რომელსაც ჩაიცმევ, გახდი ის!

თამუნამ შეფ-მზარეულობა აირჩია.

არ იცის რა იქნება ხვალ...

შეიძლება ხვალ ახალი ინტერესები გაუჩნდეს, მაგრამ ერთი რამ ზუსტად იცის: შეფ-მზარეულის ხალათს მანამდე არ გაიხდის, ვიდრე ბოლომდე არ ამოწურავს, თუმცა არც იმას დაუშვებს, რომ ტანზე „შემოაცვდეს“.

ელგა ფოლადიშვილი

P.S. საუბრის დასრულების შემდეგ ისევ მანჰეტენის ხმაურიან ქუჩებს გავუყევი. ისევ ჩემი, ჩვეული თბილისური რიტმით და უცებ გავაცნობიერე, რომ რაღაც ძალიან მიხაროდა.

მიხაროდა რაღაც, იმის გარდა რომ ერთი საოცრად საინტერესო, კარგი და წარმატებული ადამიანი გავიცანი...

ამ „რაღაცას“ სტიმული ჰქვია, სტიმული რომელიც გადამდებია, თუკი შინაგანად მზად არის ადამიანი მის მისაღებად და იმედს ვიტოვებ, რომ იგი ამ ჟურნალის მკითხველამდე, ქართველ ემიგრანტებამდე-ბამდეც მიაღწევს...

■ პატარძალი

გიორგი კაკაურიძე

აპირებთ დაქორწინებას?
ან გსურთ რომ საკუთარ თავს, ან მეგობარს საჩუქარი გაუკეთოთ და შეიძინოთ სუფთა და ხარისხიანი ბრილიანტი ან ბრილიანტით გაწყობილი სამკაული ან ბეჭედი ოქროში?

გთხოვთ მობრძანდეთ
55 West 47th Street, Mezz 330
New York, NY 10036

ან დაგვიკავშირდეთ: 646-755-4591
ჩვენ შეგვიძლია დაგიმზადოთ ბეჭედი ან სამკაული თქვენი გემოვნებითა და დიზაინით.
გარწმუნებთ, ჩვენი ფასები საგრძნობლად მისაღები იქნება თქვენთვის.

144 E44th street
New York, NY 10017

212.922.1722

ასევე ამეთვრე და ფეინსე ნიუ-იორკში სპეკტაკლის ფინანსური სპონსორი სტუდენტის ნოდეგ:



მე ნაცვა კუხიანიძე:

ღვინო აბამიძეს დეპპრესია, ხომ მსახიობი გავხდებოდი!

- ნუცა!

პასუხი არ არის.

- შენ პატარა ხარ, ჯერ ვერ ხვდები რამხელა მნიშვნელობა აქვს ამას!

- არ მინდა!

- გიო არაჩვეულებრივი რეჟისორია. იცი ვისთან ერთად უნდა ითამაშო? ამ ხალხის გაცნობა მაინც არ გინდა?

- არა!

არა, მეგობარო!!!

მიუხედავად იმისა რომ ნუცას იმ დროისთვის მსახიობობა სენივით ჰქონდა შეყრილი და თავის „დასის" დახმარებით, გამუდმებით სპექტაკლებს მართავდა, ფილმში გადაღებაზე მაინც ვერ დაიყოლიეს. ეს გაუცნობიერებელი შიში იყო, თამაში მთავრდებოდა და ცხოვრებაში ნამდვილი კინოკამერა და მსახიობები უნდა შემოსულიყვნენ.

ნუცას ის ფილმები აჩვენეს, რომლებშიც მისი მომავალი პარტნიორი თამაშობდა. ცხრა წლის გოგონა გაოცებული დარჩა და საბოლოოდ, გიო მგელაძის „არა მეგობაროში" მონაწილეობაზე დათანხმდა. მთავარმა მოქმედმა გმირმა კი აშკარად მოხიბლა. ეს ლევან აბაშიძე იყო.

ნუცა რეჟისორმა ლევანის გასაცნობად წაიყვანა: „ნახატივით მახსოვს ფერები, ეზო მწვანეში იყო ჩაფლული, სახლის კარი გაიღო და გამოვიდა ახლად გაღვიძებული ლევანი, - თმაჩეჩილი, საცვლით და გამწვანებული ეზოსფერი მაისურით."

ამ დღის შემდეგ მეგობრობა დაიწყო, რაც უთავბოლო სეირნობას, სახინკლეების შემოვლას და სტუმრად სიარულს გულისხმობდა. ნუცას ცნობიერებაში რაღაც ძვირფასი ილექებოდა. ამაყობდა, რომ გაიცნო, უყვარს და ასე იქნება მთელი ცხოვრება.

ნუცას სცენები თამაშ-თამაშში გადაიღეს, ყველაფერი ბუნებრივად ხდებოდა. ცხრა წლის გოგონას ძალიან მოსწონდა გადაღების პროცესი: ჩართული კამერა, ხალხი, მუხტი. გადაღებები დიდხანს გაიწელა, ხან რაღაც აკლდათ, ხან ერთი აგვიანებდა ხან მეორე. ნუცას დედა გიო მგელაძეს აფრთხილებდა, მალე დაამთავრე, ნუცა ამერიკაში უნდა წავიყვანოო.

დაიწყო ზაფხული, - აგარაკების სტიქია. ნუცა ოჯახთან ერთად ახალდაბას ეწვია. ლევან აბაშიძესთან მეგობრობა კვლავ გრძელდებოდა, ის ხშირად სტუმრობდა პატარა პარტნიორის საზაფხულო სამყაროს. ნუცას სამყაროში კი, მართალია, გაუაზრებელი, მაგრამ პირველი სიყვარული უკვე იყო. ლევანის ამოსვლა და შემდეგ წასვლა ბავშვისთვის უცხო გრძნობით შეპყრობილ ნუცას გულს უჩქარებდა და იმ დღესაც, როდესაც გაიგო ლევანი ჩამოვიდაო, აჟიტირებულმა ჩაირბინა კიბე, მერე ეზო და... ლევანი შეყვარებულთან ერთად

ესტუმრა ახალდაბაში დაბინავებულ ოჯახს.

ნუცა თავის ოთახში ჩაიკეტა და მის წასვლამდე სტუმრებთან აღარ გამოსულა. უფროსები ხვდებოდნენ რაშიც იყო საქმე, - ნუცამ იეჭვიანა.

„ფანჯარასთან ვიდექი, დარაბების ღრიჭოდან ვხედავდი ლევანს, რომელიც ხელს მიქნევდა და მემშვიდობებოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერ მხედავდა: ნუცა! დაბადების დღეზე აუცილებლად ამოვალ! - მითხრა და წავიდა. ამის მერე აღარ მინახავს, ექვსი სექტემბრის შემდეგ, კი აღარც არავის. ის დრო იმ ფერებში მახსოვს, როგორი ესთეტიკაც არის „არა, მეგობარო!.."-ში."

ნუცა სკოლიდან გამოიყვანეს. პირველი შოკი - ძვირფასი ადამიანის დაღუპვა 9 წლის ასაკში განიცადა. და ლევანს დაჰპირდა: მე აუცილებლად გავხდები მსახიობი.

ANOTHER GEORGIA

ერთ დროს ტელევიზორში ნანახი ამერიკა, ახლა ნუცას სახლი უნდა გამხდარიყო. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება - ეს იყო დისნეილენდი, მიკი მაუსის ჭიქა, რომელიც ჩასვლისთანავე შეიძინა. კიდევ იყო „რუსალოჩკას" ტორტი. ზაფხული და დიდი ცისფერი აუზი. ეს ყველაფერი თბილისური ერთფეროვნების შემდეგ ხდებოდა. ომი, დათრგუნული ხალხი და გაჭირვება: „მახსოვს, ბაბუაჩემმა რომ „აუდი" იყიდა, იმ დროს ეს ერთ-ერთი პირველი უცხოური მანქანა იყო ქალაქში. ოჯახში დიდი ამბავი ატყდა, ჩვენ რატომ უნდა გვყავდეს კარგი მანქანა, როცა სხვებს საჭმლის ფული არ აქვთ! დღის სინათლეზე „აუდი" ერთხელაც არ გამოგვიყვანია, თვალშისაცემი რომ არ ყოფილიყო. მხოლოდ გვიან ღამით ბაბუა მანქანაში ჩაგვსვამდა და ქალაქს წრეს ვურტყამდით."

ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ატლანტა კულტურული შოკი იქნებოდა. თუმცა, ყველაფერი წინ იყო. ნუცა სკოლაში მიიყვანეს, სადაც ერთი უცნაური რამ აღმოაჩინა: ამერიკა სულაც არ ყოფილა „ამერიკა“.

სკოლაში ჯინსებით და მაისურით მივიდა. მეორე დღესაც იგივე ეცვა; ამერიკელმა თანატოლებმა ნუცა აითვალწუნეს, ფული არ გაქვსო, დასცინოდნენ. მერე იყო ენის ბარიერი: სიტყვა შეეშლებოდა თუ არა, მთელი კლასი სიცილს იწყებდა. ტიპიურ თბილისურ გარემოში გაზრდილი, ვერაფრით ხვდებოდა სად მოხვდა, რატომ ხდებოდა ასე. არადა, ქართულ სკოლაში სწავლის დროს, ყველა ახალ კლასელს უცხოობას უადვილებდა, ახლა კი თავად აღმოჩნდა უცხო და, აქედან გამომდინარე, უცნაური და მარტოსული. ყოველი დღე ტირილით მთავრდებოდა - არ მინდა აქ ცხოვრება! ნუცა თავის სამყაროში ჩაიკეტა. კლასში თვითდამკვიდრების მცდელობა კრახით დასრულდა, რადგან ნუცამ გამოაცხადა, მე ფილმში ვარ გადაღებულიო. ახლა ამაზე დასცინეს - ეს მატყუარაც ყოფილაო. მერე თქვა, ბებიაჩემი თავადი იყო და ჩვენ სასახლეც კი გვაქვსო. ეს ზღვარს გადასვლად შეაფასეს და მასწავლებელმა სკოლაში ნუცას დედა დაიბარა: თქვენი შვილი ავად არის, ქრონიკულად იტყუება!

ახლა უკვე ყველაფერს ებრძოდა და არაფერი მოსწონდა. ამას ისიც დაემთხვა, რომ ზამთარ-ზაფხულ დედას თბილისში ჩამოჰყავდა ხოლმე, სადაც ენერგიით ივსებოდა და პირველი კვირის მანძილზე, ყოველ დილით სიზმარში ეგონა თავი. ისევ ამერიკაში დაბრუნებულს, თავისიანებთან გატარებული დღეები, გარკვეული დროის მანძილზე ჰყოფნიდა.

და აი, ძლივს! კლასში ახალი ბავშვი გადმოვიდა, ბრაზილიელი, რომელიც ანალოგიურ ქარცეცხლში გაატარეს. ნუცა მაშინვე დაუმეგობრდა, რომ წყენა შემსუბუქებოდა ბრაზილიელს და თითქმის დღე არ გავიდოდა, ერთად რომ არ ყოფილიყვნენ. დაიწყო საიდუმლოებების გაცვლა, ხალისიც თავისით მოვიდა.

არდადეგები ახლოვდებოდა. მეგობრები ერთმანეთს ატირებულები გამოეთხოვნენ. დაბრუნებულმა ნუცამ კი, კიდევ ერთი შოკი მიიღო - ბრაზილიელი მეგობარი ახლა უკვე ჩინებულად მორგებოდა კლასის სიტუაციას და ნუცას ზედაც არ უყურებდა. ერთადერთი საყრდენი თოთხმეტი წლის ნუცასთვის ისევ თავისი ქვეყანა იყო: რაც უნდათ, ის თქვან ჩემზე; მერე რა, დამცინონ, ჩემი სამშობლო ხომ მაინც სხვაგან არის.

„დაკარგული კოცნები“

ნუცაც ადამინების იმ რიცხვს ეკუთვნის, ვის ცნობიერებაშიც ძეფირელის „რომეო და ჯულიეტამ“ სიყვარულზე წარმოდგენა მთლიანად შეცვალა. ამ მაგიურ ამბავს ისეთი ზემოქმედება მოუხდენია, რომ ეს ფილმი ნუცას დიდ ოჯახში ბავშვებისთვის დღემდე იკრძალება.

ამ დღიდან, რეალობა თავგანწირული სიყვარულის იდეას გაემიჯნა. თან ზაფხულია, თან ნუცა საყვარელ თბილისშია. მეგობრები მოგროვდნენ და ნუცას ირგვლივ შემოკრებილები სტუმრად მიდიან.

- ნუცა! - ეუბნება ერთერთი, - იქ მოვა ცუდი ბიჭი, უზრდელურ სიტყვებს ამბობს და სულ ქუჩაში დგას, იცოდე არ მოგეწონოს!

- რატომ უნდა მომეწონოს? - დაეჭვდა ნუცა.

- იმიტომ, რომ ძალიან ლამაზია.

ბიჭი შემოსული არ იყო, რომ ნუცამ თავისი განცდების რეალიზებისთვის საუკეთესო ობიექტი აღმოაჩინა. არადა, მეორე დღეს ამერიკაში ბრუნდებოდა. ჩასვლის დღიდან მთელი ერთი წლის მანძილზე „რომეოს“ გმირს ქმნიდა და ხვეწდა: ალბათ ამ შემთხვევაში ასე მოიქცევა, ალბათ ასე იტყვის. მოკლედ, ერთ წელიწადში იდეალური ადამიანი გამოიძერწა.

თბილისში დაბრუნება და სატელეფონო საუბრების დაწყება ერთმანეთს დაემთხვა. უგონოდ შეყვარებულებმა არავის მოუსმინეს, არც ანგარიში გაუწიეს ვინმეს და იქორწინეს.

ცხოვრება ჩვეულებრივი დინამიკით მიდიოდა, ახალგაზრდული განწყობა და სიხალასე. ერთ დღესაც ნუცასთვის ცნობილი გახდა, რომ კინორეჟისორი ნანა ჯორჯაძე მთავარი როლისთვის ეძებს გოგონას. ნუცამ იცოდა, რომ ფილმში გადაღების უფლებას ახლადშეუღლებული ქმრისგან ვერ მიიღებდა, ამიტომ ახალ როლზე ფიქრი პერიოდულად მოდიოდა, მაგრამ იქვე იფანტებოდა. ცოტა ხანში ნუცას ახსენდება ერთ დროს მიცემული პირობა და აშკარა სიმძაფრით იგი არჩევანის წინაშე დგება: პირადი ცხოვრება თუ კინო?!

მოულოდნელად ნუცა იღებს ტელეფონს და ნანა ჯორჯაძესთან რეკავს:

- გამარჯობათ, მე ნუცა კუხიანიძე ვარ. კიდევ ეძებთ გოგონას როლისთვის?

- ჩვენ უკვე ვიპოვეთ... მაგრამ იქნებ მაინც მოხვიდეთ.

ნუცა ფოტოსინჯებზე წავიდა. საცვლების ამარა დააყენეს და სინჯები გააკეთეს.

სახლში დაბრუნებული ქმარს უხსნის, რომ ამ ფილმზე შესანიშნავი ხალხი მუშაობს. სთავაზობს, თვითონაც წაჰყვეს და რამე თუ არ მოეწონება, უსიტყვოდ დაბრუნდება უკან.

სტუდიაში მისულ ქმარს ნუცას ფოტოები ხვდება. აქ უკვე განხეთქილება იწყება. როლზე დამტკიცებული, რეჟისორს ეუბნება - „გადავიფიქრე“.

ურთიერთობა იძაბება, ამასობაში ნუცას არ ასვენებს ერთი აკვიატებული აზრი - კინო. თვალწინ წარმოუდგება ბავშვობაში დადგმული სპექტაკლები, „არა მეგობაროს“ გადაღებები...

ქმართან ნაჩხუბარი, ერთ საღამოს დედასთან ერთად კაფეში წავიდა. მოულოდნელად კარი გაიღო და გიო მგელაძე შემოვიდა: „ჩემს ცხოვრებაში პირველად ვნახე გიო ასეთი მოწესრიგებული, წვერგაპარსული, ცისფერი პერანგით, ლამაზი ქუდით. გიო ჩვენთან დაჯდა. მკითხა, მივედი თუ არა ნანასთან. მე გამოვუცხადე, რომ ვერ მივიდოდი. სამი საათის მანძილზე გიოს მონოლოგს ვისმენდით; ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მისი პირით ლევან აბაშიძე მესაუბრებოდა და მარწმუნებდა, კინოს გზას გავყოლოდი.“

ნუცამ დაიჯერა, რომ ეს ღმერთის მინიშნება იყო და ამის არდანახვა სისულელე იქნებოდა, ამიტომ მეორე დღესვე გადასაღებ მოედანზე მივიდა.

და უეცრად, ამდენი კონფლიქტის და სირთულეების შემდეგ, თექვსმეტი წლის ნუცა საოცრებათა ქვეყანაში აღმოჩნდა. მასშტაბური და სერიოზული იყო ყველაფერი: ზაფხული, ახალი ხალხის გაცნობა, ათასნაირი კოსტიუმები.

გადაღებები საბერძნეთში უნდა გაგრძელებულიყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ოდესღაც დედის ნაამბობი მითების, ზღაპრების და ღმერთების ქვეყნის შესახებ, ნუცასთვის რეალობად იქცეოდა.

მარტო, მშობლების გარეშე, უცხო ქვეყანაში პირველად უხდებოდა გამგზავრება. ყველანი ერთ სასტუმროში ცხოვრობენ. დიდი ავტობუსით საბერძნეთის მთიან სოფლებში მოგზაურობენ. ნუცა ყველაზე პატარაა, თანაც, მთავარი როლის შემსრულებელი. ყველა თავს ევლება.

ჩაკეტილი სივრციდან ღმერთების ქალაქში აღმოჩენილი ნუცა, აქ გაიცნობს ფილმის ოპერატორ ფედონ პაპამიხაილს - ვიმ ვენდერსთან ნამუშევარ, ჰოლივუდში წარმატებულ პიროვნებას და ამერიკელი კინოკლასიკოსის, ჯო კასავეტესის დის შვილს. და რაც ყველაზე მთავარია, შესანიშნავ ადამიანს: „სულ მეგონა, რომ უცხოელთან ნაკლები საერთო შეიძლება მქონდეს, მაგრამ ფედონი ის ადამიანი იყო, ვინც ეს წარმოდგენა დაანგრია. აღმოჩნდა, რომ ოცი წლით უფროს უცხოელთან შესანიშნავად ვგრძნობდი თავს. ჩვენი ინტერესები და განცდები ემთხვეოდა. ნახევრად ბერძენი, ნახევრად გერმანელი ოპერატორი ჩემი საუკეთესო მეგობარი გახდა. ერთ დროს, ოცი წლის ასაკში, ნიუ-იორკში ჩასული საბოლოოდ მოაჯადოვა მანჰეტენის განათებამ. მე ოპერატორი გავხდები, - თქვა და ამის შემდეგ აღარაფერს გაუკვირვებია.“

ფედონი დღემდე ნუცას გვერდითაა. ხუთი წლის წინ დაწყებული „მასტერკლასები“, რასაც ნუცა ბავშვური სიჯიუტით ხშირად ეწინააღმდეგებოდა და ამბობდა: „მე ეს ვიცი!“ - თავისდაუნებურად ილექებოდა ახალგაზრდულ ცნობიერებაში და ალბათ ამიტომაც, მადლიერი ნუცა ამბობს, რომ ადამიანად ჩამოყალიბებაში მას ფედონი დაეხმარა.

„27 დაკარგული კოცნა“-ს გადაღებები დასრულდა. ყველა თავის გზაზე წავიდა. ნუცა თბილისს შემორჩა. რაც ამერიკაში აკლდა, იმას ინაზღაურებდა: დიდი ოჯახი, მეგობრები და ემოციები.

ვიდრე ფილმი დამონტაჟდება, გახმოვანდება და გამოვა - ეს ხანგრძლივი პროცესია. ნუცა თავის ფიქრებს უღრმავდებოდა: რადგან ყველაფერს ორი მხარე აქვს, გამოდის, რომ ვერც ვერასოდეს გაიგებ, რა ჯობია. გრძნობების დროზე ადრე ჩამოყალიბება იმ განცდებმაც განაპირობა, რაც ჯერ კიდევ არასრულწლოვანს დაატყდა თავს: ჯერ იყო ლევანის დაკარგვა; შემდეგ კი ოჯახში პირველი ტრაგედია მოხდა - ნუცას სამი თვის დეიდაშვილი დაეღუპა.

„27 დაკარგული კოცნის“ მოლოდინში ნუცა ატლანტაში ჩავიდა დედასთან. ერთ კვირაში ტელეფონმა დარეკა. ეს ფედონი იყო, რომელიც ნუცას ლოს ანჯელესში ეპატიჟებოდა.

კულტურული შოკი

„მახსოვს პალმები და ზღაპრული ამინდი. იანვარი იყო, მაგრამ როგორც მივხვდი, ეს ლოს ანჯელესისთვის ჩვეულებრივი ამინდი იყო.“

ნუცა ფედონის გარემოცვას ეცნობოდა. ეს წარმატებული ინტელექტუალების წრე იყო, რომელიც ჰოლივუდის სივრცეში ათქვეფას, განცალკევებით ყოფნას ამჯობინებდა. იანუშ კამინსკი („შინდლერის სიის“ ოპერატორი), ჯო კასავეტესის შვილები და სხვა უამრავი საინტერესო ადამიანი.

ნუცა ჩვეულებრივად იღებდა ყველაფერს. მორალური გადასახედიდან აფასებდა ამ ხალხს, რადგან კარგად ჰქონდა გააზრებული ის, რომ, მაგალითად, ტომ კრუზის გაცნობა საინტერესოა, მას ხომ მთელი ბავშვობა ტელევიზორში ხედავდა. მაგრამ თუ ტომ კრუზი ცუდი ადამიანია, რა საერთო შეიძლება იპოვო მასთან. ასეთი კრიტერიუმით დაიწყო ამერიკული კინოს სამყაროსთან ზიარება.

ლოს ანჯელესში ჩასვლისას ნუცა თექვსმეტი წლის იყო. აქედან გამომდინარე, უფლებები შეზღუდული ჰქონდა - ვერც კლუბებში ერთობოდა, არც მანქანის მართვის უფლებას აძლევდნენ და რადგან შესანიშნავ სახლში ცხოვრობდა, გასართობს გარეთ აღარ ეძებდა. ქვეყანა რომ დაქცე-

ულიყო, იქ მაინც ზაფხული იქნებოდა, უამრავი წიგნი, ფილმები და მუსიკა. ეს ის პერიოდია, როცა ნუცამ საკუთარ თავს დრო დაუთმო და ალტერნატიული ვარიანტები შესთავაზა.

„მივხვდი, რომ საკუთარ თავთან შენობით უნდა საუბრობდე, თორემ სხვებთან კონტაქტი გაგიჭირდება.“ ამაში მას ფედონი ეხმარებოდა.

ნუცას ცხოვრების დაგეგმვა არასოდეს უცდია, თუმცა, ბავშვობაში ამერიკას ქვეცნობიერად მაინც მსახიობობას უკავშირებდა: იქ არის სამსახიობო სკოლები, ჰოლივუდი და აქედან გამომდინარე, შანსიც მეტია. მაგრამ ოცნება სადღაც მიიკარგებოდა ხოლმე; უფრო ზუსტად კი, ასი პროცენტით სრულდებოდა, თანაც ისე სწრაფად, რომ გააზრებასაც ვერ ასწრებდა.

ასე იყო იმ დღესაც, როცა საოცნებო ლოს-ანჯელესიდან თბილისში დაბრუნებულმა შეიტყო: „27 დაკარგული კოცნა“ კანის ფესტივალზე წარადგინეს. ნუცაც მიწვეულია

კანის ფესტივალი

ფესტივალზე ნუცა გადამღებ ჯგუფთან ერთად გაემგზავრა. გაზაფხული და ჩვიდმეტი წლის მსახიობი. ევროპაში ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი კლუბის კარი ღიაა. ნუცა ემოციებს ირგვლივ მყოფ ქართველებს უზიარებს, ხოლო გემზე გამართულ წვეულებებს მისი ეროტიულობით დაბალანსებული ბავშვური გამომეტყველება ამშვენებს.

ამას თბილისური პრემიერაც მოჰყვა. მერე პრიზები. და აჭრელდა ჟურნალ-გაზეთები. ყველაზე ხშირად, ეკრანზე ჯულიეტას დაბრუნების შესახებ წერდნენ. აღნიშნავდნენ, რომ ასაკით პატარა გოგონას უჩვეულოდ ბოხი ხმა აქვს, არის გამხდარი, ჯინსებით და ბოტასებით დადის. ბავშვობაში ამერიკაში ცხოვრობდა და კიდევ...

ნუცა ჩვეული სასიამოვნო სიმშვიდით ხვდება წარმატებას. კულტურული შოკის ქარცეცხლში დროზე ადრე მოხვედრილი, ისევ სიყვარულში ეძებს სიმშვიდეს.

ამ პერიოდში ახალი სასიყვარულო ამბავი და შესაბამისად, ახალი წრე იკვრება. აქეთ-იქით მოგზაურობის გამო, ნუცას ბევრი მეგობარი არ ჰყავდა. ეს ინტერვალები თავისებურად მოქმედებდა. ამიტომ ახლად შეძენილი მეგობრები მისთვის უძვირფასესი გახდა.

„არ მომწონს თბილისური დოგმით გამოწვეული, ჯგუფებად და კლანებად დაყოფილი საზოგადოება. ამ მხრივ ამერიკამ გადამარჩინა“. არადა, ყველაზე მეტად მაინც თბილისი უყვარს. აქედან ვერსად წავალო, - ასე ამბობს.

ამერიკაში სწავლის გაგრძელებას ისევ

პირადი ცხოვრება არჩია. არ უსმენდა რჩევებს აგენტის პოვნის და ამერიკაში დაბრუნების შესახებ. რადგან სიყვარული გაჩნდა, ამერიკამ აქტუალობა დაკარგა, მაგრამ ეს გაორება გამუდმებით იჩენს ხოლმე თავს, თანაც ისეთი სიძლიერით, რომ თავს კარგავ.

დაიწყო ისევ იგივე: აქ ვიყო, თუ იქ? „ბოლოს მივხვდი, ეს ქვეყნების ბრალი სულაც არ არის. თუ მშვიდად არ ხარ, ეს პირველ რიგში შენი ბრალია.“

ნუცა ისევ ამერიკაში გაემგზავრა, დედასთან. დეპრესიამ შეიპყრო,დათრგუნული იყო: „ვერ ვხვდებოდი ვინ ვიყავი, ვხედავდი დიდ შავ სივრცეს, სადაც ნათელი პერსპექტივა არ ჩანდა. ვიწექი ლოგინში. ცოტას ვლაპარაკობდი და უეცრად, ერთ დღესაც, დილის რვა საათზე რეკავს ტელეფონი. ეს კასტინგების აგენტი - სუზი ფიგისი იყო, რომელიც ლონდონიდან გვეხმიანებოდა. რეჟისორი ნილ ჯორდანი ახალი ფილმისთვის გოგონას ეძებდა“.

„27 დაკარგული კოცნა“ მას პარიზში უნახავს და ნუცასთან შეხვედრა სურდა.

„გაოგნებულებმა ინტერნეტში ნილ ჯორდანის ძებნა დავიწყეთ. დაუჯერებელია, მისი ყველა ფილმი ნანახი გვაქვს. შესანიშნავი რეჟისორია!

ისევ კინომ მიშველა“.

TRY END REMEMBER THIS NAME „Cook-in-aza“

ლონდონის სასტუმროს ფოიეში ნუცა ნილ ჯორდანს შეხვდა. თბილისური დეპრესიული იერი, ავარიის შედეგად თვალთან მიღებული ნაიარევი, შავად შეღებილი თმა - ასე გამოიყურებოდა ქართველი გოგონა, რომელსაც დიდი რეჟისორი ტექსტს აკითხებდა. რეპეტიციის დასრულების შემდეგ ნუცა ნომერში ავიდა, სადაც კვლავინდებურად გაისმა სატელეფონო ზარი და ნუცა ისევ ფოიეში იხმეს. ჩაურთეს მუსიკა და აცეკვეს. ამის შემდეგ შუქზე გაიყვანეს და ნაიარევს დააკვირდნენ, - ალბათ გაქრობას მოვახერხებთ. მერე ახალგაზრდა მსახიობს მადლობა გადაუხადეს და გამოეთხოვნენ.

ნუცა ატლანტაში დაბრუნდა, სადაც ძალიან მალე ისევ შეეხმიანა ფილმის დირექტორი და აუწყა: როლზე დამტკიცებული ხართ. მარტში ნიცაში ჩამობრძანდებით გადაღებებზე. რადგან ნუცა არასრულწლოვანი იყო, ჰონორარს დედამისს უთანხმებდნენ:

- თქვენი შვილის ჰონორარი 10 ათასი დოლარია...

ნუცას დედამ აღფრთოვანება ვერ მოასწრო, რომ აგენტმა უეცრად დააყოლა:

- 10 ათასი დოლარი კვირაში... კვირაში.

ნუცა ახალ ზღაპულ სამყაროში აღმოჩნდა: მაისი, სასტუმრო ზღვის ხედით, ბევრი ფული: „სასწრაფოდ უამრავი ტანსაცმელი ვიყიდე, რაც დღემდე შემომრჩა. დედაჩემი, ჩემი და და მეგობრები ჩავიყვანე, ლონდონიდან ჩემი მეგობარი, თეონა ჩამოდიოდა ხოლმე. რაც მთავარია, ჩემი პარტნიორი ნიკ ნოლტი იყო.“

გადასაღებ მოედანზე ნუცა ყველას დაუმეგობრდა. ამ მხრივ მან სტერეოტიპები დაანგრია. „იქ მსახიობი ისეთ სიმაღლეზე აჰყავთ, რომ თავში აზრად არავის მოუვა მძღოლებთან და გამნათებლებთან მეგობრობა“. ნუცა გამონაკლისი იყო, ზემოდან არავის უყურებდა. გამუდმებით საქართველოზე უამბობდა მათ. გამოცდილი, კინოინდუსტრიაში დაბერებული ადამიანები პირდაღებულები უსმენდნენ 17 წლის გოგონას, რომელიც გადასაღებ მოედანს არ სცილდებოდა მაშინაც კი, როცა მისი გადაღების დღე არ იყო, ყოველ დილით, მაღვიძარას ზარის დარეკვამდე ათი წუთით ადრე ეღვიძებოდა.

„როლი გამიადვილდა, რადგან ნილ ჯორდანი ყოველთვის ზუსტ შენიშვნებს მაძლევდა, მეორეს მხრივ კი ნიკ ნოლტი მეხმარებოდა, საუკეთესო თაობის ჰოლივუდელი. ახლანდელ ჰოლივუდში ხომ ნამდვილი კრიზისია - ჰოლივუდი ერთ დიდ ფაბრიკად იქცა, სადაც კონვეირული წესით ამზადებენ პროდუქციას.“

„მე და ნუცა ერთ დონეზე ვართ“, - ამბობდა ნიკ ნოლტი, მიუხედავად იმისა, რომ ის სახელგანთქმული მსახიობი იყო. ნიკ ნოლტმა ნუცას თავისი აგენტი გააცნო და შემდგომ თანამშრომლობაზეც შეთანხმდნენ.

გადაღების ბოლო დღე იყო. ნუცას სცენები ამ დროისთვის უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ მაინც გადასაღებ მოედანზე ტრიალებდა.

დარჩენილი სცენა, რომელშიც ნიკ ნოლტი მონაწილეობდა, უაზროდ გაიწელა. რაღაცა აკლია კადრს - ფიქრობდა ნიკიც და ნილიც და უეცრად, ორივე ხვდება, რომ ამ კადრში ნუცას აუცილებლობაა. სასწრაფოდ ჩაცვეს, გრიმი გაუკეთეს და გადაიღეს.

„კარგი ქურდის“ გადაღებები დასრულდა. ღამე ბანკეტი იყო. ტელეფონის ნომრები იცვლებოდა: ჩეკი კარიო, რალფ ფაინსი, კუსტურიცა, ნიკ ნოლტი... და კიდევ უამრავ შესანიშნავ ადამიანს უნდა გამოთხოვებოდა ზღაპარში მოხვედრილი ქართველი მსახიობი, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ ინტერვიუში იტყვის: I'm still in shock that I'm here.

თბილისიდან ჩამოტანილი სუვენირები: ხმლები, ქუდები, სამაჯურები, სამახსოროდ დაურიგდა გადამღებ ჯგუფს, რადგან დამთავრდა კინოს გადაღება და ერთი დიდი ოჯახი უნდა დაშლილიყო; რადგან შეიძლება ვეღარასოდეს ნახო ადამიანები, რომლებთან შეხვედრამაც დაგარწმუნა, რომ როცა კინოს იღებ, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ქვეყნიდან ხარ, ან ვინ ხარ.

ვიდრე კვლავინდებურად გამიჯნურებული, საქართველოს ზღვისპირა ქალაქებში საკუთარი მანქანით დასეირნობდა, პრესა სტატიებით აჭრელდა - პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან მოვლენილი ნუცა: ვინ არის ეს გამხდარი, პატარა გოგონა, - სექსუალური ხმით და სამხრეთული აქცენტის გარეშე? ჯულიანა მურისა და მერილ სტრიპის ფანი, თვლის რომ ჯო კასავეტესი საუკეთესო რეჟისორია. ნუცას კეთილი ძაღლის თვალები და შერონ სთოუნის ხმა აქვს... ამერიკაში მხოლოდ ლოს-ანჯელესი უყვარს და საკუთარი ქვეყნის მიმართ მძაფრი განცდა გააჩნია.

ამ დროისთვის ნუცას კვლავინდებურად არჩევანის გაკეთება უწევს: ამერიკაში სწავლის გაგრძელება, თუ პირადი ცხოვრება.

„კარგი ქურდის“ გახმოვანებაც დასრულდა. როლებზე შემოთავაზება არ ჩანს. არადა, ნუცას ენატრება კინო. ისევ ქაოსი დაიწყო. მოულოდნელად იღუპება მისი შეყვარებული.

ამ დღიდან ყველაფერი იცვლება. ნუცა ერთ ადგილას ზის და ვერავის და ვერაფერს ვერ ხედავს. მას კინოს სიყვარულიც დაავიწყდა. ხალხთან, მათ შორის ფედონთან კავშირიც გაწყვიტა.

სადილად ჯერემი აირონსთან

იტალიაში მცხოვრებმა ხორვატმა რეჟისორმა ნინა მიმიცამ, რომელიც იტალიელების დაფინანსებით პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმის გადასაღებად ემზადებოდა, ოპერატორობა ფედონს შესთავაზა და შესაბამისად, სცენარიც მიაწოდა. ოპერატორი სცენარს თვითმფრინავში გაეცნო და მაშინვე ნინას დაუკავშირდა:

- მთავარი როლის შემსრულებელი - მატილდა უკვე ნაპოვნი გყავს?

- არა, და ახლაც მის ძებნაში ვარ.

- მე ვიცნობ ამ გოგოს, - უპასუხა ფედონმა.

ნუცას დათანხმება რთული იყო, რადგან ღრმა დეპრესიაში მყოფს გადაღებების თავი არ ჰქონდა. ახლობლების დაჟინებული თხოვნის და რჩევის შედეგად, ნუცა საბოლოოდ დათანხმდა. ახლა უკვე გამოცდილი მსახიობი ჩასვლისთანავე მატილდას როლზე დაამტკიცეს. პარტნიორებით გათამამებული, ამჯერადაც ლეგენდარული ჯერემი აირონსის გვერდით აღმოჩნდა.

ფილმში მოქმედება ბალკანეთის ომის ფონზე ვითარდება. ნუცასთვის როლი რთული ასათვისებელი არ ყოფილა, ამას შინაგანი განწყობაც უწყობდა ხელს: „მარტო-

ობის საშინელი განცდა მქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ფედონი იქ იყო - ძვირფასი მეგობარი, რომელსაც გადასაღებ მოედანზე უკვე მეორედ ვხვდებოდი. კამერის წინ რომ ვდგებოდი, ყველაფერი მავიწყდებოდა. მაგრამ მაინც ცუდად ვიყავი."

ეს ის დრო იყო, როცა ნუცამ ცხოვრებაზე წარმოდგენა შეიცვალა და უფრო ფრთხილი გახდა. ამ სამი თვის მანძილზე ნუცა მოვლენებზე დაკვირვებას მიეჩვია, შორიდან უყურებდა და ისე აფასებდა. ეს ერთგვარი გამოფხიზლების პერიოდი იყო. ცუდად ყოფნას სხვებიც ატყობდნენ.

ერთ საღამოს ჯერემი აირონსმა პარტნიორი სადილზე დაპატიჟა. დასხდნენ. საუბარს ინტერვიუს სახე მიეცა: „კითხვებს მისვამდა: ვინ ხარ? როგორ ცხოვრობ? რას ფიქრობ? და უეცრად გავიხსენი და ყველაფერი, რაც მაწუხებდა, მტკიოდა და ვფიქრობდი, სრულიად უცხოს, ჯერემი აირონსს ვუამბე. როლში შევიჭერი და ხელებით, აჟიტირებული ვესაუბრებოდი. თავად ეს ინგლისელი ინტელექტუალი თევზს მირთმევდა და თავს დინჯად მიქნევდა: „Yes... I know what you mean".

მე და ჯერემიმ ერთმანეთს გავუგეთ. შესანიშნავი ადამიანი აღმოჩნდა მიუხედავად იმისა, რომ თავშეკავებული ინგლისელია და საერთოდ არ ჰგავს თუნდაც ნიკ ნოლტს, რომელიც ტიპური ჰიპია."

ამ ხალხისგან ნუცა ცხოვრებას სწავლობდა. ეცნობოდა გარემოს, სადაც მათი მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ნუცასთვის გაუგებარ თემებზე ლაპარაკობდნენ, ეს ცოცხალი ლეგენდები მაინც ჩვეულებრივი და შესანიშნავი ადამიანები არიან.

ნუცას ქალაქი

ცოტა ხნით ატლანტაში ჩასულს, ქუჩაში მოულოდნელად უცნობები შემოეხვივნენ. ნუცა დააკვირდა და ის კლასელები ამოიცნო, მთელი ბავშვობა რომ კოშმარად უქციეს. ახლა კი მათ წინ იდგა ცნობილი მსახიობი, რომელიც თურმე არ იტყუებოდა.

ჰოლივუდის ვარსკვლავების ცხოვრების ტიპური სცენარი, ნუცას შემთხვევაშიც განხორციელდა, თუმცა, მას კლასელებისთვის სამაგიერო არ გადაუხდია, რადგან ნუცას და მასთან ერთად ნიკ ნოლტს და ნილ ჯორდანს, „კარგი ქურდის" თბილისურ პრემიერაზე თავისი ქალაქი ელოდებოდა.

ერთ დროს გადასაღებ მოედანზე საქართველოს შესახებ მოსმენილმა ამბებმა მოლოდინს გადააჭარბა. ღირსშესანიშნაობები და პიკნიკები ქალაქგარეთ, საჩუქრების უზომო რაოდენობა, სითბო და გადაჭარბებული ემოციების გამოხატვა. თბილისი ნიკ



ნოლტის საყვარელ ქალაქად იქცა.

ნუცა იმიჯს უფრთხილდება. ფიქრობს, რომ გამუდმებით ტელევიზიით გამოჩენა ცნობილ ადამიანს იდუმალებას ართმევს: „ყველამ იცის ბრიტნი სპირსის საცვლების ამბავი, მაგრამ მერილ სტრიპი საკუთარ თავზე არასოდეს საუბრობს, ამას მისი ფილმებით ისედაც ხვდები."

თბილისში ყოფნის პერიოდში ნუცამ კიდევ ერთ ფილმში ითამაშა. ეს იყო ლევან თუთბერიძის „მოგზაურობა ყარაბახში": „პატარა როლია, მაგრამ ჩემთვის ძვირფასი. ზოგჯერ მაყურებელს ის ერთი წამი ამახსოვრდება ხოლმე მთელი ცხოვრების მანძილზე."

მერე ისევ ამერიკა, - ეს დაუსრულებელი გაორება. მერე ისევ თბილისი: მე მივხვდი, რომ რაღაც პერიოდი აქ ცხოვრება მჭირდება, ჩემიანები... ვიცი, რომ აქ ცხოვრება ყველაზე ძნელია, მაგრამ თუ შემიძლია რაიმე სასიკეთო გავაკეთო ჩემი ქვეყნისათვის, მაშინ აქ ვიქნები, ვერსად გადავიხვეწები. სადაც არ ჩავედი, მე და ჩემი ქვეყანა ხელჩაკიდებულები ვიყავით და ყველას ვაცნობდი, - გაიცანით ეს ჩემი ქვეყანაა".

„Girl with perfect, sexily accented English" ბოლოს ჩიკაგოს სტუმრობდა, სადაც რეჟისორ ბრიუს ტერისის ფილმში „ბინძური სამუშაო" იღებდა მონაწილეობას. ეს დაბალბიუჯეტიანი ფილმია DV-cam-ზე.

„ყველა ფილმს თავისი განწყობა აქვს და როლსაც აქედან გამომდინარე ქმნი".

საუკეთესო პარტნიორად და მეგობრად ნიკ ნოლტს ასახელებს, ოცნებობს შონ პენის გაცნობაზე. ყველაზე მეტად კი ლევან აბაშიძე ენატრება: „მინდა მხედავდეს. ჩემთვის ლევანი სიმბოლოა."

გპირდები

„ამ ეტაპზე არაფერს ვნანობ. იყო ცუდიც და კარგიც, მაგრამ ჩემი შინაგანი ზნეობისთვის არასოდეს მიღალატია.

გული მწყდება, რომ კარგად ვერ გავუფრთხილდი ძვირფას ადამიანებს, მაგრამ ღმერთს ერთი დღეც არ მივუტოვებივარ.

მთავარი ჩემთვის სიყვარულია, სიყვარული ადამიანებს შორის.

ვსწავლობ შეცდომებზე.

ბედნიერი ვარ იმით, რომ ვიცი, რა მინდა.

ვამაყობ ჩემი ქვეყნით. ასე რომ არ იყოს, სამუდამოდ გადავიხვეწებოდი იქ, სადაც ადვილია ცხოვრება.

ხშირად ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ სიტუაცია გამოუვალი მგონია ხოლმე. ამას წინათ, ერთ-ერთი ასეთი „ჩავარდნის" დროს დაწერილი წერილი ვიპოვნე, რომელსაც მეგობარს ვწერდი. ამ წერილში მას რაღაცეებს ვპირდებოდი: გპირდები, რომ ვიმოგზაურებ ქვეყნებში; გპირდები, რომ ფანტასტიურ კონცერტებს დავესწრები; გპირდები, რომ გავიცნობ საუკეთესო ადამიანებს; გპირდები, სიკეთეს გავაკეთებ, არავის ვაწყენინებ, სულ მეყვარება... წერილი სავსე იყო დაპირებებით. ვისაც მივწერე, ის დაიღუპა, მე კი აღმოვაჩინე, რომ დაპირებულიდან ძალიან ცოტა რამ ავასრულე... სულ ცუდ ხასიათზე ვარ.

მერე მივხვდი - მინდა თუ არა, არ ვარ მარტო. ამიტომ არ მაქვს უფლება, სამყაროში არსებულ სიბნელეს თავი დავაჩაგვრინო. ასეთ შემთხვევაში ხომ უფრო გამიადვილდება ცხოვრება.

მე არ ვარ გამორჩეული. თუ კარგად ვარ, მინდა გვერდით საყვარელი ადამიანი მყავდეს და ბედნიერებას ვუნაწილებდე.

საკუთარ თავს ჩემს ქვეყანასთან ვაიგივებ. ამიტომ, რასაც ერთს ვპირდები, მეორეზეც ვრცელდება. ვპირდები, რომ არასოდეს ვუღალატებ ჩემს მრწამსს. სულ ისეთი ვიქნები, როგორიც ვარ.

როგორი ვარ და... მე ჩემს თავს შენობით ვესაუბრები!"

ხმა, რომელიც ექვსი წლის წინ ნანა ჯორჯაძის ტელეფონის ყურმილში გაისმა - „მე ნუცა კუხიანიძე ვარ, როლისთვის გოგოს კიდევ ეძებთ?" - იყო უჩვეულოდ ბოხი. რამდენიმე წლის შემდეგ ერთ-ერთმა ამერიკულმა ჟურნალმა ეს ხმა შერონ სთოუნისას მიამსგავსა. დღეს კი ნუცას ინგლისური - სამხრეთული აქცენტის გარეშე - მთელს ჰოლივუდში ისმის და გამუდმებით იმეორებს:

„მე ლევან აბაშიძეს დავპირდი, რომ მსახიობი გავხდებოდი"

ნესტან კვინიკაძე

«ნაცები» და «ქოცები»

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ამ ორი ძალის გარდა, შეიძლებოდა გაჩენილიყო მესამე ან მეოთხე ძალაც, რომელიც ქართულ პოლიტიკას გააჯანსაღებდა. ძირითადად, ამაზე ლიბერალები საუბრობდნენ და იგულისხმებოდა, რომ ეს ძალა უნდა ყოფილიყო მემარცხენე ლიბერალური - დაახლოებით ისეთი, როგორიც არის დემოკრატიული პარტია ამერიკაში (ობამას პარტია), ან სოციალისტური პარტია საფრანგეთში (ოლანდის პარტია). მართალია, იდეოლოგიურ პლატფორმაზე ღიად არ უსაუბრია, მაგრამ ორი თვის წინ მსგავსი ძალის გაჩენაზე მიანიშნებდა გოგი გვახარიაც. ბოლო ორი თვის მანძილზე ქართულ პოლიტიკას სპეციალურად ამ გადმოსახედიდან ვაკვირდებოდი და ვცდილობდი დამენახა, გაჩნდა თუ არა იმპულსი ქართულ საზოგადოებაში, რომ რამე განსხვავებული და გამაჯანსაღებელი მიიღოს. „ნაციონალური მოძრაობის“ 15 ნოემბრის მიტინგი და „ქართული ოცნების“ ჯერ კიდევ შეურყეველი რწმენა, სამწუხაროდ, საპირისპიროში მარწმუნებს.

დღესდღეობით, ქართული პოლიტიკა ბრუნავს ორი პოლუსის - „ნაცების“ და „ქოცების“ გარშემო (როგორც ისინი ერთმანეთს დამამცირებლად მოიხსენიებენ). ორივე ძალა არის კონსერვატორული, ნაციონალისტური, მემარჯვენე და კოლექტივისტური მსოფლმხედველობის მატარებელი. ორივე წარმოიშვა საბჭოთა წარსულისგან. „ნაც. მოძრაობა“ შინაარსით ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირს, მაგრამ ფორმით მასზე შორს ვერ მიდის - ვერც ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ, ვერც ავტორიტარული მიდრეკილებებით და ვერც ნაციონალისტური პათოსით. „ქართული ოცნება“ შედგება ხალხისგან, ვისაც მოსწონს ქართული საზოგადოების სტატუს კვო - ის, რომ აქ შეიძლება წლები ისე გავიდეს, რომ არაფერი შეიცვალოს; ვინც ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავს კულტურულ იზოლაციონიზმში, ნეპოტიზმში, ინტელექტუალურ ჩაკეტილობაში და ვისთვისაც, ზოგადად, დრო ნელა მიედინება. გასაკვირი არ არის, რომ „ქართული ოცნება“ მოსწონთ რეაქციულ ულტრანაციონალისტურ ძალებს, რომლებსაც აღიზიანებდათ „ნაციონალური მოძრაობა“ არა მისი ავტორიტარულობის, არამედ მოდერნიზაციისადმი მიდრეკილების გამო.

ეს ორი ძალა უდავოდ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. მათ შორის აშკარა განსხვავებები არსებობს და ამას შეიძლება ფუნდამენტური განსხვავებებიც კი ვუწოდოთ. მიუხედავად ამისა, ორივე ამ პოლუსის უკან დგას ერთი მანკიერი საზოგადოების წესები და ჩვეულებები. ამ საზოგადოებაში კოლექტივი ბატონობდა ინდივიდზე, ხოლო თავად ინდივიდებს შორის კი არანაირი რეალური სოლიდარობის გრძნობა არ არსებობდა.

დასავლური გაგებით, მემარცხენე ლიბერალური პარტია დამოუკიდებელ საქართველოში არასდროს არსებულა და

მასზე მოთხოვნა არც არასდროს ყოფილა. საქართველოში ხალხი ერთადერთი რამის გამო გამოდის ქუჩაში: ნაციონალისტური მოთხოვნების წამოსაყენებლად. რატომ გადააყენეს წინა მთავრობა? იმიტომ, რომ არ იყო ეროვნული, არ იყო „ქართული“. რატომ არ მოსწონთ ნაციონალებს ახლანდელი მთავრობა? იმიტომ, რომ არ ემსახურება ნაციონალისტურ ინტერესებს. ეროვნულობა და ნაციონალურობა ყველა შემთხვევაში ბუნდოვანი ტერმინებია და ყველა მხარე, ვინც მათით აპელირებს, მათში ძირითადად საკუთარი მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილებას გულისხმობს. როგორ ესმის „ქართულ ოცნებას“ ეროვნულობა? როგორც საკუთარი „პარტაქტივისტების“ გამდიდრება. როგორ ესმის „ნაციონალურ მოძრაობას“ ეროვნულობა? როგორც საკუთარი ძალაუფლების განმტკიცება და საწინააღმდეგო აზრის ჩახშობა.

ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, ხალხს რომ ვეკითხები, როგორი მთავრობა გსურთ, რომ ხელისუფლებაში მოვიდეს-მეთქი, მპასუხობენ, რომ „ეროვნული მთავრობა“ უნდათ. კონკრეტულად ეს ეროვნულობა რას გულისხმობს, ჯერჯერობით, ამაზე გასაგები პასუხი არ გვაქვს. დამოუკიდებლობის დღიდან დღემდე არ ყოფილა მიტინგი, სადაც ცენტრალური თემა იქნებოდა არა ბუნდოვანი „ეროვნულობა“, არამედ ადამიანის უფლებების დაცვა, სოციალური თანასწორობა, სიღარიბის აღმოფხვრა, შრომითი უფლებების დაცვა და გარემოს დაცვა. ყველა მიტინგზე ამ კონკრეტულ მოთხოვნებს ფარავს ცარიელი პატრიოტული ლოზუნგები.

საბოლოოდ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქართველოში ხელისუფლებები იცვლება, მაგრამ პოლიტიკური დისკურსი ერთ ადგილზე გაყინული რჩება.

იმისთვის, რომ ჩვენს საზოგადოებაში რამე სახის ცვლილება მოხდეს, პირველ რიგში მთლიანად პოლიტიკის პარადიგმა არის შესაცვლელი. ამაზე ყველანი კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ: იქნებ პრობლემა სწორედ იმაშია, რომ ჩვენ თვითონ აბსტრაქტული ლოზუნგების იქით, არაფერ კონკრეტულს არ ვითხოვთ? იქნებ ჩვენი ბრალია ის, რომ პოლიტიკოსები ყოველ ჯერზე ასე უსინდისოდ გვატყუებენ? იქნებ ბოლოს და ბოლოს, ერთი ადამიანი და მისი სულიერი და მატერიალური საჭიროებები უფრო მაღლა დგას, ვიდრე ცარიელი ლოზუნგები, რომლებიც ელიტების კიდევ უფრო გაძლიერებას და გამდიდრებას ემსახურება?

პირადად მე მტკიცედ მჯერა, რომ სანამ ამ რიტორიკულ კითხვებზე სწორი პასუხები არ გვექნება, მანამდე „ნაცების“ და „ქოცების“ ხელში ვიქნებით და ვერაფერი მნიშვნელოვანი ვერ შეიცვლება.

გიორგი ცხადაია

ნიჭიერი კუნძული

საბედნიეროდ, კარგად ვიცი, რას გრძნობს ადამიანი, რომელმაც სიარულის უნარი დაკარგა. „საბედნიეროდ“-მეთქი, ამას ხაზგასმით ვამბობ, რადგან დიდი ხანია მივხვდი, ტკივილი და განსაცდელი მხოლოდ და მხოლოდ მადლი შეიძლება გახდეს ადამიანისთვის, თუკი ფარ-ხმალი არ დაყარა და ეს განსაცდელი კარგად „გამოიყენა“.

22 წლისა საირმის დაღმართზე რომ დავეცი და ვერ მივხვდი, რატომ ვეღარ მემორჩილება ხელ-ფეხი, რატომ არ შემიძლია ფეხზე ადგომა, იმას კი არ განვიცდიდი, რომ რაღაც საშინელება დამემართა, არამედ სირცხვილის და უხერხულობის გრძნობა მტანჯავდა - შუა გზაზე ვიჯექი ჩაკუზული და ვერ ვდგებოდი! მანქანები არ აჩერებდნენ, მხოლოდ ფანჯრიდან ყვიროდნენ: „ჯიგარ, კაიფში ხარ?“. რამდენიმე ფეხითმოსიარულემაც გაიარა. ერთი ბავშვით იყო. ჩამოეფარა სასწრაფოდ და ზიზღით შემომხედა.

ეს ზიზღიანი მზერა კაცისა, რომელიც თავის შვილს ეფარება, გაშეშებული და უძლური რომ არ დაანახოს, კიდევ დიდხანს გამყვა მერე - სიზმარში ვხედავდი ამ მამას და ვერ ვიტანდი ვერავის, ვინც ბავშვს თვალზე ხელს აფარებდა. მერე იყო ხანგრძლივი პერიოდი სახლში ჯდომისა და საზოგადოებისგან დამალვისა, იმის შიშით, რომ ეს სცენა განმეორდება და ისევ შეგრცხვება, შეგეშინდება, ნარკომანი არ ეგონო ვინმეს. მერე იყო გამოჯანმრთელება, მაგრამ დღემდე იმ ადამიანის „შენიანად“ აღქმა, რომელსაც ჩვენში „ინვალიდს“, „ხეიბარს“, „უძლურს“ უწოდებენ.

ამიტომ ვამბობ მადლია-მეთქი - თავისებური საჩუქარია ეს განსაცდელი. იმ ადამიანებს იხსენებ მუდმივად, ვინც გასაჭირში გვერდზე გედგა. ავტობუსში რომ ვერ ადიოდი, ცდილობდა, შენი ყურადღება სხვა

რამეზე გადაეტანა, ეშაყირა. გაიმედებდა და უყვარდი ისეთი, როგორიც ხარ! მადლია, რადგან ძალიან კარგად იცი, ახლა როგორ უნდა მოიქცე, როცა ქუჩაში დაცემულ ადამიანს დაინახავ, როცა ეტლში მჯდარი კაცი, ქალი, ბავშვი დაგელაპარაკება. იცი, რომ არ უნდა ჩაიკუზო, ენა არ უნდა მოუჩლიქო, არ იძახო ენჯეოშნიკური ტერმინები („შშმპ“, მაგალითად)... უნდა დარჩე ისეთი, როგორიც ხარ. უბრალოდ მხიარულად ჰკითხო - „დახმარება ხომ არ გინდა?“

ჩვენ ყველას გვჭირდება დახმარება. ამიტომ ვცხოვრობთ ერთად. ამიტომ ვართ ერთ სივრცეში. ვერაფერს ვერ შევძლებთ მარტო, რადგან ყოველი ჩვენგანი - ის, ვინც ეტლში ზის და ვინც არ ზის - ინვალიდია!

დიდი ხნის წინ, როცა ერთი ჟურნალის გამოცემა დაიწყო, ჟურნალის რედაქტორმა მითხრა, „ეს იქნება ჟურნალი წარმატებულ ადამიანებზე, რათა მკითხველს ამ ხალხმა სტიმული მისცესო“. კარგად მახსოვს ეს სცენა. რედაქციაში ვისხედით და ახალ ნომერზე ვფიქრობდით. მახსოვს, როგორ გამიელვა უცბად აზრმა: „მოდი გავაკეთოთ ჟურნალი წარუმატებელ ადამიანებზე, იმათზე, ვისაც უჭირს! ამოვიდა ყელში ამდენი ოპტიმიზმი“.

რუსთავი-2-ის სატელევიზიო შოუს, „ნიჭიერის“ ფინალმა გამახსენა ეს დიალოგი. მიუხედავად იმისა, რომ „შეჯიბრი“ მომღერლებს, აკრობატებს, მოცეკვავეებს და ილუზიონისტებს შორის სრული უაზრობა მგონია, ვნახე ფინალი და დავრწმუნდი - ეს არხი ერთადერთია საქართველოში, რომელსაც შოუს მოფიქრება, დადგმა, გადაღება შეუძლია... შეუძლია, ტელევიზორს ვერ მოწყვიტოს თუნდაც ისეთი უჟმური მაყურებელი, როგორიც მე ვარ. მაგრამ მთავარი სხვა არის - „ნიჭიერის“ გამარჯვებული გახდა წყვილი, რომლის გამარჯვება გარკვეული თვალსაზრისით ჩვენი საზოგადოების გამარჯვებაცაა, იმის იმედი, რომ 2015 წლის საქართველო მაინც უკეთესია, ვიდრე ის საქართველო, რომელშიც პირადად მე 1978 წელს ვცხოვრობდი.

ქვეყანაში, სადაც განსხვავებული შესაძლებლობების ხალხის გადაადგილებისთვის პირობები ვერა და ვერ იქმნება; სადაც ადამიანებს ეტლში ძალიან ხშირად გარეთ გამოსვლის სურვილი არა აქვთ იმიტომ, რომ მათ უყურებენ, როგორც „ეგზოტიკას“, იმიტომ, რომ ვერ შედიან აფთიქში, ვერ ადიან ავტობუსში, ვერ ესწრებიან კონცერტებს, შეიძლება ითქვას, არც აქვთ არსად წასასვლელი; სადაც „ენჯეოშნიკებიც“ კი ამოკლებენ ტერმინებს და მათ „შშმ პირებს“ ეძახიან (არ აგერიოთ „შსს“-ში)... აი, ამ ქვეყანაში, ყველაზე პოპულარულ შოუში კარგი მომღერლების და აკრობატების მონაწილეობით, იმარჯვებენ ახალგაზრდა მოცეკვავეები - თემო და ქეთი. იმარჯვებს სიარულის შესაძლებლობას მოკლებული თემო და ქეთი, რომელიც კი არ „აატარებს“ თემოს, არამედ მასთან ერთად ცეკვავს! ეტლიც კი - ვიღაცისთვის ცხოვრების ტვირთი - თემოს და ქეთის ნომრებში გამოყენებულია, დიახაც, როგორც საჩუქარი, როგორც ახალი შესაძლებლობა იმისთვის, რომ ადამიანმა თავისი ნიჭი გამოავლინოს.

„ნიჭიერის“ ფინალის შესახებ საკმაოდ სკეპტიკური მოსაზრებებიც მოვისმინე. ისიც თქვეს, ქართველმა მაყურებელმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს ხმა იმიტომ მისცა, რომ შეეცოდაო. მე არ მესმის, რატომაა „შეცოდება“ დამამცირებელი ქვეყანაში, სადაც შეცოდება, თუ თანაგრძნობა დიდი ხანია, დეფიციტია. შეცოდების თუ თანაგრძნობის უნარი რომ ჰქონდეს ქვეყანას, მაშინ იმაზეც იფიქრებდა, რომ ასიათასობით ეტლზე მიჯაჭვული ადამი-

ანისთვის სიცოცხლის ელემენტარული პირობები შეექმნა. და თუ თემომ და ქეთიმ - ცრემლი რომ ვერ შეიკავეს სცენაზე და აქვითინდნენ - ამ ქვეყანას შეცოდების, სიბრალულის თუ თანაგრძნობის უნარი გაუღვიძა, ეს სწორედ მათი ნიჭის წყალობით მოხდა! ე.ი. მათ დაიმსახურეს გამარჯვება.

ის, რომ რუსთავი-2-ის შოუს 12 ფინალისტს შორის 3 ნომერი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებმა წარმოადგინეს, ასევე ამტკიცებს იმას, რომ ქვეყანაში რაღაცები შეიცვალა - ის ხალხი, ვისაც ჩვენში „ინვალიდებს“ უწოდებდნენ, არა მარტო გარეთ გამოვიდა, არა მარტო სცენაზე დადგა, არამედ კამერებშიც გაუსწორა თვალი მაყურებელს. თანაც, ეს მოხდა იმ არხზე, რომელიც დიდი ხანია უკვე, მინიმუმ კვირაში ორჯერ, ეპატიჟება „ტუჩდაბერილ პოპვარსკვლავებს“ კითხვით - „ახლა მითხარი, პირადში რა ხდება?“ და საუკეთესო დროს უთმობს უნიჭობის, ზედაპირულობის, მეშჩანობის ტირაჟირებას იმ მოტივით, რომ „ასეთია ტელემაყურებლის დაკვეთა“.

ჰოდა აღმოჩნდა რა? აღმოჩნდა, რომ სატელევიზიო პროექტის, „ნიჭიერის“ რეიტინგი მნიშვნელოვნად მაღალია ამ შოუებთან შედარებით. აღმოჩნდა, რომ მაყურებელი მზადაა, გაიცნოს ახალი სახეები, ახალი ხალხი, სხვანაირი ხალხი, მათ შორის ის ხალხი, ვის დანახვასაც უკრძალავდნენ ბავშვებს - ხელს აფარებდნენ თვალებზე...

არაერთხელ მითქვამს და დამიწერია, პირველი შოკი, რომელიც ევროპაში განვიცადე, სწორედ ეტლიანი ადამიანის მიმართ

მოსახლეობის დამოკიდებულება იყო. ბერლინში ავტობუსი რომ დავინახე, რომლის კარზე პანდუსი იყო დამონტაჟებული, გამახსენდა, როგორი წვალებით (თანაც, შაყირ-შაყირით) ცდილობდა უხსოვარ დროს ჩემს აყვანას ავტობუსში დათო ბადრიძე - ძველი მეგობარი და ჩემი ფიქრებიც გამახსენდა - რა მეშველებოდა ასეთი მეგობრები რომ არ მყავდეს!

ევროპაში ასეთი მეგობრის როლს სახელმწიფო ასრულებს. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანებზე, რომელთაც დახმარება სჭირდება. სახელმწიფო და საზოგადოება. ამიტომაც ბევრისგან გამიგია - ქვეყნის სიძლიერე იმაშიც ჩანს, თუ როგორია ამ ქვეყანაში უმცირესობების მიმართ დამოკიდებულება! ესაა პირველ რიგში ევროპა და არა „კოფი-შოპები“ და „სექს-შოპები“, როგორც ბევრს ჰგონია საქართველოში.

„ნიჭიერის“ ფინალი იმის იმედს იძლევა, რომ ჩვენ ძნელად, მაგრამ მაინც ვუახლოვდებით ამ სივრცეს. ჯანდაბას, იყოს დღეს მხოლოდ შეცოდება! გული თუ აგიჩუყდა, არის შანსი აგიჩუყდეს ტვინიც. აი მაშინ შეიძლება გვეშველოს კიდეც.

და ეს არაა „ოპტიმიზმი, რომელიც ყელში ამოვიდა“. უბრალოდ, პატარა საახალწლო იმედია.

მეტი არაფერი.

გიორგი გვახარია

2015 წლის 7 იანვარს ფრანგულ ყოველკვირეულ სატირულ ჟურნალს „შარლი ებდოს“ თავს დაესხნენ შეიარაღებული პირები, რომლებმაც 12 ადამიანი იმსხვერპლეს, მათ შორის 5 კარიკატურისტი. შეიარაღებული პირები გაჰყვიროდნენ „ალაჰუ აკბარ“, ანუ „ღმერთი დიდია“, რაც პირდაპირ მიანიშნებს კავშირს „შარლი ებდოს“ მიერ გამოქვეყნებულ მუჰამედის კარიკატურებსა და მომხდარს შორის. გამოცემის მთავარი რედაქტორი სტეფან შარბონიე, იგივე „შარბი“ იქამდე უკვე შეტანილი იყო „ალ-ქაიდის“ მთავარი სამიზნეების სიაში და მას სპეციალურად მიჩენილი პოლიციელი იცავდა. ტერაქტამდე შარბი წერდა, რომ მისთვის სულერთია, მოკლავენ თუ არა და ურჩევნია მოკვდეს ფეხზე მდგომი, ვიდრე დაჩოქილი. თავდასხმა არც დანარჩენი ოთხი სატირიკოსისთვის - კბიუსთვის, ვოლინსკისთვის, ონორესთვის და ტინიუსთვის - ყოფილა მოულოდნელი.

„შარლი ებდო“ საფრანგეთში ცნობილია თავისი სკანდალური კარიკატურებით და სრული უპატივცემულობით ისტებლიშმენტის მიმართ. ჟურნალი ქვეყანაში ორჯერ აიკრძალა, მეორედ მაშინ, როდესაც 1970 წელს ცნობილი ნაციონალისტი პრეზიდენტის, მეორე მსოფლიო ომის გმირის, შარლ დე გოლის სიკვდილზე იქილიკა. ამის მიუხედავად, 90-იანი წლებიდან „შარლი ებდო“ რეგულარულად გამოდიოდა. მისმა კარიკატურისტებმა 1996 წელს ცნობილი ფრანგული ულტრამემარჯვენე პარტიის „ნაციონალურ ფრონტის“ აკრძალვა მოითხოვეს და ამისთვის 170 000 ხელმოწერა შეაგროვეს. ჟურნალი აგრძელებდა პოლიტიკოსების, რელიგიების, ბანკირების ულმობელ და უკომპრომისო კრიტიკას. თავიანთი იმივჯიდან და შეხედულებებიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ ისინი ადრე თუ გვიან შეეჩეხებოდნენ ფრანგული საზოგადოებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ თემას: დამოკიდებულებას ისლამთან და, განსაკუთრებით, მის ყველაზე რადიკალურ ფორმებთან.



მტკივნეული თემა ეს ფრანგებისთვის რამდენიმე მიზეზით არის. ბევრი პროგრესული ფრანგისთვის მუსლიმი ემიგრანტების მიღება და ინტეგრაცია ერთგვარი ხარკია, რომელსაც საფრანგეთი იმპერიალისტური წარსულისთვის იხდის. წარსულში საფრანგეთის კოლონიები იყო ჩრდილოეთ აფრიკის მუსლიმური ქვეყნები: მაროკო, ალჟირი და ტუნისი. ამ და სხვა მუსლიმური ქვეყნებიდან წამოსული ემიგრანტები ძირითადად სიღარიბეში, პარიზის და საფრანგეთის სხვა ქალაქების გაღატაკებულ, გარესამყაროსგან იზოლირებულ გეტოებში ცხოვრობენ. უმუშევრობის მაღალი დონე და იზოლაცია ბევრ მათგანს კრიმინალისკენ უბიძგებს.

ისლამის ნებისმიერი ფორმით კრიტიკა პარალელურად ამ ადამიანებზე შეტევად განიხილება და, ზოგიერთის აზრით, მათ რადიკალიზაციას გამოიწვევს. კიდევ ერთი მიზეზი რატომაც ისლამის კრიტიკა მტკივნეული თემაა, ისაა, რომ ზემოხსენებული ულტრამემარჯვენე პარტიის, „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერი მარინ ლე პენი დღეს უკვე არნახული პოპულარობით სარგებლობს. 2014 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული გამოკითხვის მიხედვით, ლე პენს საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები საფრანგეთში დღეს რომ ჩატარდეს, მას გამარჯვების ძალიან დიდი შანსი აქვს. ლე პენი ყველა არალეგალი ემიგრანტის დეპორტაციას, ხოლო ლეგალური ემიგრანტების მიღების დროებით შეჩერებას ითხოვს. იგი ამაზე გაცილებით შორსაც მიდის და მოქალაქეობის ჩამორთმევასაც უჭერს მხარს იმ უცხოელებისთვის, რომლებიც საფრანგეთში სისხლის სამართლის სერიოზულ დანაშაულს ჩაიდენენ. ერთი სიტყვით, მისი ზოგიერთი შეხედულება ახლოს არის რასიზმთან და ეს კიდევ დამატებითი მიზეზია სინდისის ქენჯნისთვის ბევრი ფრანგისთვის, რომლებიც მის არჩევას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

ასეთ პოლიტიკურ კლიმატში „შარლი ებდოს“ ინციდენტმა ბუნებრივად გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. ზოგიერთი კომენტატორი ისე შორსაც წავიდა, რომ ფრანგული გამოცემის კარიკატურებს რასისტული უწოდა. მაგალითად, ბრიტანეთის მუსლიმური საჯარო საქმეების კომიტეტის დამფუძნებელი ასლარ ბუხარი წერს, რომ „მუსლიმები საფრანგეთში არის დემონიზებული ქვეკლასი. ადამიანები, რომლებსაც შეურაცხყოფენ და თავს ესხმიან ძალაუფლების სტრუქტურები; ღარიბი ხალხი, რომლებსაც არანაირი ძალაუფლებრივი ბერკეტი არ გააჩნიათ და ამ საზიზღარმა კარიკატურებმა მათი ცხოვრება კიდევ უფრო გაუარესა. რასისტული სტერეოტიპები მათ შესახებ კიდევ უფრო გამყარდა.“

ამგვარ დამოკიდებულებას იზიარებენ სხვა ადამიანებიც, მათ შორის არამუსლი-

მები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ისლამის ნებისმიერი სახის კრიტიკა ღარიბ მუსლიმ იმიგრანტებზე განხორციელებული კულტურული ძალადობის ტოლფასია. ზოგიერთმა ლიბერალმა (მემარცხენემ) ამერიკაში და სხვადასხვა ჯგუფის სოციალისტმა ევროპაში, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში რელიგიურ ფუნდამენტალისტებს ებრძვიან, ამ შემთხვევაში რელიგიურ ფუნდამენტალიზმს, პირიქით, ხელი დააფარეს. მიზეზი, რატომაც ისინი ასე იქცევიან, ნაწილობრივ ის სინდისის ქენჯნაა, რასაც დასავლური იმპერიალიზმისა და სოციალური უთანასწორობის გამო გრძნობენ.

ისლამის კრიტიკოსების წინააღმდეგ ამგვარი არგუმენტებით გალაშქრება ახლადშექმნილი ფენომენი არ არის. ჯერ კიდევ წინა საუკუნის 90-იან წლებში, ცნობილი ინდოელი მწერლის, სალმან რუშდის რომანის, „სატანური ლექსების“ გამოქვეყნებას მოჰყვა ირანის მაშინდელი უზენაესი ლიდერის, აიათოლა რუჰოლა ხომეინის მიერ გამოცემული ფატვა, რომელშიც ხომეინი მწერლის ფიზიკურ განადგურებას ითხოვდა. დასავლელ პოლიტიკოსებს ამაზე არაერთგვაროვანი რეაქცია ჰქონდათ. ზოგიერთმა მათგანმა ხომეინის საქციელზე მეტად თავად რუშდის რომანი დაგმო.

ხომეინი ცდილობდა, რომ თავისი გავლენა ირანში და მის საზღვრებს გარეთ - მუსლიმურ და არამუსლიმურ სამყაროში - სწორედ ამ გზით, საყოველთაო შიშისა და ტერორის დათესვით განემტკიცებინა. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ მან თავის მიზანს მიაღწია - სალმან რუშდი მრავალი წლის მანძილზე საზოგადოებისგან იმალებოდა, მისი რომანის რამდენიმე მთარგმნელი კი სიცოცხლეს გამოასალმეს. ამ ინციდენტის შემდეგ ვეღარავინ ბედავდა საჯაროდ ისლამისთვის მტკივნეულ თემებზე ხმის ამოღებას. დანიურმა გამოცემა Jyllands-Posten-მა როდესაც 2005 წელს მუჰამედის კარიკატურები გამოაქვეყნა, ბევრმა პოლიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ დაგმო ისევ თავად გამოცემა, რომელმაც, მათი აზრით, უგულებელყო დასავლური იმპერიალიზმისა და სოციალური უთანასწორობის ისტორია და შეურაცხყოფა მიაყენა მუსლიმთა რელიგიურ გრძნობებს.

კარიკატურისტებისა და სატირიკოსების კრიტიკოსთა არგუმენტები რომ არ იცვლება, ეს მხოლოდ სინდისის ქენჯნით განპირობებული არ არის. ამის ერთ-ერთი მიზეზი შიშიცაა - ის შიში და ტერორი, რომელიც მთელი ისლამური სამყაროს სახელით მოლაპარაკე რადიკალმა მუსლიმმა კლერიკალებმა დანერგეს.

რადიკალების ისე წარმოდგენა, თითქოს ისინი დასავლეთისგან მთლიანად დაუცველები არიან, რეალობას არ შეესაბამება. ისლამურ ფუნდამენტალიზმს კვებავს მილიონები, რომლებიც საუდის არაბეთის შეიხების, შიიტი აიათოლების და დაჯგუფება „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ ფონდებიდან მოედინება.

აგრესიაც, რომელიც ამ ჯგუფებს ახასიათებთ, მხოლოდ დასავლეთისკენ მიმართული არ არის. ერაყის სამოქალაქო ომის დროს შიიტ და სუნიტ ექსტრემისტებს შორის დაპირისპირებას არანაკლებ სისხლიანი ხასიათი ჰქონდა, ვიდრე რადიკალი ისლამისტების მიერ დასავლეთში მოწყობილ ტერაქტებს. ზემოხსენებული „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელწიფო“, სასტიკად უსწორდება ტყვეებს და სამოქალაქო პირებს. „ისლამური სახელმწიფო“ მონაწილეობს უპრეცედენტო მასშტაბის ეთნოწმენდაში და შიშისა და ტერორის ქვეშ ამყოფებს თავის კონტროლქვეშ მყოფ მუსლიმ მოსახლეობას.

კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც მუდმივად თავს არიდებენ მოძალადეების დადანაშაულებას და ამის საპირისპიროდ, მათ ვიქტიმიზაციას ახდენენ, არის თეორია, რომლის მიხედვითაც ადამიანის ქცევა მთლიანად იხსნება სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებით. სოციალური გარემო უდავოდ დიდ გავლენას ახდენს ადამიანებზე, მაგრამ იმ კულტურული კონტექსტის გაუთვალისწინებლად, რომელშიც ადამიანი ყალიბდება, ინდივიდუალური ქცევის ახსნა შეუძლებელია.

რადიკალური ისლამის კრიტიკის გარეშე აბსოლუტურად შეუძლებელი იქნება სოციალური ჩაგვრის შეჩერება და საბოლოო ჯამში იმაზე მძიმე ფორმის ექსპლუატაციას მივიღებთ, ვიდრე თანამედროვე სეკულარულ და დემოკრატიულ სამყაროში არსებობს. ისლამისტი რადიკალების წინააღმდეგ მიმართული საყოველთაო კრიტიკა პირველ რიგში თავად ისლამის შიგნით უნდა გაჩნდეს. „შარლი ებდოზე“ განხორციელებული შეტევა ბევრმა ზომიერმა მუსლიმმა დაგმო, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალმა მათი რელიგიური გრძნობები შეურაცხყო. თუ სალმან რუშდის წინააღმდეგ გამოცემული ფატვა გავლენიან მუსლიმთა შორის არავის გაუპროტესტებია, დღეს სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა.

ყველაზე კარგად ხელოვანები და იუმორისტები გრძნობენ იმას, რომ სოციალური ემანსიპაციისთვის კულტურული პრაქტიკების და, მათ შორის, რელიგიის კრიტიკა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ხელოვანები პოლიტიკოსებისგან განსხვავებით უფრო მეტად მიდრეკილები არიან ამგვარი აზროვნებისკენ და, შესაბამისად, მთავარი დარტყმაც ახლა სწორედ მათზე მოდის. ამავე დროს, პოლიტიკური ფილოსოფიის ისტორიაში სიტყვის თავისუფლების და სინდისის თავისუფლების დაცვის დასაბუთებული არგუმენტების ნაკლებობა არაა.

განსაკუთრებით ყურადსაღებია - ჰეგელის „სამართლის ფილოსოფია“ და ისაია ბერლინის „თავისუფლების ორი გაგება“.

რეალური თავისუფლება ჰეგელს ესმოდა, როგორც ლიბერალური ნეგატიური თავისუფლების ერთგვარი კრიტიკა. იქიდან გამომდინარე, რომ სიტყვის თავისუფლება გულისხმობს გარკვეული დოზით უპასუხისმგებლობასაც (პასუხს არ აგებ იმაზე, რაც მოჰყვება შენს ნათქვამს), იგი თავისუფლების სრულყოფილი ფორმა არ არის და მას რეალური თავისუფლებით შევსება ესაჭიროება.

ჰეგელის მსგავსად, ისაია ბერლინი მიიჩნევდა, რომ ნეგატიური ლიბერალური თავისუფლების გარეშე ადამიანი არ შეიძლება თავისუფლად ჩაითვალოს. ამას მოწმობს ისიც, რომ დასავლეთში ლიბერალური დემოკრატიის სოციალისტური კრიტიკა სწორედ მაშინ გაჩნდა, როდესაც ლიბერალური თავისუფლებების საკითხი მეტ-ნაკლებად მოგვარებული იყო. ცნობილი ბრიტანელი სოციოლოგი თომას ჰამფრი მარშალი წერდა, რომ დასავლეთში ხალხმა ჯერ მოითხოვა სამოქალაქო, შემდეგ პოლიტიკური და სულ ბოლოს - სოციალური უფლებები. ამგვარი თანმიმდევრობის ლოგიკა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ სოციალური უფლებები სხვებზე ნაკლებად მნიშვნელოვანია (თვითონ მარშალი, ფაქტობრივად, სოციალ-დემოკრატი იყო), არამედ საქმე უფრო იმაშია, რომ საკუთარი თავის, როგორც ცალკე მდგომი ინდივიდის გააზრების გარეშე ადამიანებს უჭირთ სოციალური სოლიდარობის და კოლექტიური პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. სწორედ ამით აიხსნება ისიც, რომ იმ ქვეყნებში, რომლებსაც განმანათლებლობის ტრადიცია არ აქვთ, ძლიერი მემარცხენე მოძრაობები ფაქტობრივად არ არსებობს, ან თუ არსებობს, მათი მოღვაწეობა ავტორიტარული რეჟიმებით გვირგვინდება (საბჭოთა კავშირი, კამბოჯა, ჩრდილოეთი კორეა, ჩინეთი).

აღნიშნული ეხებათ ქართველ ინტელექტუალებსაც, რომელთა ნაწილი სამწუხაროდ მიიჩნევს, რომ დღეს საქართველოში სოციალური პრობლემები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანის უფლებები ან გენდერული თანასწორობა. ჩვენ, უფრო მეტად, ვიდრე სხვებს, კარგად მოგვეხსენება, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ადამიანის უფლებებზე მაღლა სოციალური თანასწორობის დაყენებას. „ებდოზე“ განხორციელებულმა ტერაქტმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა ის, თუ რამდენად მყიფეა თავისუფლების მდგომარეობა თანამედროვე საზოგადოებაში და რამდენად სჭირდება მის შენარჩუნებას საზოგადოებრივი მხარდაჭერა. თავისუფლების გარეშე შეუძლებელია ყველა პოლიტიკური ბრძოლა.

- თუ გინდა, დავარტყათ, - ვუთხარი მისტერ ბლეკს, - სადაც გინდა და როცა გინდა. ვამჯობინებდი კი ახლავე, ოღონდ ვაჟკაცურად. მცველები? ეგ რა კაცობაა? სიმამაცე გინდა იყიდო, წინდები ხომ არაა? ფული გადაუხადო ვინმეს, რომ შენთვის გამოიჩინოს ვაჟკაცობა?

დიდ ბოსს სახე მარჯნისფერი გაუხდა. მან თვალების პარპალი დაიწყო, იგი ჯანმრთელ კაცს არ ჰგავდა. ალბათ, ცოტას ჭამდა და ბევრსა სვამდა.

- ინანებ, - თქვა ბოლოს ბოსმა.

- რა თქმა უნდა, ვინანებ, უკვე ვნანობ კიდეც. როგორ ფიქრობთ. მესიამოვნა, რომ ასე უხეშად გელაპარაკებით ამ ჭაღარა, მამისტოლა კაცს? რა თქმა უნდა, არა. ჩემი თავის მრცხვენია, მაგრამ ისევ თქვენი ბრალია. მე ხომ არ დამიწყია ლანძღვა და მუქარა.

მისტერ ბლეკმა რაღაც წაუჩურჩულა დიდ ბოსს.

- არა, - უპასუხა მან, თან ყბა ისე უცახცახებდა, რომ ძლივსღა აბამდა სიტყვას სიტყვაზე, - ალაყაფიდან გავიდეს, ეს უფრო იოლი გზაა.

- მშვიდობით! – მე უკვე კართან ვიყავი, - ყველა ერთნაირად არ უყურებს ცხოვრებას.

მათ არაფერი მიპასუხეს.

კვლავ კლუბში დავბრუნდი, ქაღალდი ავიღე და ოთხი წერილი დავწერე - თურქულად, რუსულად, სპარსულად და ქართულად"

- „პატივცემულო ბატონებო!

გთხოვთ მაპატიოთ ჩემი შეცდომა. ისე მოხდა, რომ არ ვიცოდი თუ სამუშაოს გტაცებდით. აი, ამიტომ გამოვდივარ!

თქვენი გულწრფელი"...

და ხელი მოვაწერე.

პიჯაკის ორივე მხარეს ორ-ორი წერილი მივიმაგრე ქინძისთავით, მისტერ ბლეკის წერილი შლიაპის ბაბთაში გავირჭე, ჩემოდანი ავიღე და პირველი ჭიშკარი გავიარე. მთავარ ჭიშკართან რომ მივსულიყავი, დაახლოებით 200 ფუტის სიგანის ეზო უნდა გამევლო. გავიგონე, როგორ დაიწყო ხალხმა ღრიალი, როცა ამ ეზოზე გადავიარე, „გააღე"! – მივაძახე დარაჯს, რომელიც მთავარ ალაყაფთან ამართულ სადარაჯო კოშკურაზე იდგა. მან თავი გააქნია და ბრბოზე მანიშნა.

„გააღე!"

საკეტმა გაიტკაცუნა, მე ღრმად ჩავისუნთქე და გავედი...

გონს რომ მოვედი, ტახტზე ვიწექი. ვიღაც ლედი სისხლს მწმენდდა. ირგვლივ 4 თუ 5 კაცი შემომხვეოდა და დამჩერებოდა.

- ჩვენ ძლიან ვწუხვართ, - მომმართა რომელიღაც სლავურ ენაზე ცალთვალა კაცმა, - ჩვენი ბიჭები ფიცხები არიან.

რედაქტორისაგან:

გიორგი და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს" ავტობიოგრაფიული ნოველების კრებულია.

იგი ინგლისურ ენაზე დაიწერა და პირველად 70 წლის წინათ, 1944 წელს გამოიცა. დღემდე ამ წიგნის 20–მილიონამდე ეგზემპლარია გაყიდული, რვიდმეტჯერ გამოიცა ამერიკაში, ითარგმნა იტალიურ, ფრანგულ, ნორვეგიულ, დანიურ ენებზე. გადატანილია ამავე სახელწოდების ფილმადაც ჰოლივუდში.

წიგნი გვიხატავს 1930–იანი წლების ქართველი ემიგრანტის ცხოვრებას და ამავე დროს გლეხის თვალით დანახულ ამერიკას.

ანთოლოგიაში, მსოფლიოს 50 საუკეთესო წიგნს შორის, ხომელიც ყველაზე უკეთ აისახა ამერიკა – ჯეკ ლონდონის, ფიცჯერალდის, სელინჯერის და ჰემინგუეის გვერდით შეხვდებით ამ წიგნსაც.

- არაფერია, – მე თავი და ხელ-ფეხი ავამოძრავე. დაზიანებული არაფერი მაქვს. – რა მოხდა?

- შენ გარეთ გამოხვედი. ბუნებრივია, რომ პატარა არეულობა მოხდებოდა. ვიღაცამ მოგცხო და დაგაგდო. როცა დაეცი, მათ ბლეკის წერილი ნახეს და მაშინვე შენი მოკვლა დააპირეს.

- რატომ?

- წერილი ამბობს: „ამა წერილის წარმომდგენი არის ჩემი პირადი რწმუნებული, კეთილი ინებეთ და შესაფერისად მოექეცით მას".

მაგრამ ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა თქვა: „მოიცათ, მოიცათ, მაგ შტრეიკბრეხერების დალალს ჩვენთვის არასოდეს უთქვამს სიმართლე, ახლა რატომღა უნდა დავუჯეროთ. რაღაც მახეს გვიგებენ, ერთი ვნახოთ სხვა წერილები რას ამბობენო". მაგრამ მათი წაკითხვა ვერავინ შეძლო და ამიტომ აქ მოგიტანეს.

ყველაფერი წვრილად მოვუყევი მათ და დავმეგობრდით. გამომჯობინებამდე იმ სლავ კაცთან და მის ოჯახთან დარჩი. შემდეგ კი, მეც სხვებთან ერთად, გაფიცულთა პიკეტებზე ვდარაჯობდი. აღარც მოსაწევი მქონდა, აღარც ბიფშტექსი და აღარც 7 დოლარი, სამაგიეროდ, არც მისტერ ბლეკი იყო აქ. ასე რომ, სრული წონასწორობა სუფევდა.

ერთი კვირის შემდეგ დიდმა ბოსმა გადაწყვიტა შეთანხმებოდა გაფიცულებს. მე ვფიქრობ, მას მობეზრდა ყოველდღე 7 დოლარის გაცემა იმ სირიელისათვის, რომელიც იმისათვის უკეთებდა საცეცხლურში გაზეთილ ქაღალდებს, რომ გაფიცულები მოეტყუებინა – ბრძენები მუშაობსო. ბოსს კი შეეძლო 3 დოლარად ისეთი ხალხი ეშოვა, რომლებიც ნამდვილ ცეცხლს დაანთებდნენ, ბოლოს და ბოლოს, იგი ხომ გამოცდილი ბიზნესმენი იყო.

ასე რომ, ჩემმა მეგობრებმა მუშაობა დაიწყეს და მეც კი მომინახეს ადგილი იმავე შემკეთებელ საამქროში.

მაგრამ გადავწყვიტე, ეს სამუშაო არ ამეღო. მართალი გითხრათ, გული არ მიმიწევდა ამისთანა უფროსის ხელში სამუშაოდ - ამ კაცს ზრდილობის ნასახი არ გააჩნდა და ყველაზე ცუდი კი, ჩემი აზრით, ის იყო, რომ იგი არც გამოსწორდება.

მიწის ძახილი

ამის შემდეგ ემბრიჯში წავედი. თავდაპირველად დეპოში ვმუშაობდი, მერე გარაჟში ვიშოვე ადგილი. თვე თვეს მისდევდა. ახლა უკვე სამი წელი იყო, რაც თბილისი დავტოვე. სამი წელი! ამ ხნის განმავლობაში, თუ ნიუ-იორკში გატარებულ პირველ თვეებს არ ჩავთვლით, არც ერთი ქართული სიტყვისათვის არ მომიკრავს ყური.

სადაც უნდა მოვხვედრილიყავი, სულ სომხის, ასურელის და სპარსელის ძებნაში ვიყავი, - იქნება ქართული ესმოდეთ-მეთქი, მაგრამ ბედი არა მწყალობდა.

პიტსბურგში რომ ვმუშაობდი, ერთმა თურქმა მითხრა, - ჩემი ბიძაშვილი უილინგში ცხოვრობს და ქართულად მოლაპარაკე კაცს იცნობსო. ერთ კვირა დღეს, მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი გამოგდებული წებოს ქარხნიდან, ავტობუსით წავედი და თურქის ბიძაშვილი მოვნახე. მაგრამ თურმე მის მეგობარს სულ ერთი თუ ორი კვირა ეცხოვრა ბათუმში, 1918 წელს. მას ახსოვდა ხილის გამყიდველები. ენა კი... რაღა კითხვა უნდა, ორ კვირაში ხომ ვერ ისწავლიდა.

ორიოდე საათს შევრჩი მასთან. ძეხვსა და პურს გეახელით და რამდენიმე ჭიქა ღვინოც გადავკარით.

ყველაფერი შეიძლება მოხდეს

ანდუყაფარ ჭეიშვილისეული თარგმანი

გიორგი და ჰელენ პაპაშვილები

- მე არ მიკვირს, - მითხრა თურქის ბიძაშვილმა (მას ასლანი ერქვა) – კარგად მესმის, რაც გემართება. ერთხელ ინდიანას შტატში წავედი მზარეულად. ექვსი თვე ვმუშაობდი იქ. ღმერთმანი, ერთი კაციც ვერ ვნახე, რომ გამოვსაუბრებოდი. ათასი დოლარი ნაღდი ფული რომ მომცენ, ამას აღარ ჩავიდენ.

სულ ასე მემართებოდა, მაგრამ მაინც ხელახლა ვიწყებდი ისეთი კაცის ძებნას, რომელსაც ქართული ეცოდინებოდა. ეკლესიაში, სასაუზმეში და რუსულ კლუბში რომ მოვხვდებოდი, პირველად იმას ვკითხულობდი, ქართული ხომ არავინ იცის-მეთქი. ეს უკვე ჩვეულებად გადამექცა.

ერთმა სომეხმა დიაკონმა გაიგო ჩემი გასაჭირი, ღამით სახლში მომადგა და მითხრა: ერთ სომეხს ქართველი ცოლი ჰყავს, წაგიყვან და იქნებ შესძლოს შენთან ლაპარაკი.

წავედით. ის ქალი მართლა ქართველი გამოდგა, მაგრამ ლაპარაკი არ იცოდა. ბოდიშიც კი რუსულად მომიხადა. „მაპატიეთ, გეთაყვა, მე ერთი სიტყვაც არ ვიცი ქართული". თურმე ერთი წლისა ყოფილიყო, რომ მშობლებს ოდესაში წაეყვანათ.

ერთხელ გავიგე, თურმე უნივერსიტეტში დიდი მეცნიერები ყოფილან, ისინი წიგნებს წერენ და ბევრ ენაზე ლაპარაკობენ, ქვეყნის ყველა კუთხიდან უამრავი სტუდენტი მოდის მათთან სასწავლებლად. ვიფიქრე, ასეთი ნასწავლები თუ არიან, იქნებ ქართულიც იცოდნენ-მეთქი. დასვენების დღეს საგანგებოდ გამოვეწყე და უნივერსიტეტში წავედი. ორ პროფესორთან გამაგზავნეს ზედა სართულში. მარმარილოს კიბით ავედი მათთან. სირიული გინდა, რუსული, ბერძნული, სპარსული, სომხური თუ თათრული, - ყველა ინგლისურივით იცოდნენ. ქართული? არა, ქართულის ინჩიბინჩი არ გაეგებოდათ.

კარგა ხანს აკანტურეს თავები. შემდეგ ერთმა მათგანმა თაროდან უზარმაზარი წიგნი გადმოიღო.

- იცით თუ არა, რომ თქვენ ერთ-ერთ იშვიათ ენაზე ლაპარაკობთ, რომ იგი არ ენათესავება ენათა არც ერთ ჯგუფს! – მითხრა მან.

- მგონი, შუმერულის კვალი შეინიშნება მასში, - თქვა მეორემ. შემდეგ მთხოვეს რამე მეთქვა ქართულად, მაგრამ არ ვქენი, რა აზრი ჰქონდა. მელაპარაკა და პასუხი არ მიმეღო? წყლის ნაყვა იქნებოდა. დავემშვიდობე და წამოვედი. შემდეგ ხელი ჩავიქნიე, არაფერი მეშველება-მეთქი, გადავწყვიტე და ღიღინი დავიწყე გულის გადასაყოლებლად (როგორც კრიალოსანს მარცვლავს ზოგი გულის გადასაყოლებლად).

ქუჩაში ვიყავი თუ სამუშაოზე, ვღიღინებდი, თავში სულ სიმღერა მიტრიალებდა. „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო"...

ქუჩაში მომიხედავდნენ ხოლმე, დუქნის ბიჭები დამცინოდნენ, მაგრამ გაჩუმება არ შემეძლო. მემღერებოდა...

იმ დღესაც ღიღინით მივედი სამრეცხაოში პერანგის გამოსატანად. „რომ არ გაფუჭდეს ჩონგური, ოდელა, დელა, დელაო".

დახლში მდგომ ქალს ქვითარი გავუწოდე. შევამჩნიე, რომ იგი გაოცებული მომჩერებოდა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე, - უკვე მიჩვეული ვიყავი ამას.

- თქვენ რომელიღაც უცნაურ ენაზე ღიღინებთ. არა?

- დიახ, ქალბატონო!

- მამაჩემმაც იცის ერთი უცნაური ენა. ძალიან უცნაური, ერთხელ, ათი წლის წინათ, მან განცხადება გაუგზავნა „სან ტელეგრაფს" - „ვუხდი 1000 დოლარს, ვისაც ეცოდინება ჩემი ენა". აი, ასეთი განცხადება მოათავსა და ხელი მოაწერა: ალ. მონტო. რამდენიმე კაცი მოუვიდა, მაგრამ ის ენა არავინ იცოდა. ძალიან უცნაური ენაა.

- ქალბატონო, ყველა ენა, რომელიც არ იცი, მე მგონი, უცნაურად მოგეჩვენებათ, - ვუთხარი მე და წავიღიღინე „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები, დელია რანუნი..."

- მოდი, დავუძახებ: მამა! მამა!

- მა-მა!!!

- წყალს ნაფოტი, ჰარალო, წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა...

გვერდითა ოთახის კარი გაიღო და იქიდან პატარა მოხუცი გამოხტა, - წყალს

ნაფოტი? ვინ მღერის, წყალს ნაფოტი? – იკითხა მან („წყალი, ნაფოტი" ისე წაიმღერა, თითქოს დაუსაპნავმა ურემმა დაიჭრიალაო).

მე მოხუცს მივაშურე: - გამარჯობათ, ბატონო!

მან ხელები გაშალა, გულში ჩამიკრა და გადამკოცნა. ლოყებზე მსხვილი ცრემლები ჩამოუგორდა.

- გაგიმარჯოს, შვილო! ეს რა ბედნიერი დღე გამითენდა!

- მეშველა, სამი წლის შემდეგ კვლავ გავიგონე მშობლიური ბგერები...

ქალიშვილმა სკამი მოუტანა მამამისს. მე მის გვერდით, იატაკზე, მოვკალათდი.

- სამი წელი? – თქვა მოხუცმა ქართულად, - სამი წელი და წუწუნებ? მე რაღა ვთქვა, შვილო, 30 წელია მშობლიური ქართული არ გამიგონია!

მოხუცმა მიამბო თავისი თავგადასავალი: ორი წლისა ყოფილა, როცა დედ-მამა (მამა გემის კაპიტანი ჰყოლია) ციებცხელებით დაღუპულა ბათუმის ნავსადგურში. ბავშვი ერთ ქართველ ოჯახს აუყვანია. როცა დავაჟკაცებულა, მეზღვაურობა დაუწყია. პიტსბურგში მოხვედრილა, მოსწონებია და საბოლოოდ აქ დარჩენილა საცხოვრებლად.

ამის შემდეგ თითქმის ყოველ საღამოს მოხუცს გავუვლიდი ხოლმე სამრეცხაოში. ვიყიდდით ზეთისხილს, მარილიან ყველს, კიტრებს, ძია მონტოს ერთსართულიან სახლში მივდიოდით და ღვინის კასრს მოვუსხდებოდით ხოლმე. მას 30 წელი არ გაეგონა ჩვენი ენა, მაგრამ ჩვენებური ღვინის დაყენება არ დავიწყებოდა.

ყოველ საღამოს ვისხედით სარდაფის კართან გამართულ ფანჩატურში, ვყვებოდით კინტოების ანეკდოტებს, არაკებს, რიგრიგობით ვიხსენებდით და ვლაპარაკობდით...

არ ვიღლებოდით. სიტყვები მოდიდებული მტკვარივით მოედინებოდა და ნანასავით ესალბუნებოდა სმენას.

იოლი გამდიდრების გზები

ერთხელ ის კაცი, რომელიც ჩემთან ერთად ემბრიჯის გარაჟში მუშაობდა, შვებულებაში წავიდა. როცა დაბრუნდა, გავიგე, რომ დეტროიტში მოწყობილიყო, სტუდებეკერის ქარხანაში. სამუშაო შენც გიშოვნეო, მითხრა.

- დიდი მადლობა, მაგრამ...

- არაფრის...

- დიდი მადლობა, მაგრამ რა მინდა დეტროიტში?

- აქ რაღა გინდა? – მკითხა მან, - ძველ ჯაბახანებს არემონტებ, რაღაცას ჯღანავ, როცა შეგიძლია დეტროიტში წახვიდე და მშვენიერი ახალი ავტომობილები აკეთო.

- ეგ დეტროიტი როგორიღაა?

- ქარხნები მთელი მილის სიგრძეზეა გაჭიმული. ყოველ ორმოცდაათწუთში თითო ახალი მანქანა ჩამოდის კონვეიერიდან.

- დაუჯერებელია.

- თუ ორმოცდაათი ახალი მანქანა ყოველ წუთში. მგონი ასეა... იქ დიდი ტბაც არის, მის მეორე ნაპირზე უკვე კანადაა.

„მარტოხელა კაცი ჭამაშიც ბრალიაო", მეც ავდექი და დეტროიტში წავედი. ჯერ სტუდებეკერის, შემდეგ კი პაკარდის ქარხანაში ვმუშაობდი. ძალიან მომეწონა.

მაგრამ მეორე ზამთარს მუშაობა შენელდა. ხუთასი დოლარი მქონდა დაზოგილი და გადავწყვიტე, სანამ შემომეჭმებოდა, რაიმეში დამებანდებინა. რაღაც ხელის მოსაჭიდი ხომ უნდა მქონოდა?

და მე ყველაზე სარფიან საქმედ ორი ცოცხალი შავმურა მელიის შეძენა მივიჩნიე. ისინი ფერმაში ვიყიდე. გამყიდველი ამ მელიებს ფერმაშივე იტოვებდა. როგორც მან ამიხსნა, შვილები და შვილიშვილები რომ ეყოლებოდათ, მათ ტყავებს გავყიდდით და ფულს გავაკეთებდით. ორივეში 225 დოლარი გადავიხადე, შენახვაში კი 2 დოლარს ვიხდიდი ყოველ კვირას.

ყოველ კვირა დღეს ჩემი მელიების სანახავად დავდიოდი და ძალიან შემიყვარდნენ კიდეც. ერთს, ოქროსთვალებას, მელუშკელა დავარქვი, მის ქმარს – მისტერ ფოქსი. მათთვის ხილი მიმქონდა ხოლმე და როგორც კი დამინახავდნენ, მელური გულები აღტაცებით ევსებოდათ, გალიიდან ცხვირს გამოჰყოფდნენ და ყურძენს ხელიდან მგლეჯდნენ.

მაგრამ მალე შევატყვე, რომ ეს გამდიდრების ნელი გზა იყო. მეხუთე კვირას მელიების მომვლელმა დამირეკა ფერმიდან: „მეტს ნუღარ მოხვალ, მეგობარო, გუშინ შენი მელიები გაცივდნენ და ფეხი გაჭიმესო".

კინაღამ დამბლა დამეცა, მაგრამ ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ მივხვდი, რომ ასე სჯობდა, რადგან ძალიან შემიყვარდნენ მელუშკელაც და მისტერ ფოქსიც და ვერასგზით ვერ ავიტანდი, მათ დახოცვას, არადა, როცა იქნებოდა უნდა დაეკლათ, რათა ვინმეს ყელზე შემოეხვია მათი ტყავი.

ახლა მხოლოდ 275 დოლარი მქონდა. რა ვუყო ამ ფულს? სჯობს, უძრავი ქონება შევიძინო-მეთქი, ვიფიქრე, - ის არც ავად გახდება და არც მოკვდება. დასვენების დღეებში შეგიძლია მეგობრები წაიყვანო და შენი ადგილ-მამული დაათვალიერებინო. როცა მოჟამულ ხასიათზე ხარ, წახვალ, თვალს გადაავლებ და გამხიარულდები.

კომისიონერისაგან, რომელიც რუსულ კლუბში დადიოდა ხოლმე, მიწის ორი ნაკვეთი ვიყიდე პონტიაკში. მან ეს ორი ნაკვეთი მშვენივრად გაფერადებულ რუკაზე გვიჩვენა. აქ ეწერა მფლობლებისა და ქუჩების სახელები. აქვე ნაჩვენები იყო, თუ სად გაშენდებოდა პარკები, სად ბაზრები. ყველაფერი იყო აღნიშნული ამ რუკაზე.

- ასეთი ადგილ-მამულით, - მითხრა მან, - თქვენ პატარა ქონებას შეიძენთ.

და ეს ყველაფერი 250 დოლარი ჯდებოდა. არავითარი დამატებითი ხარჯი. ფული ნაღდად გადავიხადე.

როგორც კი დრო ვიხელთე, ჩემი ადგილ-მამულის სანახავად პონტიაკში წავედი, მაგრამ მიგნება ძალიან გამიჭირდა, იგი ტყლაპოთი დაფარულ დიდ მინდორზე მდებარეობდა. ფეხსაცმელები მთლიანად ტალახში ამომეთხვარა. ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიე ჩემს ნომერს. იგი იმ თეთრ სვეტზე ეწერა რომელიც ტალახით სავსე ღრმა გუბესთან ჩასთ. აი, თურმე როგორი ყოფილა ჩემი მამული!

მთელ ქვეყანაზე მხოლოდ ჩვენ ფურკამეჩს, ლამაზას თუ მოეწონებოდა ეს ადგილი, რადგან შეეძლო თუნდაც მთელი დღე ეგორავა ლაფში, თუკი ვინმე არ დაუსტვენდა და არ ამოიყვანდა იქედან.

მაგრამ მე მაშინვე მივხვდი, რომ ლამაზას ჩამოყვანა საქართველოდან არ იქნებოდა მიზანშეწონილი. კობიაანთ კარში ხომ უამრავია ასეთი გუბე, თანაც შაურიც არ დამეხარჯებოდა მათ შეძენაში.

ასე რომ, შინ, დეტრიოტში დავბრუნდი.

ჩემი სახლის ზედა სართულში ვცხოვრობდით: მე, ორი ეგვიპტელი - ახალგაზრდა ჰასანი და აჰმედი, ერთი რუსი – ჩემი მეგობარი ვალოდია, კაზაკი ერმაკი და ერთი მოხუცი სპარსელი, რომელიც არაფრით გვიმხელდა თავის სახელს.

როცა შევედი, ახმედი ფლავს ამზადებდა.

– მაჭამეთ რამე, ბიჭებო! სულს აქეთ არაფერი დამრჩა: ჩემი მელიები სამარეში წვანან, ჩემი მიწა წყლის ქვეშაა, ჩემი

ფულები გაქრა. ოცდახუთი დოლარიღა დამრჩა. და მე ყველაფერი ვუამბე ამხანაგებს.

ერმაკი სკამზე იჯდა და ხმამაღლა კითხულობდა რუსულ იუმორისტულ გაზეთს.

- ასეა, - ერმაკი ფეხზე წამოხტა, - შენ გაგაცურეს, გაგყიდეს, გაგათახსირეს, მოგატყუეს. ნამდვილად ასეა! გაგაღატაკეს! იქნებ ის აგენტი ფიქრობს, რომ შენ არარაობა ხარ, რომ მეგობრები არა გყავს, მარტოდმარტო ხარ. იმას ვაჩვენებ სეირს. ასე ადვილი არაა კაცის მოტყუება, თუ ერმაკის ყურამდე მივა ამბავი. მოდი, ბიჭებო, ყველანი პონტიაკში წავიდეთ, ამ სალამსვე. ჩვენ უკანასკნელ კაპიკამდე დავიბრუნებთ მთელ ფულს. ან ფული ან სული!

- მოდი, ნუ მოვკლავთ, - თქვა აჰმედმა და თან გაცხარებით ამოურია ქვაბს, - ასეთი ამბავი ამერიკის მთავრობას არ მოსწონს.

- ან ფული ან სული! – გაიმეორა ერმაკმა, - ჩემთვის სულერთია რომელი, დაე, თვითონ აირჩიოს. მე ერთი ვიცი – მეგობრობა წმინდათა წმინდა რამ არის.

როცა პონტიაკში მივედით, უძრავი ქონებით მოვაჭრეს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა ამდენი ხალხის დანახვა, მაგრამ მაინც ძალიან თავაზიანად მიგვიღო და სათითაოდ მიგვიჩინა დასაჯდომი ადგილი.

- გასაგებია, ბიჭებო, გასაგებია. თქვენი მეგობრის მიწა ახლა იქნებ მართლაც ნესტიანია. ამას არ ვუარყოფ, მაგრამ ახლა ხომ ზამთარია, წვიმებია. ზაფხულში კი, როცა მიწა გაშრება, ვისი იქნება მობიბინე მდელო? ვისი იქნება ფიალასავით გაფურჩქვნილი ყვავილები? ვისი იქნება წყლის შროშანებით სავსე სათევზაო გუბურა? – და აგენტმა თითი ჩემსკენ გამოიშვირა, - თქვენი, მეგობარო, ეს ყოველივე თქვენი იქნება!

- ჰო, მაგრამ...

- გარდა ამისა, - განაგრძო მან, - ქვაფენილს დააგებენ, სულ მალე, მომავალ კვირას. ქვაფენილს კი თხრილები სჭირდება. ასე არაა? თხრილები წყალს დაწრეტს და თქვენი ნაკვეთი გამოშრება. ექვსი თვის შემდეგ უეჭველად თავზე თავს მოიგებთ.

აი, ასე მიყვა და მიყვა იმერელ მეზღაპრესავით, რომელიც ერთ ზღაპარს ლამაზად გადაბამს ხოლმე მეორეს და იმდენი ილაპარაკა, რომ ბოლოს ერმაკმა ჯიბე ამოიფხიკა და 25 დოლარად ორი ნაკვეთი დაიბევა. ვალოდია კი შეპირდა, მეორე კვირას დანიშნულთან ერთად მოვალ და ორი ნაკვეთის შესყიდვაზე მოვილაპარაკოთ, ოღონდ ერმაკის მეზობლად იყოსო.

ასე გამოგვისტუმრა. მე კვლავ ჩემი უძრავი ქონების პატრონად დავრჩი. იგი კვლავ წყლით იყო დაფარული და ჯიბეშიც ისევ ის 25 დოლარი მედო.

- მოდი, უფრო ფხიანად მოვიქცეთ, - თქვა მეორე დღეს ვალოდიამ, - აბა, მოიფიქრეთ, რას აკეთებს ამერიკაში ხალხი ყოველ წუთს.

- ჭამს.

- თუ არ ჭამენ, რეზინს ღეჭავენ კუჭის მოსატყუებლად. მოდი, რაიმე საჭმელი მოვამზადოთ, გავყიდოთ. დიდძალ ფულს მოვიგებთ.

მაგრამ რა მოვამზადოთ? დიდხანს, დიდხანს ვიფიქრეთ. ღვეზელები, ცხრაფურცელა? (ჩვენებური ცხრაფენიანი ქადა თხის კარაქითა და ნიგვზით შეზავებული), ირმის ბარკლის მწვადი?

არა, არცერთი გამოგვადგება. ბოლოს ხინკალი ვარჩიეთ ყველაფერს. ხინკალს ძროხის რბილი ხორცი უნდა. წვრილად დაკეპავ, ხახვსა და მწვანილს დააჭრი, ცოტა პილპილი, ცოტა მარილი (პილპილზე მეტი), წყალი და მერე ერთად აურევ. შემდეგ კარგად მოზელილ ცომს მუხის ფოთლის სისქეზე გაათხელებ, შუაში ხორცს ჩადებ და თავს მოუხვევ. შემდეგ სათითაოდ ჩაყრი ცხელ წყალში და როცა ქვაბი თუხთუხს დაიწყებს, ხინკალი მზადაა. ამოიღებ, გამოხვრიტავ, წვენს გამოწუწნი და შემდეგ ხორცსა და ცომის გარსს ერთად შეექცევი, ათის, ოცის, და თუ კარგი მადა გაქვს, ოცდაათის შეჭმასაც შესძლებ. აი, ეს არის ხინკალი.

ყველაზე ძნელი ცომია, მაგრამ ვალოდიამ თქვა, მე ვიცი როგორ უნდა მოვზილოთო.

- ათასჯერ მინახავს, როგორ ზელდა დედაჩემი. მამაჩემს ძალიან უყვარდა ხინკალი. განსაკუთრებით ზამთრობით, როცა თოვლი იყინებოდა, როცა ჩემი ძმები ცხენებით ბრუნდებოდნენ შინ და ყინულის ტკაცა-ტკაცი ისმოდა. აი, სწორედ მაშინ უყვარდა მამაჩემს ხინკლაობა. ისე ყინავდა, რომ არმავირის ეკლესიების ზარების რეკა სოფელში გვესმოდა, მააშ! გვესმოდა ჩვენი სახლის გვერდზე მარხილით ჩავლილი მგზავრების სიმღერებიც. ფქვილი დამჭირდება, წყალი და კვერცხი. ეს ნამდვილად ვიცი.

პირველად რომ სცადა, ფაფა გამოუვიდა. მეორედ უკვე საგოზავს გავდა, მესამედ ცარცს.

- რა გაეწყობა, - თქვა მან, - დიასახლისს უნდა ვთხოვოთ.

და ანა ფეოდოროვნამ გვიჩვენა, როგორ უნდა მოგვეზელა. ჩვენ გულისყურით ვუმზერდით და ცომი შესანიშნავი გამოვიდა. ცომში ხორცი გავხვიეთ და მოვხარშეთ. ჩინებულია! თითქმის სულ შევჭამეთ.

შემდეგ რამდენიმე დუჟინი ყუთში ჩავწყვე და ქუჩაში გავედი, რომ რესტორნისათვის მიმეყიდა, მაგრამ სადაც კი მივედი, კარი მომიკეტეს და იმდენი ცნობისმოყვარეობაც კი არ გამოიჩინეს, რომ ერთი უბრალო ქვაბი და ადუღებული წყალი მოეცათ ნიმუშის მოსახარშად.

ბოლოს, ერთი ბერძენი ვნახე, რომელსაც იალტაში ემუშავა მზარეულად. მან კარგად იცოდა ხინკლის გემო. გასინჯა და მითხრა:

- ო'ქეი, 50 დუჟინს ავიღებ საცდელად – დღეს აქ რუსების ბანკეტი ეწყობა. ზუსტად ექვს საათზე აქ იყავ შენი ხინკლიანად. წუთი არ დააგვიანო. ნაღდი ფულით გაგისწორდები. ნუ მომატყუებ და არც მე გიშლი პირს.

კურდღელივით მოვკურცხლე შინისაკენ. გული მყინვარწვერის თავზე შემოხვეულ დილის ღრუბელივით გამინათდა.

- ანა ფეოდოროვნას ველარ შევაწუხებთ, - თქვა ვალოდიამ, როცა ეს სასიხარულო ამბავი შევატყობინე, - აი, რა ვქნათ: შენ, გაღმა რომ რუსული ფურნეა, იქ წადი, უთხარი ჩვენი გაჭირვება და ერთი მოზრდილი გუნდა ცომი იყიდე. მე ამასობაში ხორცს დავამზადებ. რომ დაბრუნდები, ცომს გავათხელებ და ხინკალს მოვხარშავთ.

მეჰურე მიმიხვდა. მან ვარცლიდან კაცის თავის ოდენა ცომი ამოიღო და ქაღალდში გამიხვია, – ცივ ადგილას შეინახავ და ყველაფერი კარგად იქნებაო, - მითხრა მან, როცა ფული გადავუხადე.

ტროლეიბუსში სივიწროვე იყო. თანაც ისე ცხელოდა, დევის თორნე გეგონებოდათ. კარგა მანძილი გვაკლდა დიკერსონის ქუჩამდე, როცა ვიგრძენი, რომ ცომი ამოსვლას იწყებდა. ჩემს გვერდით მჯდომი ქალი ჩავიდა. მისი ადგილი ვიღაც ქალბატონმა დაიჭირა. ცომი ამ დროს უკვე ტიკჭორას ოდენა გამხდარიყო. ცომს ხუთიოდე მუშტი ჩავაზილე და ცოტა ხნით დაწყნარდა. ტროლეიბუსში კიდევ ამოვიდა ხალხი. ცომმა უკვე ქაღალდიდან დაიწყო გამოსვლა. რამდენს არა ვცდილობდი, მაგრამ სულ იზრდებოდა და იზრდებოდა.

ღმერთო ჩემო, სულ მალე მთელ ტროლეიბუსს გაავსებს-მეთქი, - გავიფიქრე. ჩემს მეზობელ ქალბატონს ნერვიულობა დაეტყო. კართან მჯდომი კაცი თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდა ჩემს პაკეტს. ცომი ცოტა კიდევ აფუვდა და თითქმის საზამთროსოდენა გახდა. შევეცადე პალტოთი დამეფარა იგი.

ვიღაც ქალი ჩემსკენ გადმოიხარა. მისი ქუდის ფრთა თვალში მეტაკა.

- თქვენ რუსი ხართ? – მკითხა ქალმა.

- არა, ქალბატონო, - დავუწყე ახსნა-განმარტება, - ქართველი ვარ. ეს სულ სხვაა, სხვა ენა, სხვა...

- ეს რუსია, ყუმბარა აქვს, - შეჰკივლა მან და საავარიო ზონარი მოქაჩა.

ტროლეიბუსში ერთი აურზაური ატყდა. კონდუქტორი ჩემსკენ წამოვიდა „რა ამბავია". ხალხმა ჩემსკენ მიუთითა, „ეგ რა მოგაქვს?" – მკითხა მან. იმ დროს ჯერ კიდევ კარგად არ ვიცოდი ინგლისური.

- მე მომაქვს, მე მხოლოდ ერთი ტოპ-

რაკი პურის... პურის...

იქნებ ყველაფერი კეთილად დამთავრებულიყო, მაგრამ სწორეს ამ დროს ჩემმა მეზობელმა ქალმა პირი გააღო და იწივლა, მიშველეთ! მიშველეთ! ის ჩემსკენ მოცოცავს!

ცომს ქაღალდი გაეხია და მის კაბაზე მისეირნობდა.

- ინებეთ, ინებეთ, ქალბატონო, - ცომი იღლიაში ამოვიჩარე, - ეს აიღეთ და ახალი კაბა იყიდეთ, ოღონდ ასეთ ამბავს ნუ ასტეხთ, გეთაყვათ. ჯიბიდან პირველივე ხელში მოხვედრილი ფული ამოვიღე და მივაწოდე. და იცით? იგი ათდოლარიანი იყო! მე გასასვლელისაკენ გავემართე.

- ტროლეიბუსს აღარ გაეკარო, - მითხრა კონდუქტორმა, - მე შემეძლო შენი პასუხისგებაში მიცემა, წესრიგის დარღვევისათვის.

ღვთის წყალობით, ერთი კი კარგად მომივიდა, - ჩემი ცომი გარეთ, სიცივეში, მოჭკვიანდა. ასე, რომ უკვე შემეძლო მისი ტარება. მაგრამ სახლამდე თითქმის 6 მილი იყო და თუმცა სირბილით მივდიოდი, საათმა ხუთი დარეკა, როცა ჩემს ქუჩაზე შევუხვიე.

ჩემი დიასახლისის მამა, რუსეთ-იაპონიის ომის დროს კაპიტანი თუ ადმირალი ყოფილა და ამის მოსაგონებლად ყველა სართულზე, გემზე რომ ხმარობდნენ, ისეთი თითო დიდი ზარი ჰქონდა დაკიდებული, ზარი განსაკუთრებულ შემთხვევაში ირეკებოდა, მაგალითად, თუ ვინმე კიბეზე დაგორდებოდა და ფეხს მოიტეხდა, ან ელექტრონი ცეცხლს გაჩენდა, ან აბაზანა გაივსებოდა წყლით, ან ვინმე დოღზე ფულს მოიგებდა. ეს ზარი იმდენ ხანს ვრეკე, რომ კინაღამ თოკი ჩამოვწყვიტე. შემდეგ მოაჯირს გადავაწექი და დავიღრიალე – ყველა ზევით ამოდით და ხინკლის გაკეთებაში მომეხმარეთ, თორემ ვერ მოვასწრებთ!

პატარა ქალმა – მუსიკის მასწავლებელმა, მადამ გრეშკინამ ოთახიდან თავი გამოჰყო. ანა ფეოდოროვნას ქალიშვილი, ლუბა, ქვედა სართულიდან ამოიჭრა, ადმირალმა ოთახის კარი გამოაღო.

ყველამ ჩემთან ამოირბინა და საქმეს შევუდექით. ანა ფეოდოროვნა ცომს ათხელებდა, მე და ვალოდია ხორცს ულუფებად ვანაწილებდით, ლუბა თავს უხვევდა ხინკლებს, აჰმედი და ჰასანი წყალს ადუღებდნენ, მადამ გრეშკინა აწყობდა „ადინ, ი დვა, ი ტრი, ი ჩიტირიჰ", - როგორც ერთ სიმღერაშია. მისი აღმატებულება ფუთნიდა, არტაშა კიბეზე არბოდ-ჩარბოდა და ყუთებს ნათხოვარ საბარგო მანქანაში აწყობდა.

მარტო ჩვენი სპარსელი მიმჯდარიყო კუთხეში, შალი შემოეხვია, აქეთ-იქით ირწეოდა და ამბობდა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება, გაგონილა, კაცს ამისთანა საშინელი რამ დაემართოს ამ სიბერის დროს".



ექვსს ათი წუთი აკლდა, როცა დავამთავრეთ. მე რესტორნისაკენ გავექანე. იმ კაცს 40 დოლარი გამოვართვი და შინ დავბრუნდი.

- ახლა მოგება ვიანგარიშოთ, - თქვა ვალოდიამ, - 10 დოლარი ხორცში, 3 დოლარი ცომში.

- ათი დოლარი ტროლეიბუსში, - მივათვალე მე.

ბიჭებს ორი ბოთლი ღვინო ვუყიდე. თითო ორ დოლარად. ესეც 4 დოლარი. მაგრამ რუსეთის იმპერატორის ფლოტის ადმირალს ერთ ბოთლ ღვინოს ხომ ვერ შევკადრებდი, ამიტომ მას ერთი ბოთლი კონიაკი მივართვი. ესეც 6 დოლარი.

- თითო ბოთლ ღვინოს ვერც ადმირალის ქალიშვილს შევთავაზებდი, ვერც ანა ფეოდოროვნას და ვერც მადამ გრეშკინას. ასე რომ, კიდევ 6 დოლარი ვარდებსა და გულწრფელ სურვილებში.

მანქანა, ბენზინი, ადგილები კინოს ლოჟაში არტაშას და ლუბასთვის... ვალოდია ჩაფიქრდა, „მაპატიე, - თქვა მან ბოლოს, - გულწრფელად უნდა გითხრა, როგორც მეგობარმა მეგობარს: თქვენ ბიზნესის კაცი არა ხართ, გიორგი ივანიჩ. სადმე სხვაგან უნდა ეწიოთ ბედს".

ვიანგარიშე, რაღა დამრჩა ჩემი 500 დოლარიდან – ერთი დოლარი და 67 ცენტი ნაღდი ფული მოგროვდა.

- ვალოდია, - მივუგე მე, - ამაში შენ ცამდე მართალი ხარ.

სითბო და მოგონება

ამის შემდეგ გამდიდრებაზე ფიქრს თავი დავანებე და კვლავ ჩემ საქმეს მივუბრუნდი. მაგრამ ძალიან უკმაყოფილო ვიყავი ჩემი ბედისა. იმიტომ კი არა, ფული დავკარგე, ამაზე სულ არ ვნაღვლობდი. დავრწმუნდი, რომ უფულო კაცს ნაკლები საზრუნავი აქვს, ვიდრე ფულიანს.

არა, რაღაც სხვა მაწუხებდა. ღღეები უხალისოდ მისდევდა ერთმანეთს. საჭმელი სანამ თეფშზე იყო, გემრიელი ჩანდა, ჭამას დავიწყებდი და ჩალასავით უგემური ხდებოდა. ღვინოც კი აღარ მსიამოვნებდა. გულზე ცივი ლოდი მაწვა და ვერაფრით მომეშორებინა. ბოლოს მივხვდი, რომ ჩემი უქეიფობის მიზეზი მარტოობა იყო.

ხმის გამცემად ძია მონტო მყავდა, - ადგილი კარგი მქონდა პაკარდის ქარხანაში, თანდათან ამერიკელებსაც დავუმეგობრდი, უფრო იმათ, რომლებიც ჩემს საამქროში მუშაობდნენ. ისინი ოჯახშიც კი მეპატიჟებოდნენ ხოლმე. ამერიკელი მუშები ძალიან მომწონდა, თუმცა მათ სულ სხვა ადათ-წესები ჰქონდათ, მსიამოვნებდა, რომ ხშირად იცინოდნენ (ხანდახან თავიანთ თავზეც კი), მიხაროდა, რომ ამსხვრევდნენ მოძველებული იდეების ბორკილებს და არ ეშინოდათ, ყველაფერი, თვით სიკვდილიც კი თავიანთ თავზე გამოეცადათ. ამგვარი სიმამაცე აქამდე არც გამეგონა.

ეს ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ მაინც რაღაც მიღრღნიდა გულს. საქმე შემდეგში იყო: რაც მეტ ამერიკელ მეგობარს ვიძენდი, მით უფრო მწვავედ ვგრძნობდი მარტოობას. მეგონა, თითქოს ნაჯახით ორად გაეპოთ ჩემი ცხოვრება. მე იმ ნაწილის დარდი მკლავდა, საქართველოში რომ დარჩა. ახალი მეგობრები აუცილებელი იყო, მაგრამ კიდევ მაკლდა ვიღაც - ალბათ ის, ვინც სამშობლოს გამახსენებდა.

მაშინ ჩემ გაორებასაც მოეღებოდა ბოლო.

ბოლოს, ერთ დღეს თითქმის ამიხდა სანატრელი. ნიუ-იორკიდან ილიკოს წერილი მომივიდა. ილიკოს ქართველების გაზეთს ვეძახდით, რადგან ყველა ჩვენგანის ასავალ-დასავალი იცოდა - ვინ დაქორწინდა, ვინ მოკვდა, ვინ გაუჩინარდა, ვინ შეიცვალა მისამართი. ჩვენ ისე ცოტა და ისე გაფანტულები ვიყავით, ილიკო რომ არა, სულ დავკარგავდით ერთმანეთს. იგი ამჯერად კარგ ამბავს მატყობინებდა.

„სალამი და გამარჯობა, გიორგი. გისურვებ წარმატებას და კარგად ყოფნას. პეტრე ტრამვაის დაეჯახა. რადიატორები დაემსხვრა, მკლავიც მოიტეხა. გივი უკვე დიდი ვაჟკაცია – სკოლაში დადის. ვასოს ქალიშვილი გაუთხოვდა. ერთი ახალი შემოგვემატა. შენზე ამბობს, ვლადიკავკაზიდან ვიცნობო. ახლა ფორტ უეინში წამოვიდა სამუშაოდ. ახლობელია? იცნობ? ძია ჯონი მქვიაო, თქვა".

ძია ვანო! აქ, ამერიკაში?!

ფორტ უეინში?!

გულში ამღერებულ ჰანგს ფეხი ავაყოლე და ცეკვით შემოვუარე ოთახს.

რა თქმა უნდა, ვიცნობდი. ის კი არა, მეჩვენებოდა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე არ მომშორდებოდა გვერდიდან ისე, როგორც ძია გიორგი, ძალუა სალომე და ჩვენი ვარდუა, რომელსაც თურმე ომიდან დაბრუნება აღარ ეწერა.

მაგრამ ძია ვანო ჩემი ნამდვილი ბიძა როდი იყო. უფრო მეტიც – სხვადასხვა სოფლელები ვიყავით. პირველად ვლადიკავკაზში გავიცანი, ათი წლისა რომ ვიყავი. იქ ხმლების ოსტატს მიმბარეს შეგირდად. გამწარებული ცხოვრება მქონდა. ოსტატის ბრძანებით სახელოსნოში უნდა დამეძინა (გაქურდვისა ეშინოდა). ბრტყელ ლოდზე ვწვებოდი და საბნად კამჩის ტყავს ვიხურავდი. დღეში თოთხმეტ საათს ვმუშაობდი. ეს კიდევ არაფერი: ოსტატის ცოლი წმენდა-ხეხვაში უდიდეს სიამოვნებას პოულობდა. ნიადაგ საპნიანი წყლით ხეხავდა და ფხეკდა ყველაფერს. მისი ჯაგრისი და იატაკის საწმენდი ჯოხი ყველაფერს სწვდებოდა, კედლებიდან და ფანჯრებიდან წინა ქუჩამდე და ყოველივე ამისათვის წყალი მე უნდა მომეტანა ჭიდან და ისიც დასვენების წუთებში. მაინც არაფერი შველოდა. ორიოდე დღე რომ გაგეტარებინა იმ სახლში, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვერ მოიშორებდით ჭუჭყსა და წვირეს.

ერთ ღამეს, როცა უკვე ორი კვირა იყო გასული ჩემი შეგირდობიდან, უკანა კართან ვიჯექი და ხის თოფს ვაკეთებდი (თუ მართლა დამესხმოდნენ ქურდები, თავს დავიცავდი), თან ჩემს ერთადერთ მეგობარს, ცალთვალა მურა ძაღლს ვესაუბრებოდი. სახელად ბუცა ერქვა.

- ბუცა, რა ფასი აქვს ჩემ ცხოვრებას. ამ უხეირო სამუშაოზე კისრით ვარ მიჯაჭვული, სულ მარტოდმარტო ვაგდივარ, ერთი მეგობარიც კი არა მყავს. განა შენზე უკეთეს დღეში ვარ?!

მე და ბუცა ცოტა ხანს ფიქრებმა წაგვიღო. უცებ მეორე ეზოდან რაღაც ხმაური გაისმა. ბუცამ ჭიშკრის ღრიჭოში ცხვირი გაჰყო, სუნი აიღო და მობრუნდა. მივხვდი, რომ ყაჩაღები არ იყვნენ მოსული.

- ბუცა, ნეტავ რისთვის ვცხოვრობ ამქვეყნად, ჯობს, მეც ძაღლი ვიყო.

- თუ აგრე გგონია, აჰა, ძვალი მიირთვი.

ფეხზე წამოვვარდი. ერთი წუთით თავში გამიელვა, ბუცა ალაპარაკდა-მეთქი, მაგრამ არა, ვიღაც კაცი იყო. იგი ქვის ღობიდან გადმომყურებდა. თითქმის 7 ფუტის სიმაღლისა იქნებოდა. შავი ულვაში და დევივით თმა ჰქონდა. მარტო თვალები უჩანდა ალერსიანი.

- აჰა, ძვალი, - გაიმეორა მან და ბატკნის ბარკლის ძვალი მომაჩჩა ხელში, - თუ ძაღლობა გინდა, ეს მიირთვი, მაგრამ თუ კაცად ამჯობინებ დარჩენას, დამიჯერე, უფრო მეტად ისიამოვნებ. აი, მე უკვე ორმოცდაათი წელია, კაცი ვარ და ჯერ არ მინანია. მოდი, ღობეზე გადმოძვერი და სუფრას მოვუსხდეთ.

მეც გადავძვერი და დავრწმუნდი, რომ ის კაცი არ ტყუოდა.

შიშხინა მწვადები და მწვანილწაჭრილი ბატკნის ბეჭი გიახელით, ზედ ვაზის ფოთოლში გახვეული ტოლმა დავაყოლეთ. ბუცაც შევიამხანაგეთ, ღობის გადაღმა ვუყრიდით ძვლებს და ისიც მადიანად ახრამუნებდა. შემდეგ მოვიდა ძროხის ხორცი სოკოებითა და ნაღებით, შემდეგ ტკბილეულითა და ხილით პირამდე სავსე ლანგარი გაჩნდა. სადღეგრძელოებს ხუთნაირი ღვინით ვსვამდით – 3 წითელი იყო, ორი კი თეთრი. ერთი სიტყვით, ჩიტის რძე არ აკლდა სუფრას. რადგან ეს რესტორანი იყო და მე რომ მიმიპატიჟა,იმ კაცს ეკუთვნოდა.

- ცოლი, შვილები, დედ-მამა უკვე დიდი ხანია აღარ მყავს, ამქვეყნად ერთი ნათესავიც აღარ შემომრჩა, ასე რომ, ახლა ყველას ძია ვარ.

ამის შემდეგ თითქმის ყოველდღე დავდიოდი ძია ვანოს დუქანში და, თუ თავისუფალ დროს ვიშოვიდი, ყველგან ვეგზავნებოდი და ყველაფერზე ვეხმარებოდი. დუქანი დღემუდამ სავსე იყო ღატაკი ხალხით და ძია ვანოს არასოდეს ეზარებოდა, იმათი თავგადასავლის მოსმენა. მოხუც ჯარისკაცს პენსიის საქმე ვერ მოეგვარებინა, რამდენიმე ახალგაზრდა ციმბირიდან გამოქცეულიყო, ექვსშვილიან ქვრივს ლუკმაპური არ გააჩნდა, ხანდახან ისეთი კაციც გამოერეოდა, რომლის დაჭერისათვის მეფის პოლიცია ჯილდოს იყო დაპირებული.

თვითონ ძია ვანომ ამჯობინა, მუშტრებზე მეტი მეგობრები ჰყოლოდა, მისთვის რომ ფული ყოფილიყო მთავარი, ადგებოდა და კვლავ შეფ-მზარეულად წავიდოდა პეტერბურგში, სადაც მასთან ბატონიშვილები ივლიდნენ და დიდი მთავრები სიხარულით მისცემდნენ ოც-ოც მანეთს თითო შამფურ მწვადში.

- არა, მირჩევნია, ჩემი თავის ბატონ-პატრონი ვიყო, - ამბობდა ხოლმე ძია ვანო, - ამიტომ ჩამოვედი შინ. აქ ისე არ მიჭერიან დღეები, როგორც პეტერბურგში და გარდა ამისა, ჩემს პატარა რესტორანში ყოველდღე შემიძლია წვეულება გავმართო. ეს ხომ დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე – ხანი გამოხდა და ძია ვანოს წყალობით შეგირდობის ყავლი მოვათავე. შემდეგ ომი დაიწყო და, როცა ვლადიკავკაზში დავბრუნდი, ძია ვანო წასული დამხვდა. ბოლოს ამერიკაში ჩამოვედი. ახლა თურმე ისიც აქ ჩამოსულა.

მომავალ დასვენების დღემდე სული კბილით მეჭირა. დასვენებამ სამშაბათს მომიწია. ქალაქგარეთ მიმავალ პირველსავე მატარებელში ჩავჯექი და დილაადრიან ფორტ უეინში ჩავედი. სულ არა ვფიქრობდი, რომ ძია ვანოს პოვნა გამიჭირდებოდა. იგი მზარეული იყო და ბუნებრივია, რომელიმე რესტორანში უნდა ემუშავა.

ტაქსი დავიქირავე და ქალაქის რესტორნების ჩამოვლას შევუდექი.

- ხომ არა გყავთ აი, ამ სიმაღლე, ამ სისქე, ასეთი და ასეთი მზარეული? – ვკითხულობდი ყველგან. იმ დღეს, მგონი, იმდენი მზარეული ვნახე, რამდენსაც სხვა მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ ნახავდა, მაგრამ ძია ვანოს ვერა და ვერ მივაგენი.

ოთხი საათი შესრულდა, უკვე მზად ვიყავი, ხელი ამელო ძებნაზე:

- ჩვენ ექვსი რესტორანი, ორი კლუბი, ერთი სასადილო და ერთი საავადმყოფო დაგვრჩა, - მითხრა ტაქსის შოფერმა.

- რესტორნები მომბეზრდა, მოდი, ახლა კლუბები ვნახოთ, - ვუთხარი შოფერს.

ერთ სახლთან მიმიყვანა: „ათლეტი - დახურული კლუბი", ეწერა კარზე მიკრულ თითბრის ფირფიტაზე. კარისკაცმა შემიშვა. როცა დარბაზში შევედი, გვერდით ოფიციანტმა ჩამიარა. ლანგრით ოხშივარიანი თეფში მიჰქონდა სასადილო ოთახში. აქ დასრულდა ჩემი ძიება - ოფიციანტს ჩახოხბილი მიჰქონდა (ხახვში და პომიდორში ჩახრაკული ვარია), ეს კერძი ძია ვანოს ხელოვნების მწვერვალი იყო.

ბევრი აღარ მიფიქრია და თავი სამზარეულოში შევრგე. ძია ვანო მართლაც იქ დამხვდა. თმა და ულვაში გაჭაღარავებოდა, ძლივს დაჩანჩალებდა, მაგრამ ხმა არ შეცვლოდა, სახელი რომ დამიძახა, გამახსენდა, ასეთივე ხმით, ღობის გადაღმიდან რომ გამომელაპარაკა. მას შემდეგ

მთელი საუკუნე გასულიყო და ეს კაცი ახლა რომ მკოცნიდა, მაინც ჩემი მეგობარი იყო.

ძია ვანომ სუფრა გააწყო და დავსხედით, გაცდენილი წლები ხომ უნდა აგვნაზღაურებინა. რა თქმა უნდა, ძია ვანოს უკვე ეპოვა ხალხი, რომელთაც მისი დახმარება სჭირდებოდათ. ნამდვილად ვიცანი ისინი. ამჯერად, მოხუცი უკრაინელი და ჭლექიანი აკორდეონისტი უნდა ყოფილიყვნენ.

ძია ვანომ მთელი კლუბი მოიწვია და ჩემი სადღეგრძელო შესთავაზა:

- ამ პატარა ჭიქით, ჯენტლმენებო, ადღეგრძელეთ ეს ბიჭი, რომელსაც ცხოვრება შევუნარჩუნე.

ხალხმა სეტყვასავით მომაყარა კითხვები:

- გემბანიდან გადავარდით? ფრონტზე მოხდა ეს ამბავი? ყაჩაღები დაგესხნენ? – და არ მიჯერებდნენ, როცა ვეუბნებოდი: ძია ვანო რომ არა, მე დღეს ძაღლი ვიქნებოდი და ვლადიკავკაზში მთვარეს ვუყეფდი-მეთქი.

ძია ვანო სიხარულით ცას ეწია, როცა ვუთხარი, დარბაზში ჩემს გვერდით ჩახოხბილი ჩაატარეს და იმით გიპოვე-მეთქი.

მითხრა, ჩანს, შენ ჩემში მარტო მეგობარს კი არა, ნამდვილ ხელოვანსაც სცნობო.

აკორდეონისტმა სიმღერა შეთხზა და როცა ხველება შეუჩერდა, ჩვენ პატივსაცემად შემომძახა:

„რამდენი სითბო და მოგონება
და რაოდენი სილაღე ახლავს
უცხო მხარეში,
უცნობ მხარეში
მონატრებული მეგობრის ნახვას.“

დიდებული დღე იყო, ასეთი დღე იშვიათად დაუდგება კაცს. ძალიან მეწყინა, როცა მზე გამოგვესალმა.

რაღა გაეწყობოდა, უკან დავბრუნდი და მუშაობა განვაგრძე. ამის შემდეგ, ზოგჯერ, რამდენიმე თვის განმავლობაში ვერა ვხედავდი ძია ვანოს. ხან წელიწადიც გადიოდა ხოლმე. შემდეგ, რამდენიმე დღეს ან კვირას კვლავ ერთად ვიყავით და მერე ისევ იყრებოდა ჩვენი გზები. ერთხელ, მშვენივრად გავატარეთ მთელი ზაფხული სან-ფრანცისკოში. მაგრამ, როცა კი ამერიკის თავბრუდამხვევი ორომტრიალი ჩამითრევდა, ადგილიდან ადგილზე გადავიდოდი, სამუშაოს ვიცვლიდი, ნაცნობ სახეს ვეღარ დავინახავდი, მაშინ გავიხსენებდი, რომ სადღაც არსებობს ყველასათვის საყვარელი ძია ვანო და კვლავ კარგ ხასიათზე ვდგებოდი.

კალიფორნია დასავლეთითაა

გულის მომკვლელი სურათია, როცა ავადმყოფი თვალსადახელსშუა გადნება, მაგრამ ბევრად უფრო საზარელი სანახავია ქალაქი, რომელიც შენს თვალწინ კვდება.

ასე დაემართა დეტროიტს 1932 წლის ზამთარში. ეს ქალაქი, წინათ მხიარული და სიცოცხლით სავსე, მოკვდა.

ჯერ ფაბრიკა-ქარხნებს მოეღო ბოლო, შემდეგ ზედიზედ მიიკეტა პატარა დუქნები, რომლებიც ცოტაოდენ მოგებას მაინც აძლევდა მედუქნეებს. გამოცარიელებული ვიტრინები ცხედრის თვალებივით მისჩერებოდნენ უკაცურ ქუჩებს. ყველგან მოჩანდა დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლები და სახელმწიფო დაწესებულებები. ქვეყანა ისე იცლებოდა ფულისაგან, როგორც დაჭრილი სისხლისგან.

ხელფასის მიღების დღეს, სულ უფრო და უფრო მეტ მუშას აძლევდნენ ჩეკზე ქინძისთავით მიმაგრებულ ვარდისფერ ქაღალდს. ეს ნიშნავდა, რომ მუშები უკან აღარ უნდა დაბრუნებულიყვნენ. ძალიან ხშირად ვხედავდი ასეთ სურათს, როცა ხელფასის მისაღებად რიგში ვიდექი, დათხოვნილი ისე გაიცრიცებოდა, თითქოს ტიფმა შეამცივნაო. ეს დეპრესია მართლაც ტიფს გავდა, ოღონდ კვდომის პროცესი იყო შენელებული.

ნეტა რატომ მოხდა ასე? მიზეზი არავინ იცოდა. ვითომ ნიუ-იორკის ბირჟა სადღაც დაკარგულშია, როგორ მომწვდება დეტროიტში, როგორ წამართმევს ლუკმა-პურსო. ვერც მე გავეცი პასუხი ამ კითხვას (იქნებ არც არსებობდა იგი), ის კი მივხვდი, დიდი სირცხვილი იყო დავრჩენილიყავი სამუშაოზე, რომელიც ცოლშვილიან ხალხს ესაჭიროებოდა, ამიტომ ანგარიშის გასწორება მოვითხოვე. აღებულ ფულს შავი დღისათვის გადანახული ორასიოდე დოლარი დავუმატე და ჯართის მოგროვება დავიწყე. ვყიდულობდი ძველ ავტომანქანებს, ვშლიდი და ნაწილებსა და ჯართს ვყიდდი. ფასზე არა ვჯანჯლობდი.

ჩემს მეზობლებსაც ცუდად წაუვიდათ საქმე. ყოველ საღამოს, სამუშაოდან დაბრუნებისას, ვხედავდი ანა ფეოდოროვნას, რომელიც ჩაის სვამდა ხოლმე სასადილო ოთახში და ვატყობდი, რომ დღეს გუშინდელზე მეტად იყო შეწუხებული.

პარასკევს ბინის ქირა გადავიხადე და ცოტა ხანს შევყოვნდი ანასთან.

- დაბრძანდით, გიორგი ივანიჩ, - მითხრა მან და ჩაი დამისხა. – საშინელი დრო დადგა, საზარელი. უკვე ვალოდიამაც დაკარგა ადგილი. მადამ გრეშკინას არც ერთი მოწაფე აღარა ჰყავს.

- მოსალოდნელიც იყო, - ვთქვი მე, - ვიღას სცხელა მუსიკისათვის, ტრა-ლალა მშიერ კუჭზე?

- ერმაკი და ის მოხუცი სპარსელი ჯენტლმენიც მიდიან ორშაბათს. მთელი ეს უზარმაზარი სახლი შენი ქირის ანაბარა მრჩება. რა უნდა ქნას კაცმა?!

- იქნებ, დრო შემოტრიალდეს, – დავამშვიდე ანა.

- ეჰ, არა მგონია. მე თუ მკითხავთ, რაც თავი მახსოვს, ცხოვრება სულ უკანუკან მიდის. მე კი მეგონა, ამერიკა მდიდარი იყო და აქ თავზე საყრელად გვექნებოდა ყველაფერი.

- სამწუხაროა, მაგრამ აქაც არიან ღატაკები. ისინი ყველგან არიან.

ოთახში ანას მამა - „მისი აღმატებულება" შემოვიდა. ანამ ნამცხვარი დაჭრა და შემიპატიჟა,– მიირთვით,გიორგი ივანიჩ, ერთი ნაჭერი, დღეს მამაჩემის დღეობაა. ვინ იცის, გაის ამ დრომდე მიაღწევს კი ჩემი მამიკო, ან ვინმე ჩვენთაგანი?! ნამდვილად აღარ ღირს ბრძოლა. ხშირად მიფიქრია ამაზე. სიკვდილი ჯობს ყველაფერს.

- ვინ იცის!

- იქნებ ვერც მაგაში ნახოთ სიამოვნება, ერთხელ ხომ სცადეთ.

- რაიმე უნდა ვიღონოთ, - თქვა „მისმა აღმატებულებამ" და გულიანად ამოურია ჩაის ჭიქას, – სწორად არ მიდის საქმე. ხომ დაგვპირდნენ, ამერიკაში სამუშაო ყველას ექნებაო. ასე არ იყო?

ვერ ვხვდებოდი, რატომ წუხდა ასე, მას ერთი დღეც არ უმუშავია თავის სიცოცხლეში. თუმცა ეს უკვე აღარ არის ჩემი საქმე.

- ჰო, მაგრამ, რა ვიღონოთ, რა შეგვიძლია? – იკითხა ანამ.

- სადმე სხვაგან უნდა გადავიდეთ, – თქვა „მისმა აღმატებულებამ", - ამ მხრივ ამერიკა კარგი ქვეყანაა. რამდენ ადგილსაც არ უნდა იყო ნამყოფი, წასასვლელი მაინც დაგრჩება.

- ოღონდ ისეთი მხარე მოვნახოთ, სადაც სამუშაო იქნება, მამიკო, სწრაფად თუ ვივლით, ძალიან სწრაფად, იქნებ, გავასწროთ ამ ღვთის რისხვას (ანამ პირჯვარი გადაიწერა), დეტროიტს რომ დასტეხია თავს.

- დრო მინდა მოსაფიქრებლად, - თქვა „მისმა აღმატებულებამ", - ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონოთ.

მან თვალებზე ხელი აიფარა და ჩაფიქრდა. ამ დროს ოთახში ანას ქალიშვილი ლუბა შემოვიდა. თხუთმეტ-თექვსმეტი წლის კუდრაჭა გოგონა. მას ანგელოზივით ლურჯი თვალები, ვარდისფერი ლოყები და იხვის ჭუკივით ყვითელი კულულები ჰქონდა. ხასიათიც შეეფერებოდა მის გარეგნობას, ჯორივით ჯიუტი და თავისნათქვამა იყო. საშინელი გაწიწმატება იცოდა და, თუ ტირილით ვერაფერს გახდებოდა, კბენასაც კადრულობდა. მე ლუბას ძმა, არტაშა მეცოდებოდა. იგი 12 წლის მშვენიერი ბიჭუნა იყო. ხშირად მიფიქრია, ნეტა თუ გაიზრდება ლუბას

ხელში-მეთქი.

- გამარჯობა, ლუბა, - მივესალმე მე, - რა გასწავლეს დღეს სკოლაში?

- ნუ მეძახი ლუბას, - მან ფეხები დამიბაკუნა, - ათასჯერ მითქვია. განგებ მეძახის. ლუბა! ლუბა! ლუბა! მე ახლა ლუსეტი მქვია.

- ზდრავსტვუიტე, ლუსეტ პეტროვნა, გამარჯობათ მისს ლუსეტ, სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. ასე გირჩევნია?

- გარდა ამისა მე სკოლაში აღარ დავდივარ. თავი დავანებე. ვმუშაობ.

- რას აკეთებ?

- ადგილს ვუჩვენებ მყურებლებს კინოში.

- მერე მაგისათვის დატოვე სკოლა. რა გამორჩენა გაქვს?

- ყველა სურათს შემიძლია ვუყურო, სამს, ოთხს, ხუთს, რამდენიც მომესურვება. ესაა ჩემი გამორჩენა.

- თეატრის ბრალია, - თქვა ანამ, - ვერ გავამტყუნებ ამაში მე მაგას. ეჰ, თეატრი, თეატრი! ო, როგორ მიყვარდა. პეტროგრადში ჩვენი ლოჟა გვქონდა...

„მისმა აღმატებულებამ" რიხიანად ჩაახველა. ეს ნიშნავდა, რომ რაღაც მოიფიქრა, — მაშ, ამაზე შევთანხმდით, - თქვა მან, - ეს ერთი. მეორე...

კარი გაიღო და ოთახში ბორბლებიან ციგურებზე შემდგარი არტაშა შემოგორდა. მან სკამი დაითრია და მოშორებით დაჯდა, რომ ლუბა არ მისწვდომოდა საჩქმეტად.

- რაზე შევთანხმდით? - იკითხა არტაშამ.

- სანამ შემაწყვეტინებდი, - თქვა „მისმა აღმატებულებამ", - მე ვაპირებდი მეთქვა, რომ ჩვენ სადმე სხვაგან მივდივართ. ამერიკაში ჩამოსვლისას ჩვენი შეცდომა ის იყო, რომ ისეთი ადგილი ავირჩიეთ, სადაც არავინ იცოდა ჩვენი ენა. შეცდომა აღარ უნდა გავიმეოროთ. ამჯერად ჩვენ იქ წავალთ, სადაც ყველა რუსულად ლაპარაკობს. ჩვენ ალიასკაში მივდივართ.

- ალიასკაში? კარგი იქნება! — თქვა არტაშამ, ბუფეტთან მიგორდა და თეფში აიღო, - მაგრამ ვინ ასწავლა ესკიმოსებს რუსული.

- აი, ამერიკული განათლება, - უთხრა „მისმა აღმატებულებამ" ანას, - იმედია, კმაყოფილი ბრძანდებით, — მაქვს პატივი გაცნობოთ, ჩემო ბიჭუნავ, რომ ალიასკა წარმოადგენდა მისი მოწყალე უდიდებულესობის აწ განსვენებულ მეფე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის სამფლობელოს. უნდა იცოდე, რომ იქ ყველა რუსულად ლაპარაკობს და ეგ ციგურები უნდა მოიხსნა.

- მეფემ ამერიკას მიჰყიდა, - ვთქვი მე.

- ჭორია, შუმი ჭორი!

- ბანქოს ვალის გასასტუმრებლადო.

- სიცრუეა, - მან მუშტი დაჰკრა მაგიდას, — მისი იმპერატორობითი უმაღლესობა ასეთ რამეს თუ გააკეთებდა, ხალხს არ დაუმალავდა. სულ ტყუილებია. ასე რომ, ალიასკაში მივდივართ.

- კი, აუცილებლად, - ანამ თვალები დახუჭა, - ალიასკაში წავიდეთ. იქ განუწყვეტლად თოვს, ფარფატით ჩამოცვივა თოვლის ფანტელები და სახლებს და ეკლესიების სახურავებს მიეყინება ნამცხვარზე მოსხმული კრემივით. ზარებს დარეკავენ. კვლავ დავინახავთ ჩვენებური გლეხების გაბრწყინებულ სახეებს. კი! ყველანი მივდივართ!

- კი, მაგრამ, ჩემი ჯართის საწყობი რატომ უნდა დავკარგო? ლუკმას იმითა ვჭამ.

ანამ თვალები გაახილა და ამქვეყნიურ ცხოვრებას დაუბრუნდა, — მოითმინე, გიორგი ივანიჩ, მე არაფერი მინდა, მე ხმელი პურის ქერქი და ერთი ჭიქა წყალი მეყოფა, მაგრამ ჩემი ბავშვები? შენ გავიწყდება ჩემი ბავშვები!.. მათი მომავალი!

- მართალია, მაგრამ ალიასკაში წასვლა მაინც არ მინდა.

- უკაცრავად, - შემაწყვეტინა „მისმა აღმატებულებამ", - ერთი შეკითხვა, ყოფილხართ როდესმე ალიასკაში?

- რასაკვირველია, არა.

- მეც მანდა ვარ! მაშინ, როგორღა ამბობ წასვლა არ მინდაო?

- ეგეც რომ არ იყოს, - უთხრა ანამ, - ჩვენი მარტო წასვლა შეუძლებელია. მე, ავადმყოფი, უსუსური ქალი, მარტოდმარტო გზაზე! ბავშვებით! ორი პატარა ბავშვით!

ლუბამ ტორტს ნაჭერი ჩამოაჭრა.

- თეთრი დათვები, - თქვა არტაშამ, - ვეშაპები, სელაპები, გიორგი ივანიჩ. სელაპები ტაშს უკრავენ ფარფლებით. ხვალ სკოლიდან გეოგრაფიის წიგნს მოვიპარავ და გაჩვენებთ.

- კი მაგრამ, მაგას ყველაფერს ათ ცენტად ვნახავ ბელ აილის პარკში, სამხეცეში.

- „ქვრივებს ღვთის რისხვა დაატყდათ თავზე", - დაიწყო ტირილით ანამ და ცრემლი ღვართქაფად ჩამოედინა ლოყებზე, — თქვენ თუ უარს მეტყვით, აღარ ვიცი, რა ქვას ვახალო თავი.

- ჭიქაში ნუ იცრემლები, დედიკო, - უთხრა არტაშამ და ხელზე ხელი მოუთათუნა, - ჩაი დაგიმლაშდება. როცა იქ ჩავალთ, ძაღლებშებმული მარხილით გასეირნებ ხოლმე: მე და გიორგი ივანიჩს ძაღლები გვეყოლება და ქარივით გაგაქროლებთ, - არტაშა ფეხებით მიაწვა მაგიდას, წინ გასწია და ძაღლებს შეუძახა:

- გასწით, გაფრინდით, წამალი მიმაქვს ნომში, აბა, ყოჩაღად!

ლუბამ კიდევ აიღო ნამცხვარი.

- ოქრო! — თქვა „მისმა აღმატებულებამ", - სულ ოქრო მიტრიალებს თავში. ერთი მიგნებაა საქმე, თორემ მერე ხვეტე და ხვეტე.

- ზღვის ლომებიც, - თქვა არტაშამ, - სელაპებს ჰგვანან, ოღონდ ულვაში აქვთ, ვიცი, მოგეწონებათ.

- კარგი, კარგი, ნუღარ ტირით, ანა ფეოდოროვნა, მე მოვდივარ.

ლუბამ ნამცხვარს ბოლო მოუღო, თითები გაილოკა და განაცხადა:

- მივდივართ, ოღონდ ალიასკაში კი არა. მე მსურს კინო-ვარსკვლავი გავხდე. ამიტომ გადავწყვიტე ჰოლივუდში წაგიყვანოთ.

ახლა ამაზე აგვიტყდა დავა. ალიასკა თუ კალიფორნია. ჩემ სიცოცხლეში პირველად დავუჭირე მხარი ლუბას. თუკი სადმე წავიდოდი, ყველას კალიფორნია მერჩია. ძია ვანო ამ ექვსი თვის წინ წავიდა კალიფორნიაში და გამუდმებით მწერდა, ჩამოდიო. ამას გარდა, ამერიკელებთან საუბრიდან დავასკვენი, რომ კალიფორნია ძვირფასი მხარეა. ბოლოს და ბოლოს, იქ თოვლი მაინც არ იქნება.

დავიწყეთ მზადება გასამგზავრებლად. ჩემი ხარახურის საწყობში მივედი, საუკეთესო ნაწილები ავარჩიე და ავტომობილი შევაკოწიწე. ცოტათი დილიჟანსს წაგავდა, ცოტათი ბალდახინს.

- საბარგო მანქანაც დაგვჭირდება, - მომახალა ანამ, როცა ეს ჩემი „შემოქმედება" შინ მივაგორე თავის მოსაწონებლად.

- რათა? თქვენ, „მისი აღმატებულება", ბავშვები და მე ხალვათად დავეტევით. ერთი ადგილიც დარჩება.

- ჰო, მაგრამ მადამ გრეშკინაც დავიყოლიე. ისიც ისიამოვნებს ჩვენი ექსკურსიით. ერმაკიც ფიქრობს წამოსვლას.

- კარგი, მაგრამ საბარგო მანქანა რაღად გვინდა?

- რა საკითხავია? ჩემი ავეჯისათვის.

- ანა ფედოროვნა ხომ არ გინდათ თქვათ, რომ კალიფორნიაში ავეჯის გადატანა გინდათ? მე მგონი, ამას არ ამბობთ, ხომ?

თქვენ წარმოიდგინეთ, ანა ფედოროვნა სწორედ ამას ამბობდა.

ვიშოვე საბარგო მანქანა, 150 დოლარად. ძალიან იაფად გამოვედით. ტონა ნახევრიანი ფორდი იყო. დავიწყეთ დატვირთვა. საწოლებზე, მაგიდებზე, სკამებსა და ხალიჩებზე ხმა არ ამომიღია. მაგრამ შემდეგ კაუჩუკის ხის შეფუთვა დაგვჭირდა (კაუჩუკის ხე კალიფორნიაში მიგვქონდა!), მერე 50 გირვანქა ბუმბული გამოიტანეს ბოხჩით.

- ეს ბუმბული ბებიაჩემის დედის ნამზითვია, - ავიხსნა ანამ, - ჩემი წმიდათაწმიდა მოვალეობაა, ლუბას შევუნახო სამზითვოდ.

- ლუბამ ჯერ ქმარი მონახოს, ისა ჯობს, - ვუთხარი მე.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში



■ გოგლა ლეონიძის
უკანასკნელი ფოტო

„გოგლას ხშირად უთქვამს ჩემთვის, მოდი, მკითხე რამე, დამელაპარაკე, თორემ დრო მოვა, აღარ ვიქნები. ვინ იცის, როგორ მოგენატროს ჩემთან დალაპარაკება. მეც ხშირად მინატრია, ნეტავი, მამა-პაპა ცოცხალი მყავდეს, მათ რამდენ რამეს შევეკითხებოდიო.

სიმართლე გითხრათ, გოგლა სულ ჩემთანაა, ჩემშია და ამიტომაც, თითქოს არ მენატრება, ზუსტად ვიცი, როდის რას მეტყვის მისი ბუბუნა ხმით," - ამბობს გოგლა ლეონიძის შვილიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ლეონ ქავთარაძე, რომელიც მგოსნის ცხოვრების უამრავ საინტერესო დეტალზე გვესაუბრება.

- დაბადების მოწმობაში მეწერა - გიორგი ლევანის ძე ქავთარაძე, მაგრამ მამას ლეონი ერქვა. ვინაიდან გოგლას ვაჟიშვილი არ ჰყავდა, უთქვამს, მოდი, ქავთარაძე-ლეონიძედ დავწეროთო. მეორე ბაბუა, აკადემიკოსი, ნეეროპათოლოგი იყო, - მისი სახელობისაა საბურთალოზე ქავთარაძის ქუჩა, - მან თქვა, ქალი ხომ არ არის, რად უნდა ორი გვარიო. მამამ გამოსავალი იპოვა, თქვა, ჩემს სახელს ლეონს აღვიდგენო და ამ კომპრომისული წინადადების საფუძველზე გავხდი გიორგი ლეონის ძე ქავთარაძე, რითაც გამოვიდა, რომ ორივე გვარის მქონე ვარ და ლეონისძე წინა პლანზე გადავიდა...

- ლეონიძეა, ნამდვილი ლეონიძეო - ხშირად უთქვამს თქვენზე პაპას. საოცარი გარეგნული მსგავსების გარდა, რა საერთო გქონდათ მასთან?

- მეც ძალიან მიყვარდა კითხვა და ისტორია, როგორც მას. დედისერთა ვარ, ხშირად ვავადმყოფობდი. შინაური ცხოველივით ვიზრდებოდი, რის გამოც, გოგლა მეუბნებოდა, „უჰაეროვი" ხარო. პაპა ძალიან ალერსიანი იყო, უსაზღვროდ მოსიყვარულე. ყველანი ვემალებოდით, ვინაიდან ბევრს გვკოცნიდა და გაუთავებლად გვჩქმეტდა. ჩვენთვის მეტსახელებსაც იგონებდა. მე „ბიჭო-გოგიას", „პრაკულას", „უჰაეროვს" მეძახდა. დედას „ფისო" შეარქვა და ბოლომდე შერჩა ეს სახელი. მე კი მას „ტატას" ვეძახდი.

ქიაჩელის ქუჩაზე ვცხოვრობდით. როცა მოვიდოდა, ზარს გაუთავებლად რეკავდა, ხელს არ აუშვებდა... ზოოპარკში არ დავყავდი, ამბობდა, იქ ცხოველებს აწვალებენო. გოგლა ბრაზობდა, სკოლაში რომ დავდიოდი და გაკვეთილებს ხშირად მაცდენინებდა - რა უნდა სკოლაში, მანდ კარგს რას ისწავლისო. რადგან კითხვა მიყვარდა, მაკითხებდა ანტისაბჭოთა ლიტერატურას. იმხანად საკმაოდ პატარა, ალბათ, მე-5 კლასის მოსწავლე ვიყავი.

- ისტორიკოსს და არქეოლოგს რატომ გეძახდათ?

- თვითონ გოგლას ეძახდნენ ბავშვობაში ისტორიკოსს და არქეოლოგს, აინტერესებდა ეს სფერო და იმიტომ. 4-5 წლის ვიქნებოდი, მაღალი სიცხე მომცა და გამუდმებით წყალს ვთხოულობდი. პაპა მოვიდა, საწოლთან ჩამომიჯდა და ასეთი რამ მიამბო: ჩვენში ამბობენ, წყალი უმცროსისაა, პატარამ უნდა დალიოსო, არის სიტყვა წყალობაც, ეს იცი, რატომ არის? - ქართველებს წინათ ხეთები გვერქვა, კაბადოკიაში ვცხოვრობდით, სადაც წყალი ჭირდა, ამიტომაც, პირველ რიგში, მას ბავშვებს ასმევდნენო. მერე, როცა ჩვენთან მოდიოდა, სულ ვეკითხებოდი, ხეთები რომ ვიყავით, სად ვიყავით, როგორ ვიყავით.... ჩემთვის ისტორიული წიგნები მოჰქონდა, კითხვა დავიწყე და მალე გადავწყვიტე, ისტორიკოსი გამოვსულიყავი, რაშიც გოგლამ დიდი როლი ითამაშა.

- საკუთარი ლექსებიდან რომელი უყვარდა გოგლას გამორჩეულად?

- მე „ციცარი" მიყვარს, გოგლას კი „ნინოწმინდის ღამე", „ყივჩაღის პაემანი" და „ოლე" უყვარდა. „ოლეზე" ჰყვებოდა: საღამოს შინ შემოვედი, მარტო ვიყავი, დავჯექი, მელანში ჩავაწე კალამი და ერთი ამოსუნთქვით დავწერეო. მგონი, ეჭვი ეპარებოდა, მისი დაწერილი რომ იყო.

ამბობდა, არ ვიცი, რამ დამაწერინაო...

- „იების სიყვარული დედამ შთამაგონა, მასავით სპეტაკი ადამიანი იყო"... ეს ყვავილი მართლაც „მოდებულია" მის შემოქმედებაში...

- იები ჩვენ ყველას გამორჩეულად გვიყვარს. დედაჩემიც გიჟდებოდა ამ ყვავილზე. გოგლა დედის საფლავზე რომ გადიოდა, სხვა ყვავილს არ იყიდდა. ყოველ გაზაფხულზე ბავშვივით ელოდა იების მოსვლას. ეს ყვავილი დედასთან ასოცირდებოდა. ბოლო წლებში განსაკუთრებით უჭირდა სოფელში ჩასვლა, პატარძეულში იფერფლებოდა, ახსენდებოდა გარდაცვლილი დედა, ძმები, დები და ძალიან განიცდიდა... მისი ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი ვიპოვე - „მე ერთი ძველი სახლი მიყურებს", რომელშიც ჩანს, პატარძეულისკენ რატომ არ მიუწევდა ბოლო ხანს გული.

- პოეტს განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა „ცისფერყანწელებთან"...

- დიახ, გოგლა ლეონიძე ტიციანთან, პაოლოსთან, შალვა აფხაიძესა და სერგო კლდიაშვილთან მეგობრობდა. ისინი იდეოლოგიურად იყვნენ ერთნი. სიმბოლისტებში გოგლა ყველაზე ეროვნული და საქართველოს ისტორიის ყველაზე კარგი მცოდნე იყო. იგი საქართველოთი საზრდოობდა. ტიციანის გარდაცვალების შემდეგ გალაკტიონთანაც ახლობლობდა, მაგრამ ისე არა, როგორც ტიციანთან.

იგონებდა, ერთხელ, ვერის ხიდზე ვიდექი სასოწარკვეთილი, ლამის თავის დახრჩობა მინდოდა, ამ დროს ჩემთან პალტომოხვეული გალაკტიონი მოვიდა, უთქმელად მიმიხვდა სულიერ მდგომარეობას და მითხრა, - „გოგლა, ცხოვრებას არ აჰყვე, თორემ გაგაგიჟებს, გამაგრდი!", მერე ხელკავი გამომდო და ლურჯი მონასტრისკენ წამიყვანაო. გალაკტიონსაც ძალიან ჰყვარებია გოგლა, ასე ამბობდა, თურმე, გოგლა ვაჟკაცია, ამ კაცს არასოდეს უთქვამს ჩემზე, ლოთიაო.

- თუ ჰქონდა ისეთივე განცდა, როგორიც, მაგალითად, გალაკტიონს - „ერთადერთი ვარ, მაღალი ვარ, ვარ უკვდავება"...

- ამაზე თვითონ აქვს ხუმრობით ნათქვამი. ერთხელ, როცა 14 წლის ვიყავი, მისაყვედურა, მე შენხელა უკვე ცნობილი პოეტი ვიყავი და შენ რა დაგემართაო?! მეორე დღესვე დავჯექი და ლექსი „შამქორი" დავუწერე. მინდოდა მეჩვენებინა, რომ მეც შემეძლო წერა. ასე რომ გამაბრაზა, ვუთხარი, შეიძლება პოეტი ვერ ვარ, მაგრამ არც შენ ხარ ყველაზე კარგი პოეტი, გალაკტიონი ხომ გჯობია-მეთქი. უცებ დასერიოზულდა და განმიცხადა: „გალაკტიონიც დიდი პოეტია. ის ლამაზი გედია, რომელიც ტბაში მისრიალებს, მე კიდევ, ლომი ვარ".

პოეტესა მედეა კახიძისთვის, რომელსაც უკითხავს, როგორ შეაფასებთ თქვენს და

გალაკტიონის პოეზიასო, გოგლას უთქვამს: გალაკტიონის პოეზია არის ანკარა წყარო, წალკოტში რომ მოდის, ჩემი კი მღვრიე ნიაღვარიაო. მართლაც ნიაღვარივით წამლეკავია მისი შემოქმედება, თვითონ ასე ხედავდა. თუმცა ცხოვრებაში ეს ორი პოეტი საპირისპიროდ გამოიყურებოდა: გალაკტიონი - ბობოქარი, გაბურძგნილი, გოგლა - მოწესრიგებული და ჰალსტუხიანი. გარეგნობა მათ შინაგან სამყაროს არ შეესატყვისებოდა.

გოგლა, რა თქმა უნდა, დიდი აზრის იყო საკუთარ შემოქმედებაზე და დარწმუნებული იყო, რომ მის გაგებას დრო და თაობები სჭირდებოდა. მეც ასე ვფიქრობ. გოგლა არის ისეთი პოეტი, რომლისთვისაც უცხოა მეშჩანური „ფალში“, „თეთრ კლავიშებზე დაგდებული ვარდი“. როდესაც საზოგადოებისათვის გულისამრევი გახდება „კლავიშებზე ვარდი“, მაშინ მიხვდებიან, რა არის ნამდვილი რაინდული, არისტოკრატული, მაღალი დონის პოეზია.

- „ნატვრის ხე“ - გოგლას შემოქმედების გვირგვინი. მოთხრობათა კრებულში მწერალმა მისი ყრმობის აჩრდილებს მოუყარა თავი. ერთხელ თქვით, რომ გოგლას პროტოტიპია ჩორეხი, რომელიც დღენიადაგ სამშობლოს ბედზე მჭმუნვარებს. მართლა ჩორეხივით ნაღვლიანი და „ძველმანი“ კაცი იყო გოგლა?

- ჩორეხი ამბობს, რომ მისი წინაპრები მოსულნი არიან მესხეთიდან (როგორც გოგლა), ეს უკვე ერთი მინიშნებაა. გოგლას ცხოვრება სხვაგვარად რომ წარმართულიყო, პატარძეულში დარჩენილიყო, გზა ქალაქისკენ არ ჰქონოდა, ჩორეხი დადგებოდა. მას ძალიან ჰგავს - მისთვის ყველაზე მაღლა იდგა საქართველო. გოგლას ძმა - ლევანი, პაოლო, ტიციანი, ყველანი დახვრიტეს და შეიძლება მისია აიღო თავზე, რომ იმათი წილიც უნდა ეკეთებინა ქვეყნისათვის.

- საინტერესოა, რომ „ნატვრის ხის“ ავტორს სხვა პროზაული ნაწარმოები არ შეუქმნია...

- ერთხელ მითხრა, ბავშვობაში მინდოდა, მთელი საქართველოს ისტორია პოემად დამეწერაო. ასე ამბობდა, „ნატვრის ხე“ არაფერიაო, არ მოსწონდა. გოგლას ჩაფიქრებული ჰქონდა რომანი ცისფერყანწელებზე, რომლის მთავარი გმირი ტიციანი უნდა ყოფილიყო. თუმცა ხელნაწერები გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე გაანადგურა. ეტყობა, რაღაცის წინათგრძნობა ჰქონდა. დედაჩემს, ნესტანს უთხრა, - ესენი აღარ მჭირდებაო.

- ბატონო გიორგი, მარიტა გამოგონილი პერსონაჟია თუ რეალურად არსებობდა ეს „მთვარის გამოახლება ქალი“?

- მარიტას პროტოტიპს უცხოვრია პატარძეულში, მაგრამ „ნატვრის ხის“ პერ-

სონაჟთან არაფერი ჰქონდა საერთო ერთის გარდა - სოფელს ის ვირზე შეუსვამს და უსეირნებია. იგი არავის მოუკლავს - სიბერით გარდაცვლილა. მისი არც სახელი მახსოვს, არც - გვარი. „ღვინჯუა“ ყოფილა შაქრია გულიაშვილი, რომელსაც გოგლას სახლის პირდაპირ უცხოვრია - ასე ამბობენ სოფელში. „ნატვრის ხეში“, ალბათ, ძირითადი ნაწილი მაინც მისი ფანტაზიაა. გოგლას რომ ყველაფერი ისე აღეწერა, როგორც სინამდვილეში იყო, ალბათ, ნაწარმოები ასეთი საინტერესო არ გამოვიდოდა.

- კათალიკოსობაზე მართლა ოცნებობდა?

- გოგლამ სასულიერო სემინარია დაამთავრა და ძალზე მორწმუნე იყო. ეკლესიას ისე არ ჩაუვლიდა, პირჯვარი არ გადაეწერა. ეს ისე უნდა გაეკეთებინა, არავის დაენახა, მაგრამ მე ვხედავდი. უთქვამს, ბავშვობაში კათალიკოსობაზე ვოცნებობდი და მინდოდა, „გიორგი ბროლა“ ვყოფილიყავიო. ტაო-კლარჯეთის ნახვაზეც ოცნებობდა, ართვინის ახლოს, წინაპართა სოფელი ლეონიძე ეგულებოდა. ახლა მას მიოლეთი ჰქვია და იქ მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობენ. წლების შემდეგ მე ავასრულე მისი ოცნება და ვინახულე წინაპართა სოფელი.

ბათუმში ისე არ ჩავიდოდა, ფრიდონ ხალვაშისთვის არ ეთხოვა, სარფში წამიყვანეო. მასაც მიჰყავდა საზღვარზე. გოგლა სადამდეც შეიძლებოდა, თურმე იქამდე მიდიოდა ფეხით, იდგა და მდუმარედ გაჰყურებდა შორეთს, თვალს ვერ წყვეტდა იქაურობას.

- გოგლას პიროვნებას და მის შემოქმედებას ალბათ საუკეთესოდ ახასიათებს მისივე სიტყვები - „ცა რომ ქაღალდად გადაიქცეს, ღამის ჰაერი - მელნად, ვარსკვლავები გადამწერებად მყავდეს და იმაზე მეტი ასოები დავსხა ქაღალდზე, რაც ზღვაში ქვიშა და თევზია, მაინც ვერ გამოვხატავ ჩემს სიყვარულს ჩემი ერისადმი“.

- გოგლა მართლაც მთელი არსებით, ბავშვობიდან იყო საქართველოთი და ქართველებით შეპყრობილი. 7 წლის ყოფილა, დედას ილიას დაკრძალვაზე რომ წაუყვანია. ჰყვებოდა, ილიას შუბლზე, იქ, სადაც ნატყვიარი ჰქონდა, მუხის ფოთოლი ედო. მუხა ძლიერების სიმბოლოა და ილიაც ხომ მუხა იყო?! იქიდან გამოსულს, ეს კადრი და ემოცია მთელი ცხოვრება გაჰყვა...

- სიმბოლურია, რომ გოგლა ვაჟას გარდაცვალების დღეს, 9 აგვისტოს აღესრულა...

- გოგლას ვაჟა ბავშვობიდან ახსოვდა და უყვარდა. მამამისის - ნიკო ლეონიძის მეგობარი იყო, რომელთან ერთადაც სწავლობდა გორის სასულიერო სემინარიაში. ვაჟამ დაულოცა გზა გოგლას დიდ პოეზიაში. 21 წლის ვიყავი, გოგლა რომ გარდაიცვალა. გარდაცვალების წინა დღეებში, წყნეთის აგარაკზე, ოთახში, სადაც მომაკვდავი გოგლა იწვა, ბოძი გაიბზარა, ახლაც ასეა... მისი უკანასკნელი სურვილი ყოფილა, საწოლიდან წამოეწიათ და არემარესთვის გადაეხედა. დეიდას მკლავებში დაულევია სული.

მახსოვს, ერთხელ, წყნეთის სახლის აივანზე იდგა და ხედს გადაჰყურებდა, თან ეწეოდა, გათიშულივით იყო. ვკითხე, რაზე ფიქრობ-მეთქი და ისე, რომ არც შემოუხედავს, ხმაწართმეულმა მიპასუხა, რომ გაიზრდები, თვითონ მიხვდებიო. ახლა ვხვდები, ის სევდა მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს რომ უკავშირდება.

P.S. „ალაზნის ვაზებს დასცვივათ ოქრო,
დადნება, რაც მთებს დაჰვერცხლებიათ,
ვინ იჯადოქროს? უკვდავების დღეს
მხოლოდ ლექსები დაესწრებიან“.

ამ ლამაზი სტრიქონებით განჭვრიტა მომავალი გოგლამ და ხაზი გაუსვა როგორც მისი პიროვნების, ასევე „ლურჯთვალა იებში, ყაყაჩოგარეულ ჯეჯილებში და მზით ამოვსებულ თავთავებში ნაპოვნი სიტყვებით“ აკინძული შემოქმედების უკვდავებას, რომელშიც პოეტის „ცისა და მიწის ღიმილია ჩართული“.

ნანა ფიცხელაური

შ.პ.ს. №1 გოქაძის სკოლა

დამფუძნებლები
გოჩა გოქაძე
მერაბ ჭოხონელიძე

I-XII კლასები

WWW.SKOLA1.GE

თუ გსურთ იყოთ 21-ე საუკუნის ღირსეული მოქალაქე, იპოვოთ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში, სწორად შეარჩიოთ მომავალი პროფესია და გახდეთ სასურველი უნივერსიტეტის სტუდენტი, თანაც მოიპოვოთ სწავლების სახელმწიფო დაფინანსება (გრანტი), ნუღარ დააყოვნებთ და მოგვმართეთ ჩვენ - „შ.პ.ს. №1 სკოლას“ (დამფუძნებლები - გოჩა გოქაძე და მერაბ ჭოხონელიძე).

ჩვენთან მეცადინეობებს წარუძღვებიან ქუთაისში ცნობილი, უმაღლესი კვალიფიკაციისა და ხანგრძლივი სარეპეტიტორო გამოცდილების პედაგოგები.

პედაგოგებს ირჩევთ თქვენ, ინდივიდუალურად!

საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს მრავალგზის აპრობირებული მეთოდებისა და სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, მცირერიცხოვან ჯგუფებში (6-8 მოსწავლე). საქმიანი თანამშრომლობის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობებითა და სამუშაო დროის სწორი განაწილებით ჩვენ სწავლას კიდევ უფრო მეტად შეგაყვარებთ, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად.

სწორად წარმართული სასწავლო პროცესისა და სკოლის პედაგოგთა პროფესიონალიზმის დამსახურებაა ის შედეგები, რომლებსაც სკოლის მოსწავლეები აღწევენ არა მარტო სააატესტატო და ეროვნულ გამოცდებზე, არამედ მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადებსა და კონფერენციებზე. მაგალითად, გასულ სასწავლო წელს ჩვენი 176 კურსდამთავრებულიდან 142-მა მოიპოვა სწავლების სახელმწიფო დაფინანსება.

არანაკლებ წარმატებული იყო ჩვენი მოსწავლეებისთვის საგნობრივი ოლიმპიადები, რომელთა შედეგების მიხედვით მოვხვდით საქართველოს წარმატებულ სკოლათა სამეულში.

სკოლა პირველობას არ თმობს არც ინტელექტუალურ შეჯიბრებებში, რისი დასტურიცაა 2013-14 წლებში ქუთაისისა და იმერეთის რეგიონის ორგზის ჩემპიონობა და IV ადგილი რესპუბლიკურ ჩემპიონატებზე.

ჩვენი მიზანია ასევე ვიზრუნოთ მოსწავლეთა სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაზე, რისთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია თეატრალური ხელოვნების ინტენსიური ჩართვა მათ აღზრდაში. სწორედ ამიტომ ჩვენმა მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქალაქო თეატრალურ ფესტივალში და მათმა სპექტაკლმა „პრემიერა“ გრან-პრი დაიმსახურა.

საზოგადოების მოთხოვნის გათვალისწინებით ჩვენთან გაიხსნა დაწყებითი კლასებიც.

გვენდეთ და გეგიმაჩრთდებთ!

ქ. ქუთაისი ბუხაიძის N9 (I კორპუსი)
ირ. აბაშიძის N13ა (II კორპუსი)

0 (431) 29 77 57
790175757

599912464
599540538


ილიას თანამედროვეობა - 65
მამაცაცური
ამაოებისა უფლებებ

ერთი ფრანგი რეჟისორი გავიცანი, დღემდე ვერ დამიდგენია, ფრანგი იყო თუ უბრალოდ პარიზში მცხოვრები. ასე თუ ისე, გავიცანი. მას ჰქვია იაკობ ბერგერი, ახალგაზრდა, ფრიად სასიამოვნო კაცია, ღვთის წყალობით, ჩემთვის გასაგებ ენაზე მოსაუბრე, და ჩაის სმისა და ყოვლად გაუსაძლისი კულტურათა დიალოგის გარდა, ერთი საინტერესო საქმითაც ვიყავით დაკავებული: ის მიყვებოდა თავის თავგადასავლებს, შორეულ ქვეყნებში გადახდენილ ფათერაკებს...

მოკლედ, ძალიან ნასიამოვნები გახლდით, სანამ ერთ მშვენიერ საღამოს არ გაირკვა, რომ მას მამამისი ეჯავრება; რომ ფილმი, რომლის საჩვენებლადაც ის ჩვენს მზიან ქალაქს ესტუმრა, სწორედ იმის გამო გადაუღია, რომ საკუთარი მამა, ლამის საკულტო მწერალი, დიდი სიძულვილით სძულს; რომ ამ ფილმით ის მამამისისთვის ჭკუის სწავლებას ეცადა, მაგრამ მამამ, ცხადია, ვერაფერი გაიგო და ახლა საერთოდ აღარ ელაპარაკება.

აღმოჩნდა, რომ სიძულვილის მიზეზი, ვერასოდეს წარმოიდგენთ, - ის ყოფილა, რომ მამა ძალიან მაგარია, რომ მისი წიგნები საყოველთაო მოწონებით სარგებლობს, რომ ის ქალებს უყვართ და სხვა და სხვა - რომელი ერთი ჩამოვთვალო; და ეს ყველაფერი მის ვაჟს ჩაგრავდა და სწორედ ამიტომ გადაუღია მშვენიერ რეჟისორს და მართლა კარგ ბიჭს, იაკობ ბერგერს, ფილმი „შეიყვარე მამაშენი", და სწორედ ამის გამო მიუწვევია მას მთავარი როლების შემსრულებლებად ჟერარ დეპარდიე და მისი ვაჟი - ამ უკანასკნელს, რეჟისორისა არ იყოს, თურმე მამა ეჯავრება, დაახლოებით იმავე მიზეზების გამო.

რა უბედურებაა!

მე კი ბედნიერი ქალი ვარ, რადგან ჩემს გარშემო მყოფთა უმრავლესობა მამით ამაყობს, განურჩევლად იმისა, მართლაც საამაყონი არიან ეს მამები თუ არა. ხოლო თუ მამა ცალსახად საამაყოა, ამას რა სჯობს? თუმცა ავმა მოწინააღმდეგემ შეიძლება მითხრას, ქალი ხარ და არაფერი გესმის, შენთვის კია მამა ყველაზე დიდი, ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე ღონიერი, მაგრამ მამისა და ვაჟის ურთიერთობა სულ სხვააო, და ამიტომ გადავწყვიტე, ამ ვინ იცის და მართლა ჩახლართული ამბის გასარკვევად ბატონ ლაშა თაბუკაშვილისთვის მიმემართა.

* * *

თუკი საოცარი ამბავი შეგემთხვათ და ბატონ ლაშას არ იცნობთ, მოგახსენებთ, რომ ის არის მწერალი, დრამატურგი, მეუღლესთან, ქალბატონ მედეასთან ერთად ნათელ სახლში ცხოვრობს, ჰყავს ორი ვაჟი და ერთი ლამაზი შვილიშვილი, მრავალი მეგობარი და მრავალი თაყვანისმცემელი - მოკლედ, დიდი მამის მიერ დაჩაგრულისა არაფერი ეტყობა. მე მგონი, სულ პირიქით.

ასე თუ ისე, ბატონ ლაშა თაბუკაშვილის სტუმარი გახლდით, და ის შესანიშნავ ამბებს მიყვებოდა, რომელთაგანაც ზოგის თქვენთვის მოყოლასაც ვეცდები, ზოგს კი არ მოვყვები, რადგან თუ საჭიროდ ჩათვლის, ბატონი ლაშა თავადაც გიამბობთ.

წესით, იმაზე ვაპირებდით საუბარს, თუ როგორი რამაა კარგი კაცის შვილობა და კიდევ ერთი კარგი კაცის შესახებაც მინდოდა ამბების მოსმენა. საბოლოოდ კი გამოვიდა, რომ ზოგადად კარგი კაცების შესახებ ვისაუბრეთ, უფრო სწორედ, ბატონი ლაშა ლაპარაკობდა, მე კი გულმოდგინედ ვუქნევდი თავს, და ვიმედოვნებდი, რომ ეს შესანიშნავი კაცები მართლა არსებობენ, მთხრობელის ფანტაზიის ნაყოფი არ არიან, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ჩემი მარადიული რწმენა ცრუ არაა - ქალებს და კაცებს ყოველთვის ეყვარებათ ერთმანეთი.

ბატონ ლაშას ჩემი შეკითხვა დიდად არ გაჰკვირვებია. ბრძანა, რომ მრავალ კაცს, რომელსაც ცნობილი მამა ჰყავს, შეჯიბრის გრძნობა მართლაც უჩნდება, და ამასთან დაკავშირებით ლევ ტოლსტოის თოთხმეტი შვილის სევდიანი ამბავი გაიხსენა: არცერთმა არ ივარგა, და მათმა დედამ თქვა, ზოგჯერ ბუნება ისვენებსო. ისე, დედას რომ ჩემს შესახებ ასეთი რამ ეთქვა, ალბათ დარდით მოკვდებოდი...

„არ ვიცი, რამდენად დაისვენა ბუნებამ ჩემთან დაკავშირებით," - ჩემი აქტიური თავის ქნევა არ შეიმჩნია, „მაგრამ შეჯიბრის გრძნობა არასოდეს მქონია, რადგან აპრიორი ვიცოდი, რომ რეზო ყველა პუნქტში ჩემზე მაღლა იდგა. ეს არ მთრგუნავდა. პირიქით, ეს იყო ჩემი მასტიმულირებელი ფაქტორი, რომ მამისთვის თავი მომეწონებინა, დაწყებული წერით, დამთავრებული, ელემენტარულად, ლამაზი ჩხუბით. რეზოს თვალს სულ ვგრძნობდი და ახლაც ხშირად ვფიქრობ ხოლმე, თუ რას იტყოდა და როგორ შეაფასებდა ამა თუ იმ ამბავს".

თურმე მამა-შვილს უამრავი კონფლიქტიც მოსდიოდა, „მე ძალიან გალაღებული ვიყავი, ის კი პანიკიორი მამა იყო". მამამ იცოდა, რა ხიფათები ელის კაცს, რომელიც თვითდამკვიდრებისთვის იბრძვის. თვითდამკვიდრებისთვის? „მე ეს მჭირდებოდა, ყველა დარგში, რადგან მედეას და რეზოს შვილი ვიყავი. ღვთის წყალობით, ამის გამო სილაღე არ დამიკარგავს და ეს კომპლექსში არ გადამსვლია, მაგრამ, მეორეს მხრივ, მე რომ ვყოფილიყავი, ვთქვათ, მწყემსის შვილი, უფრო იოლი იქნებოდა ყველაფერი..."

* * *

„უცხოელი მეგობრები ხუმრობით მსაყვედურობდნენ ხოლმე, რომ национaлная заостренность მახასიათებს, იმ მცირედის გამოც კი, რის უფლებასაც თავს ვაძლევდი," - ამასთან დაკავშირებით ბატონმა ლაშამ ასეთი ამბავი გაიხსენა:

„მამას ვეჭიდავებოდი. ექვსი წლის ვიყავი. მამა იყო ჯალალ-ედ-დინი და მე ვიყავი ერეკლე მეფე - ექვსი წლის ბიჭს ქრონოლოგიური ცდომილებები ეპატიება. ჰოდა, ფეხი რომ გავუყარე, უცაბედად მე თვითონ გავიშხლართე და დავუყვირე, შენ ხარ ერეკლე მეფე და მე ვარ ჯალალ-ედ-დინი-მეთქი, დაცემის პროცესში მოვასწარი ამის დაყვირება..."

ამ ფონზე ბატონ ლაშას, ცოტა არ იყოს, ეცინება იმ ადამიანებზე, რომლებიც თავიანთი კოსმოპოლიტიზმითა თუ სამყაროს მოქალაქეობით ტრაბახობენ, თუმცა ერთის მხრივ, ეს ძალიან მოსახერხებელი პოზიციაა. თავად სულ სხვა სკოლა აქვს გავლილი:

„ხუთი წლის ასაკში არცთუ ბევრი რამ გამახსოვრდება, მაგრამ 1956 წლის 9 მარტის ზოგიერთი ფრაგმენტი მკაფიოდ ჩამებეჭდა მეხსიერებაში... ფეხში დაჭრილი ბიჭი მამამ და დედამ რომ ამოიყვანეს სახლში... სროლა... ჩემი ძიძა ნასტია პირჯვარს რომ მაწერინებდა... რუსთაველზე ვცხოვრობდით მაშინ, ლუქსის თავზე, კომუნალურ ბინაში. საპირველმაისო დღესასწაულების წინ ჩვენი აივნის ქვეშ ტანკები იდგა ხოლმე. იმ საბედისწერო 9 მარტის შემდეგაც, პირველი მაისის დილას, ტანკებით იყო გაძეძგილი ქუჩა. მეძინა. მამა მოვიდა. გარიჟრაჟს ცოტა უკლდა. რეზომ ხელი დამტაცა მძინარეს, აივანზე გამიყვანა ხელში ატაცებული და რუსთაველზე გამწკრივებულ ჩაჩქანიან, ტანკისტებს გადამახედა, შემდეგ რუსულად დაიყვირა: „შვილო, შეხედე და დაიმახსოვრე, ესენი არიან შენი ერის ჯალათები!"

შემდეგ ძირს დამსვა და მეორე სართულიდან ისკუპა სალდათების გინებაზე საპასუხოდ. ჩხუბი დიდხანს არ გაგრძელებულა, ჯარისკაცები ხიშტზე უპირებდნენ აგებას, მაგრამ ამ დროს დედაჩემი ფეხშიშველა, გრძელი ღამის პერანგის ამარა გამოვარდა გარეთ და გადაეფარა... მერე მეზობლებიც ჩაერივნენ. არ ვიცი, რატომ დაინდეს მამა ან დედა, ალბათ ძალიან ლამაზი იყო მედეა! მერე გამახსენდა მამას ეს აღზევება, როცა სხვებთან ერთად მე და ჩემი უფროსი ვაჟიშვილიც დავდექით იმ გარეწრებთან საომრად 9 აპრილს სამი ათეული წლის შემდეგ".

ლამაზი ამბავია, მაგრამ ყოველდღიური ყოფა ნებისმიერ მითს და მითოლოგიურ პერსონაჟს აფერმკრთალებს, და ის, ვისზედაც სხვები ზეაღმატებულ ხარისხში ლაპარაკობენ და რენესანსულ ტიპადაც მიიჩნევენ - მაგალითად, ბატონი რეზო თაბუკაშვილი, - სინამდვილეში ხომ ზუს-

ტად ისეთივეა, როგორიც ყველანი ვართ: ხან სიმპათიური ადამიანია, ხან ცუდ გუნებაზეა და აუტანელი ხდება.

„უცნაური რამ მოხდა - მე მამის მიმართ რომანტიკული აღქმა ბოლომდე დამრჩა. უმძიმეს დღეებშიც კი, როცა ნარკოტიკის გარეშე ყოფნა შეუძლებელი იყო, ის გამაყუჩებლებზე უარს ამბობდა, ჩვენი დიდი თხოვნის მიუხედავად. ჰქონდა თვითტრენინგი: ახლა ამ ტკივილს დავაპატარავებ, დავიყვან პატარა ნაპერწკალამდე, მერე წყალს დავასხამ და ჩავაქრობ“.

რომანის გმირივით. საერთოდ, რასაც ბატონი ლაშა ჰყვებოდა, უფრო გმირის შესახებ ნაამბობს ჰგავდა, ვიდრე რეალური მამაკაცის გახსენებას. „ჩემთვის ლიტერატურული გმირები და რეზო ძალიან ხშირად იგივდებოდნენ. თვითონ მწერლებსაც ჰგავდა, მაგალითად, ჯეკ ლონდონს, ჰემინგუეის. საოცარი მსგავსებაა - გარეგნობას არ ვგულისხმობ. ყველაზე მეტად შინაგანი დაუცველობით ჰგავდა: ძლიერი მამაკაცები, რომლებსაც იმუნიტეტი არა აქვთ“. - და რომლებსაც უნდა გავახსენოთ ხოლმე, რომ ძალიან კარგი ბიჭები არიან, ნუ დავინანებთ.

იცით, რომ როცა ფოლკნერს ჰემინგუეის შესახებ ჰკითხეს, ფოლკნერმა თქვა, მშიშარააო. ვაი! უვაჟკაცეს ჰემინგუეიზე ამან ისე საშინლად იმოქმედა, რომ მან სამ გენერალს მიაწერინა ფოლკნერისთვის წერილი, როგორი უშიშარი მეომარი იყო, როგორ ქედმოუხრელად იდგა ტყვიების ქვეშ - მოკლედ, ბავშვური რეაქცია ჰქონდა. ფოლკნერი შეძრწუნებულა, რომ არასწორად გაუგეს. მან ახსნა, სხვა შიშს ვგულისხმობდიო: „თქვენ წერთ იმას, რაც აბსოლუტური სიზუსტით, ზედმიწევნით კარგად იცით და არ გყოფნით გამბედაობა, გასცდეთ ამ ბარიერს და შებედოთ იქ, სადაც არაფერი არ იცით“.

„ეს უკვე გენიოსების თამაშებია,“ - განმარტავს ბატონი ლაშა, - „აი, თავად ფოლკნერი კი დიდი ფანტაზიორი იყო. რას აღარ ჰყვებოდა თავის თავზე, ლამის თვითმფრინავიდან უპარაშუტოდ იყო გადმომხტარი...“

ბატონმა ლაშამ მითხრა, რომ მამაკაცი ბავშვობაში ბევრს ტყუის, არარსებულ ამბებს, არარსებულ გმირობებს იგონებს. ვერაფრით გავიხსენე, გოგოებიც იტყუებიან? მაგრამ ეს სხვა თემაა. ბიჭების ტყუილებთან დაკავშირებით კი ვაჟა გიგაშვილს ჰქონია ერთ მოთხრობაში ნათქვამი - მწერალს მიმართავს, თუ როგორ სჭირდება მას ბავშვობის ტყუილების განხორციელება და ზოგჯერ პროვოცირებაც იმისა, რომ იმ ხიფათში ჩაიგდოს თავი და ისე გამოვიდეს იმ ხიფათიდან, როგორც ბავშვობაში მოუყოლია... რამდენი ტყუილი უთქვამს ოდესღაც საბრალო ფოლკნერს!

„ცუდია და ადრეა, როცა სიყმაწვილეში ვინმეს ასე უყვარხარ, ეს ცუდ ჩვევებს ავითარებს. მერე ფიქრობთ, რომ უკვე მოვიდა. გჯერათ, რომ სიყვარული სადღაც გელით, უბრალოდ, უნდა იპოვნოთ. თქვენ მისი იმედი გაქვთ. ეძებთ, იმედი გაქვთ, ელით. დედის სიყვარულთან ერთად სიყმაწვილის გარიჟრაჟზე პირობა გეძლევათ, რომელსაც ცხოვრება არასოდეს შეასრულებს“

რომან გარი, „დაპირება ალიონზე“

„დედასთან ბიჭებს ყველაფერი ეპატიებათ,“ - განმარტავს ბატონი ლაშა, -„ჭიპლარი არ გადაუჭრიათ - ეს მანამდე ვთქვი, სანამ ამ ფრაზას რომან გარისთან წავიკითხავდი“. მამა-შვილის მეგობრობა კი ნებისმიერი ფორმის ფამილარობას და ლაზღანდარობას გამორიცხავდა - დისტანციას იცავდნენ. ისე, რთულია ისეთ კაცთან ლაზღანდარობა, რომელიც რომანტიზმს ყოველდღიურ ყოფაშიც არ კარგავს, ყოველთვის იპრანჭება - კარგი გაგებით - და არასოდეს დაენახვება დედათქვენს ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც მას შეიძლება არ მოეწონოს.

„ხანდახან ვფიქრობდი ხოლმე: რატომ არ მაქვს ფოტოაპარატი, რომ ეს წამი არ გაქრეს, რომ სხვებმაც ნახონ ასეთი რეზო. ახლაც კი მახსოვს ლიძავის სახლის აივანი და ნადირობიდან დაბრუნებული, ახლად შხაპმიღებული და წვერგაპარსული რეზო, რაღაც ხავერდის კურტაკი ჰქონდა და ეწეოდა, ჩაფიქრებული იდგა. გული შემეკუმშა - წამო, გაჩერდი!“

...ქართველებს შესანიშნავი სიტყვა გვაქვს: ოჯახიშვილი. რა კარგია, როცა პასუხად კითხვაზე: „ვისი შვილი ხარ?“ არ გაწითლდები. ამ შეკითხვაზე პასუხის თამამად გაცემა უკვე ძალიან დიდი ბედნიერებაა. თქვენ რას იტყვით?

წაგიკითხავთ „კომოციო“? თუ არა - ძალიან გირჩევთ. ერთმა ქალმა მითხრა, „შესანიშნავი შვიდეულის“ ნახვის მერე შვიდი ღამე არ მეძინა და ახლა ზუსტად ვიცი, როგორ კაცზე უნდა ვიოცნებოო; ჰოდა, თუ ქალი ბრძანდებით, „კომოციოს“ შემდეგ კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ რაინდის მოლოდინში ხართ - ცხადია, თუ უკვე არ შემოგეყარათ, ხოლო თუ მამაკაცი ბრძანდებით, ზუსტად გეცოდინებათ, როგორ კაცზე ოცნებობენ ქალები. მართალია, არავის უხარია, როცა მისი კაცი დასისხლიანებული, ნაცემი და, რბილად რომ ვთქვათ, ნასვამი ბრუნდება შინ, მაგრამ, მეორეს მხრივ, მამაკაცები, რომლებიც უცნობი და პრინციპში, გაუგებარი ქალების გამო მდინარეში ხტებიან... რა კარგია! საიდან ასეთი ბიჭები, ბატონო ლაშა?

„რაინდული კოდექსი - მე ცხოვრებაშიც შევხვედრივარ ადამიანებს, რომლებიც ისევე, როგორც ლიტერატურული გმირები, ამ კოდექსის მატარებლები იყვნენ. მათ თავიანთი სიცოცხლით, თავიანთი სიკვდილითაც დაამტკიცეს, რომ ეს მოგონილი ამბავი არაა. თუნდაც მისიმა. იმის გამო, რომ სამურაის სულის დაცემას შეეწრო, მან ხარაკირი გაიკეთა“.

1970 წლის 25 ნოემბერს იუკიო მისიმამ ნაციონალისტური დაჯგუფების, „ფარის საზოგადოების“ ფორმა ჩაიცვა და ძველებური სამურაის ხმალი მოიმარჯვა. სახლიდან გასვლის წინ მან გამოსაჩენ ადგილას დადო თავის უკანასკნელი რომანის, „ანგელოზის დაცემის“ ბოლო გვერდები და ბარათი: „ადამიანის სიცოცხლე შეზღუდულია, მაგრამ მე მარად სიცოცხლეს ვისურვებდი“.

- შტაბში იარაღით როგორ შემოგიშვეს? - ჰკითხა მწერალს გაკვირვებულმა გენერალმა მისიტამ.

- არ იდარდოთ, ეს სამუზეუმო რელიქვიაა, მეთექვსმეტე საუკუნე, სეკის სკოლა. ნახეთ, რა ნაკეთობაა!

როდესაც გენერალი მდიდრულად მორთული ხმლის დასათვალიერებლად დაიხარა, „ფარის საზოგადოების“ წევრებმა მას ყელში თავსაფარი წაუჭირეს და სულ მალე გენერალი სავარძელზე იყო დაბმული.

მისიმამ შეპყრობილ გენერალს თავისი მოთხოვნები წაუყენა: თავდაცვის ძალები პლაცზე უნდა დამწკრივებულიყვნენ მისიმას სიტყვის მოსასმენად. გენერალი დათანხმდა.

აივნიდან „ფარის საზოგადოების“ წევრები ფურცლებს ისროდნენ - მისიმას მოწოდებას, მის უკანასკნელ ნაწარმოებს: „მოდით, დავუბრონოთ იაპონიას მისი წარსული დიდება, მოდით, მოვკვდეთ. ნუთუ მხოლოდ სიცოცხლეს აფასებთ და სულის კვდომაზე დაყაბულდებით? ჩვენ გაჩვენებთ, რომ ჩვენს სიცოცხლეზე დიდი ფასეულობა არსებობს. ეს არც თავისუფლებაა და არც დემოკრატია. ეს იაპონიაა! იაპონია, ისტორიისა და ტრადიციების ქვეყანა. იაპონია, რომელიც გვიყვარს“.

აივანზე გასულ მისიმას თავზე თეთრი თავსაფარი ეხურა, ამომავალი მზის წითელი წრითა და შუასაუკუნეების სამურაის ლოზუნგით დამშვენებული:

- „თავდაცვის ძალები“ იაპონიის უკანასკნელი იმედი მეგონა, იაპონური სულის უკანასკნელი ციხე-სიმაგრე. მაგრამ დღეს იაპონელები მხოლოდ ფულზე ფიქრობენ. სადაა თქვენი ეროვნული სული? უნდა აღდგეთ. იაპონიის დასაცავად! დიახ, იაპონიის დასაცავად! იაპონური ტრადიციებისა! ჩვენი ისტორიისა! ჩვენი კულტურისა! იმპერატორისა! რატომ არ იღვიძებთ?

- აღდგება ვინმე ჩემთან ერთად?

- იცით, რა არის მეომრის გზა, მახვილის გზა? რას ნიშნავს მახვილი იაპონელისთვის?

- თქვენ არ ხართ მეომრები. თქვენ არ

აღდგებით. თქვენ არაფერს გააკეთებთ.

ჭეშმარიტი სამურაის ტრადიციის თანახმად, მისიმამ გაიხადა და მუცელი ხმლით გადაიხსნა. სეპუკუ - ისევე იწერება, როგორც ევროპელთათვის ცნობილი ხარაკირი, „გაკეთილშობილებას“ ნიშნავს.

ერთგულ მოსწავლეს მისთვის თავი უნდა მოეკვეთა. ან ღელავდა, ან გამოუცდელი იყო: თავისი საქმე მხოლოდ მესამე ჯერზე აღასრულა, რის შემდეგაც, მოძღვრის კვალდაკვალ, მანაც მუცელი გადაიხსნა.

„ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ამ ანთხლეულ თბილისში. ბოლო ჟამს სულ შავ-თეთრად აღვიქვამ საყვარელ ქალაქს.“

ლაშა თაბუკაშვილი, „კომოციო“

„ვაჟკაცი, ნათელი, განათლებული... სიტყვა „ნათელს“ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება იყო ნაკითხი, ენციკლოპედიურად ერუდირებული, მაგრამ „განათლებული“ ინტელექტის გამოსხივებასაც ნიშნავს. აქ პიროვნული ფაქტორი მუშაობს. სევდიანი მაგალითები გვაქვს იმისა, თუ რას ნიშნავს შტაინერის და განსაკუთრებით კი ფროიდის წაკითხვა „თხა და გიგოს“ შემდეგ, „ტომ სოიერის“ და სათავგადასავლო წიგნების გამოტოვებით“.

იმის სევდიანი მაგალითებიც გვაქვს, თუ როგორ ნაადრევად დაბერებულან 20 წლის ბიჭები, რომლებიც, ილია ჭავჭავაძის თქმით, ცხოვრებას ლეკის ნაბადივით ჯერ არ გაუთელია, როგორ დამსგავსებიან ისინი 60 წლის, კარგად გალახულ და ქედმოდრეკილ კაცებს. „ძალიან ბევრი რამ არის გარშემო, რის გამოც მამაკაცმა შეიძლება ისედაც ქედი მოიხაროს - შფოთვა ოჯახზე, შენს ახლობელზე, რომლებსაც ზოგჯერ ქედუხრელობის გამო საშინელ მდგომარეობაშიც აგდებ. ცხოვრება ბევრ საცდუნებელს გიგზავნის, კომფორტს, მატერიალურ კეთილდღეობას, და სწორედ მაშინ ძალიან სასარგებლოა ხოლმე იმის გახსენება, რომ შენ სხვა რამეს ამბობ, რომ სხვას ფიქრობ, და როგორ კოხტადაც არ უნდა მოეწყო,ამ პრინციპულ საკითხში კომპრომისზე თუ წახვედი, სარკეში ველარ ჩაიხედავ“.

ისე, სიტყვები და ცნებები აშკარად ტრანსფორმაციას განიცდის. „აქტივისტი“ ჩვენთვის ძალიან კონკრეტული, კომკავშირული ცნება იყო, ბატონმა ლაშამ კი მითხრა, რომ ადრე კიდევ ერთ რამეს ნიშნავდა - ციხის ადმინისტრაციასთან შეკრულ ადამიანს, დამბეზღებელს. „ერთს ვკითხე: რატომ მიხვედი-მეთქი სუკში, რომანტიკაა, „მაიორი პრონინი“ წაიკითხე, თუ რა? არა, იმის გამო, რომ შური ვიძიო ჩემს დამჩაგვრელებზე, ვინც ბავშვობა გამიმწარესო“. რა მოწყალე იქნებოდა!

„არ არსებობს ბიჭი, რომელიც არასოდეს გალახულა, მეც უამრავჯერ გავლახულვარ, ძვალი არა მაქვს მთელი. ვაჟკაცობად ითვლებოდა ბოდიშის მოხდა, ვაჟკაცობად ითვლებოდა პატიება. არიქა, ვერ ვაპატიებ, იტყვიან, რომ მშიშარა ვარ - ეს ავადმყოფობაში გადაზრდილი თვითდამტკიცებაა. მახსოვს, ტელევიზორით გამოაცხადეს, რომ რეზო თაბუკაშვილს სისხლი სჭირდება, და საბურთალოზე სისხლის ჩასაბარებლად კილომეტრიანი რიგი დადგა. მანამდე ბომბოს, ჩემს უმცროს ვაჟიშვილს და მის მეგობრებს კონფლიქტი ჰქონდათ საბურთალოელ ბიჭებთან - კიდევ კარგი, მერე შერიგდნენ და დამეგობრდნენ, თორემ შეიძლება ეს ამბავი ძალიან ცუდად დამთავრებულიყო. ბომბო მივიდა და ურიგოდ შესვლას აპირებდა. წინ ის ბიჭები იდგნენ, ბომბოს ბაბუისთვის აპირებდნენ სისხლის მიცემას. წინ არ გაუშვეს, ის შენთვის ბაბუაა და ჩვენთვის რეზო თაბუკაშვილიო, თავისთან კი დაიყენეს. ეს მიყვარს თბილისში, ნოსტალგია სხვა რამაა“.

მე კი ნოსტალგია მაქვს. მე მენატრებიან ხოლმე კეტებიანი, გახეხილჯინსებიანი ბიჭები, რომლებიც როკს უსმენდნენ, მთაში დადიოდნენ და ზუსტად იცოდნენ, რომ კარგი კაცებისთვის სისხლი აუცილებლად უნდა მიეცათ. რაღაც, აღარ ჩანან, დაბერდნენ ალბათ... თორემ ეპატაჟი იმათი გეკითხათ: „ოპლა, ჩვენ აქ ვართ! ჩვენ ვარსებობთ!“ ნოდარ დუმბაძეს აუხსნია, თუ როგორ ხდება ხელოვანის ხერხემალში გადატეხა: ლანძღვით, გადაჭარბებული ქებით და სიჩუმით - და სიჩუმე ყველაზე საშინელია, ახალგაზრდა კაცს სიჩუმე ზარავს. „ეს ჯანსაღი გრძნობაა და იმასაც არა უშავს, რომ ახალგაზრდებს ნაკლები თვითირონია აქვთ, ნაკლებად თვითკრიტიკულნი არიან, და ჰგონიათ, რომ მათი არამცთუ გაკეთებული, არამედ ნაოცნებარიც გეოლოგიურ ცვლილებებს მოახდენს და ქანებს შეძრავს... მაგრამ ისეთ რამეს არ უნდა შეუტიო, რაც მრავალთათვის ფასეულია, საყვარელი ქვეყნის საყვარელი ხალხის ხერხემალს, იმას, რამაც დღემდე მოგვიტანა“.

ბატონი ლაშას თქმით, ამგვარი ქმედება საკუთარი თავის გაბახებას ნიშნავს, კასტრირებას - თუ ასეთებს საერთოდ აქვთ რამე საკასტრაციო... რა კარგია, ვინმეს ძალიან გალანძღვას რომ დავაპირებ, სწორედ ასე ვეტყვი.

იმის გამო, რომ რამდენჯერმე შევხვედრივარ, მისი ნაწარმოებები წაკითხული მაქვს და მისგან მრავალი თბილი სიტყვა მსმენია, მიმაჩნდა, რომ ბატონ ლაშა თაბუკაშვილს ვიცნობდი - ჰოდა, ძალიან შევცდი, რადგან იმ დღეს, როცა მისი სტუმარი ვიყავი და ქალბატონ მედეას მიერ მორთმეულ ყავას გეახლებოდით, სულ სხვა კაცი დავინახე, კვლავ მაღალი, კვლავ კეთილმოსურნე, მაგრამ თან - რა ვიცი, ვეცდები, ავხსნა: ასე დიდი ხარების სიახლოვეს ვგრძნობ ხოლმე თავს - კეთილია, მომთმენი, თბილი, მაგრამ ჩემი ზომის არსებისთვის მეტისმეტად ღონიერი, და როგორ ძალიანაც არ უნდა მომწონდნენ, ხელის ხლებას ვერ ვუბედავ, მეშინიასავით, არადა, სასიამოვნო გრძნობაა... მოკლედ, არ ვიცი.

მხოლოდ იმას დავურთავდი, რომ ბატონ ლაშა თაბუკაშვილს დიდი ქათინაური მიუღია: მასთან მიმართებაში რამდენიმე ადამიანმა ათოსი ახსენა. „თუ ჩემზე რამემ განსაკუთრებით იმოქმედა, „სამი მუშკეტერია“. ახლაც ახსოვს იმ წიგნის სურნელი, საძაგელ თარგმანში ჰქონდა წაკითხული. „წიგნი მეგობრობაზე, მეგობრისთვის თავდადებაზე - თავისთავად შედევრია, ჩემი დახასიათება არ სჭირდება. ათოსი ჩემთვის ერთ-ერთი უდიდესი გმირია, აბსოლუტურად რეალური სახე, და არანაირი იდეალიზაცია დიუმას არ უცდია“.

ვოლტერს უთქვამს: „თქვენი აზრები ყოვლად მიუღებელია ჩემთვის, აუტანელიც კი. მაგრამ მე სიცოცხლეს გავწირავდი იმისთვის, რომ თქვენ ამ აზრების გამოთქმის უფლება გქონდეთ“.

ჰოდა, მეც გაგიზიარეთ ჩემი აზრი ერთი კაცის შესახებ.

ესაა და ეს.

ანა კორძაია-სამადაშვილი

ბედისწერათა
არქიველადი
ლევან
ბერძენიშვილი
ბუტოვი

შავი ზღვის მარგალიტი, შესანიშნავი ქალაქი ოდესა XIV საუკუნის ბოლოს დააარსა ლიტვის დიდმა მთავარმა ვიტოვტმა. მალე ოსმანებმა დაიპყრეს. მაშინ მას ხაჯიბეი, ან პოლონურად კოჩუბეი, ერქვა. ოსმანებმა ეს დასახლებული პუნქტი ედისანის პროვინციაში შეიტანეს. მეთვრამეტე საუკუნეში თურქებმა ხაჯიბეიში ციხე-სიმაგრე ხელახლა ააშენეს და მას ენი-დუნია უწოდეს. ხაჯიბეი მაშინ სილისტრის პროვინციის სანჯაყის ცენტრი იყო. ეკატერინეს მეცადინეობით, რუსეთმა შემოიერთა ეს ტერიტორიები და ოდესა „ახალი რუსეთის“ ანუ ნოვოროსიის დიდ საპორტო ქალაქად ჩამოყალიბდა. ერთი საუკუნის განმავლობაში იგი რუსეთის იმპერიის სიდიდით მეოთხე ქალაქი გახდა პეტერბურგის, მოსკოვისა და ვარშავის შემდეგ.

სხვა ტრადიციებთან ერთად, ოდესა სახელგანთქმული იყო ბაბელის მიერ რომანტიზებული დამნაშავეთა სამყაროთი, ებრაული სათვისტომოთი, ყველა ეპოქის პოლიტიკური ანეკდოტებით, მოქალაქეთა ფრონდიორობით, თავისუფლებისადმი შესამჩნევი ლტოლვით და, შესაბამისად, დისიდენტების მრავალრიცხოვანი სახელებით.

ჩვენს ზონაში ამ შესანიშნავ ქალაქს ღირსეულად წარმოადგენდა თეორეტიკოსი ფიზიკოსი პეტრე ბუტოვი. იგი 1982 წლის 10 თებერვალს იყო დაპატიმრებული და ოდესის საოლქო სასამართლოს მიერ 5 წელი ბანაკი და 2 წელი გადასახლება ჰქონდა მისჯილი.

პეტრე ბუტოვის დამსახურება დისიდენტური ისტორიის წინაშე უზარმაზარია: მან ვიაჩესლავ იგრუნოვისგან ჩაიბარა, გაზარდა და ისტორიის მონაპოვარი გახადა საბჭოთა იატაკქვეშეთის საოცრება, „სამიზდატისა“ თუ „ტამიზდატის“ პროდუქტებისგან შემდგარი ანტისაბჭოთა ლიტერატურის ვეებერთელა ბიბლიოთეკა. რა არ იყო ამ ბიბლიოთეკაში: სოლჟენიცინიდან და სახაროვიდან დაწყებული ბულგაკოვით, პლატონოვით, ზამიატინითა თუ პასტერნაკით დამთავრებული, „მიმდინარე მოვლენათა ქრონიკიდან“ დაწყებული და „ლიტვის კათოლიკური ეკლესიის ქრონიკებით“ დამთავრებული, ორუელის 1984-ით დაწყებული და ამალრიკის „გაძლებს თუ არა სსრკ 1984 წლამდე“ დამთავრებული, მაქსიმოვისეული ჟურნალ „კონტინენტით“ დაწყებული და რუსი სოლიდარისტების სახალხო-შრომითი კავშირის ჟურნალით, სახელგანთქმული „პოსევით“ დამთავრებული.

საბჭოთა ისტორიის მანძილზე ასეთი იატაკქვეშა ბიბლიოთეკები სულ სამი ყოფილა: მოსკოვის, პეტერბურგისა და ოდესის. საერთო აღიარებით, ყველაზე დიდი ყოფილა ოდესის ბიბლიოთეკა, რომელშიც 20 000-ზე მეტი დასახელების თითქმის 30 000 ბეჭდვითი ერთეული (წიგნი, ჟურნალი, გაზეთი, პლაკატი და ა.შ.) და 20 000 მიკროფილმი შედიოდა. ბიბლიოთეკას ჰქონდა საკუთარი გასამრავლებელი აპარატურა, ანუ უნივერსალურ ათობით სისტემაზე აწყობილი ბიბლიოგრაფია, მიკროფილმების დამამზადებელი ლაბორატორია და საკუთარი ფინანსებიც კი (ბიბლიოთეკის წევრობა ფასიანი იყო, წლიური ბილეთი მანეთი ღირდა. გარდა ამისა, ბიბლიოთეკა გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ამზადებდა ასლებს, გამოსცემდა საკუთარ პროდუქციას, მაგალითად ყოველწლიურ ალმანახ „დერიბასოვსკაიას“).

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ამ ბიბლიოთეკის შესახებ მთელმა მსოფლიომ გაიგო ლუდმილა ალექსეევას წიგნის (განსხვავებულად აზროვნების ისტორია სსრკ-ში, ვილნიუსი 1992) გამოსვლის შემდეგ; 1999 წელს მეც მქონდა მოხსენება აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკაში მსოფლიოს ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების წინაშე ოდესურ იგრუნოვ-ბუტოვის იატაკქვეშა ბიბლიოთეკაზე. მოხსენებამ განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა სამხრეთ ამერიკელ კოლეგებში, პორტუგალიურად და ესპანურად ითარგმნა და, რამდენადაც ვიცი, კუბაში ანალოგიური იატაკქვეშა ბიბლიოთეკის (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, მედიათეკის, რადგან ბეჭდური ერთეულების გარდა, კუბურ იატაკქვეშეთში აკრძალული ვიდეოფილმების სოლიდური მარაგიც შევიდა) დაფუძნებას შეუწყო ხელი.

როგორც ლუდმილა ალექსეევა, რუსული დისიდენტობის სიამაყე და თავისუფლებისთვის მოძრაობის ნამდვილი დედოფალი აღნიშნავდა, „სამიზდატის“ სუსტ ტექნიკურ ბაზაში იმალებოდა მისი მაღალი ხარისხის საიდუმლო. მართლაცდა, ვინ გადაბეჭდავდა რამეს, ვინ გაწევდა სერიოზულ რისკს რაღაც უმნიშვნელო უაზროების გამო? სტამბურად შეიძლება ყველა სისულელის ბეჭდვა, განსაკუთრებით, თუ ნაცნობი გყავს ან ფული გეგულება; ხოლო საბეჭდ მანქანაზე იბეჭდება მხოლოდ ის, რაც ადამიანს აინტერესებს, რისთვისაც ის მზადაა, დროც დახარჯოს და რისკიც გასწიოს. სწორედ ამიტომ, „სამიზდატი“ თვითგამოცემა იყო იმდროინდელი მხატვრული, პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრის კვინტესენცია.

იატაკქვეშა ბიბლიოთეკამ ბუტოვის ხელში თითქმის ათ წელიწადს იარსება, იგი ათასობით ადამიანს ისე მოემსახურა, რომ თავის არსებობას საფრთხე არ შეუქმნა. ბუტოვი შესანიშნავი დირექტორი იყო, ბრწყინვალე მენეჯერი და ადმინისტრატორი: სანამ თავისუფალი იყო, ბიბლიოთეკა ყვაოდა და იზრდებოდა. ასევე იზრდებოდა მისი სახელი და დიდება, ოდესის ბიბლიოთეკაზე უკვე მითები იქმნებოდა და ეს იქნებოდა იმის შესანიშნავი ილუსტრაცია, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ ადამიანებს თუნდაც „ბოროტების იმპერიაში“. სამწუხაროდ, ოდესის ლეგენდარული ბიბლიოთეკა ისევე განადგურდა ცეცხლში, როგორც ამავე ქალაქის ლეგენდარული საზაფხულო თეატრი: ბუტოვის დაპატიმრების შემდეგ უმადურმა ჩეკისტებმა სამხრეებზე თითო ვარსკვლავი დაიმატეს და მთელი ოდესური ბიბლიოთეკა მოსპეს. ბუტოვი ხუმრობდა, - ჩემმა წინამორბედმა ბიბლიოთეკარებმა ხალხი ჩაუშვეს და მე მხოლოდ წიგნები გავიმეტეო.

წარმომიდგენია, რა ბედნიერები იქნებოდნენ ჩეკისტები, როდესაც ოდესის ცენტრში, ბუტოვის მეგობარი ქალის სახლის საიდუმლო სარდაფიდან ანტისაბჭოთა ლიტერატურის ტომეულები ამოჰქონდათ და იქვე, სახელდახელოდ მოწყობილ აუტოდაფეზე წვავდნენ მთელი კვირის განმავლობაში. სხვათა შორის, „ანტისაბჭოთა ლიტერატურის“, ანუ კარგი წიგნების განადგურების ეს სამარცხვინო პროცესი საბჭოთა პრესამაც გააშუქა და ქართული საბჭოთა პრესის ფლაგმანის, სახელგანთქმული ქართულ „კომუნისტის“ ფურცლებზეც კი მოხვდა.

ბუტოვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ააწყო ანტისაბჭოთა წიგნების ჩამოტანის მარშრუტები ევროპიდან და ამერიკიდან ოდესის პორტამდე (შემდგომში მეუბნებოდა, - მხოლოდ მეზღვაურებს ვენდობოდი და არა გემის კაპიტანებს, ზამპოლიტებსა და პომპოლიტებსო). თითქმის მთელი ანტისაბჭოთა ლიტერატურა აქცია მიკროფილმებად, ხოლო ორიგინალები - წიგნები ხელუხლებელ ფონდში შეიტანა. სწორედ ამიტომ მის ბიბლიოთეკას ჩავარდნამდე რაიმე სერიოზული დანაკარგები არ ჰქონია. ბეჭდვით იშვიათად ბეჭდავდნენ, მაგრამ თუ ამ საქმეს ხელს მოჰკიდებდნენ, პაპიროსის ქაღალდს იყენებდნენ, რომელიც შვიდ ასლს იტანდა. თავის დროზე ჩვენი პარტიის ორგანოც, „სამრეკლოც“ ამ უეშმაკო მეთოდით იბეჭდებოდა. ასე რომ, პეტრე ბუტოვთან, ყველაფერთან ერთად, „ტექნოლოგიური ძმობაც“ მაკავშირებდა. ჩეკისტებმა სწორედ ხელუხლებელი ფონდი აღმოაჩინეს, მიკროფილმების სახით კი ბუტოვის ბიბლიოთეკამ დღევანდელობამდეც მოაღწია.

ბუტოვი უკვე პატიმარი იყო და პოლიტიკურ ბანაკშიც იყო გადაყვანილი, როდესაც კორეის თვითმფრინავის ტრაგედია მოხდა. ეს ამბავი გულთან ისე ახლოს მიიტანა, რომ თავის მუდმივ საფიქრალად და სამუშაოდ აქცია. ზონაში ყველა ახალმოსულს ეკითხებოდა თვითმფრინავის ამბავს, აინტერესებდა ყველაფერი: დრო, სტატისტიკა, კონკრეტული თვითმფრინავის

ისტორია, მგზავრები, პოლიტბიუროს რეაქცია, საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას“ პოზიცია, დასავლეთის რეაქცია და ა.შ., მოკლედ, ყველაფერი.

რეისი 007-ის ტრაგედია ბუტოვისთვის არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის მიერ ჩადენილ ვანდალიზმად, არამედ რაღაც პირად უბედურებად იქცა. 1983 წლის 1 სექტემბერს საბჭოთა გამანადგურებლებმა კუნძულ სახალინის დასავლეთით, იაპონიის ზღვის თავზე, „აკრძალულ სივრცეში“ ჩამოაგდეს კორეის ავიახაზების სამოქალაქო თვითმფრინავი „ბოინგ 747“, რომელიც ასრულებდა რეისს ნიუ იორკისეული (ანკორიჯში დაჯდომით და საწვავის შევსებით). თვითმფრინავის ბორტზე 269 ადამიანი იმყოფებოდა (246 მგზავრი და 23 ეკიპაჟის წევრი). ყველა, მათ შორის 12 წლამდე ასაკის 22 ბავშვი, დაიღუპა.

საბჭოთა კავშირი თავდაპირველად უარყოფდა, რომ რამე იცოდა ინციდენტის შესახებ, მაგრამ შემდეგ აღიარა სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდების ფაქტი და დაიწყო მტკიცება, რომ ჩამოაგდო ჯაშუში თვითმფრინავი. პოლიტბიურომ განაცხადა, რომ ეს იყო შეერთებული შტატების განზრახი პროვოკაცია, შეემოწმებინა საბჭოთა კავშირის სამხედრო მზადყოფნა ან ომიც კი გამოეწვია. შეერთებულმა შტატებმა ბრალი დასდეს საბჭოთა კავშირს, რომ ეს უკანასკნელი ხელს უშლიდა ხსნისა და ძიების ოპერაციასაც კი. უკვე რუსეთმა მომხდარიდან მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის ზეწოლით გამოაქვეყნა ტრაგედიის ზუსტი მონაცემები.

ეს ინციდენტი ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი მომენტი იყო ცივი ომის ისტორიაში, რომელმაც გააძლიერა ანტისაბჭოთა განწყობები მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით - ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ინციდენტის შედეგად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეცვალა ალიასკიდან გასული რეისების ტრეკინგის სისტემა, შეიცვალა საავიაციო ხაზების ავტოპილოტის სქემა, ხოლო პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა უბრძანა სამხედროებს, რომ გლობალური პოზიციონირების სისტემა (ჯიპიესი) სამოქალაქო რეისებისთვისაც ხელმისაწვდომი გამხდარიყო მომავალში მსგავსი ტრაგედიების თავიდან ასაცილებლად.

ბევრი მკვლევარის აზრით, სწორედ მაშინ დაებადა რონალდ რეიგანს იდეა, საბჭოთა კავშირისათვის „ბოროტების იმპერია“ ეწოდებინა. აი, რა აქვს ნათქვამი შეერთებული შტატების პრეზიდენტს: „საბჭოთა კავშირი ქადაგებს სახელმწიფოს უპირატესობას, აცხადებს, რომ სახელმწიფო პიროვნებაზე და, საბოლოო ჯამში, მსოფლიოს ყველა ხალხზე მაღლა დგას და, ამდენად, სწორედ ამით იგი წარმოადგენს ბოროტების თავშესაფარს თანამედროვე მსოფლიოში“.

მგზავრების მესამედზე მეტი კორეელი იყო, თითქმის მეოთხედი - ამერიკელი (მათ შორის ჯორჯიის შტატის კონგრესმენი ლოურენს მაკდონალდი); იყვნენ იაპონელები, ჩინელები, ფილიპინელები, კანადელები, ტაილანდელები, ავსტრალიელები, ინგლისელები და სხვები. თხუთმეტი წუთის დაგვიანებით მას მიჰყვებოდა იმავე რეისის მეორე თვითმფრინავი, რომელმაც სეულს მშვიდობიანად მიაღწია.

საიდუმლო შეკრებაზე, რომელსაც ათიოდე პოლიტპატიმარი ესწრებოდა და რომელიც ზონის ბიბლიოთეკის პატარა ოთახში შედგა, ბუტოვმა წაიკითხა მოხსენება კორეული თვითმფრინავის შესახებ. მოხსენება მთავრდებოდა სიტყვებით: „არ ვიცი, იცოდა თუ არა ეს სკკპ-ს მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა, სულით და ხორცით ავადმყოფმა „პოეტმა“, იური ანდროპოვმა (აღარ ბრძანდება ცოცხალი), თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-იდიოტმა დიმიტრი უსტინოვმა (არც ეს არ ბრძანდება) და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მეთაურმა ვიქტორ ჩებრიკოვმა (ამას რა მოკლავს!), მაგრამ თვითმფრინავი, რომელიც 1983 წლის 30 აგვისტოს აფრინდა ნიუ-იორკის ჯონ კენედის სახელობის აეროპორტიდან და რომელიც საბჭოთა „სუ-15“-მა ჩამოაგდო იაპონიის ზღვის თავზე, არის სიმბოლო სსრკ-ს მომავალი დაცემისა. შორი არ არის ის დღე, როდესაც სსრკ შეწყვეტს თავის არსებობას და პოლიტბიუროს გამოცდილ წევრებს უამრავ სხვა კითხვასთან ერთად მოუწევთ პასუხის გაცემა ამ კითხვაზეც: კიდევ გახსოვთ ბავშვების სისხლის გემო?“

ბუტოვის ზონური ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი ყველას დაამახსოვრდა: ერთხელ ფიზიკოსმა და სერიოზულმა ბუტოვმა შერლოკ ჰოლმსის როლი შეასრულა, დამნაშავე აღმოაჩინა და სახელდახელო სასჯელის განსაზღვრაშიც მიიღო მონაწილეობა.

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით და ეს ისტორიაც მოულოდნელად დაიწყო. ქართული ენის მთელი სიმდიდრე რომ გამოვიყენოთ, ანაზდად წვრილმა რამერუმეებმა ანუ რაღაც-რაღაცებმა მიყოლებით დაიწყო დაკარგვა. ასე, თავისით „დაიწყო“. წლების მანძილზე არ იკარგებოდა და ახლა დაიწყო. დაკარგული ნივთების უბრალო ჩამონათვალმა დაადასტურა, რომ რაიმე სისტემის შემუშავება მათ აღსაწერად ძნელი იქნებოდა. მართლაცდა, რა აკავშირებს ერთმანეთთან ლევან ბერძენიშვილის ნიგოზს და 1 ქილა შედედებულ რძეს, რაფიკა პაპაიანის ერთ თავ ნიორს, საავადმყოფო დიეტაზე მყოფი ჯონი ლაშქარაშვილის სიმწრით შეგროვილ 20 გ კარაქს, გიორგი ხომიზურის 50 გ კვერცხის ფხვნილს, მიშა პოლიაკოვის 100 გ ფქვილს და ა.შ.?

ამ კითხვით მივადექი სახელგანთქმულ ფიზიკოსსა და შერლოკ ჰოლმსის უბადლო მიმდევარს, ოდესის სიამაყეს, პეტრო ბუტოვს (შერლოკ ჰოლმსთან მას პისტოლეტებისა და ვიოლინოს სიყვარულიც აკავშირებდა).

- უცნაურ კითხვებს სვამთ, მოქალაქე ქართველო! - სიხარულით მიიღო დავალება ბუტოვმა, რომელიც, თავისი დიდი წინამორბედის მსგავსად, მუდმივად უჩიოდა დანაშაულის ნაკლებობას პერესტროიკის პირველ წლებში. - მართლაცდა, რა საერთო უნდა ჰქონდეს ნიორს და კარაქს? ახლა წადით, ბატონო ქართველო, და ერთ საათში მობრძანდით, პირველი პასუხი მექნება.

ერთი საათის შემდეგ ჟორა ხომიზურთან და ბორია მანილოვიჩთან ერთად მივადექი. ეს შემთხვევით არ გამიკეთებია: ჯერ ერთი, პაველსონსიდან დაწყებული და ბობკოვით დამთავრებული, ყველა ასეთი წვრილმანი ქურდობა ბოლოს მაინც ბორიას ბრალდებოდა, როგორც ყველაზე უფრო დამახასიათებელ სემიტს, გარდა ამისა, მანილოვიჩი კრიტიკულად იყო განწყობილი ბუტოვის მიმართ და მის ცალკეულ გამონათქვამებში ანტისემიტიზმის ელემენტებს ხედავდა. ამავე დროს, ჯოხს თავის მხარეს ხრიდა, როცა ამბობდა, - ბუტოვი არ უნდა წარმოადგენდეს ოდესას, ოდესა რომ წარმოადგინო, ამისთვის, სულ ცოტა, ბუტოვიჩი ან, კიდევ უკეთესი, ბუტკევიჩი უნდა იყოო.

- მობრძანდით, მობრძანდით, ბატონებო! - გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი დანახვა ბუტოვმა. - კარგია, დაზარალებულის გარდა, უოტსონიც რომ მომიყვანეთ, რადგან მე, პაველსონის პრიმიტიული წარმოდგენებისგან და, მით უმეტეს, ბობკოვის ცხოველური ანტისემიტიზმისგან განსხვავებით, ებრაელების და, მით უფრო, ბატონი ექიმი ჟიდაგოს ანუ პროფესორი მანილოვიჩის ფუნქციას უფრო ვხედავ კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის კონტექსტში.

- ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, ბატონო ფიზიკოსო ბუტოვ, ოდესის სიამაყევ, დიდო ბიბლიოთეკარო და ადამიანო, რომ ამ წვრილ საქმეს იოლად და მიკიბ-მოკიბვის გარეშე გამოიძიებთ, დამნაშავეს იპოვით და სამართალს აზეიმებთ. დაზარალებულებს შორის არიან სამხრეთი კავკასიის ხალხთა სწორუპოვარი წარმომადგენლებიც, - ჩამოაყალიბა საერთო სათქმელი მჭევრმეტყველმა გიორგი ხომიზურმა, სამხრეთი კავკასიის ხალხთა ქრისტიანული ფედერაციის ერთადერთმა და მუდმივმა თავმჯდომარემ.

- სწორად გაქვთ ჩემი იმედი, ბატონო გეოლოგო ჟორა. მე უკვე გადავდგი ერთი ნაბიჯი დანაშაულის გახსნის გზაზე. მე აღმოვაჩინე ღრმა კავშირები დაკარგულ ნივთებს შორის.

- ის ხომ არა, რომ კარაქიც და ნიორიც იჭმება? - იკითხა ბორიამ.

- არა, ეგ თქვენი აღმოჩენაა, მე ვერ შეგეცილებით, მე გაცილებით უფრო მოკრძალებული აღმოჩენა მაქვს.

- ბრძანეთ, ჰოლმს.

- კარაქი ხომ ლაშქარაშვილს მოჰპარეს?

- ნამდვილად. მარჯვენა ფილტვში პროცესი გაეხსნა და ექიმმა ძლივს გაიმეტა დღეში 5 გრამი. ოთხი დღის კარაქი იყო დაგროვილი, 20 გრამი წაიღო ვიღაც არამზადამ! - აღშფოთდა ჟორა.

- ემოციები ვერ დაგვეხმარება. უბრალოდ, დავიმახსოვროთ, რომ კარაქი ავადმყოფს მოჰპარეს. თანაც მოჰპარეს ისეთ კაცს, რომელსაც აზრადაც არ მოსვლია მისი დამალვა.

- სრული სიმართლეა, ჰოლმს, - დაუდასტურა ბორია უოტსონმა.

- ხოლო ნიორი მოჰპარეს თვით რაფაელ პაპაიანს, რომელსაც იგი საიდუმლო სეიფში ჰქონდა ჩაკეტილი?

- საიდან მოიტანდა სეიფს ზონაში? - გაიკვირვა ხომიზურმა. მე მის გაოცებას არ ვიზიარებდი.

- კი ბატონო, არ ვუწოდოთ სეიფი, მაგრამ სპეციალურად გადამალული ხომ იყო ნიორი? თუ პაპაიანი გამოვიძახო? - ჩუმად იკითხა ბუტოვმა.

- არა, რა საჭიროა გამოძახება, ნიორი კარგად იქნებოდა შენახული.

- ესეც პირველი მიგნება: ქურდისთვის სულ ერთია, კარგად ინახავს თუ არა თავის ქონებას პატრონი. ის იპარავს მიყოლებით და ყველაფერს, ის პოულობს პაპაიანის გადამალულ ნიორსაც კი, როდესაც, სამი თვეა, ერთი კბილი ნიორიც კი არ დაუნახავს ვინმეს! ქურდს არ ერიდება, ავადმყოფი გაძარცვოს, მას სრულიად არ აფერხებს მორალური ან ნაციონალური მიზეზები.

- ამით რისი თქმა გსურთ, ჰოლმს? - ვიკითხე მე.

- იმისი, რომ ჩვენი ქურდი შესანიშნავი ფსიქოლოგია და კავკასიელი არ არის.

- ფსიქოლოგი მთელ ზონაში მხოლოდ მანილოვიჩია, - შეახსენა ჟორამ.

- თან კავკასიელიც არ არის, - დავამატე.

- თქვენ გსურდათ გეთქვათ, რომ ფსიქოლოგის დიპლომი მხოლოდ მანილოვიჩს აქვს, მაგრამ მე უოტსონი თავიდანვე გამორიცხული მყავს, ის ასეთი წვრილი საქმეებისთვის არ გაუჩენია მამა იაჰვეს.

- რაში გამოიხატება დამნაშავის ფსიქოლოგიზმი?

- იმაში, რომ ნივრის ქურდობაში ბრალი კი დაედება, მაგრამ ოქროსავით ნივრის გახმობისთვის არც პაპაიანს მოიხსენიებს ვინმე კეთილად. ლაშქარაშვილიც, იმის მაგივრად, კარაქს ჭამდეს, ინახავს, ეს ჩვენს ქურდს სასაცილოდაც არ ჰყოფნის. წარმოადგინო მსხვერპლი სასაცილო მდგომარეობაში - აი, ეს არის მისი ფსიქოლოგიური იარაღი.

- კარაქს რომ იპარავს,მაშინ ღორმუცელაა და ნივრის ქურდობისას დახვეწილი ფსიქოლოგი? - შევშფოთდი მე.

- რაღაც ხდება და მე არ მეუბნებით? - შემოგვესწრო ვადიმ იანკოვი. ფიზიკოსები და ფილოლოგები ბჭობენ და საბრალო მათემატიკოსებისთვის ადგილი არ არის? პაპაიანის ნიორი ნიორია და ჩემი მთელი ქილა ერბო ერბო არ არის?

- თქვენც მოგპარეს? - ვერ დავმალე გაკვირვება მე, რადგან კოსი არაფერს არ ინახავდა, ყველა პროდუქტს ამანათის მიღებისთანავე, უმოკლეს დროში სპობდა.

- ჩემი დაკვირვებით, ჯერჯერობით იური ბაძიო ერთადერთია, ვისთვისაც არაფერი მოუპარავთ, რადგან მას ყველაფერი თავისი თან დააქვს: „ომნია სუა სეცუმ პორტატ“, ასე არაა, ჩემო სოკრატე? (ბაძიოს მუდმივად თან დაჰქონდა თავისი მაგიდის საათი, რომლის ტარების უფლება რუსეთისა და უკრაინის „კა-გე-ბე“-სთან სამწლიანი ომის შემდეგ მოიპოვა).

- ჩვენ არ ვიცოდით, რომ ერბო გქონდათ, - შეაპარა ბუტოვმა.

- მე ხომ ვიცოდი! - არ გაიტეხა იხტიბარი ვადიმმა.

- ქურდს თქვენი შერცხვენა უნდა, ჩუმად რომ ჭამდით ერბოს.

- ხმაურიანად უნდა მეჭამა?

- არა, ჩემთვის უნდა გაგესინჯებინათ, - დაგვიანებით ეწყინა ჟორა ხომიზურს.

- მაპოვნინეთ და ყველას გაგასინჯებთ თითო კოვზს. ჩაის კოვზი იგულისხმება. ფრანგული ერბოა.

- ბარემ ჩემი თამბაქოც იპოვეთ, „ბლექ კეპტენია“, - შემოგვიერთდა პოლიაკოვი.

- ახ, ქურდი კიდეც ჭამს და კიდეც ეწევა! - დაასკვნა ბორია უოტსონმა.

- არა, უოტსონ, არ ეწევა, არც ჭამს. ქურდი ნაქურდალით ვაჭრობს, - მნიშვნელოვანი ტონით განაცხადა ბუტოვ-ჰოლმსმა.

- ეს როგორ? - მართლა უოტსონივით გაიკვირვა ბორიამ, - თან კავკასიელი არაა, თან ვაჭრობს და თან ფსიქოლოგია? ქურდი ეს მე ვარ?

- არა, შეგიძლია დამშვიდდე. შენ უფრო დიდი საქმეები გიხმობენ. წარმოიდგინე, რა მოუვა ადამიანს, რომელიც შეჭამს ერბოს, კარაქს და ნიორს.

- რა უნდა მოუვიდეს?

- დიარეა. მარტივი დიარეა. მისი პოვნა ძალიან იოლი იქნებოდა: ტუალეტიდან ცხვირს ვერ გამოჰყოფდა. არადა, დიარეა არ აქვს. რამდენი ხანია, იქით ვიყურები და, რაზლაცკის გარდა, კაცი არ შესულა ტუალეტში. ესე იგი, ქურდი ხარბად არ ნთქავს ნაშოვნს, თანაც შეუსვენებლად მუშაობს, აშკარად პროფესიონალია.

- პროფესიონალ ქურდს პოლიტიკურ ზონაში რა უნდა? აგერ არ არის მშობლიური „ტროიკა“? ქურდებიც არიან, მკვლელებიც და გამაუპატიურებლებიც.

- აქ პროფესიონალი ვაჭარიც ზის, „გულაგს“ რომ ას მანეთად ყიდდა, - შეახსენა თანამოაზრეს ბუტოვმა (მართლაც, რაც ბარაშევოში თავი მახსოვდა, გაუთავებლად მიმდინარეობდა პოლემიკა, უნდა ჩაითვალოს თუ არა დისიდენტად ბატონი მელნიკოვი, რომელიც ანტისაბჭოთა ლიტერატურით კი ვაჭრობდა, მაგრამ საკუთარი „პროდუქტის“ იდეოლოგიას არ იზიარებდა. თავად მელნიკოვი თავს დისიდენტად არ მიიჩნევდა).

- ამ ბებრებში ვინ იცის, ვინ ვინ იყო თავის დროზე, - გადაიტანა ყურადღება სამხედრო დამნაშავეებზე ჟორა ხომიზურმა.

- ქურდი ახალგაზრდაა, - მოულოდნელად განაცხადა ბუტოვმა, - და გასამართლებულია სამოცდამეათე მუხლით.

- საიდან იცი? - აშკარად გავიკვირვეთ ყველამ.

- პაპაიანმა მანახა თავისი სამალავი. იმას რომ შეწვდე, ახალგაზრდა და ფიზიკურად კარგად მომზადებული უნდა იყო.

- დანარჩენი სტატისტიკის საკითხია, - განაცხადა ჟორამ. ჰეროდოტე ისტორიის მამა იყო, არისტოფანე - კომედიისა, ხოლო ჟორა სამართლიანად მიიჩნეოდა სტატისტიკის მამად. ნაპოლეონის სიტყვებით უყვარდა ხოლმე თქმა, სტატისტიკა საგანთა ბიუჯეტიაო. - სტატისტიკის მიხედვით, ამჟამად ზონაში ხუთი კაცია 30 წლამდე ასაკის. ხუთივე მამრობითი სქესისაა (ეს აშკარად ჭარბი მონაცემია), ხუთივეს სამოცდამეათე მუხლი აქვს მისადაგებული, ერთი მათგანი, მიშა რივკინი, უკვე სამი თვეა ბურში ზის და გამოირიცხება, დარჩა ოთხი: შაბონასი, ბარკანსი, მირონოვი და უდაჩინი.

- ჩავთვალოთ, რომ ქურდის სახელი დასახელებულია, - ბრძანა ბუტოვმა, - დარჩა მხოლოდ ეგრეთ წოდებული დავიწროება და ოთხიდან ერთის შერჩევა, - გთხოვთ, თქვენ-თქვენი კანდიდატები დაასახელოთ.

- ჩემი აზრით, ძალიან საწყენი შედეგი გვექნება, მე არც ერთი მათგანი არ მემეტება ქურდის სახელისთვის, - გულწრფელად განაცხადა იანკოვმა.

- არანაირი უნებური ქურდი ჩვენ არ გვყავს, - აღვშფოთდი მე, - სრულიად კონკრეტული ნიგოზი მოიპარა,რომლისგანაც ხუთი კაცის ბაჟე კეთდებოდა, დაგვხატავდა ხუთივეს ახლავე.

- დაგვხატავდა კი არა, დაგვხატავს, - შემისწორა ბუტოვმა, - ბაჟე იქნება დღესვე. სხვა ინგრედიენტები ხომ გაქვს?

- ხმელი ქინძი, უცხო სუნელი, ყვითელი ყვავილი და წიწაკა მაქვს; პაპაიანის ნიორიც თუ აღმოჩნდა, ბაჟე უკვე მზადაა.

- მიყვარს ბაჟე ყვითელი ყვავილით, - მეოცნებე ხმით წარმოთქვა ბუტოვმა.

- განსაკუთრებით, თუკი შიგ რამე დევს,

- განაგრძო მანილოვიჩმა, - სამი თევზის კუდი ჩემზეა.

- მოვმკვდარვართ ჭამით და ეგაა, - აღმოთქვა ხომიზურმა, - ოღონდ ეს მაინტერესებს, ქურდს აღარ ვეძებთ? თავისით გამოვა ასპარეზზე და იტყვის, - მე ვარ ჰამლეტი და სისხლი მეყინებაო?

- შაბონასი უნდა გამოვრიცხოთ, - თქვა ბუტოვმა.

- რა საფუძველზე? - დაინტერესდა იანკოვი.

- ბევრს ლაპარაკობს, ძალიან ბევრს ლაპარაკობს, ქურდის პროფაილში არ ჯდება, - დაასკვნა ბუტოვმა.

- აკი ზონაში ერთი ფსიქოლოგიაო! - ძველი წყენა არ დამალა მანილოვიჩმა, - ესე იგი, ქურდის პროფაილი არსებობს. როგორია იგი?

- ჩვენი ქურდი არის ახალგაზრდა, ჯანმრთელი მუტრუკი, გამჭრიახი მზერით, ნათელი გონებით, დახვეწილი მანერებით, სიტყვაძუნწი... - მეტისმეტად თვითდარწმუნებულად დაიწყო ბუტოვმა.

- ... და აქვს ცისფერი თვალები, - დაასრულა მანილოვიჩმა.

- აქილევსის სიმარდე, ოდისევსის გონება, ლინკეევსის მზერა, ჰამლეტის სიღრმე, - დაასკვნა იანკოვმა, - ლამის ვაღიარო, რომ ასეთმა კაცმა უნდა მოიპაროს კიდეც ჩემი ერბო და ბერძენიშვილის ნიგოზი.

- შენ გავიწყდება, ვადიმ, რომ მან პაპაიანის ნიორიც მოიპარა. არგიშტის სიკვდილისა და 26 კომისრის დახვრეტის შემდეგ სამხრეთი კავკასიისთვის ასეთი შეურაცხყოფა არავის მიუყენებია.

მიუხედავად იანკოვის აშკარად დამცინავი ტონისა და ხომიზურის საეჭვო ალუზიებისა, ბუტოვი არ აღელდა.

- ახალგაზრდა და ჯანმრთელი რომაა, ამას ადასტურებს პაპაიანის სამალავი. მოხუცი და ავადმყოფი იმას ვერ შეწვდებოდა ვერასდეს. გამჭრიახი გონება რომ არ ჰქონოდა, პაპაიანის სამალავს ვერ მიაგნებდა. დღისით იმ ადგილს ვერ გაეკარები, ღამით კი მართლა ლინკეევსის მზერა გჭირდება.

- ან ფელდმანის ფარანი, - დავაყოლე მე.

- ან ალადინის ფარანი, - ამყვა.

- სიტყვაძუნწი რომაა, საიდან ვიცით? - დაინტერესდა ჩვენ შორის ყველაზე სიტყვაძუნწი პოლიაკოვი.

- რაღაც მაინც წამოცდებოდა, რადგან უაღრესად ამპარტავანი ვინმე ბრძანდება. დარწმუნებული ვარ, ახლა გვიყურებს და სიცილით კვდება, - განაცხადა ბუტოვმა.

- ესე იგი, შაბონასი არ არის. შაბონასი არასოდეს არ იცინის, - ვთქვი მე.

- შაბონასს არაფერი შეუძლია, არც ტირილი, არც სიცილი. იგი მუდმივად ლაპარაკობს. ესაა ლაპარაკის მამა, სიტყვებისა და ფრაზების გენერირების მანქანა, - ბრძანა იანკოვმა.

- ჩვენი ჟორას ნათესავი ყოფილა, - ოდნავ წაკბინა ჟორას მანილოვიჩმა.

- დარჩა სამი: ბარკანსი, მირონოვი და უდაჩინი, - ვთქვი მე.

- ჭეშმარიტად რკინის ლოგიკა გაქვთ ქართველებს, - დამეთანხმა ბუტოვი.

- ოდესელი რუსებისგან ვსწავლობთ, - სიტყვა არ შევარჩინე მე.

- ოდესაში ჩახვიდე და რუსისგან ისწავლო... - გაიკვირვა მანილოვიჩმა.

- ბარკანსი უნდა გამოვრიცხოთ, - ბრძანა შერლოკ ბუტოვმა.

- ვითომ რატომაო, სერ? - გაიკვირვა მანილოვიჩმა, - ხმას არ იღებს და ჯანმრთელობას არ უჩივის.

- უმეგობრო კაცია, თანაც ნიგვზის კომერციულ პოტენციალში დარწმუნებული ვერ იქნება.

- მეგობარი რა შუაშია? - აღელდა პოეტი და, შესაბამისად, მარტოსული მანილოვიჩი.

- ქურდი ამპარტავანია, აუდიტორია უყვარს, ერთი ახლო მეგობარი მაინც ეყოლება. ვიღაცასთან ხომ უნდა გამოავლინოს, რომ ნიჭიერი და გამჭრიახია.

- ბარკანსს მეგობრები არ ჰყავს?

- არა, რომანტიკოსი პოეტივით სულ მარტო დაიარება.

- და ღამით მკვდარივით სძინავს, - დაასრულა იანკოვმა, ბარაკში ბარკანსის მეზობელმა.

- დარჩა ორი: მირონოვი და უდაჩინი, - დავასკვენი მე.

- დაგვიმთავრებია ძიება, ამხანაგებო, - მოგვილოცა ჟორამ. სოლჟენიცინის „პირველ წრეში“ ატომური ბომბის საქმეში ორი ეჭვმიტანილი რომ დარჩა, ორივე დააპატიმრეს.

- ჩვენ სხვა გზით წავალთ, - კლასიკა დააციტირა ბუტოვმა, - ჩვენ არ მოვიქცევით სიონისტი ლიოვა რუბინივით ანუ მისი პროტოტიპი ლევ კოპელევივით.

- რუბინი სიონისტი კი არა, იდეალისტი კომუნისტი იყო, - ლიტერატურისადმი ზერელე დამოკიდებულებაში ამხილა მანილოვიჩმა ბუტოვი.

- არ გეწყინოს, ჩემო ბორია, რუბინის და სოლოგდინის კამათში მე ნერჟინისკენ ვარ, ხომ იცი, - არ დამალა თავისი საყვარელი პერსონაჟისადმი ნაზი დამოკიდებულება ბუტოვმა.

- რუბინის და სოლოგდინის კამათი... ლოდოვიკო სეტემბრინისა და ლეო ნაფტას კამათის რუსული ვარიანტი, - გამოამჟღავნა თავისი უკიდეგანო ერუდიცია და სოლჟენიცინისადმი არამოწიწებითი დამოკიდებულება ვადიმ იანკოვმა.

- მირონოვი თუ უდაჩინი? - ვიკითხე მე.

- ორივე ახალგაზრდაა, ფიზიკურად მშვენიერ ფორმაშია ორივე, გონიერი ყმაწვილები არიან, მირონოვს გამოთვლითი ტექნიკა იტაცებს, უდაჩინი ფანტასტიკას ეტანება. მირონოვი ლევანთან მეგობრობს და უდაჩინი ანდერსონთან, - მოგვაწოდა ინფორმაცია ხომიზურმა.

- იცნობდეთ უდაჩინს, მეგობრებო, როგორც შკოდნიკს, პოლიტიკური ბანაკის 385/3-5 შინაურ ქურდს, - თითქმის საზეიმოდ გამოაცხადა ბუტოვმა, - ამ დილას სახეზე პატარა გამონაყარიც დავუნახე, ეტყობა ბერძენიშვილის ნიგვზის გასინჯვა მოასწრო ჟუგლანს ღეგია, ეს არ არის ნიგვზის ლათინური სახელი?

- დამნაშავე ნაპოვნია, ახლა რა ვქნათ? - იკითხა ჟორამ.

- ვერ ვიტან ჩერნიშევსკის, - მოულოდნელად უპასუხა პოლიაკოვმა.

- რა ვქნათ და მის მეგობარს, ანდერსონს ვესტუმროთ ბიბლიოთეკაში.

მივადექით ანდერსონს. ბუტოვმა მოკლედ გააცნო გამოძიების მიმდინარეობა და შედეგები. ანდერსონი რატომღაც იოლად დარწმუნდა და სამპუნქტიანი გამოსავალი შემოგვთავაზა:

1. უდაჩინი საჯაროდ აღიარებს დანაშაულს.

2. დააბრუნებს ნაქურდალს.

3. სპეციალურად დააშავებს და ჩაჯდება საჯარიმო იზოლატორში.

წინადადება მიიღეს. ხალხი დაიშალა. ბიბლიოთეკასთან დავრჩით სამნი: მე, ბუტოვი და ანდერსონი. სამივემ ვიცოდით, რომ ანდერსონი ზონის საკმაოდ მოკრძალებულ, მაგრამ „იდეურად გამართულ“ ბიბლიოთეკას განაგებდა. ანდერსონმა არ იცოდა, რომ მის წინაშე იდგა კაცი, რომელმაც იატაკქვეშეთში ანტისაბჭოთა ლიტერატურის ლეგენდარული ბიბლიოთეკა შექმნა, ისეთი დიდი და სრულყოფილი და, რაც მთავარია, იდეურად ისე გამართული, რომ რამდენიმე წელი ღამის ძილს უფრთხობდა მთელი სსრკ-ს უშიშროებას. და, რა თქმა უნდა, არც ერთმა არ ვიცოდით, რომ წლების შემდეგ მე დამეკისრებოდა ყოფილი სსრკ-ს სიდიდით მესამე, შესანიშნავი ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა.

უდაჩინმა დანაშაული თავხედურად აღიარა. საღამოს ექვსეული უკვე ბაჟეს მიირთმევდა, ხოლო დეპეენკა სურაკინს „დებოშისთვის“ უდაჩინი შიზოში მიჰყავდა თხუთმეტი დღით განსამარტოვებლად.

განთავისუფლების შემდეგ ბუტოვი ემიგრაციაში წავიდა. ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს და, პროფესიით, ფიზიკოსად მუშაობს. მისი თანამოსაქმე ვიაჩესლავ იგრუნოვი რუსულ პოლიტიკაშია, მეორე კაცია პარტია „იაბლოკოში“, თუმცა თავად პარტია სერიოზულ კრიზისს განიცდის. კორეის თვითმფრინავები ავტოპილოტს არ ენდობიან და რუსეთის საზღვრებს ახლოსაც აღარ ეკარებიან.

ფოტო
განწყობისათვის
ახალი
ფეხსაცმელები

ერთხელაც, გზაზე მიმავალი, უკან მიიხედავ და აღმოაჩენ, რომ ხალხი გშორდება. ასე უბრალოდ, მოგვყვებოდნენ და ახლა აღარ!

იამზე გოგუაძე - ყველა ემიგრანტის ექიმი იყო. მახსოვს, მის ერთ-ერთ იუბილეზე რესტორანში სულ მისი პაციენტები ან მათი მშობლები ისხდნენ.

და როგორ უყვარდათ?!

მაგრამ მე ის სულ სხვანაირი მახსოვს:

მას შეეძლო 2-მეტრიან ოთახში 10-მეტრიანი საქართველოს დროშა შეექმნა - დაეჭრა, შეეკერა, გაერეცხა და დაეუთოებინა. და მერე, ლამაზ ყუთში სათანადო პატივით ჩაკეცილი მოერთმია შენთვის.

მერე რა, თუ ამაზე უძილო ღამეებს უფრო მეტად გააათმაგებდა.

„შემოგივლიო“, რომ დამრეკა, წინსაფრით, გაფქვილული ხელებით დამხვდებოდა და იმის მიხვედრას, რომ ღუმელში ხაჭაპური იწვოდა, არაფერი უნდოდა.

გურული „ცა“ ამ შუაგულ ამერიკაშიც გურულად უქცევდა და ჩემს სულცხონებულ გურულ ბებიას მახსენებდა თუ მანატრებდა.

იქ, როცა კი მაღლა ასწევენ მის სასახლეს, აქედან მრავალი ემიგრანტის ცხელი ცრემლი გაჰყვება, მათ შორის იქნება ჩემი ალალი „კურცხალიც“.

მანუჩარ კაჭახიძე

ჩვენი მეგობარია ექიმი მერაბ ბოთერაშვილი

მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობის
უახლესი და ყველაზე უდანაკარგო მეთოდი

ტკივილის გარეშე!
ნაწიბურების გარეშე!
ნარკოზის გარეშე!

ექიმ მერაბ ბოთერაშვილ

Vein

2177 65th st.
Brooklyn, NY 11204
1-718-238-1555

VEIN & LASER CENTER

TONÉ
ქართული პური
ქართული სამზარეულო
ქართული სურნელი
(718) 332-8082
საქართველო - ნეპტუნ ავენიუზე
265 Neptune Avenue, Brooklyn, NY 11235

Barami
LOGISTICS

რით მემოვიარაღვით ჩვენ?

- პირადი და კომერციული ტვირთების საზღვაო, საჰაერო, სახმელეთო გადაზიდვები - აშშ-დან საქართველოში და პირიქით;
- ამანათების აღება აშშ-ს ნებისმიერი შტატიდან;
- კონტეინერებით მომსახურება;
- ავტომობილების გაგზავნა;
- ფილიალების ფართო ქსელი

ეს ყველაფერი
მხოლოდ ჩვენთან!
7 დღე და 24 საათი
თქვენს სამსახურში